კვირის პალიტრა

ფეხი

N12(145) 20/III.-26/III.2003. ფასი 60 თ.

1168 63
2003

კომპლიმენტით დაწყებული უსასრულო სიყვარული

რატომ რჩებიან ქალები მარტო

ვის აჩუქებს გიორგი კანდელაკი ხელთათმანს

თეა გოგეჯიშვილს ნიკა ლომიკე „დაემუქრა“

დედისერთა პატარძლის უკანასკნელი მოგზაურობა

სალომე ღვინიაშვილი:

„პირველად დამოუკიდებლად
რომ მივუჯექი საჭეს და
ქალაქში გამოვედი.
4 თვის ფეხმძიმე ვიყავი.
ყველა მეჩხუბებოდა:
ფეხმძიმედ ხარ და არ
დაჯდე საჭესთანო...“

გვ. 8

ყვირის პალიბრა
ფეხი
№12 (145)
20 - 26 მარტი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
მადის აღმძვრელი პარტიები – მთავრობაში! 3
ერთი კითხვა 4
პარტიებში
● გაუჩნდება თუ არა „მოქკავშირს“ ახალი შვილობილები? 6
● რა მოჰყვება შინაპარტიულ გარჩევას – მაჟორიტარობა თუ უბრალოდ იურისტობა?.. 7
ქალი საჭესთან
ახალბედა მძღოლი და სამშობიაროს ეზოში გაჩენილი „ბე-ემ-ვე“ 8
თემა
რატომ რჩება ქალი მარტო 10
კრიმინალი
● სადისტური მკვლელობა კვალითში 13
● „ქურდაძის საქმე სინამდვილეში გაუხსნელია. ჩემი ქმრით საგზაგადოება მოატყუეს“ 15
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 16
მგზავრული
სტუმარმასპინძლობა ანუ საწოლში დიასახლისთან... 16
შემოქმედი
„ბაში-აჩუკის“ გადასაღებ მოედანზე, სტუმრად იაპონელებთან და მსოფლიოს სტადიონებზე... 18
ფერმა
„წითელ წიგნში“ შეტანილ მონღოლურ ხოხობს ფესტაფონში ამრავლებენ 20
გემოვნება
ახალგათხოვილი თეა გობეჯიშვილი საკუთარი გარეგნობისთვის ვერ იცლის 22
ტესტი
ერთგული მკითხველი 24
მოგონება
სამი წელი გერმანელთა ტყვეობაში 25
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 26
ამპლუა
უჩა კორძაია: „ახლა ჩემი ფილარმონია, რესტორნის სცენაა...“ 28

რატომ რჩება ქალი მარტო

თუ ასე გაგრძელდა, 2006 წლისთვის, მამაკაცები, ქალებთან შედარებით, 13,8 წლით ნაკლებს იცოცხლებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასაკში შესული ქალების ძალზედ მცირე რაოდენობა შეძლებს გათხოვებას. ამიტომ ქალები 23 წლის ასაკამდე უნდა გათხოვდნენ.

10

ახალგათხოვილი თეა გობეჯიშვილი საკუთარი გარეგნობისთვის ვერ იცლის

კარგი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ გვაქვს ერთი სირთულე: რომ დავიძახებ „ნიკუშა!“, იქიდან ყვირიან – რომელიო? იმედია, რაღაცას მოვახერხებთ. გადავარქ-გადმოვარქმევთ და ვიპოვით გამოსავალს.

22

სადისტური მკვლელობა კვალითში

ნინო გაბრიჭიძის გვამის აღმოჩენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციელთა თქმით, გვამი საშინლად იყო დასახიჩრებული. გარდაცვლილს თავი, სახე და ხელები დაჩეხილი და დასისხლიანებული ჰქონდა, ხოლო იქვე, მის გვერდით, სისხლით მოსვრილი ვენახის სასხლავი ეგდო...

13

„ახლა ჩემი ფილარმონია, რესტორნის სცენაა...“

მე მომღერალი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ რობერტმა ამამღერა. „ბაკურიანი... თეთრი რელსები, ციდან ვეშვებით“ – დაუვიწყარია. სხვათა შორის, ფანები სწორედ ამ სიმღერამ შემძინა და ძალიან პოპულარულიც გამხადა...

28

ტრაგედია

„ღმერთმა ნუ განაცდევინოს ნურავის შვილის სიკვდილი...“ 30

„ოსკარის“ ნომინანტები

რეკორდსმენები და ახალბედა რობ მარშალი 32

ტაძარი

რა უნდა ვიცოდეთ დიდმარხვასთან დაკავშირებით? 34

საუნჯე

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...“ (წერილი მესამე) 35

ვარსკვლავი

მეორე სოფი ლორენად წოდებული მონიკა ბელუჩი 38

ფავორიტები

ოლივერ კანმა გერმანელ ფანებს იმედები გაუცრუა 40

საფეხბურთო მინდვრებზე 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (დასასრული) 42

სპორტული მოზაიკა 46

ავტო

ქენევური პრემიერები 48

დანაშაული და სასჯელი

მანიაკი მედდა, რომელიც გმირი ეგონათ 49

აქეთური-იქითური 52,54

ჯანმრთელობა

- ქრონიკული დაღლილობა 56
- ტუბერკულოზის მსოფლიო დღე 57
- რაციონალური კვება 58

ქცევის წესები

სატელეფონო ეტიკეტი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (24-30 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

შეგიძლიათ თუ არა შთაბეჭდილების მოხდენა 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ბაუი-აჩუკის“ გადასაღებ მოედანზე, სტუმრად იაპონელებთან და მსოფლიოს სტადიონებზე...

მადლობა კი გადავუხადე, მაგრამ გაოცებული დავრჩი: წარმოგიდგენიათ? რომში მაინცდამაინც ქართველმა გაიგონა ჩემი ნათქვამი, თან არც კი დამელაპარაკა – დამეხმარა და წავიდა, ვითომ, ასეც უნდა ყოფილიყო...

18

„წითელ წიგნში“ შეტანილ მონღოლურ ხოხობს ზესტაფონში ამრავლებენ

ვამაყობ იმით, რომ ფრანგების რეკორდი მოვხსენით... ამ ფრინველს უცნაური ინსტინქტი ახასიათებს: 12 კვერცხს დადებს და ჩერდება. ჩვენც ცოტას ვეშმაკობთ – ხომ იცით, მაინც ქართველები ვართ... ჩუმად ვაცლით კვერცხს.

20

მეორე სოფი ლორენად წოდებული მონიკა ბელუჩი

ფილმის ჩვენების შემდეგ, ბელუჩიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „გადაღებებისას ასე შორს არასოდეს შემიტოპავს და ბედნიერი ვარ, რომ ამ სურათში პარტნიორობას სწორედ ჩემი მეუღლე მიწევდა“. გავრცელდა ხმები, თითქოს, ეს განცხადება გახდა საბაბი ცოლ-ქმარს შორის განხეთქილებისა.

38

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

ნიგას დანახვაზე ნინიმ უცბად პარიკი გამეტებით მოიგლიჯა, გვერდზე მოისროლა და მაშინვე მხრებზე საკუთარი მბზინავი თმაც ჩამოეშალა. შემდეგ, ორივე ხელით სახეზე გრიმის მოშორება დაიწყო. ნიგამ ლამაზკულულებიანი თავი უცბად მოაბრუნა, ნინის უცნაურად ლამაზი თვალები შეანათა და შეჰკივლა.

42

მალის ალმძვრელი ჰარფიები – მთავრობაში!



ადამიანს მარტო დედ-მამის მიერ დარქმეული სახელი რომ ჰყოფნიდეს ცხოვრებაში თავის გასატანად, მაშინ ხელფასებს სახელების მიხედვით დაარიგებდნენ, მაგრამ ასე არ ხდება და „წინა რიგში“ ადგილის დასაკავებლად საჭიროა, ისეთი სახელი მოუფიქრო შენს სამოღვაწეოს, მეხივით რომ გასკდება მოწმენდილ ცაზე და გარანტირებულს გახდის შენს წარმატებას. სახელების შერჩევაში კი, ქართული ენის სიმდიდრე რომ გვაძლევს გასაქანს, ისეთი უნდა, მაგრამ შენი ქართულიც ვიღას უნდა დღეს?! ახლა საერთაშორისო სიტყვებია „ცვეტში“ და რაც უფრო უცნაურ სახელს მოიფიქრებ, მით უფრო მაგარი ხარ.

მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ვეებერთელა ასოებით დაწერილი „მუმია“ რომ დავინახე, გული სიხარულით ამევსო: ალბათ ეგვიპტელი ფარაონების სარკოფაგები ჩამოიტანეს „საგასტროლოდ“-მეთქი... თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, ეს შენობა ბაზრისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ ვერ გაუმართლებია იმედები და ახლა, თითქმის უფუნქციოდ „ფუნქციონირებს“.

ნეტავ, რატომ არ გაამართლა ბაზარმა სახელწოდებით „მუმია“? რა სჯობს, „მუმიაში“ რომ ხორცს იყიდი?!. მართალია, შეიძლება, დიდხანს არ მოიხარშოს და საღეჭადაც „პაკრიშკას“ ჰგავდეს, მაგრამ სამაგიეროდ, დიდხანს გეყოფა, მით უმეტეს – „მუმიის ხორცმა“ ისეთი მატება იცის ხარშვაში, მიმიქარავს საჩხერის ლობიო და თუ ოთხსულიან ოჯახს საშუალოდ, 500 გრამი ხორცი სჭირდება სადილის გასაკეთებლად, შეიძლება, ერთი 30-გრამიანი ნაჭერი ეყოს: ჭამას იწყებს ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი, ღეჭავს უსუსური კიჭებით. რა თქმა უნდა, ვერაფერს აკლებს და გადასცემს მასზე 2-3 წლით უფროს ძმას (დაც შეიძლება). ისიც აბურთავებს უშედეგოდ და აწვდის დედას. დედა, როგორც ყოველთვის, იგნორირებას უკეთებს საკუთარ სურვილს და „ალავერდს“ გადადის მამასთან...

ა, ბატონო, ხომ დავაპურე მთელი ოჯახი ერთი ნაჭერი ხორცით!.. და თუ ცოტა წვენსაც დაუმატებენ ამ ხორცს, შეიძლება, ვახშამიც ასეთივე მსუყე ექნეთ... ჰოდა, რისი დამსახურებაა ყოველივე ეს? – რა თქმა უნდა, სახელის.

აი, რა კუთხით უნდა მიუდგეს ჩვენი ქვეყანა კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებას და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას! სახელების სწორად შერჩევაა მთავარი. მაგალითად, ფრანგულ პარფიუმერიაზე რომ გიჟდებიან ჩვენი ქალები, რით იქნება „კრისტიან დიორზე“ ნაკლები ქართული დეზოდორანტი „ღიხლოფოს-ნეიჩერალზი“, დევიზით – „ერთი შესხმაც საკმარისია“. ან კიდევ – ევროპიდან ჩამოთრეულ მეორად საყოფაცხოვრებო ტექნიკას რომ ვეფეთებით, ხომ შეიძლება, ჩვენ თვითონვე შევქმნათ ნავთის ქურა სახელწოდებით „აკრიბე 01“, ან წყლის მადუღარა – „ჩამაწვინე ქვიშაში“ და ა.შ.

ვეყრდნობი რა ჩემს პროვოკატორულ ინტუიციას, იმავეს ვურჩევ ხელისუფლებაში მყოფ და მის მიღმა დარჩენილ პარტიებს, ნაადრევად რომ დაეტყოთ მომავალი არჩევნების ფაციფუცი, – გადაირქვან ენის მოსატეხი სახელები. რატომ გვაბნევენ, ამ „უწიგნურ“ ხალხს? რა ვიცით ჩვენ, რას ნიშნავს მაგათი „ლეიბორისტულ-ნაციონალისტურ-სოციალისტურ-ლიბერალური...“?! მათაც გახსნან რაღაც საწარმოები, რომელიც დამშეული ხალხის დამპურებელ პროდუქციას გამოუშვებს და პარტიებსაც ამ პროდუქციის შესაბამისი სახელები დაარქვან. მერე ნახონ ხალხის მხარდაჭერა!..

„თოფაძის ლუდი“ და „მიქოიანის ხორცი“ თუ არსებობს, რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ჟვანიამ და მისმა გუნდმა შექმნან ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქარხანა და „გაერთიანებული დემოკრატების“ ნაცვლად, დაირქვან „ჟვანიას ძეხვი“. ნახონ მერე, თუ მშიერმა ხალხმა არ მისცეს ხმა;

ან კიდევ, ჩამოაყალიბოს საკაშვილმა საკრებულოს დამხმარე მეურნეობა, სულ რომ წუწუნებს – ფული იკარგებაო!.. – გახსნას მეფრინველეობის ფაბრიკა, ალაგმოს ბაზრიდან 15-თეთრიანი, უხარისხო თურქული კვერცხი და გამოუშვას 8-თეთრიანი, ეკოლოგიურად სუფთა „საკაშვილის კვერცხები“. არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება ამ სახელწოდების პარტიას? რა თქმა უნდა, არა!

ამასობაში სხვებიც გამოფხიზლდებიან, გადააგდებენ პოლიტიკურ ამბიციებს, ისინიც მიხედავენ საკვების პროდუქტების წარმოებას – ხალხიც გაიხარებს და ჩვენი დახლებიც გაივსება: „გოგიტიძის ნეკნებით“, „დავითაშვილის ბარკლებით“, „ნათელაშვილის სოსისით“, „გოგორიშვილის „ბულკებით“ და „თევდორაძის ჩირით“...

ამაზე უკეთესი რაღა გირჩიოთ, „ბატონებო“?! საპარლამენტო არჩევნებისთვის ეს იკმარეთ. და აქედანვე გაითვალისწინეთ: ვიღებ შეკვეთებს რჩევებზე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის.

P.S. მამა ვაჟიშვილს უხსნის განსხვავებას, თეორიასა და პრაქტიკას შორის და ცოლს ეკითხება: მილიონ დოლარად სხვა მამაკაცს თუ დაუწვებიო?

ქალმა იუარა, მაგრამ დაფიქრების შემდეგ, ბოლოს მაინც დათანხმდა. მამამ იგივე შეკითხვა ქალიშვილს დაუსვა. გოგონამაც უარი განაცხადა, მაგრამ 10000 ცალი ასდოლარიანი რომ წარმოიდგინა, ვეღარც მან გაუძლო ცდუნებას.

– ხედავ, შვილო, რა განსხვავებაცაა? – ეუბნება მამა შვილს. – თეორიულად, 2 მლნ დოლარი ვიშოვეთ, პრაქტიკულად კი – ორი კახპა გვიზის სახლში...

ეჰ, ასეა ჩვენი საქმეც: თეორიულად, ავაყვავეთ ქვეყანა, პრაქტიკულად კი, გაგვევსო მთავრობა „კალბასებითა“ და „კვერცხებით“...

პროვოკატორი

„შეიძლება ითქვას, რომ დროებით უმუშევარი ვარ!“

— ყველა ინტერესით ელის პარლამენტიდან წასვლის შემდეგ, რა არჩევანს გააკეთებს გიორგი თარგამაძე. რომელ ტელევიზიასთან აპირებთ თანამშრომლობას და რა რეაქცია ჰქონდა ასლან აბაშიძეს, როდესაც შეიტყო, რომ ყოფილი „შვილობილი“ ისევ იქ ბრუნდება, საიდანაც მისი კარიერა დაიწყო?

გიორგი თარგამაძე, *ექსპარლამენტარი:*

— ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, კერძოდ — ჟურნალისტიკაში დაბრუნების თაობაზე არავისთვის არაფერი მითქვამს, მათ შორის, არც ასლან აბაშიძისათვის. მე მასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს და მექნება, რადგან ჩვენი ურთიერთობა პოლიტიკით, პარლამენტით და დეპუტატობით არ დაწყებულა. ბატონი ასლანი გავიცანი მაშინ, როდესაც ჟურნალისტი ვიყავი და დღეს, დარწმუნებული ვარ, ასლან აბაშიძე გაგებით მოეკიდება ჩემს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება იმას, თუ რომელ არხთან ვითანამშრომლებ, ჯერ ვერ ვიტყვი, რომელზე შევაჩერებ არჩევანს. შემოთავაზება მივიღე რამდენიმე ტელეკომპანიისგან, მათ შორისაა „იმედიც“. ნაკლებად წარმოსადგენია, რომ ყოველდღიურ ფორმატში, ვთქვათ — საღამოს გადაცემის წამყვანად ვიმუშაო, მაგრამ გარკვეული გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დამიგროვდა, საშუალებას მომცემს ანალიტიკური ხასიათის საავტორო გადაცემაზე ვიფიქრო. ეს იქნება ძირითადად, პოლიტიკური ხასიათის საკვირაო გადაცემა. ტოკ-შოუს ნამდვილად არ წავიყვან. რამდენიმე დღეში დავასახელებ ტელეკომპანიას, რომელთანაც კონტრაქტს გავაფორმებ და ჩემ ირგვლივ არსებულ ვერსიებს წერტილს დავუსვამ. ტელეკომპანიის ხელმძღვანელთან მოლაპარაკების დროს, ჩემთვის რამდენიმე პრინციპი იქნება მთავარი: არხის კონცეფცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ჩემს მსოფლმხედველობას; თავისუფლების ხარისხი შემოქმედებით მუშაობაში, პროფესიონალური გარემო და, რა თქმა უნდა, შრომის ანაზღაურება. ჯერჯერობით კი, შეიძლება ითქვას, რომ დროებით უმუშევარი ვარ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობ. ■

„ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უკვე 30 მილიონითაა გარღვეული“

— „ახლები“ ბიუჯეტის გარღვევის გამო, სახელმწიფო მინისტრისა და ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვენ. ამ ეტაპზე თქვენთვის პოლიტიკურად წამგებიანი ხომ არ არის ჯორბენაძის გადამტერება და „ახლების“ მხარდაჭერა?

ალექსანდრე შალაგერიძე, *„ტრადიციონალისტი“:*

— აბსოლუტურად ვიზიარებ გამყრელიძის განცხადებას ჯორბენაძისა და მისი გუნდის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების თაობაზე. ბიუჯეტის შეუსრულებლობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. მოვუწოდებ „ახლებს“, „ნაციონალებს“, „აღორძინებას“ და „დემოკრატებს“, პრეზიდენტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურისა და ბიუჯეტზე პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხის დასმისკენაც. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ორი თვის განმავლობაში, უკვე 30 მილიონით არის გარღვეული, ამიტომ აქტიურად დავუჭერ მხარს პარლამენტში ბიუჯეტზე პასუხისმგებელი პირების საკითხის დასმას. ■

„ულტიმატუმის ვადა ჯერ არ ამოწურულა“

— ცოტა ხნის წინ, „ნაციონალებმა“ შინაგან საქმეთა მინისტრს, კობა ნარჩემაშვილს ერთთვიანი ულტიმატუმი წაუყენეთ. როგორ ვითარდება ამის შემდეგ მოვლენები — ულტიმატუმი ისევ ძალაში რჩება?

კობა დავითაშვილი, *„ნაციონალური მოძრაობა“:*

— ულტიმატუმის ვადა ჯერ არ ამოწურულა. ჩვენ გვინდა დავარწმუნოთ შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, აუცილებლად დავაყენებთ მისი პასუხისმგებლობის საკითხს. კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესება სამართალდამცავების გულგრილობის ბრალი კი არ არის, მათი ხელშეწყობის შედეგია. დღეს კრიმინალურ სამყაროსა და პოლიციას შორის ზღვარი, ფაქტობრივად, წაშლილია. ჰოდა, ვაფრთხილებ შინაგან საქმეთა მინისტრს — ან მოუაროს ამ კრიმინოგენულ ვითარებას, ანდა ჩვენ განვახორციელებთ პოლიტიკურ ზეწოლას მასზე. იმედი მაქვს, რომ ის საკუთარი ტყავის გადასარჩენად მაინც დაიწყებს სერიოზულ ბრძოლას დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ.

■

„მაჟორიტარობას ვერ შევძლებ“

— გავრცელებული ინფორმაციით, „გაერთიანებული დემოკრატების“ საარჩევნო სიაში თქვენს ადგილს ნინო ბურჯანაძე დაიკავებს, თქვენ კი მოგიწევთ, როგორც მაჟორიტარმა კანდიდატმა, ისე იყაროთ კენჭი. ყოველივე ამის შესახებ თქვენ და ქალბატონი ნინო უკვე შეთანხმდით?

ელენე თევდორაძე, *პარლამენტარი:*

— ჩემსა და „გაერთიანებულ დემოკრატებს“ შორის იყო საუბარი იმის შესახებ, რომ მე ისე ვიყარო კენჭი, როგორც მაჟორიტარმა კანდიდატმა. სიმართლე გითხრათ, ეს წინადადება დიდად არ მხიბლავს. მე და ქალბატონმა ნინომ ამის შესახებ მართლაც ვისაუბრეთ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ შინაურული საუბარი. მაინტერესებდა, რას ფიქრობდა მისთვის ახალშეთავაზებული წინადადების შესახებ. როგორც მან მითხრა, ის მაჟორიტარ კანდიდატობას აპირებს. მე ჩემი მაჟორიტარობის წინააღმდეგი ვარ იმიტომ, რომ ვიცი ჩემი შესაძლებლობები — მაჟორიტარობას ფიზიკურად ვერ შევძლებ. ხშირად მეკითხებიან ჟურნალისტები: თუ სიაში არ შემიყვანენ, გაიყოფა თუ არა ჩემი და „გაერთიანებული დემოკრატების“ გზები? საჯაროდ ვაცხადებ: ეს წარმოუდგენელია. სიაში რომც არ მოვხვდე, მე მაინც ამ გუნდის გვერდით ვიქნები. ■

„სავალუტო ფონდს ხელისუფლება არასწორ ინფორმაციას აწვდის“

— როგორც ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ლევან ჩრდილელი აცხადებს, სავალუტო ფონდის მისიამ კატეგორიულად მოითხოვა — რაკი აჭარიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხები მაინც არ ირიცხება, ამ რეგიონს ნურც შემოსავლებში გაითვალისწინებთ და ნურც ხარჯებშიო. რა კომენტარს გაუკეთებთ სავალუტო ფონდის ამ მოთხოვნას?

ჯემალ გოგიტიძე, *ფრაქცია „აღორძინება“:*

— სავალუტო ფონდს საქართველოს ხელისუფლება არასწორ ინფორმაციას აწვდის და ცდილობს, დაუმტკიცოს, თითქოს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, აჭარის მიზეზით ვერ ასრულებს და ამისთვის მზადაა, რომ რეგიონის იგნორირებაც კი მოახდინოს. სავალუტო ფონდი კი არა, დღევანდელი მთავრობაა ქვეყნის მტერი და ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი არ ცნობს საკუთარი ქვეყნის ნაწილის ფინანსურ დოკუმენტაციას — ეი. ამ რეგიონს სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური სივრცის გარეთ აყენებს. ჩემთვის შეურაცხმყოფელია ისიც, რომ პრეზიდენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მდგომარეობას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მდგომარეობას ადარებს. აჭარა პრინციპულად მოითხოვს იმას, რაც მას ეკუთვნის. ავტონომიურ რესპუბლიკას თავისი პრინციპები ჩამოყალიბებული აქვს და ეს პრინციპი საქართველოს გადარჩენას გულისხმობს.

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— სავალუტო ფონდის მისიამ, ფაქტობრივად, ფარდა ახადა იმ რეალობას, რაც ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა. ეს გახლავთ ეკონომიკური პროცესების სრულ თვითდინებაზე მიშვება. უკვე იმ სისტემის ნგრევაც იწყება, რომელიც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და ზეწოლით იქმნებოდა. ფონდის მემორანდუმი ძალიან მკაცრია. მასში, ყოველგვარი დიპლომატიური ენის ნორმების დაუცველად, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თუკი მდგომარეობას არ გამოასწორებს, საქართველოს არ უნდა ჰქონდეს იმედი, სავალუტო ფონდისაგან ფინანსური დახმარებისა და „პარიზის კლუბში“ მხარდაჭერისა, 2003 წელს გადასახდელ საგარეო ვალებთან დაკავშირებით. ამიტომ მთავრობა იძულებულია, ფონდის რჩევები გაითვალისწინოს, კერძოდ: პრეზიდენტის სპეციალური ფონდების დაფინანსება 6 მილიონი ლარით შემცირდეს, მივლინებებისა და საკანცელარიო საქონლის ხარჯები — 7 მილიონით; იგი მოითხოვს იმასაც, რომ მთავრობამ აღარ გააგრძელოს „ეი-ი-ეს თელასის“ 2 მილიონი ლარით სუბსიდირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროგრამა არ ამოქმედდება და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ამ მიზნით გამოყოფილ 40 მილიონი დოლარის კრედიტს დავკარგავთ. ■

„საქართველოში გიორგაძის ჩამოსვლა ხელს აძლევს შევარდნაძეს, თვითონ იგორსაც და ჩვენც!“

— რა ინფორმაციას ფლობთ იმის თაობაზე — მართლა იყო თუ არა ორი პრეზიდენტის სოჭში გამართული შეხვედრისას იგორ გიორგაძის თბილისში ჩამოსვლაზე საუბარი და რის საფუძველზე აცხადებთ, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში გიორგაძის ჩამოყვანა ხელს აძლევს შევარდნაძეს?

ალექსანდრე ჭაჭია, *„ერთობის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— საქართველოში იგორ გიორგაძის ჩამოსვლა ხელს აძლევს შევარდნაძესაც, თვითონ იგორსაც და ჩვენც. ჩემი აზრით, აუცილებელია, გიორგაძე რაც შეიძლება მალე ჩამოვიდეს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესში, სადაც დამტკიცებული ან უარყოფილი იქნება მისი მონაწილეობა პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში. ამისათვის მას პარლამენტმა უნდა მისცეს უსაფრთხოების გარანტია, რომ ის საქართველოში ჩამოსვლისთანავე არ იქნება დაკავებული, თუმცა, ისიც კარგად ვიცი, რომ გიორგაძე, როგორც პროფესიონალი, საკმარისად არის მომზადებული იმისათვის, რომ შევარდნაძის სამსახურებმა მისი დაკავება ვერ შეძლონ. თუ ჩატარდა ღია პროცესი და სიმართლე დადგინდა იმ ტერაქტის შესახებ, რომლითაც წლების განმავლობაში ხდება სპეკულირება, შევარდნაძე ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდება, რადგან ვფიქრობ, ის, რასაც იგორ გიორგაძე იტყვის, პრეზიდენტის იმიჯზე არჩევნების წინ დადებითად არ იმოქმედებს. ■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

მოამზადა ნანა ქიბიმაურმა

„მოქალაქეთა კავშირს“ ახალი პოლიტიკური მდივანი ჰყავს, რომელსაც ძალზედ რთული ამოცანა დაუსახეს: ისე გააერთიანოს „მოქალაქეთა კავშირის“ ერთმანეთთან დაპირისპირებული შვილები, რომ მათ, შევარდნაძის გარდა, კიდევ რაღაც ჰქონდეთ საერთო. როგორ მოახერხებს ამას გელა კვაჭანტირაძე, რომელიც პოლიტიკაში მეცნიერებიდან მოვიდა და წინა მოწვევის პარლამენტის წევრიც გახლდათ, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია. ექსპერტები უკვე გამოთქვამენ ეჭვს, რომ თუ „მოქალაქეთა კავშირის“ ოდიოზური ფიგურები გავლენის სფეროების გადანაწილებას შეეცდებიან და შინაპარტიულ ინტრიგებს ბოლო არ მოეღება, შესაძლოა, პარტია არჩევნების დაწყებამდე ცალკეულ დაჯგუფებებად დაიშალოს. ძალთა გაერთიანების შემთხვევაშიც, საკითხავია, რა შედეგს აჩვენებს საარჩევნო მარათონში „საიქიოდან მობრუნებული“ „მოქკავშირი“ — მაშინ, როდესაც ზურაბ ჟვანიამ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ის საარჩევნო ტექნოლოგიები გაიყოლა „მზითვად“, რითიც სახელისუფლებო პარტია არჩევნებში ყოველთვის წინასწარ დაგეგმილ შედეგს აღწევდა ხოლმე. მაშ, რისი იმედი აქვს გელა კვაჭანტირაძეს?

გაუჩნდება თუ არა „მოქკავშირს“ ახალი შვილობილები?

ნანა ქიბიმაური

— მე ძალიან კარგად ვიცნობ იმ საარჩევნო ტექნოლოგიებს, რომელსაც ჟვანია ფლობს, რადგან წინა მოწვევის პარლამენტში და არჩევნების დროს, საკუთარ თავზე არაერთხელ გამოვცადე იმ მანქანის ძალა, რომელსაც ჟვანია-სააკაშვილი-გოგორიშვილის ტრიო მართავდა. ეს საარჩევნო მანქანა დღესაც მწყობრშია და რაც ყველაზე თვალში საცემია, მათ მონოპოლიზებული აქვთ მედიასივრცე. ეს არის მედიასთან წლების განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგი. აი, ამ მედიასივრცეს მოხერხებულად იყენებენ ისეთი პოპულისტური ლოზუნგებისა თუ თემების წინასაარჩევნო ტრიუკად გადასაქცევად, როგორიც 115 ლარის თემაა. დღეს თვითონ ჟვანია აღიარებს იმას, რომ სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდა არარეალურია.

— კი, მაგრამ არჩევნების დროს „მოქკავშირი“ ხელფასების ზრდას 250 ლარამდე გვპირდებოდა. ეს მაშინ რეალური იყო და დღეს 115 ლარი არარეალურია?

— ნუ გავიწყდებათ, რომ იმ საარჩევნო დაპირებებსაც, სადაც ხელფასების გაზრდას 3-ჯერ ჰპირდებოდნენ ხალხს, ჟვანიას გუნდი იძლეოდა. წლის განმავლობაში, ჟვანიას გუნდი ხელისუფლებაში დაკავებული იყო იმით, რომ მოეპოვებინა გავლენა მედიის საშუალებებზე, ემართა ეკონომიკური ბლოკი, გაძლიერებულიყო ფინანსურად და შეექმნა მისგან მართვადი არასამთავრობო სექტორი. მათ ძალიან ადრე დაიწყეს პოსტშევარდნაძისტული პერიოდისთვის მზადება.

— ძალიან კარგ რეკლამას უკეთებთ მათ; გამოდის, რომ ისინი საკმაოდ კარგი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები არიან. საკუთარ კარში ხომ არ გაგაქვთ გოლი?..

— ვაღიარებ, რომ ისინი პოლიტტექნოლოგიებში საკმაოდ ძლიერები არიან, მაგრამ მიმაჩნია, რომ მათი ინტერესები საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ შეესაბამება.

— სხვათა შორის, ამას წინათ, კობა დავითაშვილმაც გადაუხადა საჯაროდ მადლობა ვიტალი ხაზარაძეს: საკუთარ კარში ლამაზი გოლები გაგაქვსო. თუ არ ვცდები, დავითაშვილი გულისხმობდა, ხაზარაძის მიერ წამოყენებულ, ბურჯანაძის გადაყენების მოთხოვნას...

— თანამდებობიდან ბურჯანაძის გადაყენების მოთხოვნა ალბათ არასწორად გათვლილი ნაბიჯი იყო. თუმცა, იმ სხდომაზე ნათლად გამოჩნდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის სიმპათიები ცალმხრივად არის ოპოზიციის მხარეს.

— „მოქკავშირის“ ძალიან არეულ-დარეული სამზარეულოს დალაგება მოგიწევთ: ჯორბენაძე, მამალაძე, ზოდელავა, ჭანტურია... როგორ ფიქრობთ, ბოლოს, ვისი აჯობებს?

— „მოქალაქეთა კავშირში“ არსებულ, ცალკეული დაჯგუფებების შესახებ ჯერჯერობით, მეც მხოლოდ იმდენი ვიცი, რამდენიც ნებისმიერმა ჟურნალისტმა. მათ შორის ურთიერთობის მოგვარება დამოკიდებულია პრეზიდენტზე და თუ ის ამ საკითხში ჩაერევა, შეძლებს სახელისუფლებო ძალების კონცენტრაციას.

— რადგან არ ერევა და დაძაბული ურთიერთობა კვლავ გრძელდება, ეი. მას ხელს აძლევს გავლენიან პოლიტიკურ ფიგურებს შორის „აჭრილი“ ურთიერთობა?

— მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: თუ პრეზიდენტი არ მოინდომებს მათ შორის ურთიერთობის მოგვარებას, საარჩევნოდ, მართლაც შეიძლება შეიქმნას ცალკეული მოძრაობები — ვთქვათ, ისეთი, როგორიც „აბრეშუმის გზაა“... თუმცა, ამ შემთხვევაშიც ყოველი მათგანი პრეზიდენტის კურსის გამგრძელებელი იქნება. შინაპარტიული დაპირისპირებები ყველა პარტიაშია; აქ განსაკუთრებული არაფერი ხდება.

— იმაზე განსაკუთრებული რალა უნდა მოხდეს — თურმე ინტრიგების ქსელში გახლართული ჯორბენაძე სახელმწიფო მინისტრობისა და პარტიის თავმჯდომარეობის შეუთავსებლობას იმიზეზებს და თავჯდომარის პოსტის დატოვებას ფიქრობს?..

— არა მგონია, ჯორბენაძე „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის პოსტის დატოვებას ფიქრობდეს. ამის შესახებ არაფერი მსმენია. თუმცა, მართლაც შეიძლება არსებობდეს შეთავსების პრობლემა. ერთმა ადამიანმა უხელმძღვანელოს პოლიტიკურ პარტიას, იყოს სახელმწიფო მინისტრი და მთელ ეკონომიკურ ბლოკს ედგას სათავეში — პრობლემატურია.

■

რა მოჰყვება შინაპარტიულ გარჩევას – მაჟორიტარობა თუ უბრალოდ იურისტობა?..

რამდენიმე თვის წინ ავტოკატასტროფის დროს მძიმედ დაშავებული პარლამენტარი, ვალერი გელბახიანი, თანდათან მუშაობის ძველ რიტმს უბრუნდება. მოარული ხმებით, მის პოლიტიკურ გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი, რადგან ის, „აღორძინებაში“ მყოფი სხვა ცნობილი სახეების მსგავსად, შინაპარტიული დაპირისპირების გამო იძულებულია, საკუთარი ინტერესებისა და იდეების რეალიზებისათვის სხვა გზები ეძებოს. როგორც ბატონი ვალერი ამბობს, „აღორძინებასთან“ ერთად არ დაბადებულა და თუ საჭიროება მოითხოვს, შესაძლოა, მომავალში დამოუკიდებელ დეპუტატადაც მოგვევლინოს, თუმცა, მანამდე ბათუმური ბლოკის ლიდერთან და მის გარემოცვასთან, პარტიაში შექმნილი პრობლემების გამო სერიოზული გარჩევაა მოსალოდნელი.

ხათუნა მაღრაძე

— ბატონო ვალერი, რამდენად რეალურია ხმები იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში, „აღორძინების“ დატოვებას აპირებთ?

— ჯერჯერობით, მე ისევ „აღორძინების“ შემადგენლობაში ვრჩები და არსად გაქცევას არ ვაპირებ. თუმცა ბუნებრივია, მომავალში, იმ ადამიანებთან ვითანამშრომლებ, ვისთან ერთადაც უფრო მიზანშეწონილი იქნება იმ იდეების განხორციელება, რომელიც წლების განმავლობაში ჩამომიყალიბდა. „აღორძინება“ ამ ეტაპზე, ძალიან არასახარბიელოდ გამოიყურება, რადგან მან საზოგადოებასთან თუ პოლიტიკურ გაერთიანებებთან მიმართებაში, არაერთი შეცდომა დაუშვა, რის გამოც, მის მიმართ ამომრჩევლის უნდობლობის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა. სიტუაციის გასაჯანსაღებლად საჭიროა მონოლითური, ერთიანი პოლიტიკის არსებობა, რომლის აღდგენას დარჩენილ დროში ვერც პარტიის ლიდერი, ასლან აბაშიძე შეძლებს. როცა „აღორძინების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩვენი პარტია არის ერთიანი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს, სიცრუეა; ამით ისინი მოსახლეობას თვალებში ნაცარს აყრიან. მე არ ვაპირებ ხალხის მოტყუებას, ამიტომ მზად ვარ, რეალურ პრობლემებზე ვისაუბრო – პარტიაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

— ბატონმა ასლანმა თუ იცის პარტიასთან თქვენი ამ დამოკიდებულების შესახებ?

— სამწუხაროდ, ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო, რამდენიმე თვეა, რაც ბათუმში ჩასვლა ვერ მოვახერხე, შესაბამისად, არც ბატონი ასლანი მინახავს. თუმცა, ჩვენი ბოლო შეხვედრა სწორედ ამ პრობლემებზე მსჯელობას დაეთმო. ჩვენი საუბარი საკმაოდ მწვავედ წარიმართა, მაგრამ მე და ბატონი ასლანი შევთანხმდით, რომ შინაპარტიული პრობლემების მოსაგვარებლად, ყველა საჭირო ღონისძიება გატარდებოდა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ისე ხდება, რომ მისი გარემოცვა არასწორ ინფორმაციას აწვდის ადამიანებისა და მოვლენების შესახებ, რის გამოც, მას გარკვეული შეხედულებები უყალიბდება, რაც, ბუნებრივია, თავის ნეგატიურ გამოვლინებას პოვებს...

— უშუალოდ თქვენ წინააღმდეგაც აწვდიდნენ პარტიის ლიდერს არასწორ ინფორმაციას?

— რა თქმა უნდა... მე ბევრი ფაქტის გამო ვარ გულნატკენი. ხშირად მქონია ამაზე საუბარი ბატონ ასლანთან და კონკრეტული საკითხებიც გამირკვევია, მაგრამ, როცა ამგვარ შემთხვევებს ბოლო არ უჩანს, ეს უკვე აუტანელი ხდება. ხომ არ შეიძლება, ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით პრობლემა შეიქმნას და ბრალდებებს დაუსრულებელი ხასიათი ჰქონდეს?!. ამგვარი ფონის შექმნა ყველაზე ცუდად თავად ასლან აბაშიძის პოლიტიკურ კარიერაზე აისახება...

— როცა „ცრუინფორმატორებზე“ საუბრობთ, პარტიის ახალ სახეებს ხომ არ გულისხმობთ?

— მე ცალსახად უარყოფითად განწყობილი არც „აღორძინების“ ლიდერებისადმი და არც მისი ახალი სახეებისადმი ვარ. უბრალოდ, გული მტკივა, როცა ვხედავ, რომ ის გაერთიანება, რომლის შექმნაშიც დიდი წვლილი მიმიძღვის, ინგრევა და ნადგურდება კონკრეტული ადამიანების ამბიციური ინტერესების გამო. როცა ახალი სახე ჩნდება პარტიაში, ის ეტაპობრივად უნდა იმკვიდრებდეს ადგილს... დღეს მათ დასახელებას არ ვაპირებ – თუმცა, ამის დიდი სურვილი მაქვს... ეს საკითხი ჯერ პარტიის შიგნით უნდა განვიხილო, ღიად დავუპირისპირდე მათ – თუნდაც ამ ბრძოლაში ღირსეულად დავმარცხდე...

— სანამ გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან წასვლას გადაწყვეტდა, იყო საუბარი იმაზე, რომ მასთან ერთად ცალკე ფრაქციის ჩამოყალიბებას აპირებდით...

— ეს იყო ჩვენი ოპონენტებისაგან წამოსული პოლიტიკური მესიჯი, რათა „აღორძინების“ დასუსტებაზე გაკეთებულიყო აქცენტი. ჩემი და გიორგის ინტერესები შინაპოლიტიკურ პრობლემებში დაემთხვა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ერთად გვემხილა ის ადამიანები, ვინც პარტიის მომავალს შეუქმნა საფრთხე და შემდეგ, გამოსავალზეც ჩვენს გუნდთან ერთად გვეზრუნა, მაგრამ გიორგიმ ბოლო მომენტში დამოუკიდებელი და ღირსეული ნაბიჯი გადადგა, ამიტომ მე მარტოს მომიწევს საქმის დამთავრება.

— იმ შემთხვევაში, თუ სიტუაციის დარეგულირება ვერ მოხერხდა და პარტიიდან წამოხვედით, რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებასთან ხომ არ ითანამშრომლებთ?

— თუ ეს აუცილებელი გახდა, შეუძლებელია, სხვა რომელიმე პარტიის წევრი გავხდე: უკიდურეს შემთხვევაში, მაჟორიტარ დეპუტატად ვიყრი კენჭს და ამ გზით შემოვალ პარლამენტში. მანამდე კი სერიოზულად უნდა დავფიქრდე, არის კი ჩემი ადგილი პოლიტიკაში? იქნებ დროა, ძირითად პროფესიას – იურისტობას დავუბრუნდე?..

მოდელი სალომე ღვინიაშვილი დამოუკიდებელი გახდა მას შემდეგ, რაც ოცნება აუსრულდა და საკუთარი ავტომანქანა „ბე-ემ-ვე“ შეიძინა. ახლა უკვე აღარავის ეხვეწება — არიქა, ჩქარა მომაკითხეთ და სახლში წამიყვანეთო. „ბე-ემ-ვე“ ზუსტად მისი შვილის — დათუნას ტოლია — წლისა და სამი თვისაა. ასე რომ, სალომე ახალბედა მძღოლია, თუმცა ფიქრობს, რომ უკვე საკმაოდ პროფესიონალურად მართავს მანქანას. იმის შესახებ, თუ ვინ ასწავლა მანქანის მართვა და ვინ აუსრულა დიდი ხნის ოცნება — თავად მოდელი მოგვითხრობს.

ახალბედა მძღოლი და საშშობიარო ეზოში ჩაჭედილი „ბე-ემ-ვე“

ნინო ჯავახიშვილი

— ზოგი ფიქრობს, რომ ქალი საჭესთან არ უნდა ოვდეს. მე კი პატარაობიდანვე მომწონდა მძღოლობა და მამაჩემს ხშირად ვთხოვდი ხოლმე, საჭესთან დავესვი. ისიც კალთაში ჩამისვამდა და საჭეს მატრიალებინებდა. ეს დიდ სიხარულს მანიჭებდა. გავიდა დრო და მართლაც ვისწავლე მანქანის მართვა.

— **ვინ გასწავლა?**

— ტატომ *(სალომეს მეუღლე — ტატო აბულაძე. — ავტ.).* ოღონდ, — ჯერ კიდევ მაშინ, სანამ შევუღლდებოდით. ადვილად მოვირგე მძღოლის ამპლუა. ტატო გვერდით რომ მეჯდა, მაშინ უფრო დაძაბული ვიყავი. მანქანის მართვა 15 წლის ასაკში ვისწავლე, მაგრამ საკუთარი მანქანა სულ წელიწადი და სამი თვეა, რაც მყავს... პირველად, დამოუკიდებლად რომ მივუჯექი საჭეს და ქალაქში გამოვედი, 4 თვის ფეხმძიმე ვიყავი. ყველა მეჩხუბებოდა: ფეხმძიმედ ხარ და არ დაჯდე საჭესთანო — მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე. ვენდობი საკუთარ თავს და იმიტომ, მშვენივრად ვიმგზავრე და შინაც მშვიდობიანად დავბრუნდი. ტატო რომ დარწმუნდა, უკვე კარგად ვმართავდი მანქანას, სიურპრიზი მომიმზადა — „ბე-ემ-ვე“ მაჩუქა. თვითონაც „ბე-ემ-ვე“ ჰყავს. იცოდა, ამ მანქანაზე რომ ვოცნებობდი. დათუნა რომ მეყოლა, მეორე დღეს, ტატო საშობიაროში მოვიდა, დამირეკა და მითხრა: ფანჯრიდან გადმოიხედეო. გადავიხედე და ეს მანქანა დავინახე. საოცარი რეაქცია მქონდა, ბედნიერი ვიყავი. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. ეს მართლაც სიურპრიზი იყო, რადგან არაფრით გამოუმეჟდავნებია, თუ ამას აპირებდა...



— **ავტოსაგზაო შემთხვევა თუ გქონია?**

— სერიოზული — არასდროს, ღმერთმა დამიფაროს! ერთხელ, ტატოს მანქანა კი დავუზიანე. მისი მანქანით ვმგზავრობდი; როგორღაც დამიგორდა, ამ დროს ცალი ხელით ტელეფონს ვეძებდი ჩანთაში. გზაზე რაღაც რკინა ყოფილა ამოწეული და წინა „შჩიტოკი“ მთლიანად ჩაგლეჯა. ტატოსთან ვერ ვრეკავდი, ენერვიულობდი — ნეტავ, რას მეტყვის-მეთქი...

გადავიხედე და ეს მანქანა დავინახე. საოცარი რეაქცია მქონდა, ბედნიერი ვიყავი. ეს დღე არასდროს დამავიწყდება

— **მერე, გაგიბრაზდა?**

— არა, ვიცოდი, რომ ასეთი რეაქცია არ ექნებოდა და თავზე არ დამამხობდა ყველაფერს, მაგრამ მაინც... ავდექი და მამაჩემს დავურეკე — მამა, რამე მიშველე, ასე და ასე მომივიდა-მეთქი. შინ უმანქანოდ რომ დავბრუნდი, ტატომ მკითხა: სად არის მანქანაო? ვუთხარი, რაც მოხდა. შევთანხმდით, რომ მანქანას შევაკეთებდი და ისეთივეს ჩავაბარებდი, როგორიც იყო. ორი დღე პროფილაქტორიუმში თავზე ვადექი ხელოსნებს, კარგად რომ გაეკეთებინათ, საერთოდ, საჭესთან ძალიან მობილიზებული და ფრთხილი ვარ ხოლმე, თანაც, ძალიან მსიამოვნებს საჭესთან ჯდომა. შეიძლება, მთელი დღეც კი ვისეირნო ხოლმე ქალაქში.

— **ეი. მანქანა შენთვის კომფორტის საშუალება უფრაა, ვიდრე გადაადგილების საშუალება?**

— ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს მანქანის მართვა. მართლაც, თავს კომფორტულად ვგრძნობ საჭესთან. მიყვარს სისწრაფე, მაგრამ თბილისის ქუჩებში დიდი სიჩქარით ვერ ვმოძრაობ.

— **მაინც როგორი სისწრაფით დაქრიხარ ხოლმე ტრასებზე?**

— თბილისში ასე 60-70 კმ/სთ-ით, მაგრამ თუ გზა ცარიელია, მაშინ შეიძლება, ცოტა მოვუმატო კიდეც.

— **სადამდე?**

— ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ დედაჩემი და ტატო წაიკითხავენ და წამეჩხუბებიან — ასე სწრაფად რატომ დადიხარო?!.

— **სწრაფად რომ მოძრაობ, ში-**

შის გრძნობა არ გიჩნდება?

— შიშს სერთოდ ვერ ვგრძნობ, რატომ უნდა მეშინოდეს?!

— **პოლიციელებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— ძალიან კარგი. პრობლემა არასდროს შემქმნია, იმის მიუხედავად, რომ პოლიციელები ვერც მცნობენ. ზოგჯერ საბუთებს მთხოვენ ხოლმე და ეგ არის.

— **წესიერი მძღოლი ყოფილხარ და ალბათ ამიტომ...**

— ზოგჯერ მაინც მიწევს ხოლმე მოძრაობის წესების დარღვევა. ვთქვათ, როცა ვჩქარობ, შეიძლება, წითელზე „გადავირბინო" ან იქ შევუხვიო, სადაც არ შეიძლება. ისე არასდროს მოვქცეულვარ, რომ პოლიციელები ძალიან გამებრაზებინა.

— **ურჩი მძღოლი ხარ თუ როდესაც ავტოინსპექტორი გაჩერებს, ყოველთვის ემორჩილები?**

— უფრო ხშირად — კი, მაგრამ რამდენჯერმე იყო შემთხვევა, რომ არ გამიჩერებია.

— **მერე, არ გამოგკიდებიან?**

— არა, არასდროს...

— **როდესაც სხვა მძღოლი, თავისი დაუდევრობით ან უყურადღებობით, საფრთხეში გაგდებს, როგორ რეაგირებ ხოლმე?**

— ყველაზე მეტად, მაინც „მარშრუტკის" მძღოლები მაბრაზებენ. ისე დადიან, როგორც უნდათ. ისე მოულოდნელად „ჩაგიხტებიან" წინ, რომ „მიგალკას" არც კი ჩართავენ ხოლმე. ამაზე საშინლად ვბრაზდები და გამწარებული, დიდხანს ვუსიგნალებ.

— **მანქანას გზაში თუ უმტყუნია შენთვის?**

— ყოფილა ასეთი შემთხვევაც. თანაც, გამორიცხულია, რომ ზუსტად მაშინ არ გამიფუჭდეს, როცა ძალიან მეჩქარება — ან საბურავი უნდა დაეშვას, ან სხვა რაიმე გაუფუჭდეს. ერთხელ მაგვიანდებოდა და მანქანა ვერაფრით დავქოქე. ისე გავბრაზდი, ისე გავბრაზდი, რომ... ძალიან ხშირად ავტოფარეხში მანქანის გამოსაყვანად რომ ჩავდივარ, სხვისი მანქანა ისე დგას ხოლმე, რომ შეუძლებელია კარის გაღება. ვდგავარ და ველოდები, როდის გამოჩნდება მანქანის პატრონი, რომ თავისი მანქანა გადააყენოს. ტატოს ვეუბნები ხოლმე: მოდი, რა, ავტოფარეხის კარზე დიდი ასოებით დავაწეროთ: „აქ არ შეიძლება მანქანის გაჩერება!"

— **როდესაც გიფუჭდება მანქანა, თუ ხვდები, რა ნაწილი გამოვიდა მწყობრიდან?**

— რაც საკუთარი მანქანა მყავს, იმ დროიდან, უკვე ყველაფერში გავერკვიე. თითქმის ყველა მანქანის, განსაკუთრებით კი „ბე-ემ-ვეს" ყველა ნაწილი ვიცი: ვიცი, რა ხდება ძრავაში, სავალ ნაწილში და ა.შ. ზოგს უკვირს ხოლმე, როცა ვამბობ: მგონი, ამორტიზატორი ბრაგუნობს-მეთქი, — სიიდან, როგორ ხვდებიო?.. ტატოს მანქანა რომ დავუმტვრიე, ელიავას ბაზრობაზე მე თვითონ წავედი ნაწილების საყიდლად. ყველა გაოცებული მიყურებდა, ქალი რომ დავდიოდი და მანქანის ნაწილებს ვკითხულობდი.

— **მანქანის მოვლა თუ გიყვარს?**

— არ მიყვარს, მანქანა რომ ჭუჭყიანია. თუმცა საკუთარი ხელით არასდროს გამირეცხავს. კარგი ამინდი როგორც კი გამოვა, მაშინვე მიმყავს ავტოსამრეცხაოში. მანქანაში მუსიკის ხმამაღლა მოსმენა მიყვარს. ზოგი ამბობს — მუსიკა სიფრთხილის გრძნობას მაკარგვინებსო. ჩემს შემთხვევაში, ასე არ არის. თუ მაღალ ხმაზე არ მაქვს მუსიკა ჩართული, დისკომფორტს ვგრძნობ.

— **მანქანის გამოცვლას თუ დააპირებ, რა მანქანას იყიდი?**

— ძალიან მომწონს ჯიპები, მაგრამ „ბე-ემ-ვეს" არაფერი მირჩევნია. მომწონს BMW M3, თუმცა ეს მანქანა სწრაფია და ამიტომ, ქალისთვის ცოტა არ იყოს საშიშია, თან, თბილისის გზებისთვის ცოდოცაა...

— **საჭესთან ორიენტაციის უნარი ხომ არ გღალატობს?**

— სადაც ყოველდღე დავდივარ, ის გზები თვალდახუჭულმაც კი ვიცი, მაგრამ ვაკეს, საბურთალოსა და პლეხანოვს რომ გავცდები, მერე უკვე ვიბნევი. ერთხელ საავადმყოფოში მივდიოდი დიღომში, მაგრამ ვერაფრით მივაგენი, ამასობაში დაღამდა კიდეც. ტელეფონის აკუმულატორი „დამჯდარი" იყო და ვერსად დავრეკე, რომ მეკითხა — როგორ მიმეღწია დანიშნულების ადგილამდე. მოკლედ, იქამდე ხომ ვერ მივედი, მაგრამ უკან წამოსასვლელი გზაც ძლივს გამოვიკვლიე.

ძალიან მომწონს ჯიპები, მაგრამ „ბე-ემ-ვეს" არაფერი მირჩევნია

— **როდესაც შორ გზაზე მიდიხართ ერთად, ტატო გენდობა თუ თვითონ ჯდება ხოლმე საჭესთან?**

— წყნეთში რომ ავდივართ, მაშინ უპრობლემოდ მსვამს საჭესთან, მაგრამ უფრო შორ გზაზე ყოველთვის ტატო ჯდება ხოლმე საჭესთან. მახსოვს, 5 თვის ფეხმძიმე ვიყავი და რაჭაში წასვლა გადავწყვიტეთ. ტატომ შუა გზაზე მითხრა: მგონი, მანქანას რაღაც სჭირს, გზაზე არ დავრჩეთო. ძალიან შემეშინდა. თან საშინელი ამინდი იყო. სეტყვა მოდიოდა. მთელი გზა იმის შიში მქონდა, რომ არ „დაესტუკებინა" და დაბული ვიყავი, მაგრამ გადავრჩით.

ვენდობი საკუთარ თავს

— **თქვენს პატარას თუ უყვარს მანქანით სეირნობა?**

— გიჟდება მანქანაზე. რასაც კი მრგვალს დაინახავს — ბოთლის თავსახურიც რომ იყოს — ყველაფერს საჭეს ამსგავსებს. მოჰკიდებს ხელს და ვითომ მანქანა დაჰყავს. აუცილებლად საჭესთან უნდა დაჯდეს, ან ჩემს ან მამის კალთაში. საჭეზე ხელს რომ მოვაკიდებინებთ და პატარა მანძილზე ვითომ მას გავატარებინებთ, ბედნიერებისგან თვალები უბრწყინავს ხოლმე. მუსიკას რომ ჩავრთავთ, ცეკვას იწყებს. მოკლედ, მანქანა ისე უყვარს, რომ მგონი, ორ-სამ წელიწადში, ყიდვასაც კი მოგვთხოვს...

— **საკუთარ მანქანას თუ ანდობ სხვებს?**

— როგორ არა? — ამაზე გართულება არა მაქვს — არიქა, ჩემს მანქანაზე სხვა არ დაჯდეს-მეთქი. მამაჩემს, ტატოს და ჩემს მეგობრებს, ჩემს სამივე მაზლს თვალდახუჭული ვანდობ საკუთარ მანქანას. რა ვიცი, ჯერჯერობით არავის დაუმტვრევია და ცუდად არავინ მოჰქცევია... ■

ფოტოსურათი, რომელიც ახლა ჩემ წინ დევს, ქალბატონმა ლეილამ მათხოვა. თავისი ალბომიდან ამოიღო და მითხრა: „არ დამიკარგო, გენაცვალე, ჩემი სიცოცხლის მთავარი ძარღვი...“

ლეილა ფერაძეს და ტრისტან გორგილაძეს ერთმანეთი 1946 წლის 9 მაისს გაუცნიათ. ლეილას მოლისფერი კაბა სცმია. ტრისტანი მასთან მისულა და უთქვამს: რა იყო, შემოგევლე, მთელი ქართლ-კახეთის მშვენიერება რომ მხრებზე წამოგიკიდებიაო?!. სიყვარული მაშინვე დაიბადა. ლეილამ თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, თუ როგორ გაიტაცებდა მას ბრგე ვაჟკაცი მთათუშეთში, როგორ დაედევნებოდნენ „ფიშტოიანი“ კაცები და ატყდებოდა ბახაბუხი მის გამოსახსნელად... იმ დღიდან, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა... ლეილას ტრისტანი აღარ უნახავს. არადა, სულ ელოდა...

რატომ რჩება ქალი მარტო

ლელა ჭანკოტაძე

— ის თავის სამცხე-ჯავახეთს დაუბრუნდა, მე ჩემს გორს შევრჩი, ლოდინად ქცეული და ოცნებებში გადასახლებული. მეგონა, მოვიდოდა, მაგრამ არ გამოჩნდა. ერთხელაც არ შემოაღო ჩემი ეზოს კარი. მე კი ველოდი. დილით უთენია ავდგებოდი, თბილისში ჩამოვიდოდი და საფოსტო ყუთში აკანკალებული ხელებით ვაგდებდი წერილს, რომელსაც... საკუთარი თავისთვის ვწერდი. მერე, გორში ჩასული, ჭიშკარს მივჩერებოდი და მოუთმენლად ველოდი, როდის გამოჩნდებოდა წელში მოხრილი ფოსტალიონი... ეჭვის თვალით გადმოიხედავდა ხოლმე და რაღაცნაირი, იქედნური სიცილით მომწოდებდა წერილს. მართლა ბედნიერი ვიყავი. ვკითხულობდი სასიყვარულო სიტყვებს და ხშირად, მავიწყდებოდა კიდეც, რომ ტრისტანის კი არა — ჩემივე დაწერილი იყო...

ლეილა არ გათხოვილა. უფრო მეტიც, მთელმა გორის რაიონმა შეიტყო, რომ ტრისტან გორგილაძე უყვარდა. წლები რომ გავიდა, ერთი გორელი კაცი შემთხვევით, სოფელ უდეში (ახალციხის რაიონი) მოხვდა. იქ უკითხავს ტრისტანის შესახებ. მისთვის უპასუხიათ: ცოლიც ჰყავს და შვილიც, სადაცაა შვილიშვილიც ეყოლებაო... ამის თქმა ლეილას ვერავინ გაუბედა: ყველას ეგონა, რომ ტრისტანი ატყუებდა და თუ სიმართლეს ეტყოდნენ, თავს არ იცოცხლებდა. ვინ იფიქრებდა, რომ ლეილამ ეს სიყვარული გამოიგონა და ერთადერთი ფოტო, რომელიც მას ჰქონდა, ფოტოატელიედან მოიპარა?!.

ამონაწერი წერილიდან, რომელიც ვითომ ტრისტან გორგილაძემ გაუგზავნა ლეილას:

„საქმე არ მიშვებს, ჩემო ნუკრის მსგავსო, თორემ ყოველდღე ვესწრაფვი თქვენს ხილვას, თქვენის თვალების მოლვარე ცეცხლთან თვალის გასწორებას და ალაპლაპებას... აი, ეს ხვავრიელი შემოდგომაც გაივლის, სახლს ხორაგით ავავსებ, მერე ცხენდაცხენ გადმოვალ, მოვიტაცებ და ჩემს ეზო-კარ-მიდამოსაც პატრონი ეყოლება. შენი გამრეკე ხელი მეც დამეტყობა, ბალ-ბოსელსაც და ხარ-კამეჩსაც...“

ახლა ქალბატონი ლეილა 73 წლისაა, ჩემთვის გათხოვება გვიანიაო, — ამბობს. — მაშინ უნდა მოვმკვდარიყავი, როცა ჩემი ტრისტანის დაღუპვის ამბავი შევიტყვე; საბრალოს, მუცლის ტიფი შეჰყრია, ჩემს ნატვრაში დაულევია სულიო...

არც ერთი სიტყვა სიმართლე არ არის. თუმცა, გულშიჩამწვდომი და ლამაზი ამბავია... ლეილა მზად არის, ყოველი წუთი გაიხსენოს, ყველა „შეხვედრა“ და „პაემანი“, რაც მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია... იმდენჯერ მოჰყვა და იმდენ ადამიანს აღვრევინა თავისი სიყვარულის გამო ცრემლი, რომ ეტყობა, თვითონაც დაიჯერა, რომ ნამდვილად გადახდა ეგ ამბავი, — მითხრა ლეილა ფერაძის მეზობელმა და თან დასძინა: თუ შემპირდებით, რომ ინკოგნიტოდ დამტოვებთ, ერთი შინაბერა ქალის შესახებ გიამბობთ, რომელმაც მთელი თავისი ქონება ძმისშვილს მისცა, თვითონ არაფერი დაიტოვა და რომ გარდაიცვალა, სამადლოდ მეზობლებმა დაკრძალეს; მე მისი შორებელი ნათესავი ვარ; წერილები, დღიურები და ფოტოსურათები ვთხოვე და მომცეს; ძმისშვილს ისინი აღარაფერში სჭირდებოდაო...

— ევგენია ტუხაშვილი მთელ კახეთში ცნობილი ქალი იყო — როგორც თავისი სილამაზით, ასევე გონიერებით. მის ნივთებს, რომელიც მემკვიდრეობით მე დამრჩა, ეტყობა, როგორი კარგი მფლობელი ჰყავდათ. მისი ძმა რომ სამამულო ომში წავიდა, ევგენიამ ქარხანას მიაშურა. თექვსმეტი წელიც არ შესრულებოდა. ჩარხს ვერ სწვდებოდა; ცვლის უფროსმა, სპეციალურად მისთვის, ხის სკამი გააკეთებინა, ზედ

ფოტოატელიედან მოპარული ფოტო — ტრისტან გორგილაძე წინა პლანზე

რომ შემდგარიყო და ისე ემუშავა. ქარხანაში ათი წელიწადი დაყო, მერე სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა, მგონი — ინსტიტუტიც. სიბერემდე, ქარხნის ექიმად მუშობდა. ბევრი ეარშიყებოდა, მაგრამ არავისთვის შეუხედავს, ეგონა, თავისი ტოლი და სწორი მთელ დედამიწაზე არ დადიოდა. ასაკი რომ მოემატა, სწორედ მაშინ გაიცნო კაცმა, რომელიც ომიდან გმირის წოდებით დაბრუნდა. თუ არ ვცდები, ის კაცი არსენ მგალობლიშვილი გახლდათ. ევგენიამ უარი უთხრა. გარშემომყოფები ამბობდნენ: ალბათ სხვა უყვარს, თორემ ასეთ კაცს ხორციელი არსება უარს ვერ ეტყოდაო... ერთი სიტყვით, არ გათხოვდა. ვერავინ გაბედა მის ეზოში შუამავლად შესვლა, მაჭანკლებს ახლოს არ იკარებდა... სამოცი წლისაც არ იყო,უკურნებელმა სენმა რომ შეიპყრო. ავადმყოფობამ საშინლად შეცვალა. აღარავის შეეძლო ეთქვა, ოდესმე ლამაზი ქალი იქნებოდაო. იმ ქარხანაში, რომელმაც თავის დროზე, შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა, სიბერეში ღორებს უვლიდა — ქარხნის ეზოში საღორე იყო გაშენებული. საბრალო, მარტოხელა მოხუცი, ღორების ფერმას ხვეტდა... არადა, საოცარი სულის ადამიანი იყო. მე მისი ლექსები და დღიურები მაქვს. სულ ვფიქრობ, წიგნად გამოვცე — როგორც პლატონური სიყვარულის ამბავი... აი, მისი ერთი ლექსის ნაწყვეტი:

„ალბათ დამთოვს...
შემიბრალე, შენად დამსახე,
შენი თვალების შუქ-
ჩრდილებში დამწვი, დამდაგე,
შენად მიგულე,
სიყვარულის ენა მასწავლე,
თუკი მოგიყვდე,
სინანული თან ჩამყოლე...
დამწვი, დამდაგე...
1949 წელი, ევგენია. თელავი".

საოცარი ფენომენია გულის სიღრმეში ჩამალული სიყვარული — გრძნობა, რომელიც ქალს მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება ატაროს და ამ გრძნობის ობიექტსაც კი არ გაუზიაროს. რა ამოძრავებს ასეთ ქალებს — იდეალისკენ ლტოლვა და რეალური გამორჩეულობა თუ რაღაც ისეთი ფსიქოემოციური თავისებურება, რომელიც იზოლაციაში აქცევს და მხოლოდ მათვე უქმნის იმის ილუზიას, რომ რჩეულნი არიან?

მაია ყუშიტაშვილი, *ფსიქოლოგი:*

— სამწუხაროდ, იმ ქალების უმრავლესობა, რომლებიც ვერ ან არ გათხოვდნენ, ხასიათდება ასთენიური ფსიქოპათიით, რომლისთვისაც დამახასიათებელია: გამძაფრებული მგრძნობელობა ნებისმიერი გამღიზიანებლისადმი და ამავე დროს, ფსიქიკური პროცესების მისუსტებული ხასიათი. უმნიშვნელო უსიამოვნებამაც კი, შეიძლება, წონასწორობა დაკარგვინოს. ასეთ ადამიანებს მომავლის ეშინიათ, რადგან ფიქრობენ, რომ ვერ დაძლევენ ცხოვრებისეულ სიძნელეებს. ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: „რაღა დროს ჩემი გათხოვებაა?!." ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც შინაგანად მზად არიან, შექმნან ოჯახი. ხშირ შემთხვევაში, მათ შინ მზითვიც კი უდევთ, რომელსაც ბევრჯერ გადაწმენდენ ხოლმე მტვერს...

— თუ არის შინაბერისთვის დამახასიათებელი აკვიატებული შიში ან საერთოდ, რაიმე აკვიატება?

— აკვიატება, ფსიქიკის სერიოზული ქრონიკული დარღვევაა. ე.წ. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი, სამწუხაროდ, ბავშვობაში იწყება. აკვიატებული ეჭვები გამოიხატება იმაში, რომ ავადმყოფები დარწმუნებულები არ არიან თავიანთი გარკვეული მოქმედებების სისწორეში, მაგალითად, ამოწმებენ — სახლიდან გასვლისას, ჩართული ხომ არ დარჩათ შუქი, დაკეტეს თუ არა კარი, ონკანი... ასევე სჩვევიათ ე.წ. იღბლიანი და უიღბლო რიცხვებისადმი განსაკუთრებული რწმენა. ხშირად ახასიათებთ გადამეტებული სისუფთავისკენ ლტოლვა — დაუსრულებლად რეცხავენ საყოფაცხოვრებო ნივთებს... საგულისხმოა, რომ ისინი ცდილობენ, დაიცვან დისტანცია ადამიანებთან ურთიერთობისას... ერთ ცნობილ ოჯახში ცხოვრობდა სამი და. ისინი ლექტორები იყვნენ. დილით ადრე მიდიოდნენ კათედრაზე, სასწავლებელში, რათა გაპრიალებინათ სკამები, რომელზეც უნდა დამსხდარიყვნენ და მაგიდა, რომელზეც ხელები უნდა დაეწყოთ... მახსოვს, როგორ მდუღრავდნენ სახლის სადარბაზოში კიბეს — მასზე ხომ მეზობლებიც დადიოდნენ...

რასაკვირველია, ყველა გაუთხოვარი ქალი მხოლოდ თავისი ხასიათის უცნაურობის გამო როდი რჩება შინაბერად. ნებისმიერ ჩვენგანს გაგონილი ექნება თავდაიწყებამდე მისული სიყვარულისა და ერთგულების მაგალითი...

მთელი რაჭა იცნობდა ლიმონკა მაისურაძეს, რომელსაც მისივე თანასოფელელი, სერგო ჯოხაძე უყვარდა. ამ სიყვარულის გამყლავნება მხოლოდ წერილებისა და დღიურების საშუალებით გახდა შესაძლებელი. ლიმონკას გარდაცვალების შემდეგ, ახლობლებმა საოცარი რამ ნახეს: მიცვალებულს თხელი თავსაბურავით ჰქონდა მკერდი შეკრული, რათა გულზე დაფენილი სამკუთხა ბარათები არ დაჰფანტვოდა. სამოცი წლის წინ დაღუპული შეყვარებულის სამახსოვროდ დარჩენილი წერილები მკერდიდან აიკალეს და ახლა ის წერილები ჩემ წინ მაგიდაზე აწყვია...

სოფელში არავინ იცოდა ლიმონკასა და სერგოს გამიჯნურების ამბავი. ახალგაზრდები სიყვარულს გულში საიდუმლოდ ინახავდნენ. სერგო რომ ცხენით ჩამოივლიდა, ლიმონკა მისი ცხენის ფლოქვებიდან ამოფრქვეულ მტვერს გაულიმებდა და გულში იტყოდა: „შენი ვარ, გენაცვალე!.."

მერე ომი დაიწყო. ლიმონკა და სერგო ერთმანეთს დიდი კაკლის ძირას შეხვდნენ. „ხვალ ჯარში მივდივარ და შენი იმედი მაქვსო, — მითხრა. ჩემი იმედი საუკუნოდ გაცოცხლებს-მეთქი, — ვუპასუხე. წავიდა, მოტრიალდა და თქვა: შენი თვალების სიმორცხვე მინდა დავიმახსოვროო..."

ომი რომ დამთავრდა, უმეტესსოფელში აღარ დაბრუნდა. მათ შორის იყო სერგო ჯოხაძეც...

ლიმონკამ სოფელში სამკითხველო გახსნა. წლების შემდეგ, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდებაც მიანიჭეს... მთელ რაჭაში სასურველ საცოლედ ითვლებოდა, ბევრი ნატრობდა მის ქმრობას. შიგნიდან რომ ძალას ჩაიც-

ჯეონეთი
GEONET
www.geonet.ge

ვამდა, გარედან წითელი კაბით შეიმოსებოდა – ძაღებს მალავდა. არავის გამოუტყდა, არავის გაუზიარა ტკივილი. ბოლოს, ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ ლიმონკა არავის გაჰყვებოდა ცოლად...

გავიდა წლები. რაჭა რომ მიწისძვრამ დაანგრია, ლიმონკამ სერგოს ნათესავებისგან ის სახლი დაიქირავა, რომელშიც ოდესღაც სერგო ცხოვრობდა. სიბერეში მაინც დაეპატრონა თავისი გულის სწორის კარ-მიდამოს. იმ სახლში გარდაიცვალა კიდეც. იმ სახლიდან გაასვენეს (ამ საოცარი ამბის შესახებ ვრცლად „გზის“ ფურცლებზე 2002 წელს, №9-ში მოგითხრობდით).

შესაძლოა, ბევრმა თქვას: ასეთი ამბები ძველად ხდებოდაო. მაგრამ განა ჩვენს გარემოცვაში არ არიან მშვენიერი ასულები, რომლებიც, რომ იტყვიან, ოჯახისთვის არიან დაბადებულები, მაგრამ ვერა და ვერ დგამენ გადამწყვეტ ნაბიჯს? ალბათ ზოგი მათგანიც გულში ღრმად ინახავს უპასუხოდ დარჩენილ ან სულაც, გაუმჟღავნებელ გრძნობას, ზოგი გამოგონილ სასიყვარულო ამბავს ელოლიავება, ზოგი კი, თავის ტოლსა და სწორს ვერ ხედავს გარშემომყოფებში...

ქეთინო თავართქილაძე,
ფსიქოლოგი:

– ქალი კომფორტულად გრძნობს თავს, როცა თხოვდება და ქმნის ოჯახს, მაგრამ ყველა ქალს როდი ერგება წილად მსგავსი ბედნიერება. სტატისტიკური მონაცემებით, დსთ-ში 33 მილიონი მარტოხელა ადამიანია, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი – ბელორუსიაშია, სადაც მარტოხელები მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ. მათგან ნახევარზე მეტი – ქალია. სამწუხაროდ, მსგავსი მონაცემები საქართველოში ჯერჯერობით არ გვაქვს... საერთოდ, ფსიქოლოგები ასახელებენ მარტოხელა და მარტოსული ქალების სამ კატეგორიას. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან უშნო გარეგნობის, ხშირად კი – ფიზიკური ნაკლის მქონე ქალები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბედმა დაჩაგრა. ისინი არც ცდილობენ, რომ პარტნიორი იპოვონ და გათხოვდნენ. ერთადერთი, რასაც ახერხებენ – ისიც, იშვიათად, – შვილს აჩენენ... მარტოხელა ქალების მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ქალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არ სჭირდებათ ოჯახი და კმაყოფილები არიან იმით, რაც ღმერთმა მისცა: აქვთ სამსახური, სახლი, ავტომანქანა, აგარაკი – ერთი სიტყვით, მატერიალურად, ყველანაირად უზრუნველყოფილები არიან. ხშირ შემთხვევაში, ეს ქალები თავიანთი მშობლების ერთადერთი ან ნაბოლარა შვილები არიან... მესამე კატეგორიაში შედიან ზედმეტი ყურადღებით განებივრებული ქალები, რომლებსაც ყოველთვის უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდათ. ამის გამო, ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე არიან კონცენტრირებულები და საკუთარ სურვილებზე ორიენტირებულები. შესაბამისად, მომავალ ქმარს უყურებენ, როგორც ნივთს: თუ ეს ნივთი დასჭირდებათ, მას მიიღებენ კიდეც... ამგვარი ეგოიზმი ყოველთვის მარტოობით მთავრდება ხოლმე.

— მამაკაციც ხომ შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ ქალი შინაბერად დარჩეს?

– ქალების მარტოობის – ე.ი. შინაბერების სიმრავლის უმთავრესი მიზეზი დემოგრაფიულ მდგომარეობაშია. ცნობილია, რომ მამაკაცების სიკვდილიანობა სჭარბობს ქალების სიკვდილიანობას ნებისმიერ ასაკში. მაგალითად, 29 წლამდე ასაკის მამაკაცები 2,7-ჯერ უფრო ხშირად იღუპებიან; 29 წლის ზემოთ, ეს რაოდენობა 2,9-მდე იზრდება. შესაბამისად, მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობაც 9-10 წლით ნაკლებია ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. თუ ასე გაგრძელდა, 2006 წლისთვის, მამაკაცები, ქალებთან შედარებით, 13,8 წლით ნაკლებს იცოცხლებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასაკში შესული ქალების ძალზედ მცირე რაოდენობა შეძლებს გათხოვებას. ამიტომ ქალები 23 წლის ასაკამდე უნდა გათხოვდნენ.

— გამოდის, რომ ქალი შინაბერად უკვე 23 წლის ასაკიდან უნდა მივიჩნიოთ?

– ფსიქოლოგები სწორედ ასეთ დასკვნას აკეთებენ... აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ არსებობს სხვა გარემოებებიც, რომელიც საქმროების რაოდენობას ამცირებს. როგორც წესი, ქალებს არ სურთ რამდენიმე კატეგორიის მამაკაცებთან ქორწინება, კერძოდ: ჯარისკაცებთან, პატიმრებთან და ლოთებთან.

— ცნობილია, რომ უფრო იოლად თხოვდებიან გაუნათლებელი ქალები. ეს მხოლოდ ხალხში გავრცელებული აზრია თუ სიმართლეს შეეფერება?

– ეს სერიოზული პრობლემაა. საერთოდ, განათლებული ქალების რაოდენობა სჭარბობს განათლებული მამაკაცების რაოდენობას. საქართველოში არაკვალიფიციური შრომა ყოველთვის უფრო მაღალანაზღაურებადი იყო, კაცს დიპლომი არ სჭირდებოდა იმისათვის, რომ ფული ეშოვა. განათლებული ქალები კი, იშვიათად მიჰყვებიან გაუნათლებელ მამაკაცებს. ეს მხოლოდ პრინციპის საკითხი არ არის – მთავარია, რომ თანაბარი განვითარების მქონე ადამიანები საერთო ენას იოლად პოულობენ.

— არსებობს რაიმე მონაცემები იმის შესახებ, თუ რა დაავადებებია უფრო მეტად დამახასიათებელი შინაბერებისთვის?

– დაუოჯახებელი ქალები უფრო ხშირად ავადდებიან, განსაკუთრებით – გულის იშემიური სნეულებებით. ექიმები ამბობენ, რომ გულის დაავადებას იწვევს: სიმსუქნე, არასწორი დიეტა, სისხლში ქოლესტერინის მაღალი შემცველობა და ა.შ. მაგრამ უახლესი კვლევებით დასახელებულია უმთავრესი მიზეზი: სიძნელეები, რომელიც ჩნდება ზედმიწევნით პირადი და ინტიმური ურთიერთობების გართულების დროს. მარტოობა ძალიან ცუდად მოქმედებს გულზე. მარტოხელა ქალებს 3-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ ინფარქტი, ვიდრე გათხოვილ ქალებს.

— დაბოლოს — ქალწულობის ინსტიტუტისა და შინაბერის ცნებებს შორის კავშირზე რას გვეტყვით?

– ნიუ-იორკის ბიოენერგეტიკული ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრ ოუენმა ცოტა ხნის წინ გააკეთა ხმაურიანი განცხადება: „რაც მეტია სექსი, მით მეტია სიცოცხლის ხანგრძლივობა“. ამ დასკვნამდე ის მივიდა საკმაოდ სერიოზული და ღრმა გამოკვლევის შედეგად. მის საავადმყოფოში იწვნენ და მკურნალობდნენ ქალები გულის იშემიური დაავადებებით. გამოკითხვით დადგინდა, რომ 65%-ს ბოლო პერიოდში, ან საერთოდ არ ჰქონია სქესობრივი კავშირი, ან ვერ იღებდა ამით სიამოვნებას. იმავე საავადმყოფოს ერთ-ერთმა მეცნიერ-თანამშრომელმა ედი სვასტიმ კი, ასეთი რამ განაცხადა: სამედიცინო საზოგადოება ნელა, მაგრამ მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ჯანსაღი სექსუალური ცხოვრების მქონე ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ზომიერი, ჯანსაღი სექსი ჯანმრთელი გულის გარანტიაო. დასკვნები მკითხველს მივანდოთ... ■

სადისტური მკვლელობა კვალითში

43 წლის ქალი მეზობელმა ვენახის სასხლავით აჩეხა

მოსამართლე ბექან ხიმშიაშვილი

შარშან, 2002 წლის 23 ივნისს, ზესტაფონის რაიონულ პროკურატურაში 43 წლის ქალის – ნინო გაბრიჭიძის გვამის აღმოჩენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. შემთხვევის ადგილას მყოფ პოლიციელთა თქმით, გვამი საშინლად იყო დასახიჩრებული. გარდაცვლილს თავი, სახე და ხელები დაჩეხილი და დასისხლიანებული ჰქონდა, ხოლო იქვე, მის გვერდით, სისხლით მოსვრილი ვენახის სასხლავი ეგდო...

დადგინდა, რომ ნინო გაბრიჭიძე სწორედ იმ სასხლავით იყო სადისტურად მოკლული. გარდაცვლილი, ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში, მშობლების სახლის ეზოში, მარანში იპოვეს. თავგაჩეხილი ქალი ჭურთან ეგდო, ტანთ მხოლოდ ხალათი ეცვა, რადგან უბედურებამდე, საწოლიდან სულ რამდენიმე წუთის წამომდგარი ყოფილა. გამოძიების ინფორმაციით, მკვლელობა დილით, ცხრის ნახევარზე მოხდა.

ნინო გაბრიჭიძე მეუღლესთან ერთად თბილისში ცხოვრობდა, სოფელ კვალითში კი, მშობლებთან რამდენიმე დღით იყო ჩასული. ამის შესახებ, ბუნებრივია, მეზობლებმაც იცოდნენ. მათ შორის, რომან სილაქაძემაც, რომელმაც, პროკურატურის დასკვნით, ეს საშინელი მკვლელობა ჩაიდინა.

იმ საბედისწერო დღეს, დილით, 49 წლის რომან სილაქაძე გაბრიჭიძეების ოჯახში სწორედ იმ დროს მივიდა, როცა აწ გარდაცვლილი შინ მარტო იმყოფებოდა. დაზარალებულის მხარის თქმით, სილაქაძემ ჭიშკართან კარგა ხანს იძახა და რადგან მას ოჯახის უფროსი არ გამოეხმაურა, სახლში ამიტომაც შევიდა. დაღუპულის ნათესავთა თქმით, მას ფული სჭირდებოდა და სწორედ თბილისიდან ჩასული ნინო გაბრიჭიძის გაქურდვა განიზრახა.

„ჩემი მეუღლე შინ რომ ყოფილიყო, ეს უბედურება არ მოხდებოდა. სილაქაძე იმ პერიოდში თურმე ფულზე კარტს თამაშობდა, გარკვეული თანხა წაუგია და ფული ამიტომაც სჭირდებოდა. ამბობენ, წინა დღეს მას ვიღაც „შავებმა“ მიაკითხეს და წაგებული თანხის გადახდა კატეგორიულად მოსთხოვესო. იმ დილით, როცა მკვლელობა მოხდა, ჩემს სახლში მოსვლამდე, სილაქაძე რამდენიმე მეზობლის ოჯახში ყოფილა მისული ფულის სათხოვნელად. ზოგისთვის უთხოვია კიდეც, ზოგისთვის არაფერი უთქვამს, ისე წასულა იქიდან. როგორც ჩანს, ხელსაყრელი სიტუაცია არ დახვდა იმ სახლებში. სადაც ყოფილა, ყველგან დახვედრიან ოჯახის წევრები, თორემ, ფულის გულისთვის, შესაძლოა, რომელიმე მათგანის სახლში ჩაედინა ასეთი საშინელება. ჩემი შვილი მისთვის დიდი დაბრკოლება არ აღმოჩნდა. როცა ნინომ ფულის მიცემაზე უარი უთხრა, სადისტურად მოკლა. შემდეგ კი, სამინელ ოთახში შევარდა და ყველაფერი გადაქექა. ლოგინები სულ აყრილი დაგვხვდა, ლეიბები და ბალიშები იატაკზე ეყარა, კარადებიდან კი ტანსაცმელი ძირს იყო გადმოყრილი. ნინოს ხელჩანთაში ფული აღარ იდო. ვიცი, ჩემს შვილს საფულეში, სულ მცირე, 100 ლარი მაინც ექნებოდა...“ – ჰყვება მოკლულის დედა, **ზინა გაბრიჭიძე**.

რომან სილაქაძისა და შოთა გაბრიჭიძის (გარდაცვლილის მამა) ოჯახებს ერთმანეთთან, როგორც ამბობენ, კარგი მეზობლური ურთიერთობა ჰქონიათ. გამოძიების მასალების მიხედვით, სილაქაძეს სმა უყვარდა და მეზობლებთან, მათ შორის, გაბრიჭიძეებთანაც ხშირად დადიოდა ღვინის ან არყის დასალევად. იმ დღესაც, 2002 წლის 23 ივნისს, დილის ცხრის ნახევრისთვის, უკვე შეზარხოშებულ რომან სილაქაძეს შოთა გაბრიჭიძესთან მისვლა გადაუწყვეტია. დაზარალებულისგან განსხვავებით, პროკურატურა აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი ფული კი არა, ალკოჰოლური სასმლის მიღება იყო. *„სამწუხაროდ, გამოძიება მკვლელის მიერ ჩემი შვილისგან თანხის გამოძალვის ვერსიით არ დაინტერესდა. არადა, ამ ვერსიას მოწმეებიც ჰყავდა და მას ანგრეული სამინებელიც მოწმობდა. ასეთ დეტალებს პროკურატურამ, რატომღაც ყურადღება არ მიაქცია“*, – აღნიშნავს მოკლულის დედა.

საბრალდებო დასკვნაში მომხდარი ფაქტი ასეა წარმოდგენილი:

23 ივნისს, დილით, მთვრალი სილაქაძე გაბრიჭიძეების საცხოვრებელი სახლის ეზოში შევიდა. იქ მას შოთა გაბრიჭიძის გათხოვილი ქალიშვილი – ნინო გაბრიჭიძე დახვდა. სილაქაძემ მას არაყი სთხოვა. ნინო გაბრიჭიძემ, იმის გამო, რომ იგი მთვრალი იყო, არაყზე უარი უთხრა და სთხოვა, სახლში წასულიყო. სილაქაძემ ქალის თხოვნა არ შეისმინა და იქვე, ეზოში მდებარე მარანში თვითნებურად შევიდა. ნინო გაბრიჭიძე მას უკან გაჰყვა, მარანშიც შეჰყვა და იგივე გაუმეორა. ამით განაწყენებულმა სილაქაძემ თაროზე დადებული ვენახის სასხლავი აიღო და ალესილი პირით, ქალს რამდენჯერმე ჩაარტყა თავის არეში. ნინო გაბრიჭიძემ დარტყმის აცილების მიზნით, ხელები სახესა და თავზე აიფარა, თუმცა ძლიერად მოქნეულმა სასხლავმა ის რამდენიმე ადგილას მაინც დაჭრა. ამის მიუხედავად, სილაქაძემ სადისტური ქმედება არ შეწყვიტა და ალესილ სასხლავს უმწეო ქალს სხეულის სხვადასხვა ნაწილში ურტყამდა. ნინო გაბრიჭიძემ, თავის გარდა, ხელებზეც მიიღო დარტყმები. საბოლოოდ, კეფისა და თხემის ძვლებთან ერთად, მას თავის ტვინიც დაუზიანდა და უგონოდ ძირს დაეცა. მოგვიანებით, ექსპერტებმა დაღუპულის სხეულზე ექვს სხვადასხვა ადგილას მიყენებული 17 ჭრილობა დააფიქსირეს. ქალი ადგილზე გარდაიცვალა, რომან სილაქაძემ კი, როცა დარწმუნდა, რომ ის მკვდარი იყო, იქაურობა მიატოვა და მიიმალა.

ზინა გაბრიჭიძე:

„სოფლიდან მაშინვე არ გაქცეულა.

მოკლული ნინო გაბრიჭიძე

ჯერ ერთ-ერთ მეზობელთან მივიდა, თურმე. საუბრისას წყალი მოუთხოვია. დიასახლისსაც მიუწოდებია, მაგრამ იმ მომენტში, მის ხელებზე რაღაც ლაქები შეუნიშნავს. უკითხავს: რომან, რა გჭირს? რა ლაქები გაქვს? რამე დაავადება ხომ არ დაგემართაო? ადამიანის სისხლი, თურმე, მალე შრება, ფერსაც იცვლის, უფრო ღიავდება და ამიტომაც ვერ მიმხვდარა ის ქალი უცებ, თუ რა სჭირდა სილაქაძეს ხელებზე. ისიც არ დაბნეულა და უპასუხია: – ქეთინოს (რომან სილაქაძის მეულლე), ვიდრე აქ გადმოვიდოდი, ქათამი დავუკალი და ხელები არ დამბანია, პირდაპირ წამოვედი და აქ დავიბან, თუ შეიძლებაო. მეზობლის ქალმაც დააბანინა, თურმე...“

დაღუპულის ნათესავების თქმით, არის კიდევ ერთი მოწმე – გაბრიჭიძეების გვერდით ეზოში მცხოვრები მეზობელი, რომელმაც იმ დილით დაინახა, როგორ შედიოდა მარანში ნინო გაბრიჭიძე, ცოტა ხანში კი იქიდან სამჯერ, დაწივლების ხმაც მოესმა.

ზინა გაბრიჭიძე:

„ის ქალი აზრზე ვერ მოსულა. რას იფიქრებდა, იმ წუთში ასეთი საშინელება თუ ხდებოდა? რამდენიმე წამში იქიდან გამოსული სილაქაძეც დაუნახავს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არც ამისთვის მიუქცევია.

მე და ჩემი ქმარი იმ დილით ყანაში ვიყავით და ვმუშაობდით. ცოტა ხანში, ჩვენი სახლის მხრიდან საშინელი კივილი მომესმა. მივხვდი, რომ რაღაც უბედურება დამატყდა თავს და ცოცხალ-მკვდარი მივედი იქამდე. ასეთ საშინელებას მაინც ვერ წარმოვიდგენდი. ნინოა მკვდარიო, – რომ მითხრეს, ჭკუიდან შევიშალე, მიწაზე ვფორთხავდი გადარეული, მარნისკენ გახედვა და ამ უბედურების დაჯერება არ მინდოდა, მაგრამ თვალი სწრაფია – ჩემს დასახჩრებულ შვილს, ჭურთან უსულოდ დაგდებულს, თვალი მაინც მოვკარი... უამრავ ხალხს მოეყარა თავი ჩემს ეზოში, მაგრამ იმ წუთებში ვერავინ მიმორჩილებდა. მაშინვე „გასკდა“ ის ამბავი, რომ მკვლელობა რომან სილაქაძემ ჩაიდინა, მინდოდა, შური მეძია. ნავთს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე. ბოლოს, მაინც მივაგენი და სილაქაძეების სახლის დასაწვავად წავედი. უკან მეზობლის ქალები მომყვებოდნენ, შემდეგ კი სილაქაძის ვაჟი და მისი ერთი ნათესავიც დამედევნნენ, იმის ნაცვლად, რომ საერთოდ არ გამოჩენილიყვნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მუჯლუგუნებით მიშორებდნენ თავიდან – სახლთან რა გინდა, რომანს ელაპარაკეო...

რომან სილაქაძე პოლიციელებმა იმავე დღეს დააკავეს. მაშინ მან მკვლელობაში თავი დამნაშავედ ცნო და ჩადენილი დანაშაულიც დეტალურად აღწერა. თუმცა, მოგვიანებით ჩვენება შეცვალა და აღნიშნა, რომ ნინო გაბრიჭიძე მას განზრახ არ მოუკლავს. ის არაფერს ამბობს ასევე თანხის მოთხოვნის შესახებაც.

რომან სილაქაძის ჩვენებიდან:

„2002 წლის 23 ივნისს, დილით შინ ვიყავი და მარტომ, ნახევარი ბოთლი არაყი დავლიე. სასმელი არ მეყო და მეზობელთან – შოთა გაბრიჭიძესთან წასვლა გადავწყვიტე. დაახლოებით ცხრის ნახევარი იქნებოდა. ეზოში შევედი და შოთას დავუძახე. არავინ მიპასუხა. მაშინ გადავწყვიტე მარანში შევსულიყავი, რადგან სასმელი იქ მეგულებოდა. სანამ მარანში შევიდოდი, სახლიდან შოთას ქალიშვილი – ნინო გამოვიდა. ვიცოდი, რომ ის დროებით იყო მშობლებთან ჩამოსული, ვთხოვე – არაყი დამალევინე-მეთქი, – მაგრამ უარი მითხრა: საკმაოდ ხარ ნასვამი, მეტს აღარ დაგალევინებ, სახლში წადიო. არ დავუჯერე და მარანში მაინც შევედი. ნინო შემომყვა. დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, მან ერთი ჭიქა დამალევინა კიდეც. გარეთ რომ გამოვედით, ერთმანეთთან შელაპარაკება მოგვიხდა. საუბრისას ნინომ ჩემი რძალი ცუდად მოიხსენია: შენი რძალი სხვადასხვა მანქანაში დავინახე, ალბათ პატიოსანი არ არისო. ამ სიტყვებმა ძალიან გამაბრაზა, მეწყინა და ნინოს გინება დავუწყე. გაბრაზებული ისევ მარანში შევედი და მას იქვე დაგდებული შეშის ნაჭერი ვესროლე. ნინომ შეშა აიცდინა, რის შემდეგაც ძირს დაგდებულ რკინის ნაჭერს წამოავლო ხელი და მესროლა. რკინა მარჯვნივ, გულმკერდის არეში მომხვდა. ტკივილი ვიგრძენი და გაბრაზებულმა სასხლავს წამოვავლე ხელი. მჭრელი პირით ის ნინოს თავში რამდენჯერმე ჩავარტყი. ნინო მაშინვე წაიქცა. მე სასხლავი დავაგდე. გარეთ გამოვედი და მეზობლის მანქანით მოყვრებში წავედი. იქ პოლიციამ დამაკავა.

ნინო გაბრიჭიძის მოკვლის განზრახვა არ მქონია, მისთვის მხოლოდ სხეულის დაზიანებების მიყენება მინდოდა“.

დაზარალებულის მხარე, ისევე, როგორც პროკურატურა, მიიჩნევს, რომ სილაქაძის ეს ჩვენება ნაკლებად დამაჯერებელი და არალოგიკურია. ამას გარდა, გამომძიებელი იმაზეც მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში არც რკინის და არც ხის ნაჭრის არსებობა დაფიქსირებული არ არის, ოქმის მიხედვით, იქ მხოლოდ სისხლიანი სასხლავი ეგდო. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად კი, რომან სილაქაძეს სხეულზე დაზიანებები (რაც მისი ჩვენების მიხედვით, გულმკერდზე რკინის მოხვედრის შედეგად უნდა მიეღო) არ აღენიშნებოდა.

რომან სილაქაძეს აღნიშნული დანაშაულისთვის უზენაესი სასამართლო გაასამართლებს. აღსანიშნავია, რომ ეს მისთვის პირველი ნასამართლეობა არ იქნება. წლების წინ, ის ზესტაფონის რაიონის სასამართლომ ბოროტი ხულიგნობისა და ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისთვის გაასამართლა და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სილაქაძე ამ სასჯელის მოხდისგან 1983 წელს გათავისუფლდა. ■

განსასჯელი რომან სილაქაძე

„ქურდაძის საქმე სინამდვილეში გაუხსნელია. ჩემი ქმრით, საზოგადოება მოატყუეს“ – აცხადებს მსჯავრდებულის ცოლი

თბილისის ყოფილი პროკურორის – მიხეილ ქურდაძის მკვლელობაში ბრალდებულ კობა გურგენიძეს უზენაესმა სასამართლომ, ძველი კოდექსის გათვალისწინებით, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასეთმა განაჩენმა მსჯავრდებულის მხარის (და არა მარტო მისი) აღშფოთება გამოიწვია, რადგან, როგორც ამბობენ, სასამართლო პროცესზე პროკურატურის მიერ დატოვებული ბევრი გაურკვეველი დეტალი და ღიად დარჩენილი კითხვა, კვლავაც უპასუხოდ დარჩა. ამ განცხადებას თავად პროკურატურა და სასამართლო სხდომებზე დანიშნული სახელმწიფო ბრალმდებელი კატეგორიულად უარყოფენ. ბრალმდებლის თქმით, სასამართლო კოლეგიის განაჩენი კანონიერია, რადგან ქურდაძე მართლა გურგენიძემ მოკლა.

გურგენიძის ინტერესების დამცველი ადვოკატი – ალექსანდრე გოჩიაშვილი კი, ირწმუნება, რომ განსასჯელს ბრალი სასამართლოში ვერაფრით დაუმტკიცეს და უბრალოდ, უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს.

„კოლეგიის თავმჯდომარემ – ჯემალ ლეონიძემ, საქმისთვის არსებითი და მნიშვნელოვანი არც ერთი ჩემი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ბრალის გამამტყუნებელ ყველა დეტალსა და მტკიცებულებაზე თვალი დახუჭა. მიზეზი ერთია – განაჩენი თავიდანვე „ზემოდან“ იყო შეკვეთილი“, – აღნიშნავს ადვოკატი, თუმცა „შემკვეთების“ ვინაობას არ ასახელებს. მისი თქმით, ყველაფერს თავისი დრო აქვს და სიმართლე აუცილებლად გამოაშკარავდება. ამ ეტაპზე კი, განაჩენით უკმაყოფილო ადვოკატმა საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას.

ალექსანდრე გოჩიაშვილი:

„წარმოუდგენელი იყო განაჩენის დამყარება მხოლოდ ჰალუცინაციით დაავადებული ქალის ჩვენებასა (აღნიშნულ ჩვენებაზე „ვზის“ №5-ში მოგითხრობდით. – ავტ.) და იმ მოწმის სიტყვებზე, რომელიც ხან ერთს ამბობს, ხან – მეორეს. სწორედ ეს მოწმე – აწ გარდაცვლილი მიხეილ ქურდაძის მეზობლად მცხოვრები, სიმონ კანდელაკი პირველი დაკითხვისას აღნიშნავდა: დამნაშავის მარჯვენა, გაპარსული ლოყის გარდა არაფერი დამინახავს, მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ კი, დამატებით ჩამოართვეს ჩვენება, სადაც დაფიქსირა: დამნაშავეს ტყავის შავი, მოკლე ქურთუკი ეცვა და თეთრზოლიანი ქუდი ეხურაო. ჩვეულებრივ, დროთა განმავლობაში ადამიანს ამა თუ იმ მოვლენიდან რაღაც დეტალები ავიწყდება, კანდელაკს რატომღაც პირიქით დაემართა – გაახსენდა... პროკურატურამ მტკიცებულებად, იმ პერიოდში, ერთ-ერთ ქორწილზე გადაღებული ვიდეოფირი წარმოადგინა, სადაც გამომძიებლის თქმით, სტუმართა შორის კობა გურგენიძეცაა და მას ტანთ ტყავის შავი ქურთუკი აცვია. გურგენიძე ამბობს, რომ ის იმ ქორწილში საერთოდ არ ყოფილა და არც ის ადამიანია, რომელზეც ამბობენ – გურგენიძეაო. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, მხოლოდ ტყავის ქურთუკით ადამიანზე ეჭვის მიტანა როგორ შეიძლება? მით უმეტეს, რომ იმ წლებში, იმ სტილის ქურთუკები ძალიან ბევრს ეცვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიმონ კანდელაკი, დამნაშავის აღწერისას, საიდენტიფიკაციო ნიშნებში არსად აღნიშნავს გურგენიძის სათვალეს. კობა გურგენიძეს ბავშვობიდანდვე ცუდი მხედველობა აქვს და თითქმის მთელი ცხოვრება საკმაოდ დიდი „მინუსის“ სათვალეს ატარებს. მკვლელობის ჩასადენად უსათვალოდ რომ წასულიყო, გამორიცხულია, რადგან ისეთი დავალების შესრულებას, როგორიც ქალაქის პროკურორის მკვლელობაა, დიდი სიზუსტე, სიფრთხილე და კარგი მხედველობა სჭირდება. გურგენიძე კი, უსათვალოდ, ვერც დადის და ვერც რაიმეს აკეთებს“.

კობა გურგენიძეს ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. მსჯავრებულის მეუღლე დასძენს, რომ მისი ქმარი სამართალდამცავთა მსხვერპლი გახდა, რომელიც პროკურატურას სრულიად შემთხვევით ჩაუვარდა ხელში.

ხატია კიკნაძე, მსჯავრდებულის ცოლი:

„მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმე სინამდვილეში, გაუხსნელია. ამ საქმის თითქოსდა გახსნით, საზოგადოება მოატყუეს, საამისოდ კი, ჩემი ქმარი გამოიყენეს. კობა სრულიად შემთხვევითი, უდანაშაულო ადამიანია. მიხეილ ქურდაძის არსებობის შესახებ, მან დაკავების შემდეგ გაიგო; მანამდე ამ კაცის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალაქის პროკურორი იყო, თითქმის არაფერი იცოდა. თავად ჩემი მეუღლე მთელი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობის მანძილზე დუმილის უფლებას იყენებდა. ამ დანაშაულზე მას სათქმელი არც არაფერი ჰქონდა. რა უნდა ეთქვა იმის შესახებ, რაც არ ჩაუდენია? ერთადერთი, რაც მან მოსამართლეს უთხრა, ეს იყო: გთხოვთ, ამ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანოთ და უკანონო პატიმრობიდან გამთავისუფლოთ, თქვენც პილატესავით ხელებს ნუ დაიბანთო. საშუალოდ, მაინც ასე მოხდა. თავის საბოლოო სიტყვას უზენაესი სასამართლო 10 აპრილს იტყვის, როცა ამ განაჩენს საკასაციო პალატა გადახედავს“.

■

პოლიციამ ავტომანქანების გამტაცებლები დააკავა

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა ორი კრიმინალური ბანდის წევრები დააკავეს. ისინი მოზარდები – ძირითადად, 17-18 წლის ახალგაზრდები აღმოჩნდნენ. ამავე ცნობით, დაკავებულები ავტომანქანების გატაცებაში არიან ეჭვმიტანილები. გატაცებულ მანქანებს ისინი ჯერ შლიდნენ, ნაწილებს კი ყიდდნენ და ამით მიღებულ თანხას ერთმანეთში ინაწილებდნენ. სამართალდამცავთა თქმით, აღნიშნული ბანდების მიერ თბილისში ბევრი მანქანაა გატაცებული, ამ დანაშაულთაგან კი, მხოლოდ რამდენიმეა გამოვლენილი.

ერთი ბანდა, რომლის წევრებიც, პოლიციის ინფორმაციით, იოსებ მაღრაძე, არჩილ სეთურიძე, პეტრე ლებახინი და ევგენი ნოზაძე არიან, თბილისის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის სამართლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. ამ ბანდას კიდევ ორი ეჭვმიტანილის – ლევან გაგლოშვილისა და გიორგი პატარაიას სახელებიც უკავშირდება, თუმცა ისინი, როგორც გვითხრეს, ჯერჯერობით დაკავებულები არ არიან. აღნიშნულ ჯგუფს, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ოთხი ავტომანქანა – „ვაზ 2108“ და სამი „ვაზ 2109“ ჰყავთ გატაცებული.

მეორე ბანდას, რომლის წევრები გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს, „ვაზ 2121“ ჰყავს გატაცებული. მანქანა დაშლილია და ნაწილებადაა გაყიდული. ამ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებად სამართალდამცავები ჯერჯერობით, მხოლოდ ორ დაკავებულს – მანუჩარ ბროლაძესა და რამაზ ცხვირავაშვილს ასახელებენ.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ლუარსაბ II, გიორგი სააკაძის სიძე იყო.
2. ქალები გონებაში მამაკაცებზე უკეთ ანგარიშობენ.
3. მყინვარწვერი და იალბუზი მიძინებული ვულკანებია.
4. კოტე ყუბანეიშვილი განათლებით ფიზიკოს-მათემატიკოსია.
5. მურმან ჯინორიას პოლიტექნიკური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.
6. ბუბა კიკაბიძემ და გოგი ქავთარაძემ ავტომობილის მართვა არ იციან.
7. „სპეკულაცია“ გვიანდელი ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით დაზვერვას, ჭვრეტას ნიშნავს.
8. 800 მილიონი გულისცემის შემდეგ, ცოცხალ არსებათა უმრავლესობას სიკვდილი ელის.
9. „მურვან ყრუ განა ყრუ იყო, არ სურდა გაგონებაო,“ — ამბობს ფრანგული ანდაზა.

10. იოსებ გრიშაშვილის ნამდვილი გვარი მამულაიშვილია. იგი ხარფუხელი კალატოზის ოჯახში დაიბადა.
11. ფილიპინელებს ორი სახელმწიფო დროშა აქვთ, ერთი მშვიდობიანობისთვის არის განკუთვნილი, მეორე ომიანობისთვის.
12. ზაფხულის განმავლობაში ჩხიკვი სამი ათასამდე რკოს ფლავს მიწაში და ზამთარში ყველას უკლებლივ პოულობს.
13. პიკასოს ანდერძი არ დაუტოვებია. ამის გამო, მხატვრის სიკვდილის შემდეგ, მის მემკვიდრეებს შორის დიდი ორომტრიალი ატყდა.
14. დაირაზე ზოგჯერ თევზის ბუშტის აპკს აკრავდნენ. სუფთა და მკაფიო ბგერების მისაღებად დაირას შეათბობდნენ ხოლმე.
15. „ჟამთა სიავემ სივრცე დანისლა, ქარიშხლის ცის ქვეშ ველთა შრიალში, არის სამარე ოსიანისა, იმ ჩემს მშობლიურ შოტლანდიაში.“ — წერდა მიხეილ ლერმონტოვი. პოეტი წარმოშობით შოტლანდიელი გახლდათ.
16. ერთი პერიოდი რუსეთის გაზეთებში გამოჩნდა რეკლამა: „თუ თქვენ ისრაელში ან ამერიკაში გამგზავრებას აპირებთ და გსურთ, ყველაფერი ზედმეტი სამშობლოში დატოვოთ, მოგვმართეთ ჩვენ“. ფირმა წინდაცვეთას აკეთებდა.
17. „ერთნი საკუთარ შეცდომებს ფასადით ფარავენ, მეორენი — სოუსით, მესამენი — მიწით“ — ფრანგები ამას არქიტექტორების, მზარეულებისა და ექიმების შესახებ ამბობენ.

სტუმართმასპინძლობა ანუ სანოლში დასახლისთან...

ავთო მარგველაშვილი

სტუმართმოყვარე ხალხი ვართ ქართველები. ლხინიც განსაკუთრებული ვიცით და ჭირიც, მაგრამ საერთოდ, ჭირს ლხინი სჯობს. არა მარტო იმიტომ, რომ იქ ტირილია, აქ კი — სიცილი (ღრმად მოხუცებულის ქელეხშიც არანაკლები მხიარულებაა ხოლმე) — უბრალოდ, მენიუა ქორწილში გაცილებით მდიდარი და მუსიკაც უფრო მხიარული. ხოლო თუ ქორწილი მაღალმთიან სოფელშია და იქიდან კიდევ უფრო მაღლა, სოფელში გაგიშვებენ მაყრად, შეიძლება, მანამ არ მოგიწიოს შინ დაბრუნება, სანამ შენზე ძებნა არ გამოცხადდება.

სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით მე და ჩემი მეგობრები, როცა თანაკურსელმა ღვიძლი დის გაბედნიერებით გამოწვეული სიხარულის გაზიარება გვთხოვა და ქორწილშიც დაგვპატიჟა.

გაჩაღდა ქეიფი და ჩვენც გვარიანად მოვულხინეთ, მაგრამ როცა სიძის მხარემ წასვლა იჩქარა — იქაც ხალხი გველოდებაო, — რატომღაც მაყრების სიაში აღმოვჩნდით. ოჯახის უფროსმა გვითხრა: აბა, თქვენ იცით! ქალაქელი ხალხი ხართ და თქვენ უნდა მასახელოთ მოყვრებში, თორემ ესენი რომ გავუშვა — მეზობელ ახალგაზრდებს გადახედა, — ისე შემარცხვენენ, რომ შეიძლება, შვილი გადამწვარი ტელევიზორივით მომიბრუნონ უკანო...

ორ „პაზიკში“ გადავნაწილდით მაყრები და რადგან საშინლად წვიმდა, წვიმაში კი სიძის სოფელში ნალებიანი კატაც ვერ ავიდოდა, ვერც ნეფე-დედოფალმა გაბედა „ვოლგით“ წამოსვლა და ისინიც ჩვენს ავტობუსში ამოვიდნენ. ამით გახარებულს თავი ლაღიძემ შემახსენა და შემოვძახე:

„ბევრჯერ ვყოფილვარ მაყარში,
ბევრსაც ვარ გადანაყარი.
ის კი არ გამიგონია,
დედოფალს ჰკოცნის მაყარი...“

ამ სიტყვების გაგონებაზე სიძემ ისეთი თვალებით შემომხედა, რომ სანამ მეორე დილით, მისი გახარებული და უკვე ცოლის პატიოსნებაში დარწმუნებული სახე არ დავინახე, ერთი სიმღერაც აღარ წამომცდენია...

იმ სუფრამაც მშვიდობიანად ჩაიარა და ოჯახებში სტუმრების გადანაწილებაც დაიწყო. ჩემ პირდაპირ მჯდომმა ორმა კაცმა, რომელიც ერთმანეთის სიძე-ცოლისძმა იყო, ხელი ჩამავლო და — ამ კაცს კბილებით არ დავთმობთო, — კატეგორიულად განაცხადეს. რა უნდა მექნა?

თანაკურსელებს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და „მოძალადე“ მასპინძელთა „ბადრაგს“ მორჩილად გავყევი. ჭიშკარი რომ შევაღეთ, კაცებმა ლამის ჩხუბი ატეხეს:

— ჩემთან დარჩება! — იძახდა ცოლისძმა.

— რატომ ვითომ?! — კბილებს აკრაჭუნებდა სიძე. მთვარის შუქზე ეზოს თვალი მოვავლე და მხოლოდ ერთი სახლი შევნიშნე. ეს სახლი, თურმე, ცოლისძმის ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი და უსახლკარო კაცს გაჰყვა, აქეთ ჩამოსიძეს და მეორე სართულიც დაუთმეს.

ბოლოს სიძემ იმარჯვა და თავი მეორე სართულზე ამოვყავი. გამარჯვებულმა მასპინძელმა ლამპით ხელში, ტურისტივით მომატარა ორი თვალი ოთახი და არჩევანის საშუალებაც მომცა. რადგან თითო ოთახში ორ-ორი საწოლი იდგა და ჩემთვისაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად დავიძინებდი, პირველივე ოთახში დავრჩი.

ჩავთვლიმე თუ არა, „კოკისპირულმა“ გინებამ გამაღვიძა. მეორე ოთახიდან ჩემი მასპინძელი ცოლს ეახდა. მესმის, ნაქეიფარ კაცს რომ „დესერტიც“ მოუნდა, მაგრამ ვერ გავიგე, ასე სიღრმისეულად რატომ აგინებდა დედას!.. როგორც ჩანს, ცოლისძმას ყელში ამოუვიდა ამდენი გინება, რადგან საქმე მის დედასაც ეხებოდა.

— ადი, გოგო, რომ გეძახის, — მოისმა ქვედა სართულიდან, — თორემ დააორსულა დედაჩემი და ისაა!..

— თუ კაია, შენ ადი ამ გალეშილ კაცთან! — უპასუხა დამ.

— მაშინ ეს წამლები აუტანე და ჩააცეცხლე, რომ დაეძინოს გამოუღვიძებლად! — ისევ შეუტია ცოლისძმამ.

სიძის გინება უკვე იავნანასავით მესმოდა და ჩამეძინა...

ვგრძნობ, რომ ვიღაც მეჯიკავება: „შენ დალიე ცეცხლი და მდუღარე! ა, გამომართვი ეს წამლები და გადაყლაპე, თორემ სიკვდილს გადაგაყლაპებ!..“

„ვაიმე, სად მთავრდება ჩემი აწი გასაფურჩნი სიცოცხლე!“ — გავიფიქრე და საბანში ჩავძვერი. ქალი არა და არ მეშვება, თან ისე მწყევლის და იმ სიღრმეზე მითხრის სამარეს, რომ მალე, დედამიწის მეორე მხარესაც გავა. ბოლოს და ბოლოს, საბნიდან ხელი გამოვაცურე და მივხვდი, რომ პეშვი აბებით ამევსო. ქალმა ოთახი დატოვა, ხელით სკამზე მიკიდებული პერანგი მოვძებნე და წამლები ჯიბეში ჩავყარე. სიძესაც ჩასძინებოდა და აღარც გინების, აღარც ასრულების თავი აღარ ჰქონდა. ძილს შევუბრუნდი თუ არა, საწოლი შეინძრა და მივხვდი, რომ გვერდით საწოლზე ვიღაც დაწვა. „ალბათ ცოლისძმა ამოვიდა, რომ მარტოს არ შემეშინდეს“, — გავიფიქრე, მაგრამ უცებ თავზარი დამეცა:

— რამ გადაგრია, შე კაცო! დედას რომ მაგინებ მამაჩემის სახლში, მისი სურათის მაინც არ გრცხვენია?! რას ერჩი დედაჩემს? მე აგერ არ ვარ?.. — თაფლივით დაიტკბო ქალმა ხმა.

ორი ქორწილის ღვინო წამიერად გამოვიდა თავიდან და მივხვდი, ქალისათვის როგორმე უნდა მეგრძნობინებინა, რომ მისამართი შეეშალა. უფრო სწორად, ქმარმა დამაწვინა მის ლოგინში.

— წეღან მოზვერივით ბღაოდი, ახლა რამ გაგაშეშა? გადმოწექი დროზე! — არ ცხრებოდა ქალი. გაუბედავად ჩავახველე... — ვაი, შენ და დახრჩობა — წამეკეკლუცა მასპინძელი და მეც უფრო ხმამაღლა ჩავახველე. თან ვფიქრობ, ქმარს არ გაეღვიძოს, თორემ უმტკიცე მერე, ავი ზრახვები გულში არ მქონიაო!..

— ვაიმე! — ხმა ვერ შეიცნო ქალმა. — თქვი „შენი დედა...“

მეც თხოვნა ავუსრულე — „შენი დედა...“

— უი, ჩემი სიკვდილი, მომეჭრა თავი! — წაიჩურჩულა ქალმა, მეორე ოთახში გავარდა და ქმარს ქორივით დააცხრა. კაცის გინება ცოლის წყევლამ შეცვალა და მეც, როგორც იქნა, ჩამეძინა...

დილით ცოლისძმამ გამაღვიძა. ქვედა სართულზე სუფრა უკვე გაეწყოთ და სამსამი სახარებაც ვთქვით. მხოლოდ სიძე იყო ისეთ „პახმელიაზე“, რომ სუფრას არც გაჰკარებია.

— წამალი გიშველის ახლა შენ, მაგრამ წუხელ დალიე, შვილო, ბოლო აბები, — ამოიოხრა სიდედრმა.

— ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ აღარც კი მახსოვს, როდის დავლიე, — შუბლზე სველი ტილო მიიკრა სიძემ, ცოლს სახე აელეწა და თავი ბუხარში შერგო, მჭადი არ დაიწვასო.

— მე მაქვს კარგი წამლები, ნაბახუსევზე მშველის და მუდამ თან ვატარებ, — ვთქვი და ჯიბიდან წუხელ მოძალებული „აფთიაქი“ ამოვალაგე.

— მეც ამ წამლებს ვსვამ, გაგახარა ღმერთმა! — წამოიძახა სიძემ და აბები პირში გადაუძახა.

მადიანად ვისაუზმეთ და იმ ოჯახში გადავინაცვლეთ, სადაც ქორწილი იყო.

— დღესაც დარჩი, ძმაო, — მითხრა ჩემმა მასპინძელმა ცოლისძმამ, — ამაღამ ჩემთან დაგაწვენ.

— გმადლობთ, ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით! — ვუპასუხე და თანაკურსელებს შევუერთდი...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

18. მსახიობი ფაინა რანევსკაია საკუთარ ძაღლზე ამბობდა: „ის ცხოვრობს, როგორც სარა ბერნარი, მე კი როგორც... სენბერნარი“.

19. კარიბის ზღვის ფლიბუსტიერებს შორის, მკაცრად დაწესებული საშტატო ტარიფები არსებობდა. კაპიტანი წელიწადში 400 პესოს იღებდა, მატროსი — 100 პესოს, იუნგა — 50-ს. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის მეკობრეები პრემიებს იღებდნენ. ბრძოლაში ხელის, ფეხის ან თვალის დამკარგავი, 600 პესოს იღებდა.

20. გერმანელი პოეტი კესტერი მოკლე, ფილოსოფიური ლექსების ავტორია. მისი ერთ-ერთი ასეთი ლექსის რუსული თარგმანი ასე ჟღერს: „აშიბკი პრივოდიატ კ პაბედე, ნო ტაკ ნე ვსეგდა ბივაეტ: ნი კაჟდი კტო ვ ინდიუ იედეტ, ამერიკუ ატკრივაეტ.“

21. დავითფერულს საქართველოში საუკეთესო ფოლადისაგან ამზადებდნენ. ეს სამღარიანი, სწორი, პირბასრი და დრეკადი ხმალი ფერად „ლიბრი“ (მოლურჯო) იყო, „ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ“ ხმლად ითვლებოდა მთელ საქართველოში და ძვირადაც ფასობდა.

22. რომის პაპის ტახტზე ასვლისას კარდინალი სახელს იცვლის. ეს ტრადიცია ერთმა კარდინალმა დაამკვიდრა, რომელიც პაპად კურთხევამდე არაკეთილხმოვან სახელს ატარებდა.

23. საბჭოთა მსახიობებს შორის, ლუბოვ სოკოლოვას ყველაზე მეტი, 179 როლი აქვს ნათამაშები. მეორე ადგილზე არმენ ჯიგარხანიანია — მან 175 როლი ითამაშა. ამ მსახიობის შესახებ ასეთი ეპიგრამაც კი არის შექმნილი: „ნა სვეტე მენშე ესტ არმიან, ჩემ ფილმოვ, გდე სიგრალ ჯიგარხანიან“.

24. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ პოეტურ ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“, ზოგადსაკაცობრიო სევდაა გადმოცემული. საქართველოს მეფე უმძიმესი ცოდვის ჩადენით ადარებს თავს და ამბობს, რომ არ არსებობს დანაშაული, რომელიც მის სულს არ ამძიმებდეს. თავის ასეთ დამდაბლებაში საქართველოს მეფის მაღალი ეთიკური მრწამსი ვლინდება.

25. ტაროსი და ამინდი სინონიმებია. „საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვდების, ზოგჯერ მზეა და ზოგჯერვე ცა რისხვით მოუქუხდების,“ — წერდა დალოცვილი შოთა.

■

ჯუმბერ ებრალიძე იმ ბედის ნებიერა რეჟისორთა რიგს მიეკუთვნება, ვისაც დიდ ქართველ მსახიობებთან მუშაობა ხვდა წილად. ამავე დროს, მას მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებზე უმუშავია და სახელგანთქმულ სპორტსმენებთანაც ჰქონია ურთიერთობა, რომლებზეც დოკუმენტური ფილმები აქვს გადაღებული. ბუნებრივია, ასეთი ბიოგრაფიის მქონე შემოქმედს ბევრი აქვს მოსაგონარიც და მოსაყოლიც.

„ბაში-აჩუკი“ ვეფხვისწყლის ბოლოზე, სცენაზე ოპერეტებთან და ალოფლიოს სცენიერებზე...

ნინო ჯავახიშვილი

— ბიძაჩემმა — კინორეჟისორმა ლეო ესაკიამ, გადაიღო პირველი ქართული ხმოვანი ფილმი. ის კინოსტუდიის დირექტორი გახლდათ. დღემდე მახსოვს ერთ-ერთი მსახიობის სიტყვები, რომელიც მან ბიძაჩემის საფლავთან წარმოთქვა: დღეს ჩვენ ქართული კინოს სინდისს ვმარხავთო!.. ალბათ, გარკვეულწილად მისმა რეჟისორობამ განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი. 1959 წელს, ლეო ესაკია იღებდა „ბაში-აჩუკს“, მე რეჟისორის თანაშემწე გახლდით. ეს იყო ჩემი პირველი შეხება კინოსთან. ამის შემდეგ, „გლახის ნაამბობსა“ და „ნინოზე“ ვიმუშავე, მერე კი, ტელევიზიაში, საბავშვო პროგრამების რედაქციაში მოვხვდი. „ქართული ტელეფილმის“ დაარსებიდან დღემდე კი, ამ სტუდიაში ვმუშაობ. სამოცამდე ფილმი მაქვს გადაღებული.

— „ბაში-აჩუკში“, „გლახის ნაამბობსა“ და „ნინოში“ ბევრი ცნობილი მსახიობი მონაწილეობდა...

— ძველი თაობის ხალხთან მუშაობა უზარმაზარი სკოლა იყო ჩემთვის. რომელი რეჟისორი არ იმუშავებდა სიამოვნებით ლია ელიავასთან, ოთარ კობერიძესთან, გიორგი შავგულიძესთან, მედეა ჩახავასთან, დოდო აბაშიძესთან, დოდო ჭიჭინაძესთან, გოჩა აბაშიძესთან და კაკო კვანტალიანთან?!. თითოეული მათგანი თავისებური ხასიათის იყო, თუმცა ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ხშირად მახსენდება ერთი ამბავი. „ბაში-აჩუკს“ ბეთანიაში ვიღებდით. კარვებში ვათევდით ღამეს. მე და ჩემს მეგობარს, ვისთან ერთადაც ვიყავი, ადრე ადგომა არ გვიყვარდა. დოდო კი, ყოველ დილით, უთენია წამოხტებოდა ხოლმე და ვარჯიშობდა. სულ გვეჩხუბებოდა: ადექით და შემომიერთდითო. ვერაფერი რომ ვერ გააწყო ჩვენთან, შემოვიდოდა ხოლმე კარავში, საძილე ტომრებიდან, როგორც კნუტებს, ისე ამოგვათრევდა და მზეზე დაგვყრიდა: ახლაც არ გაიღვიძებთ და არ ივარჯიშებთო?.. სხვანაირი კაცი იყო — საოცრად კეთილი და თბილი, ყველას უყვარდა... არაჩვეულებრივი იყო გოჩა აბაშიძე. „გლახის ნაამბობს“ რომ ვიღებდით, ჩემი მეუღლე მაშინ ორსულად იყო და თან მახლდა გადაღებებზე. გოჩას ყოველდღე, ნაირ-ნაირი ხილი მოჰქონდა მისთვის — ყურძენი, ატამი, ვაშლი... არ შემიძლია არ გავიხსენო გურამ პატარაია — რეჟისორი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. მისი გადაღებულია „კუჩხი ბედინერი“, „რეკორდი“, დოკუმენტური ფილმები საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის ძეგლებზე. მახსოვს, ირანში ქართული სოფლების და ფერეიდნელი ქართველების გადაღება გადაწყვიტა. 1967 წელს, ეს ცოტა არ იყოს, ძნელი მოსახერხებელი იყო. გურამს ურჩიეს — როგორმე შაჰის პირველ ვეზირზე გასულიყო, რომ შაჰისგან გადაღების ნებართვა მიეღო. პატარაია, ოპერატორ ირაკლი ონოფრიშვილთან ერთად ჩავიდა ირანში და ვეზირს ესტუმრა. გაიშალა სუფრა. გურამმა თურმე ხელში ჩაიგდო თამადობა და ქართული ადათ-წესებით წაიყვანა სუფრა. ვეზირის მშობლები კი, ასე უდღეგრძელებია: გაუმარჯოს თქვენს მშობლებს, ასეთი შვილი რომ აღგზარდეს; წარმომიდგენია, რა ანგელოზები იქნებოდნენ, ალბათ, რა მამა გეყოლებოდათ, ამხელა კაცი რომ გაგზადათო და ა.შ. გურამის ამ სიტყვებზე ვეზირს თურმე „კუნწულა“ ცრემლები წამოსცვივნია, მერე გარეთ გავარდნილა, მამის სურათი შემოუტანია და კედელზე დაუკიდია... მიზანსაც, რა თქმა უნდა, მიაღწია.

— დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობისას, მჭიდრო ურთიერთობა გქონდათ ცნობილ სპორტსმენებთან. ალბათ ბევრი საინტერესო რამ გაქვთ გასახსენებელი...

— რა თქმა უნდა. გადაღებული მაქვს ფილმები ალექსანდრე მეტრეველზე („პირველი ჩოგანი“); მოჭადრაკე ქალებზე — ნონა გაფრინდაშვილზე, ნანა იოსელიანზე, ნანა ალექსანდრიასა და ნინო გურიელზე, რომლებიც ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ; ქართული ფეხბურთის ლეგენდაზე — ბორის პაიჭაძეზე, რომელზეც წლების მანძილზე ვაგროვებდი მასალებს; რამდენიმე წლის წინ, ძმებ არველაძეებზე გავაკეთე ფილმი, რომელსაც „რეზი, შოთა, აჩი“ დავარქვი. მათთან ერთად დავდიოდი საზღვარგარეთ და თამაშებს ვესწრებოდი... „მატჩის დირიჟორმა“ კი, დიდი გამარჯვება მომიტანა

გადასაღებ მოედანზე ჯუმბერ ებრალიძე (მარცხნივ) და ლეო ესაკია (მეგაფონით)

გიორგი დემეტრაძესა და კახი კალაძესთან ერთად

სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ კრანში ჩატარდა. სპორტის მოყვარულთ ემახსოვრებათ, რომ ეს არის ფილმი მსაჯებზე, რომელშიც დაფიქსირებულია სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამართული ასპარეზობისას „დაჭერილი“ ყველაზე საინტერესო და კურიოზული მომენტები.

— **თქვენ თავად თუ გქონიათ სპორტთან უშუალო შეხება?**

— არა — თუ იმას არ ჩავთვლით, რომ თბილისის „დინამოს“ დიდი გულშემატკივარი გახლდით. 1981 წლის 13 მაისს გერმანიაში ვიყავი, „დინამომ“ ევროპის თასი რომ მოიგო. ეს ნამდვილი სასწაული იყო — ქართველი გულშემატკივრები სიხარულისგან ლამის გავგიჟდით, მოედანზე გადავცვივდით და ერთმანეთს ვკოცნიდით, კინაღამ თასს სახელურები მოვაგლიჯეთ...

— **თქვენი ერთადერთი ვაჟი — გიორგიც თქვენს გზას გაჰყვა.**

— კი, ჯერ კიდევ პატარა იყო, გადაღებებაზე რომ დამყავდა, რაღაც-რაღაცებში მეხმარებოდა კიდეც. ალბათ ამანაც განაპირობა მისი რეჟისორობა. დღეს ის სახელმწიფო ტელევიზიის სამხატვრო ხელმძღვანელია. კლიპმეიკერიც არის — პირველი ქართული კლიპები სწორედ მისი გადაღებულია. სხვათა შორის, ჩემი რძალი — ნინო შარაშიძეც რეჟისორია, მიხეილ თუმანიშვილის ნასტუდენტარია. მოკლედ, ერთ ოჯახში სამი რეჟისორი ვართ, აი, ჩემი შვილიშვილი სანდრო გაჰყვება თუ არა ჩვენს გზას, ჯერ ვერ გეტყვით...

— **ბატონო ჯუმბერ, საინტერესოა — იმ ქვეყნებიდან, რომელშიც ნამყოფი ხართ, ყველაზე მეტად რომელმა მოგხიბლათ და რამ გაგაკვირვათ?**

— იაპონიამ და იაპონელმა ხალხმა

დოდო ჭიჭინაძესთან ერთად „ნინოს“ გადაღების დროს

მართლაც გამაოცა. უცნაურები არიან — სულ გიღიმიან, თავს გიხრიან და თვალებში გიყურებენ. ისე მოხდა, რომ ჩემს დაბადების დღეს *(აქვე აღვნიშნავ, რომ ბატონ ჯუმბერს 20 მარტს 70 წელი შეუსრულდა, რასაც გულწრფელად ვუ-ოცავთ. — რედ.)* ტოკიოში შევხვდი. საკერავი მანქანების იაპონური ფირმის პრეზიდენტმა, რომელიც ადრე, თბილისში მყავდა გაცნობილი, მიგვიწვია იაპონიაში და იმ დღეს, სადილად დამპატიჟა. ქალაქგარეთ, რომელიღაც რესტორანში წაგვიყვანა მე და ჩემი ოპერატორი. შესვლისას, მათი წესისამებრ, ფეხსაცმელი გავიხადეთ. პატარა, დაბალი მაგიდა იდგა, სკამების ნაცვლად კი, ჩაღრმავებული ადგილები იყო და იქ უნდა ჩავმსხდარიყავით. დღეს ჩემი დაბადების დღეა-მეთქი, — ვთქვი. გაგიჟდა ჩვენი მასპინძელი და აუარება საჭმელ-სასმელი მოატანინა... პირველად მაშინ ვნახე გეიშები, რომლებიც ოთხზე ფორთხვით მოდიან შენთან და სასიამოვნო სურნელით გაჟღენთილი ხელსაწმენდებით გწმენდენ შუბლიდან ოფლს. თევზს უმად ჭამენ, პურს ვერ ნახავ... მოიტანეს მდუღარე წყალი და თხლად დაჭრილი ხორცის ნაჭრები, ჩაყოფდნენ ამ წყალში ხორცს და მაშინვე ამოიღებდნენ... თბილი არაყი დაგვალევინეს. ცოტა შევთვერი და დავიწყე თამადობა. თავიდან ეუცნაურათ სადღეგრძელოები. მერე და მერე ამყვნენ... თბილისში მამაპაპურ, ქართულ სუფრაზე მეგონა თავი... ძალიან მოვეწონეთ იაპონელებს. ფირმის პრეზიდენტმა კი, ბევრი საჩუქარი მოგვართვა და ტაქსითაც გამოგვისტუმრა. ჩვენი მოგზაურობის ბოლო დღე იყო. იაპონიაში გემით ვიყავით ჩასულები. საბჭოთა კავშირის პერიოდი იყო და ჩვენთან ერთად, რუსეთისა და უზბეკეთის ჯგუფებიც იყვნენ. ზუსტად იმ დროს მივედით, როდესაც ტრაპზე ადიოდნენ. გამოიხედეს და რას ხედავენ? — გაჩერდა მანქანა, გადმოვედით მე და ოპერატორი — ორივე, მაგარი მთვრალი, — და გადმოვზიდეთ მანქანიდან საჩუქრები, პარკები და დიდი ყუთები. იცით, როგორი თვალებით გვიყურებდნენ? ლამის გადაგვყლაპეს! ალბათ ფიქრობდნენ: ვინ არიან ეს ქართველები? ყველგან ჩვენზე წინ რომ აყენებენ და ასე საჩუქრებით დატვირთულებს ისტუმრებენო?!.

— **საზღვარგარეთ ქართველებს ხშირად ხვდებოდით ხოლმე?**

— ამ კითხვის პასუხად, ერთ ამბავს

გიორგი დემეტრაძესა და კახი კალაძესთან ერთად

მოგიყვებით. იტალიაში გავემგზავრე. ნაცნობებმა ერთი კაცის ტელეფონის ნომერი მომცეს — დაურეკე და ყველაფერში დაგეხმარებაო. ქუჩაში ვდგავარ და სატელეფონო ჯიხურიდან ვცდილობ დარეკვას. ვაგდებ ჟეტონს — არ ვარდება, ვაგდებ — არ ვარდება; ერთი სიტყვით, ძალიან გავწვალდი და ამის დედაც-მეთქი! — შევიგინე. ამ დროს, ვიღაც კაცმა გვერდით ჩამიარა, მაგრამ ჩემს სიტყვებზე მოტრიალდა და მეუბნება: მოიცა, გენაცვალე, რაშია საქმე, რა გიჭირსო?.. ქართველი არ ყოფილა?! ვერ ვრეკავ-მეთქი, — ვუპასუხე. აკრიბა ნომერი, ყურმილი მომაწოდა — დაელაპარაკეო, — მითხრა და წავიდა თავისი გზით. მადლობა კი გადავუხადე, მაგრამ გაოცებული დავრჩი: წარმოგიდგენიათ? რომში მაინცდამაინც ქართველმა გაიგონა ჩემი ნათქვამი, თან არც კი დამელაპარაკა — დამეხმარა და წავიდა, ვითომ, ასეც უნდა ყოფილიყო... არ დაგავიწყდეთ — ეს ის დროა, როდესაც ქართველები უცხოეთში დღევანდელივით მიმოფანტულები არ იყვნენ...

— **ამჟამად თუ მუშაობთ ფილმზე და საერთოდ, რა სიტუაციაა „ქართულ ტელეფილმში“ — თუ ახერხებთ ფილმების გადაღებას?**

— როგორც იცით, „ქართული ტელეფილმის“ დირექტორი ქალბატონი მანანა შევარდნაძე *(საქართველოს პრეზიდენტის ქალიშვილი. — ავტ.)* გახლავთ, სამხატვრო ხელმძღვანელი — მერაბ კოკოჩაშვილი. ეს ადამიანები ყველანაირად ცდილობენ, რომ რაღაც ახალი შეიქმნას, მაგრამ... საშინელი სიტუაციაა — არადა, ჩვენი სტუდია ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ საბჭოთა კავშირში. ახალ ფილმს რომ ჩავიტანდით მოსკოვში, ატყდებოდა ერთი ამბავი: ქართველები ჩამოვიდნენ, ე.ი. რაღაცას საინტერესოს ჩამოიტანდნენო.

სტუდიის დღევანდელი დაფინანსება მხოლოდ 3-4 ფილმს თუ გასწვდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალბატონი მანანას ხელშეწყობითა და გია ჯოხთაბერიძის დახმარებით, ამ რამდენიმე ხნის წინ გადავიღე კიდევ ერთი ფილმი — „ჩვენ ევროპელები ვართ“. ■



„ცხელი ცხვრით" თბილისში ჭყონეულანთან ფაზანებს

ნათია გუმბერიძე

ზესტაფონის რაიონის სოფელ სადგურსვირში უკვე სამი წელიწადია, რაც ხოხბების გამრავლებაზე ზრუნავენ. ამ კერძო მეურნეობით რამდენიმე ადამიანია დაკავებული, ხოხბების რაოდენობა კი სულ უფრო იზრდება. წელს მათმა რიცხვმა 200-ს მიაღწია. ეს უცნაური საქმიანობა ახლო სოფლებშიც ნაკლებად არის ცნობილი. ჯერ მოვაშენებთ და მერე ყველას გავაგებინებთო, — გვითხრა ერთ-ერთმა მეპატრონემ ავთო თუთარაშვილმა, რომელსაც ფერმაში ვესტუმრე.

ავთო თუთარაშვილი

— აქ ოთხი ჯიში გვყავს: კოლხური, მონღოლური, ევროპული და რუმინული. მონღოლური „წითელ წიგნშია" შეტანილი. განსაკუთრებით ფრანგები ზრუნავენ ამ ფრინველების გამრავლებაზე, რადგან ისინი უფრთხილდებიან თავიანთ ჯანმრთელობას: ხოხბის ხორცი არ შეიცავს ქოლესტერინს, ნახშირჟანგებს და ა.შ. ამიტომ ყველანაირად უვნებელია. ჩვენ, ქართველები ნაკლებად ვზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

— ვინ არის ამ იდეის ავტორი?

— იდეის ავტორი ამ სოფელში მცხოვრები მურად ჯუღელია. მას ცოლშვილი საფრანგეთში ჰყავს. ჯერ კიდევ სამი წლის წინ იყო ჩასული მათ სანახავად. იქ ერთ ქალს შეხვდა, რომელსაც ანალოგიური მეურნეობა აქვს და ასე დაიბადა იდეა, რომ საქართველოშიც მოგვეშენებინა ეს ფრინველები. ჩვენ საქართველოში ცოცხალი ხოხობი არ შემოგვიყვანია. შემოვიტანეთ 200 კვერცხი და შევეცადეთ მათ გამრავლებას.

— ამაყობთ თუ არა თქვენი მეურნეობით?

— ვამაყობ იმით, რომ ფრანგების რეკორდი მოვხსენით: 200 კვერცხიდან 50%-ის ნაცვლად, 80% გამოიჩეკა. ადვილად შეეგუვნენ გარემო პირობებს, წელს კი პირველად გავსინჯეთ ხოხბის ჩახოხბილი — ბრწყინვალეა!.. სხვათა შორის, აქ ფარშევანგებიც გვყავს, თუმცა ხოხბის მოვლა უფრო იოლია. გაზაფხულიდან ერთი ხოხობი დაახლოებით 35-40 კვერცხს დებს. ამ ფრინველს უცნაური ინსტინქტი ახასიათებს: 12 კვერცხს დადებს და ჩერდება. ჩვენც ცოტას ვეშმაკობთ — ხომ იცით, მაინც ქართველები ვართ... ჩუმად ვაცლით კვერცხს. ხოხობი ხვდება, კვერცხი რომ აკლია და კვლავ ავსებს 12-მდე. ზედმეტ კვერცხებზე კი, იაპონურ ქათამს ვსვამთ და ამით რაოდენობას კიდევ უფრო ვზრდით.

— რით იკვებებიან ახალგამოჩეკილი ხოხბები?

— იცით, თავდაპირველად ძალიან გაგვიჭირდა მათი გამოკვება, მერე შევეჩვიეთ. ისინი პატარა ბავშვებივით არიან, გულიანი მოვლა უნდათ. საკვები საზღვარგარეთიდან ჩამოგვაქვს. ისე, სტაფილოსა და კომბოსტოსაც ვაჭმევთ. ვიტამინებიც აუცილებელია.

— იცნობთ თუ არა თქვენნაირ მოხალისეებს ამ საქმეში?

— თბილისში არის ორიოდე ადამიანი. თუმცა, მათ არ ჰყავთ იმდენი ხოხობი, რამდენიც ჩვენ. საქართველოში ჩვენ პირველები ვართ, ვინც მალე გააკვირვებს ხალხს ხოხბის ჩახოხბილით. ახლა თბილისში ვაპირებთ ბაზის გახსნას, რა თქმა უნდა, იქ უფრო მეტ ინტერესს გამოიჩენენ. იქ ხოხობს დეკორაციისთვისაც ყიდულობენ. ბევრმა არ იცის, რომ თუ მას ერთი ფრთიდან გამოაცლი ბუმბულს, ფრინველი წონასწორობას კარგავს და მერე, შეიძლება თავისუფლად გაუშვა ეზოში.

— თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე გაგეშვათ რამდენიმე ხოხობი, იქნებ ამით საქართველოში ბუნებრივად მომრავლებულიყო ეს ჯიშები?

— გავუშვებთ, თუ მის საფასურს აგვინაზღაურებენ. მათ გამრავლებაზე საკმაოდ სოლიდური თანხა დაიხარჯა. მარტო ერთი კვერცხის ჩამოტანა 6 დოლარი ჯდება, დანარჩენი თქვენ თვითონ განსაზღვრეთ. ბევრ ადამიანს ნადირობის ეშხი აქვს. ჩვენ ხშირად ვხუმრობთ ხოლმე: ჩამოვიდნენ, რამდენიც უნდაც — დახოცონ, ოღონდ აქ ქალაქი გააშენონ, კარგი ქალაქი...

— დაახლოებით რამდენი ადამიანი უვლის ფრინველებს?

— მომვლელად ერთი ქალი გვყავს აყვანილი. ისე, ათი კაცი ვართ და ათივენი მათი მოვლით ვართ დაკავებულები.

— სამომავლოდ, რა გეგმები გაქვთ?

— 500-მდე მაინც უნდა გაიზარდოს რაოდენობა, რომ მათი რეალიზაცია დავიწყოთ. პირველ რიგში, „მეტეხის" სასტუმროსთან შევთანხმდით — კილოგრამში 12 დოლარად. ბაზარში ჯერ არ გაგვიტანია გასაყიდად. ისე, მხოლოდ მამალ ხოხობს გავიმეტებთ 100 ლარად. მოხალისეებს კი, შეგვიძლია კვერცხი მივყიდოთ... ■

ხალხი და ექსპერტები 10 საუკეთესო ეროვნულ პროდუქტს ასახელებენ

ქართული ბიზნეს-სტრუქტურები 2003 წლის დასაწყისში

10 საუკეთესო ქართული პროდუქტი

ხალხის რჩეულები

1. "სანტეს" რძის პროდუქტები	1188
2. "ნიკორას" ხორცის პროდუქტები	1114
3. ლუდი "ყაზბეგი"	1020
4. ყაზბეგის "ცივი ჩაი"	980
5. მინ.წყალი "ბორჯომი"	812
6. "სამგორის" რძის პროდუქტები	680
7. "ამალთეას" რძის პროდუქტები	524
8. "სანტეს" წვენები	428
9. ქართული "კოკა-კოლა"	364
10. ლუდი "ლომისი"	264

ექსპერტთა რჩეულები

1. მინ.წყალი "ბორჯომი"	279
2. "ნიკორას" ხორცის პროდუქტები	219
3. ლუდი "ყაზბეგი"	151
4. "სანტეს" რძის პროდუქტები	120
5. "სანტეს" წვენები	101
6. "სამგორის" ნაყინი	86
7. "ამალთეას" რძის პროდუქტები	75
8. "რუსთავცემენტის" ცემენტი	69
9. ყაზბეგის "ცივი ჩაი"	61
10. ღვინო "ხვანჭკარა"	57

10 საუკეთესო კომპანია კვების პროდუქტების წარმოების სფეროში

ხალხის რჩეულები

1. "ნიკორა"	3288
2. "სანტე უოლშ პროდუქტები"	2938
3. "ყაზბეგი"	2160
4. "ამალთეა"	1676
5. "სანდო"	1546
6. "წეროვანი"	1182
7. "სამგორი"	938
8. "კოდა"	723
9. "შაორი"	491
10. "თოლია"	304

ექსპერტთა რჩეულები

1. "ნიკორა"	460
2. "სანტე უოლშ პროდუქტები"	250
3. "სამგორი"	232
4. "ამალთეა"	171
5. "ყაზბეგი"	202
6. "წეროვანი"	189
7. "სანდო"	169
8. "ლომა"	110
9. "აგარა"	93
10. "შაორი"	50

10 საუკეთესო კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოების სფეროში

ხალხის რჩეულები

1. "ღვ. და ალკ. სასმ. კომპანია"(GWS)	4028
2. "ყაზბეგი"	3576
3. "ბაგრატიონი - 1882"	1854
4. "ვაზიანი"	1288
5. "სარაჯიშვილი"	927
6. "თბილღვინო"	681
7. "ტრიუმფი"	556
8. "გომი"	541
9. "სამგორი ალკო"	360
10. "თელავის ღვინის მარანი"	291

ექსპერტთა რჩეულები

1. "ღვ. და ალკ. სასმ. კომპანია"(GWS)	545
2. "თბილღვინო"	285
3. "ბაგრატიონი - 1882"	196
4. "თელავის ღვინის მარანი"	180
5. "ვაზიანი"	149
6. "ყაზბეგი"	131
7. "სამება"	120
8. "სარაჯიშვილი"	89
9. "ტრიუმფი"	72
10. "გომი"	63

სოციოლოგიური კვლევების ცენტრი "რეიტინგი-კავკასია" აჯამებს გამოკვლევის შედეგებს, რომელიც 10 საუკეთესო ქართული პროდუქტისა და ბიზნეს-სტრუქტურების რეიტინგის დადგენის მიზნით ჩატარდა. ასეთი კვლევების პროფესიულ დონეზე და კეთილსინდისიერად განხორციელება ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში ხელს უწყობს ბიზნესსუბიექტების განვითარებას, მათი მდგომარეობის შუქ-ჩრდილების წარმოჩენას, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებას და სწორი, მართალი საზოგადოებრივი აზრის შექმნას ბაზარზე ჩვეულებრივ, ბუნებრივად აგრესიულად მოქმედი სამეწარმეო წარმონაქმნების მიმართ. ამ გზით იგებს მოქალაქეც, იგებს ბიზნესმენიც და მოგებული რჩება მთელი საზოგადოებაც, რადგან გამჭვირვალობა და საჯაროობა ის ისტრუმენტებია, რომლითაც ხალხი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს მეწარმე-სუბიექტების მოჭარბებულ აქტივობას ბაზრის მეტი სეგმენტის დაკავებისა და მეტი პროდუქციის გასაღების მიზნით.

"რეიტინგი-კავკასიამ" საქართველოში პირველმა დაადგინა თუ რომელი ათი პროდუქტია საუკეთესო ხალხის და ექსპერტების თვალსაზრისით.

ექსპერტული ვერსია სახალხო პროდუქციის მასისმიერი აღქმის ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენს, რაც არასრულფასოვანი საინფორმაციო გარემოს პირობებში ჭეშმარიტი სურათის დადგენაში ეხმარება დაინტერესებულ პირებს.

საუკეთესო ქართული კომპანიების რეიტინგული მონაცემების ანალიზი ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი არამდგრადი სამეწარმეო გარემოს მქონე ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. აქ მაღალია "ჩრდილოვანი ეკონომიკის" წილი, შავი ფულის გათეთრების ხარისხი და ყოველ საქმეში ჩადებული კაპიტალის წარმომავლობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში ეკონომიკის ლეგალურ სეგმენტში მომუშავე კომპანიების წახალისება, შეიძლება ითქვას, წმინდათაწმინდა საქმეა. საგამომცემლო სახლი "ჯორჯიან ტაიმსი" აწყობს ავტორიტეტულ კონკურსს წლის საუკეთესო ქართველი მეწარმეებისა და კომპანიების გამოსავლენად.

ახლახანს დაფუძნდა უაღრესად პერსპექტიული ფესტივალი "სახალხო ნიშანი", რომელიც, მაღალ დონეზე ჩატარებული კვლევების შედეგად, საუკეთესო ქართული სახალხო პროდუქტისა და საუკეთესო კომპანიების დადგენას აპირებს.

ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუ "რეიტინგი-კავკასიის" გამოკითხვის შედეგები დახმარებას გაუწევს მაღალი დონის ეკონომიკური ფორუმების ორგანიზატორებს. "რეიტინგი-კავკასია" მზადაა მათთან თანამშრომლობისათვის. ესეც რომ არ იყოს, ტარდება სხვა კონკურსებიც, სხვა სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევებიც. ჩვენი კომპანიის მიერ დადგენილი შედეგები, გარწმუნებთ, სხვათა გამოკვლევების ჭეშმარიტების გადამოწმების საუცხოო საშუალებაა. ჩვენც გულისყურით ვეკიდებით სხვა კომპანიების შედეგებს.

ბაზარზე არსებულ რეალურ სურათზე კი, ჩვენს კომენტარზე უკეთ, თავად კვლევების შედეგები მეტყველებს.

10 საუკეთესო კომპანია კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის სფეროში

ხალხის რჩეულები

1. "მაგთი GSM"	5158
2. "ჯეოსელი"	4406
3. "ჯორჯია ონლაინი"	2008
4. "ახალი ქსელები"	1588
5. "საქართველოს ტელეკომი"	1092
6. "გლობალ ერთი"	776
7. "მეგაკომი"	619
8. "საქართველოს ელექტროკავშირი"	223
9. "ახტელი"	264
10. "ჯეონეთი"	132

ექსპერტთა რჩეულები

1. "ჯეოსელი"	552
2. "მაგთი GSM"	534
3. "ახალი ქსელები"	225
4. "ჯორჯია ონლაინი"	189
5. "საქართველოს ტელეკომი"	148
6. "საქართველოს ელექტროკავშირი"	105
7. "გლობალ ერთი"	81
8. "ახტელი"	62
9. "მეგაკომი"	55
10. "აიეტი-TV"	42

10 საუკეთესო კომპანია დაზღვევის სფეროში

ხალხის რჩეულები

1. "ალდაგი"	5904
2. "იმედი L"	4688
3. "ბრიტანეთი-კავკასია"	3916
4. "საპენსიო - სადაზღვევო ჰოლდინგი"	2546
5. "მადლი"	972
6. "ნაბათი"	846
7. "ჰელიოსი"	240
8. -	-
9. -	-
10. -	-

ექსპერტთა რჩეულები

1. "ალდაგი"	675
2. "იმედი L"	465
3. "ბრიტანეთი-კავკასია"	266
4. "საპენსიო - სადაზღვევო ჰოლდინგი"	245
5. "ნაბათი"	120
6. "ჰელიოსი"	54
7. "მადლი"	32
8. -	-
9. -	-
10. -	-

სოციოლოგიურ ცენტრ "რეიტინგი-კავკასიას" ანალიტიკური ჯგუფი

ახალგათხოვილი თეა გოგეჯიშვილი საკუთარი გარეგნობისთვის ვერ იცლის

შვილთან, ნიკასთან ერთად

შოუბალეტ „ვერნისაჟის“ ხელმძღვანელს — თეა გოგეჯიშვილს გემოვნებაზე სასაუბროდ შევხვდი. თეას, მართალია, პატარა და როგორც თვითონ ამბობს — „კოკროჭინა“ — მაგრამ ძალიან მყუდრო ბინა აქვს. „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახლში სიმყუდროვე იყოს. ამ მხრივ, ეს ბინა ძალიან მოსახერხებელია“, — ამბობს თეა. ამ „კოკროჭინა“ ბინაში ის შვილთან — 10 წლის ნიკა ლაბილაძესთან, დედასთან და მეუღლესთან — ცნობილ ტელეწამყვან ნიკუშა ლომიძესთან ერთად ცხოვრობს. თეამ და ნიკუშამ, სულ ცოტა ხნის წინ დაიწყეს ერთად ცხოვრება. მათ ჯერ არც ჯვარი დაუწერიათ და არც ქორწილი ჰქონიათ, თუმცა ამაზე მოგვიანებით...

ნათია თენიეშვილი

— დახვეწილი გემოვნება ყველა ხელოვან ადამიანს სჭირდება, მით უმეტეს ჩემი სფეროს წარმომადგენელს. თუ ეს კომპონენტი არ არსებობს, არათუ ძალიან ძნელია, რაიმე გააკეთო, არამედ შეუძლებელიც კი: ჩვენ დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვდივართ და უნდა ვაკმაყოფილებდეთ ისეთ კრიტიკულ მაყურებელსაც კი, როგორიც ქართველი მაყურებელია. პროგრამის, მუსიკის, კოსტიუმის არჩევა და კომპოზიციის შექმნა, გემოვნებაზეა დამოკიდებული.

— „ვერნისაჟის“ საკონცერტო კოსტიუმები ვისი გემოვნებით იქმნება?

— თუ რომელიმე კონკრეტული მომღერლის კონცერტია, მაშინ მასთან შეთანხმებით, ან მისი კოსტიუმიდან გამომდინარე, ხდება ჩვენი ტანსაცმლის შექმნა. რაც შეეხება ჩვენს საპროგრამო კოსტიუმებს — ის მთლიანად ჩემი პირადი გემოვნებით არის შერჩეული. საცეკვაო კოსტიუმის შექმნა ძნელია. ძალიან ბევრი შტრიხი და ნიუანსია გასათვალისწინებელი. ის უნდა იყოს ძალიან მოხერხებული, რომ გაუძლოს ამდენ მოძრაობას, მასში აუცილებლად უნდა ჩანდეს ცეკვის ხასიათი და უნდა იყოს ლამაზი.

— ყოველდღიურად როგორი სტილის ტანსაცმელს ანიჭებ უპირატესობას?



ნიკუშა ლომიძე

— მე ძალიან მომწონს მაკა ასათიანის ნამუშევრები, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, რომ კლასიკურად ჩავიცვა. ჩემი დღის რეჟიმიდან გამომდინარე უფრო თავისუფლად და სპორტულად, ვიცვამ. კლასიკურად ვიცვამ მხოლოდ მაშინ, როცა სადმე მივდივარ.

— დედა არ ერევა ხოლმე შენს ჩაცმულობაში?

— სულ ამაზე გვაქვს კამათი. დატანჯულია იმით, რომ მე ყოველდღე სპორტულად ჩაცმულს მხედავს. მას მოსწონს, როცა მაცვია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, გაკეთებული მაქვს მაკიაჟი და ვარ მოწესრიგებული. როცა სადმე მივდივარ და გამოვიპრანჭები, ამბობს ხოლმე: ძლივს არ დაემსგავსე ქალსო?! თვითონ ძალიან მოწესრიგებულია. პურის საყიდლადაც კი, არავითარ შემთხვევაში მოუწესრიგებელი არ გავა. ეს ქალისთვის ძალიან დიდი პლუსია, მაგრამ მე ამას ვერ ვახერხებ.

— შენს შვილს, ნიკუშას ვისი გემოვნებით აცვია?

— ტანსაცმელს მე ვყიდულობ, მაგრამ დედაჩემი აცმევს. სკოლაში ადრე მიდის და მე მაგ დროს მძინავს.

— სახლში საყვარელი ადგილი თუ გაქვს?

— ძალიან მიყვარს სამზარეულოში ჯდომა. იმ სახლებში, სადაც ადრე ვცხოვრობდით, ყოველთვის სამზარეულოში ვიჯექი და სტუმრებიც იქ შემოდიოდნენ ხოლმე. აქ ამას ვერ ვახერხებ, რადგან სამზარეულო ძალიან პატარაა. ახლა, როცა შინ ვარ, ძირითადად დროს მისაღებ ოთახში ვატარებ ხოლმე.

— სამზარეულოში ყოფნა და რაღაც კერძის მომზადება თუ გიწევს?

— ძალიან იშვიათად. იმიტომ, რომ შინ არა ვარ და ფაქტობრივად, ქუჩაში მიწევს ჭამა.

— ნიკუშა როგორ ეგუება იმას, რომ დედას იშვიათად ნახულობს ხოლმე?

— მე ყოველთვის ვცდილობ, მივუსწრო მანამ, სანამ დაიძინებს და მასთან ერთად ვიყო. თუ დასვენების დღე მაქვს, იმასაც მაქსიმალურად, მასთან ერთად ვატარებ ხოლმე, მაგრამ მაინც ძალიან ძნელად ეგუება. ამის გამო სულ ჯუჯღუნებს. უჭირს, მაგრამ რას იზამს?

— შენს შვილს არა აქვს ცეკვის მონაცემები?

— მონაცემები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, სურვილი — არა. მას ფეხბურთი და ჭადრაკი უყვარს, ცეკვა — ნაკლებად. ისე, ძალიან მოსწონს, რეპეტიციებზეც დადის ხოლმე და უყურებს, მაგრამ ფანატი არის ფეხბურთის და არა ცეკვის.

— თეა, თუ გაქვს რაიმე ისეთი საყვარელი ნივთი, რომელსაც ვერაფრით დათმობდი?

— არ ვიცი, შეიძლება თუ არა საყვარელ ნივთად ჩაითვალოს, მაგრამ სუნამოს ბოთლებს ვინახავ. რატომ უნდა შეინახო ცარიელი ბოთლი, არ მესმის, მაგრამ ასე მოხდა ჩემს ცხოვრებაში — ვერ ვყრი და ვაგროვებ. ძალიან მიყვარს სახლის ინტერიერის წვრილმანები, პაჭაპუჭა ბროლის პატარა სტატუეტები და ა.შ.

— ტანსაცმელს თბილისში ყიდულობ თუ საზღვარგარეთ?

— ძირითადად, საზღვარგარეთ ვყიდულობ. იქ დროც უფრო მეტი მაქვს და მირჩევნია კიდეც. ძალიან ძნელია ჩემთვის,თბილისში ვიპოვო ისეთი რაღაც, რაც მჭირდება და მინდა.

— თეა, საჩუქრებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ვგიჟდები, ისე მიყვარს. მნიშვნელობა არა აქვს, რას მაჩუქებენ, მთავარია — მაჩუქონ. მეც ძალიან მიყვარს საჩუქრების მირთმევა — ვყიდულობ ყოველთვის, იმ ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე, ვისაც უნდა ვაჩუქო.

— ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რომელიც შენთვის მოურთმევიათ?

— ნებისმიერი საჩუქარი, რაც უფრო საყვარელი ადამიანისაგან არის, მით უფრო საყვარელია. მთავარი ალბათ ის არის, თუ ვინ გჩუქნის.

— კონცერტების დროს მაკიაჟს, ანსამბლის წევრები თვითონ იკეთებთ ხოლმე თუ ვიზაჟისტი გყავთ?

— ჩვენ თვითონ ვიკეთებთ. ამის გაკეთება თეატრალურ ინსტიტუტში ვისწავლე. ყველა სცენისთვის სხვადასხვა მაკიაჟია საჭირო. თუ სცენა დიდია, მაშინ მაკიაჟიც უფრო მკვეთრი უნდა იყოს. თუ პატარა სცენაა, მაშინ — შედარებით ნაკლები. ცხოვრებაში კი, რაც უფრო ნაკლები მაკიაჟი გაქვს, მით უფრო კარგია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.



აქ ამას ვერ ვახერხებ, რადგან სამზარეულო ძალიან პატარაა

— თმას ყოველთვის უკან გადაწეულს ატარებ. შეჭრა არ გიცდია?

— სამი წლის წინ მქონდა მოკლე თმა და ძალიან ვინანე. მთელი ცხოვრება გრძელ თმას ვატარებდი და მერე გაზრდა ძალიან გამიჭირდა. მე მომწონს ქალზე გრძელი თმა. ხან გაშლილს ვატარებ, ხან გადაწეულს და ხან — შუაზე გაყოფილს. ნაირ-ნაირი ვარცხნილობით მაინცდამაინც არ „ვანებივრებ“ ჩემს თმას — ამის დრო ნამდვილად არა მაქვს. როგორც მოვახერხებ, ისე ვიკეთებ და გავრბივარ ხოლმე... თუ რაღაც განსაკუთრებული ხდება, იმ შემთხვევაში ვიკეთებ ხოლმე ვარცხნილობას სილამაზის სალონში.

— საკუთარი თავის მოვლას რამდენ დროს უთმობ?

— ძალიან ცოტას. სარკეში თვალის შევლებას მხოლოდ სახლიდან გასვლის წინ ვასწრებ. ერთადერთი, რითიც საკუთარ თავს ვანებივრებ, არის — დილის ძილი, რადგან დილის ძილი ძალიან ნაყოფიერია ჩემთვის. დაღლილი რომ ვწვები, მთელი ღამე ისევ რეპეტიციები და კონცერტები მესიზმრება. აი, დილისკენ კი, ნაყოფიერი ძილი მაქვს. ერთი საათით ადრე ვდგები, ვბანაობ, ვიცვამ — რაც ხელში მომხვდება და გავრბივარ.

— აქსესუარები არ გიყვარს?

— ძალიან მიყვარს კეპი და ვატარებ კიდეც ხშირად. მაქვს ბევრი, მაგრამ საყვარელი, ერთია. ასე ვიცი, რაღაცის ამოჩემება და რომ გადავეკიდები, მერე ველარ

მთელი ღამე ისევ რეპეტიციები და კონცერტები მესიზმრება

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გეგახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ ააგო საჩხერეში, ციცაგო კლდეზე მოდინახეს ციხესიმაგრე?

ა) თამარ მეფემ;
ბ) პაპუნა წერეთელმა;
გ) ვახტანგ მეექვსემ.

2. ვის მიუძღვნა 2000 წელს მიღებული „ოქროს ბურთი“ ლუიშ ფიგუმ?

ა) პორტუგალიას;
ბ) მეუღლესა და ქალიშვილს;
გ) მამას.

3. რა სახელმწიფო ჯილდო აძვს ძართლოს კასრაძეს?

ა) მედალი – „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისთვის“;
ბ) „წითელი ჯვრის“ მედალი – გაჭირვებულთათვის სისხლის უანგაროდ გაღებისათვის;
გ) „ღირსების ორდენი“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გემოვნება

შვილთან და დედასთან ერთად

ვიცილებ. აქსესუარები, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ ხშირად არ ვატარებ. ბეჭდებსაც იშვიათად ვიკეთებ ხოლმე.

— პატარა ნიკუშამ დიდი ნიკუშა როგორ მიიღო?

– ძალიან კარგად, იმიტომ, რომ ძალიან უყვარს. კარგი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ გვაქვს ერთი სირთულე: რომ დავიძახებ „ნიკუშა!“, იქიდან ყვირიან – რომელიო? იმედია, რაღაცას მოვახერხებთ. გადავარქ-გადმოვარქმევთ და ვიპოვით გამოსავალს.

— შენც და ნიკუშასაც დაძაბული დღის რეჟიმი გაქვთ. ერთმანეთის ნახვას ახერხებთ?

– მაქსიმალურად ვცდილობთ. როცა შესვენება მაქვს, აუცილებლად მოდის და სასადილოდ ერთად მივდივართ. საღამოს, რა თქმა უნდა, ერთად ვართ. მერე თვითონ გარბის, მორბის, ხან მე გავრბივარ და ასე შემდეგ. მაგრამ, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ერთად ვიყოთ.

— ცოტა ხნის წინ ამბობდი — არასდროს გავთხოვდებიო. რა შეიცვალა მას შემდეგ?

– მაშინ ვფიქრობდი, რომ ძალიან ძნელია ამ ნაბიჯის მეორედ გადადგმა.

— მაგრამ ეს ნაბიჯი მაინც გადადგი. რითი მოგხიბლა ნიკუშამ?

– ეს სიყვარულია...

— როგორ ფიქრობ — შენ რით მოხიბლე?

– ალბათ ესეც სიყვარულია...

— შენი და ნიკუშას გემოვნება თუ ემთხვევა ერთმანეთს?

– ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა. მე მომწონს, როცა ვიცვამ იმას, რაც მიხდება, როცა ნებისმიერი ადამიანი იცვამს იმას, რაც უხდება. ნიკუშაც ყოველთვის იცვამს იმას, რაც უხდება.

— როგორ გაიცანით შენ და ნიკამ ერთმანეთი?

– საკმაოდ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ. საერთო მეგობრების წრე გვყავს, რატომღაც ისე მოხდა, რომ უცებ დავახლოვდით. რაღაც, ძალიან უცებ მოხდა ყველაფერი...

— პატარა ნიკუშა არ ეჭვიანობს დიდ ნიკუშაზე?

– არა, ძალიან უყვარს და არა მგონია, რომ იეჭვიანოს.

— შვილის გაჩენას აპირებთ?

– კი, ვაპირებთ. ოღონდ, როდის – ამას ახლა ვერ გეტყვით.

— ნიკუშა როგორ ცეკვავს?

– „იმუქრება“: ცოტა რეპეტიცია მჭირდება და მერე მე ვიცი!..

— ანუ შეიძლება, ქართველმა მაყურებელმა ერთ მშვენიერ დღეს თქვენი დუეტი სცენაზეც იხილოს?

– რა ვიცი. ამბობს: მოდი, ერთი სიმღერა ჩავწეროთ, მერე ერთი ცეკვაც დავდგათ და ასე შემდეგო. ხუმრობს, რა თქმა უნდა...

■



მაშინ ვფიქრობდი, რომ ძალიან ძნელია ამ ნაბიჯის მეორედ გადადგმა

ნანა ქიბიშაური

გიორგი პაპავა (მარჯვნივ) თანამებრძოლებთან ერთად

sami weli germanelTa tyveobaSi

„თუ თანამდებობა არ გიწყობს ხელს, რაც არ უნდა შესძინო ეკონომიკური მეცნიერების ამა თუ იმ დარგს, მაინც არ გაღიარებენ საქართველოში. შესაძლოა, გაღიარონ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, იმიტომ, რომ საქართველოში მკვდრების არ შურთ...“ — ეს გამონათქვამი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გიორგი პაპავას** *ეკუთვნის. არადა, სულ ცოტა ხნის წინ, ისეთი იუბილე გადაუხადეს და იმდენი ისაუბრეს მის ღვაწლსა და დამსახურებაზე, ეკონომიკური, მეცნიერების განვითარებაში შეტანილ წვლილზე, რომ ბატონი გიორგი დაეჭვდა: ჯერჯერობით ისევ ცოცხლებში ვწერივარ და ის, რაც ჩემს თავს ხდება, ჩემსავე მოსაზრებას ეწინააღმდეგებაო...*

გიორგი პაპავა უკვე 80 წლისაა. როცა თავის ასაკს იტყვის და თანამოსაუბრის გაოცებულ მზერას დაიჭერს, სიცილით დასძენს ხოლმე: მთელი ცხოვრება ასე ვარ — ყოველთვის გაცილებით ნაკლები წლოვანებისას ვგავდიო. არადა, მართლაც ძნელია, არ გაოცდე: ბატონი გიორგი ისე მხნედ და ენერგიულად გამოიყურება, ბევრ, 50 წლის კაცსაც კი შეშურდება. დღემდე, 6 ადგილზე მუშაობს და ყველგან მიაჩნიათ, რომ იმ საქმეში, რასაც ის აკეთებს, შეუცვლელია. 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი ბოლო ნაშრომია: „საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში“.

ასეთი „ეკონომიკური“ შესავლის შემდეგ, ზოგს ალბათ გაუკვირდება, რომ ამ დარგს აღარ შევეხებით, მაგრამ ბატონ გოგის იმდენად მდიდარი და დრამატული ამბებით აღსავსე ცხოვრება აქვს გამოვლილი, რომ ამჯერად, მხოლოდ შორეული წარსულის გახსენება ვთხოვე — კერძოდ ის, თუ რა გადახდა II მსოფლიო ომის დროს. ბუნებრივია, ტკივილიანი წარსულის გახსენება მისთვის ადვილი არ არის, მაგრამ წლები მაინც სიმძაფრეს აკლებს განცდილს. გიორგი პაპავა თვითმხილველია იმისა, თუ როგორ იტანჯებოდნენ ტყვეები გესტაპოელთა ბანაკებში. ის არის კაცი, რომელმაც 3 წელი დაყო ტყვეობაში (მათ შორის 6 თვე გესტაპოს ციხეში) და სიკვდილმისჯილმა, საკუთარ თავზე გამოსცადა ფაშიზმის მთელი სისასტიკე.

— ბატონო გიორგი, რატომღაც მგონია, რომ ყველა, ვინც მეცნიერებაში გამოიჩინა თავი, აუცილებლად ჯერ ფრიადოსანი მოსწავლე, შემდეგ, წარჩინებული სტუდენტი უნდა ყოფილიყო...

— ჩემს შემთხვევაში მთლად ასე არ ყოფილა. შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ არასრულ საშუალო სკოლაში სწავლისას მთლად „დალაგებული“ ვერ ვიყავი. მაშინ, „აცვენილ ახალგაზრდებს“ რომ უწოდებდნენ, ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. 11 „ორიანი“ მყავდა და ერთი „სამიანი“. ამის გამო ერთი კლასით უკან დამაბრუნეს. ასე იყო მანამდე, სანამ ჩემმა ოჯახმა არ შეიცვალა საცხოვრებელი ბინა, არ გამოვიცვალე სკოლა და უბანი. ახალ წრეში მოხვედრისთანავე 180 გრადუსით შევიცვალე და მაშინ კი, მართლა გავხდი კარგი მოსწავლე. სკოლა დავამთავრე და ანტიფაშისტური მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. დღესაც არ იცის ბევრმა, რა არის სინამდვილეში ფაშიზმი. ჩვენი პოლიტიკოსებიც კი, ზოგჯერ ერთმანეთის მისამართით ამბობენ ხოლმე ამ სიტყვას. ზოგიერთმა ისიც არ იცის, სად გადის ფაშიზმსა და ნაციონალიზმს შორის ზღვარი. მე ეს ყველაფერი ცხოვრებიდან ვიცი და მესმის. იმიტომ, რომ ფაშისტების გარემოცვაში არაერთი წელი გავატარე...

— პირველად როგორ აღმოჩნდით ტყვეობაში?

— ქერჩში ვიბრძოდი. რადისტი ვიყავი. მეხლისის ღალატის შემდეგ, ფრონტი გაიხსნა და რღვევა დაიწყო. გერმანელთა ავიაციამ ქვა ქვაზე არ დატოვა. ქერჩში შემოდის აზოვის ზღვის უბე. იქ დიდ ფართობზეა გაუვალი ტალახი. ეს ტალახი უნდა გადაგვეცურა, რომ მეორე ნაპირზე აღმოვჩენილიყავით — ძალიან მძიმე და ძნელი გზის გავლა მოგვიხდა. ხან მივდიოდი, ხან მივცურავდი. ჩექმები ტალახით მქონდა სავსე. გაჩერება არ შეიძლებოდა. მივდიოდი და გადატყავებულ ფეხებს ძლივს მივათრევდი. ტალახი გახმა. ფეხები გამისივდა და ჩექმის გახდა მის გაუჭრელად შეუძლებელი შეიქნა. დიდი გაჭირვებით მივაღწიე ნაპირს, შპალებს შორის ჩავვარდი და გრძნობა დავკარგე. გრძნობაზე რომ მოვედი, უკვე ტყვე ვიყავი. 1000 კაცამდე ვიქნებოდით. სიარული არ შემეძლო. ორი არჩევანის წინაშე ვიყავი: ან უნდა გავპარულიყავი, ან შევგუებოდი იმას, რომ დაცემისთანავე მომკლავდნენ. ტყვეებს ჩამოვრჩი და გზიდან გავიპარე. მშიოდა. ძალიან მომშივდა. იცით თუ არა, რომ დამშეული



გიორგი პაპავა

ტესტი ერუდიციაზე

1. ვინ ასრულებდა გედიას როლს მხ./ფ-ში „ნატვრის ხე“?

ა) მერაბ ნინიძე;
ბ) გია როინიშვილი;
გ) სოსო ჯაჭვლიანი.

2. რა ჰქვია ტრადიციულ იაპონურ აბანოს?



ა) ფურო;
ბ) მაცუე;
გ) კონსიუ.

3. XI საუკუნიდან XVII საუკუნემდე, საქართველოში მიღებული იყო ორგვარი წელთაღრიცხვა: სამოქალაქო — 1 იანვრიდან — და საეკლესიო...

ა) პირველი სექტემბრიდან;
ბ) 14 იანვრიდან;
გ) 23 ნოემბრიდან.

4. რა ერქვა ბილ კლინტონის ცნობილ ძაღლს, რომელიც მანქანამ გაიტანა?

ა) ნოი;
ბ) ბადი;
გ) აგენტი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ადამიანი შეიძლება მხეცზე უარესი გახდეს? მაძღარი მხეცი გაცილებით თვინიერია, ვიდრე დამშეული კაცი. აღარ ვფიქრობდი არც ტკივილზე, არც სიცოცხლესა და აღარც სიკვდილზე — მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მეპოვა რაიმე ისეთი, რისი დაღეჭვაც შეიძლებოდა. „კამენალომნია“ *(ქვის სამტეხლო. — ავტ.)* რომ აღმოვაჩინე, სიხარულით ცას ვეწიე. შევედი შიგნით და იქ ვნახე შავი, ობიანი პური და ტარანი. გამალებული ვჭამდი, გერმანელი რომ შემოვიდა და ავტომატით თავზე დამადგა. მანიშნა, ავმდგარიყავი. ავდექი. მესროლა და ამაცდინა. 18 წლის ვიყავი მაშინ. ხელები ამაწევინა, „კამენალომნიიდან“ გამომიყვანა და მანიშნა — წინ გამიძეხიო. მივდივარ, ძლივს ვახერხებ ნაბიჯების გადადგმას, თან ვფიქრობ: „აი, ახლა მესვრის, აი, ახლა...“ არ მესროლა! მერე მივხვდი — ზურგში არ მესვრის, ელოდება, როდის შევტრიალდები, რომ ჩემი სახე დაინახოს და ისე მომკლასმეთქი. არა და არ ვტრიალდები უკან. მივდივარ წინ და მომყვება უკან ჩემი სიკვდილი. შელამდა. გავჩერდი. მაინც არ მესროლა. შევტრიალდი და რომ მეგონა, გერმანელის თვალებს შევხვდებოდი... თურმე მივუტოვებივარ. როცა გავაცნობიერე, რა ხდებოდა ჩემს თავს, უეცრად კანკალმა ამიტანა, ძალა გამომეცალა და ჩვარივით დავვარდი მიწაზე. რიჟრაჟი იყო, გრძნობაზე რომ მოვედი. რკინიგზას მივყვებოდი, შორიახლოს, ხოხვით. მოულოდნელად რუმინელების კავალერია დამადგა თავს. გერმანელების მხარეს იბრძოდნენ. ხელახლა ჩავვარდი ტყვედ. ფეოდოსიაში, ტყვეთა გამანაწილებელ ბანაკში მოვხვდი. იქ ხშირად „ამცირებდნენ შტატებს“ — ყოველ მეხუთეს ხვრეტდნენ. არც ერთხელ არ აღმოვჩნდი მეხუთე. რაც იქ ვნახე, ჩემს ფსიქიკაზე იმდენად იმოქმედა, რომ ჩემს პიროვნებაში გარდატეხა მოხდა.

— ნუთუ იმუნიტეტი გამოგიმუშავდათ?..

— სიკვდილის გამუდმებულმა მოლოდინმა თავი ისე მომაბეზრა, რომ შიშის გრძნობა საერთოდ გამიქრა. არ ვიცი, კონკრეტულად, ეს როდის ან როგორ მოხდა, მაგრამ ეს ჩემს ქცევაში გამოვლინდა.

— როგორ?

— ისევ გავიქეცი. თუმცა, მალევე დამიჭირეს. მუშათა ბატალიონში მოვხვდი. სოფელ ბზეჟინაში გვამუშავებდნენ. იქ პოლონელ პარტიზანებთან მოვახერხეთ კავშირის დამყარება. „დიდი გაქცევის“ გეგმაც მოვამზადეთ, მაგრამ ვიღაცამ გაგვყიდა. მეორე დილით, 13 კაცი გამოგვიყვანეს და ტყისკენ წაგვიყვანეს. თურმე ამ 13-იდან ორი მოღალატე იყო. ვიცოდით, დასახვრეტად მივყავდით და ბედს შეგუებულები, ყოველგვარი შიშის გარეშე მივდიოდით. ერთი ტანდაბალი კაცი იყო, ჩირკაძე, ძალიან კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. უცებ გვესმის მისი ბურტყუნი: ამგენს არსენა ხომ არ ვგონივარ, მთელი არმია რომ დამესხა თავზე და მიმაცილებსო?! რა იყო თითქოს აქ სასაცილო, მაგრამ ქართველებს ისეთი ისტერიკული სიცილი აგვიტყდა, ვეღარ ვჩერდებოდით. გერმანელები დაგვერივნენ, ავტომატების კონდახებით დაგვიწყეს ცემა. მაინც ვიცინოდით. დახვრეტის ნაცვლად, „ჩორნი ვორონში“ შეგვყარეს და მიხოვის ციხეში წაგვიყვანეს. იქ გამომჟღავნდნენ მოღალატეები. სამწუხაროდ, ორივე ქართველი აღმოჩნდა.

— თქვენთვის ეს ორმაგად საწყენი იქნებოდა...

— უარესიც ვნახე მერე. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთმა ქართველმა 25 კაცი დააბეზღა და ისინი ლვოვის სასაფლაოზე დახვრიტეს. ის კაცი მერე ხრუშჩოვმა გაათავისუფლა პატიმრობიდან. მიხოვოდან მისლოვიცის ციხეში გადაგვიყვანეს, ერთი ვედრო წყალი დაგვიდგეს, პერგამენტის წვრილად დაჭრილი ქაღალდი მოგვიტანეს და ბაწრის დაწვნა გვიბრძანეს. პერგამენტი რომ სველდება, მისგან ძალიან მაგარი ბაწარი გამოდის თურმე. დღეში 153 მეტრი უნდა ჩაგვებარებინა, რომ „ბალანდა“ მოეცათ. ხელებიდან სისხლი გვდიოდა. დიდხანს მეტყობოდა თითებზე წითელი ზოლები, როგორც მისლოვიცის ციხის სახსოვარი... მალე გესტაპოელებმა „ესესელებს“ გადაგვაბარეს. საბჭოთა ჯარი რომ მოგვიახლოვდა, აგვიკრეს გუდა-ნაბადი და კარპატების მთებისკენ გაგვიყენეს გზას. ზამთარი იყო — ყინვა, ქარბუქი. 25 კმ-ის გავლის შემდეგ, უცებ ვიგრძენი, რომ სიცოცხლე მომბეზრდა და თავის მოკვლა დავაპირე. ვიქტორ ზაგორსკი აღმოჩნდა ჩემ გვერდით. ტყვეთა ნაკადს რომ ჩამოვრჩი, მიხვდა, რაღაც ცუდი მქონდა ჩაფიქრებული. ხელი მომკიდა, წიხლები მირტყა, დედა მაგინა, ტალახიანი თოვლი ჩამიდო პირში, გამომაფხიზლა, ისევ



პატარა გოგი მშობლებთან ერთად (ფოტომონტაჟი)

ტყვეთა წიაღში შემაგდო და გადამარჩინა. მერე ვიღაცამ, კოვზის წვერზე რომ დაეტევა, იმდენი შაქარი მომცა. რა ენერგიის მოცემა შეუძლია შაქარს თურმე! 25 კმ-ის შემდეგ, 800 კმ ისე გავიარე, რომ წარბი არ შემიხრია. ამის შემდეგ, ტორგაუში, „ბრუკენკოფის“ ციხეში აღმოვჩნდი. ეს გაძვალტყავებული ხალხი, ზოგი ტყეში ძირკვების ამოსაღებად დავყავდით, ზოგი ძაღლების მომვლელად გაგვამწესეს, ზოგს კი სამზარეულოში მიუჩინეს ადგილი.

— სამზარეულოში? პირველ ორთან შედარებით, ეს, მე მგონი, ყველაზე უკეთესი ადგილი იყო.

— ყველაზე უარესი! მოხარშულ კარტოფილს გვაფცქვნევინებდნენ. ცხვირში გვცემდა ცხელი ოხშივარი, მაგრამ თავზე მათრახიანი გერმანელები გვადგნენ და ხელს ოდნავ ზემოთ თუ ავწევდით, სახეში გვხვდებოდა მათრახი. გასწავლოთ, როგორ უნდა შეჭამოთ კარტოფილი ისე, რომ ვერავინ შეგნიშნოთ? ღვთის მადლით, ყველა კარტოფილი ერთნაირად მოხარშული არ არის. ჯერ ჩაშლილ კარტოფილს მოიქცევ თითებს შორის და ფცქვნას განაგრძობ, მეორე კარტოფილს დააფარებ საფცქვნელს. გერმანელი რომ სხვა ტყვეზე გადაიტანს მზერას, პირში ჩაიდებ, კიდევ რომ გადაიტანს — ენით სასაზე მიიჭყლეტ, კიდევ დაუცდი, გერმანელი როდის გაიხედავს სხვა მხარეს და გადაყლაპავ. ერთმა ვერ მოითმინა — უცბად მივარდა გაფცქვნილი კარტოფილით სავსე თასთან და ჭამა დაიწყო. სცემდნენ, ურტყამდნენ — მაინც არ ჩერდებოდა. სანამ სული ედგა, ჭამდა, ღეჭავდა. ასევე მოკვდა, კარტოფილით პირში... საღამოს, ბანაკში ნატურით ვაჭრობა იყო გაჩაღებული: ვის ძაღლის საღრღნელი გალეტი მოჰქონდა, ვის თამბაქოს ნამწვავები... ჩვენი ჯარი რომ მოახლოვდა, გაიყვანეს 100 კაცი და დახვრიტეს. მეორე 100 კაცში მეც ვიყავი და ჩემი გადამრჩენელი ვიქტორიც. საბჭოთა ჯარმა იერიში რომ წამოიწყო, შეშინებული გერმანელი მოსახლეობა სოფელში შემოცვივდა. გერმანელები, სამხედროები, ადგილობრივი მოსახლეობა და ტყვეები ერთმანეთში ავირიეთ. ამით ვისარგებლეთ მე და ვიქტორმა და გავიქეცით. ტყვიამფრქვევიდან დაგვიშინეს ცეცხლი. მაინც გავრბოდით. უკან რომ მოვიხედე, ირგვლივ დახოცილი ხალხი ეყარა. ჩემი ტანსაცმელი, რომელსაც ზედ „ტორგაუს ციხე“ ეწერა, დაცხრილული იყო, მე კი დაჭრილიც არ ვიყავი. დღესაც ვერ გეტყვით, ზუსტად როგორ მოხდა ეს. მე და ვიქტორმა მიტოვებულ სანგარში თაფლი ვიპოვეთ. კიდევ კარგი, ნატურალური არ იყო, თორემ მოვკვდებოდით. 800-გრამიანი კოლოფი შევჭამეთ. კუჭი ტყვიასავით დაგვიმძიმდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ლოდი მედო მუცელში. ასეთი სიმძიმის ტარება არ შეგვეძლო და ორივე მიწაზე დავეცით...

ომი რომ დამთავრდა, მე ჩეხოსლოვაკიაში ვიყავი. იქ დაკომპლექტდა კავკასიაში წამოსულთა ეშელონი. სატვირთო ბოლო ვაგონით 40-მა კაცმა ვიმგზავრეთ. სატვირთო ვაგონს კარის ნაცვლად ფანერები ავაკარით. ციოდა, ღუმელი მოვიპარეთ და ვაგონში დავდგით. ჩაგვთვლიმა. უცებ ძილში ჩაგვესმა: Ребята, пожар! ღუმლის ქვეშ იატაკი იწვოდა. რა უნდა გვექნა? — წყალი დასალევიც არ გვქონდა და... შიშმა „იშოვა“ წყალი. ცეცხლი ისე ჩავაქრეთ, რომ იატაკი გაიხვრიტა... ჩამოვედი თბილისში ნაომარი და ნატანჯი. როცა გარშემომყოფთ დავაკვირდი, მივხვდი — მე ესენი ვერასოდეს გამიგებენ და ისევ მე უნდა გავუგომეთქი, — და მაშინ, კიდევ ერთი გარდატეხა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. უკვე ვიცოდი — ცოდნის გარეშე ვერაფერს მივაღწევდი და წიგნებს მივეძალე. რამდენიმე სასწავლებელში მოვსინჯე, სწავლა შემეძლო თუ არა და როცა საკუთარ შესაძლებლობებში დავრწმუნდი, ბოლოს, ეკონომისტობა გადავწყვიტე. მე თუ რამეს მივაღწიე, ალბათ ომის წლებში გავარჯიშებული ნებისყოფის წყალობით. დავოჯახდი, ორი შვილიც შეგვეძინა, ვაჟიშვილმა — ლადომ *(ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ვლადიმერ პაპავა. — ავტ)* ოჯახურ ტრადიციებს არ უღალატა და დღესაც ეკონომიკის სფეროში მუშაობს. ის ძლიერია მაკროეკონომიკაში, მე — მიკროეკონომიკაში.

— ის, ვინც ასე კარგად იცის ეკონომიკა, წესით წარმატებული ბიზნესის პატრონიც უნდა იყოს. არასოდეს დაინტერესებულხართ ამით?

— ამით რომ დავინტერესებულიყავი, სხვაზე ნაკლები ბიზნესი ნამდვილად არ მექნებოდა. ახლა კი, უკვე 80-ის ვარ და რაიმის დაწყებას აზრი აღარ აქვს. ამჟამად ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეცნიერებათა აკადემიაში, ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, საბანკო-საფინანსო ინსტიტუტში, ვწერ და ვაქვეყნებ წიგნებს, ვამზადებ პროექტს გრანტის მისაღებად.

— ლადოს ხომ შეუძლია დაიწყოს?

— ვფიქრობ, ლადომ ამაზე დრო არ უნდა დაკარგოს. ის უკვე საერთაშორისო მასშტაბის პიროვნებაა — მსოფლიოს 6 ქვეყნის აკადემიკოსია, მუშაობს საქართველოს საერთაშორისო სტრატეგიის ფონდში, რომელსაც უცხოეთი აფინანსებს და საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც აქვს. ჩემი შვილის თუ შვილიშვილების თაობას ვუსურვებ, მთელი ყურადღება ცოდნის შეძენაზე გადაიტანონ. მოუფრთხილდნენ დროს და ქვეყანას, რომელიც მათი ასაშენებელია...

■

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ბგთი“, „ჯუოსელი“,
„ბეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

უჩა კორძაია: ახლა ჩემი ფილარმონია, ჩესტოჩნის სცენაა...

ლელა ჭანკოტაძე

უჩა კორძაია, ნიჭიერი საქსოფონისტი ყოველ საღამოს რესტორანში უკრავს. უჩა ამბობს, რომ რესტორნის სცენა მისთვის ფილარმონიად იქცა. წლების წინ, მას კომპოზიტორმა მიქაელ ტარივერდიევმა სთხოვა: მოსკოვში წამოდი, ერთ-ერთ უძლიერეს სოლო შემსრულებლად გაქცევ – შენ კლასიკოსად ხარ დაბადებულიო, მაგრამ კორძაიამ ცოლ-შვილი ვერ დატოვა, თანაც, ორ კვირაზე მეტს თბილისიდან მოშორებით ვერ ძლებს. ახლა დროის უმეტეს ნაწილს შვილიშვილს, პატარა მარიამს უთმობს ხოლმე. მარიამმა გამაგიჟა, მისმა სიყვარულმა გული დამიავადაო, – გამიმხილა. ბატონი უჩას ქალიშვილი პარლამენტარ ხარატიშვილის რძალია. ხოლო ბატონი უჩას ვაჟი ბრატისლავაში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. იქაური ცოლი შვირთო და აგვისტოში ბავშვს ელოდება.

უჩა კორძაიას შინ ვესტუმრე. მისმა მეუღლემ დაუფარავად გვითხრა: უჩა სულ გასტროლებზე იყო, შვილები მისმა თაყვანისმცემლებმა გამაზრდევინეს; ეზოში ყოველთვის იდგნენ და ელოდნენ გოგონები მის გამოჩენას; ბავშვებს დავუტოვებდი და საღამოდე, ისინი ასეირნებდნენო... ბატონმა უჩამ ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ვერ უარყო და თავისი ცხოვრების ბევრი საინტერესო ეპიზოდი მიამბო.

— ვინ იყვნენ თქვენი მშობლები? როგორ ოჯახში დაიბადეთ?

– მამაჩემი მძღოლი იყო, თან ლექსებს წერდა. დედა დიასახლისი იყო, ძალიან კარგად მღეროდა, დედაჩემის დედა – ლუბა კასანოვსკაია პოლონელი ქალი გახლდათ. მისი დისშვილები, რვა დედმამიშვილი, ყველანი მუსიკოსები არიან, ისინი რუსეთში ცხოვრობენ. ასე რომ, გენეტიკურად გამოგვყვა მე და ჩემს დებს მუსიკის ნიჭი. სამი და მყავს, უფროსი ვოკალისტია, შუათანა ფლეიტისტი, უმცროსი – „სკრიპაჩკა“. როცა სკოლაში ვსწავლობდი, არ მიფიქრია, რომ მუსიკოსი გავხდებოდი, მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომ თუ მუსიკაზე დადიოდი, „დედიკოს ბიჭად“ გნათლავდნენ... თუმცა, სასკოლო ოლიმპიადებზე მაინც ვმღეროდი და დასარტყამ ინსტრუმენტებზე ვუკრავდი. სკოლა რომ დავამთავრე, ნათელი გახდა, რომ ჩემგან ინჟინერი და ექიმი არ გამოვიდოდა. ამიტომ მუსიკალურ ტექნიკუმში შემიყვანეს. ქუთაისში ოპერის თეატრი ფუძნდებოდა. ფლეიტაზე ერთადერთი კაცი – შალვა ბენიაურიშვილი უკრავდა. მან მომისმინა. დავიწყე მასთან მეცადინეობა. სამ თვეში ისე მომამზადა, რომ მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავირიცხე. მეორე კურსზე რომ ვიყავი, უკვე ოპერის თეატრის ორკესტრში ვუკრავდი. მაშინ, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ქალაქ მაგნიტოგორსკში ჩატარდა ფესტივალი, რომელზეც პირველი ადგილი დავიკავე. პარალელურად ვმუშაობდი საესტრადო ორკესტრ „სხივში“. შემდეგ ბორის შხიანს დავუკავშირდი, მისი ანსმაბლი – „ფაზისი“ უძლიერესი იყო. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსში – „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ – I ადგილზე გავედით.

— თბილისში როდის ჩამოხვედით?

– ქუთაისიდან ჩამოვდიოდით ხოლმე. ტელევიზიაში ჩაწერები გვქონდა, ხალხის უმეტესობამ მაშინ გამიცნო. შემდეგ ჯარში წამიყვანეს. აზერბაიჯანში მოვხვდი. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ წერილი მივიღე რობერტ ბარძიმაშვილისგან. მწერდა: შვილო, შენი ჩანაწერები მოვისმინე – ძალიან მომეწონა – ჩათვალე, რომ უკვე ანსამბლ „ორერას“ წევრი ხარო. „ორერაში“ წელიწად-ნახევარი ვუკრავდი. შემდეგ, ანსამბლი ორ ნაწილად გაიყო. რობერტი წავიდა. ბუბამ მთხოვა: დარჩიო, მაგრამ უარი ვთქვი: ვინც ანსამბლში მიმიყვანა, იმის გვერდით უნდა ვყოფილიყავი. სულ მალე, ბარძიმაშვილმა ანსამბლი „75“ ჩამოაყალიბა. მეც ძალიან დავეხმარე.

— როგორ იქმნებოდა ანსამბლი „75“?

– სანამ ჯარში წამიყვანდნენ, კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი. ჩემთან ერთად სწავლობდნენ: დათო ჯანელიძე, აჩიკო სიმონიშვილი, რომან რცხილაძე. სამწუხაროდ, ამ ანსამბლზე დღეს აღარ იწერება. არადა, საბჭოთა კავშირში №1 ანსამბლი ვიყავით. ჩვენი ფანები იყვნენ: ალა პუგაჩოვა, ვალერი ლეონტიევი, ვლადიმირ პრესნიაკოვი და მისი მამა. ჩვენ დროს ვუსწრებდით, ამიტომ ძალიან პოპულარულები გავხდით. დღეში 4-5 კონცერტი ჩაგვიტარებია, მაგრამ თავს ვარსკვლავებად არ მივიჩნევდით. ახლა კი ხშირად ვამბობთ – ჩამქრალი ვარსკვლავები ვართ-თქო...

— პოპულარობის ზენიტში იყავით და ამ დროს, ანსამბლი დაიშალა. რატომ?

– ათი წელი ვიარსებეთ. ძალიან გადავიღალეთ, უდიდესი დატვირთვა გვქონდა. ამას თან ერთვოდა ქეიფი და ჩვენდამი გადამეტებული ყურადღება – ცალკე ქალებმა დაგვღალეს, ცალკე – ლოთებმა...

— ეი. მეუღლეს ბევრ სანერვიულო და საეჭვიანო საბაბს აძლევდით?

– შემოქმედი კაცი ოჯახისთვის არ არის მისაღები. მე გამიმართლა: მართალია, ჩემგან ბევრი სანერვიულო ჰქონდა ოჯახს, მაგრამ მეუღლე მიგებდა. ის 17 წლისაც არ იყო, ცოლად რომ შევირთე. ფაქტობრივად, ჩემს ხელში გაიზარდა, ოცდაშვიდი წელია, ერთად ვცხოვრობთ. სპეციალობით – ფილოლოგია, მაგრამ ჩემზე მეტად მუსიკალურია და შეიძლება, უფრო ნიჭიერიც – უბრალოდ, მას ამ ნიჭის გამოვლენის საშუალება არ მივეცი. ბოლომდე გამიგო და ამიტანა, თუმცა ასატანი არ ვიყავი. მე რომ ჩემნაირი სიძე შემხვედროდა, გავაგდებდი. ამავე დროს, ცოლ-შვილზე გადაყოლილი ვიყავი. მათთვის არ მიღალატია. ჩემი ცხოვრება ჩემი ოჯახი იყო.

— ანსამბლ „75“-ის წევრებს ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გყავდათ?

– მე ცოლიანი ვიყავი, გოგონები კი უცოლო ბიჭებს ეტრფოდნენ. მახსოვს, ბესო კალანდაძის გამო, გული მისდიოდით, კონცერტებზე ყვავილების ზღვა იყო ხოლმე.

— როცა ანსამბლი დაიშალა, როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

მე სპორტის გარეშე არ შემიძლია. უნდა ვივარჯიშო და უნდა დავუკრა

— ანსამბლის ბევრი წევრი უმუშევარი დარჩა. მე კი რომან რცხილაძესთან გადავედი, რომელმაც „ნატვრის ხე“ ჩამოაყალიბა. ბევრი კონცერტი გვქონდა, მაგრამ ანსამბლმა დიდხანს ვერ იარსება. გაგიგონიათ, ალბათ, ლავრენტი ჭინჭარაძე — უნიჭიერესი პიანისტი, რომელიც ახლა კანადაში ცხოვრობს. ის მაშინ ბარში უკრავდა. მოვიდა ჩემთან და მთხოვა: წამოდი ჩემთან, საქსოფონისტი გვჭირდებაო. ვერ წარმომედგინა, რომ რესტორანში დავუკრავდი. მანამდე, ხშირად მიფიქრია: რა უნდა მოხდეს ისეთი, რესტორანში რომ დავუკრამეთქი?.. მაგრამ ჩემს ოჯახს მატერიალურად უჭირდა. იყო პერიოდი, როცა მუშად ვმუშაობდი — მუხიანში რვასართულიანი სახლი შენდებოდა და იქ ვღვრიდი ოფლს. ლავრიკამ რომ რესტორანში დაკვრა შემომთავაზა, გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. ქორწილშიც დამიკრავს, ახლობლებთან წვეულებებზეც, მაგრამ პირველად ბარში რომ დავიწყე დაკვრა, ფეხები მიკანკალებდა და ოფლი მასხამდა — მრცხვენოდა, მერიდებოდა, მაგრამ მერე ახალ სამსახურს მალე ავუღე ალღო... ახლაც რესტორანში ვუკრავ. ბევრი მომღერალი მოდის, ჩემს მოსასმენად. მე რომ ვიცი — ადამიანები სპეციალურად ჩემს მოსასმენად მოდიან და ჩემთვის ტაშს არ იშურებენ — ეს მიხარია. ჩემთვის ფილარმონია აღარ არსებობს — ახლა ჩემი ფილარმონია, რესტორნის სცენაა.

— კიდევ თუ უკრავთ სადმე?

— გივი გაჩეჩილაძის ბენდში ვუკრავ. ის ევროპაშიც კი, უძლიერეს მუსიკოსად ითვლება. ჯაზ-ფესტივალზე ბობ მინცერი რომ იყო ჩამოსული, გაოცდა: ქვეყანაში, სადაც ომი და სიდუხჭირეა, ასეთი ორკესტრის მოსმენას არ ელოდა. ბობ მინცერი „გრემის“ მფლობელია. უძლიერესი საქსოფონისტია. ჩვენ მისი ნოტები არ გვქონდა, ამიტომ გივიმ მთელი მუსიკა ფონოგრამიდან ამოიწერა. მინცერმა ვერც ერთი შეცდომა ვერ აღმოგვიჩინა. პირიქით, გივის დაწერილი ნოტები უფრო მოეწონა, ვიდრე ის, რომლითაც თვითონ ხელმძღვანელობდა.

— ველოსიპედით ისევ დადიხართ?

— ძალიან მიყვარს. იმიტომ კი არ ვსეირნობ ველოსიპედით, რომ დიდხანს ვიცოცხლო — უბრალოდ, მსიამოვნებს. ბავშვობიდან კრივში ვვარჯიშობდი. დილაობით დავრბივარ ხოლმე. თხუთმეტი წელია, რაც ქალაქიდან არ გავსულვარ. აქ ისეთი ადგილებია, რომელსაც უნდა შეხედო და უნდა შეიყვარო. მე სპორტის გარეშე არ შემიძლია. უნდა ვივარჯიშო და უნდა დავუკრა.

— ახლაც მეცადინეობთ თუ უკვე პროფესიონალი ხართ და მეცადინეობა აღარ გჭირდებათ?

— დღე-ღამეში 7-8 საათის განმავლობაში მაინც ვუკრავ. ადრე პირველ სართულზე ვცხოვრობდი. იმდენს ვმეცადინეობდი, რომ ფანჯრიდან ხურდა ფული შემომიყარეს... მერე სარდაფში ჩავედი, ხურდებს იქაც მიყრიდნენ ხოლმე. მეზობლები დაკვრით არასდროს შემიწუხებია. პირიქით — ყველას მოსწონდა ბახის, მოცარტის მუსიკა. არის ხოლმე შემთხვევები, როცა მეზობლები სულგანაბულები მიგდებენ ყურს და მთელ ეზოში მხოლოდ ჩემი საქსოფონის ხმა ისმის. რესტორანში ჩემს მოსასმენად უცხოელები და ცნობილი ადამიანები მოდიან. ხშირად მოდის ხოლმე რობიკო სტურუა, ზოგჯერ — რობერტ ბარძიმაშვილიც.

იყო პერიოდი, როცა მუშად ვმუშაობდი — მუხიანში რვასართულიანი სახლი შენდებოდა და იქ ვღვრიდი ოფლს

— ყოფილა შემთხვევა, რომ კონცერტის შემდეგ ქეიფში გართულებს, ბარძიმაშვილის რისხვა დაგიმსახურებიათ?

— ამასთან დაკავშირებით, ერთი კურიოზი მახსენდება. გაგრაში ვმართავდით კონცერტებს. ქუთაისელმა მეგობრებმა ჩამომაკითხეს. ორ მათგანს, ცოლების შერთვის მიზნით, გოგონები მოუტაციათ და მოვიდნენ ჩემთან. კონიაკი ვსვით. სუფრიდან რომ წამოვდექი, გავითიშე. სამმა კაცმა მიმიყვანა კონცერტზე. ბარძიმაშვილი გადაირია: სცენაზე ვეღარ გამოხვალო, მაგრამ რომან რცხილაძემ უთხრა: გეორგიევიჩ, მე ვარ პასუხისმგებელი, რომ უჩა დაუკრავსო... საზაფხულო სცენაზე გამოვდიოდით. ავედი, დავჯექი ჩემს საკრავებთან. მოულოდნელად, ნოტების ფურცელი ქარმა ააფრიალა. ვიფიქრე, ისევ გადავშლი იმ ფურცელზე, რომლიდანაც ვუკრავ-მეთქი, — ხელი გავიწვდინე და... გადავვარდი კიდეც. იმდენი კი მოვახერხე, რომ გულში ჩავიხუტე საქსოფონი. ყველამ იფიქრა ინფარქტი მოუვიდაო. თავიდან, არც გამანძრიეს, მერე ხელ-ფეხში ჩამჭიდეს ხელები და სცენიდან გამიტანეს... ძალიან მკაცრი იყო რობერტი, რეპეტიციაზე დაგვიანება წუთითაც არ შეიძლებოდა. თუ მაინც დავაგვიანებდი, ისე გადმოგვხედავდა, რომ ამ ერთ გამოხედვას ყველაფერი მერჩივნა... ახლა ველოსიპედით მივაკითხავ ხოლმე, ხან ის მოდის რესტორანში ჩემს მოსასმენად. ძალიან ნიჭიერი კაცია. მე მომღერალი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ რობერტმა ამამღერა. „ბაკურიანი... თეთრი რელსები, ციდან ვეშვებით“ — დაუვიწყარია. სხვათა შორის, ფანები სწორედ ამ სიმღერამ შემძინა და ძალიან პოპულარულიც გამხადა...

■

„ღმერთმა ნუ განაცდევინოს ნურავის შვილის სიკვდილი...“

მარი ჯაფარიძე

არსებობს ასეთი ლეგენდა: როდესაც ადამიანი იბადება, იმ დროს, ზეცაში ბედის მწერალთა უხუცესთა „საბჭო“ იკრიბება და ამ ადამიანის მომავალს წყვეტს. როდესაც ყველაზე უხუცესი წევრი თავის წინასწარმეტყველებასაც დასძენს, — კვერთხს დაჰკრავს ცის „მიწაზე“ და ამის შემდგომ, ჩვენ უძლურნი ვართ, შევცვალოთ რაიმე ჩვენსავე ცხოვრებაში... ხანდახან ისეც ხდება, რომ ადამიანი, როდესაც ბედნიერების პიკს აღწევს, სწორედ მაშინ უმუხთლებს ბედი და ახლობელი ადამიანების სასოწარკვეთილება მომხდარს ვეღარაფერს შველის...

დრო ყველაფრის მკურნალიაო, — ამბობენ, მაგრამ შვილმკვდარი დედისთვის ტრაგედია 23 წლის შემდეგაც, ისევე მტკივნეულია, როგორც მაშინ, როცა ქორწილის სამზადისში მყოფმა ოჯახმა, საქორწინო მოგზაურობიდან შინ მიმავალი, ნეფე-დედოფლის ავტოკატასტროფაში მოხვედრის შესახებ შეიტყო... ამ ავარიამ პატარძლის სიცოცხლე შეიწირა. დღეს კი, მის ოჯახს, როგორც დაღუპულის დედა აცხადებს, შვილის საფლავის გაყიდვას სთხოვენ და ისედაც უბედურ მშობლებს სიმართლისთვის ბრძოლა სასამართლოში უწევთ. თავის გულისტკივილს, დაღუპული გოგონას დედა — ქალბატონი ზიზი ჯუღელი გვიზიარებს:

ზიზი ჯუღელი ერთადერთი შვილის საფლავთან

— ჩემი მეგი 1963 წელს დაიბადა. ლამაზი, კარგი აღნაგობის გოგონა იყო. რომ წამოიზარდა, ყველა მეუბნებოდა: პატრონს დროზე ჩააბარე, თორემ ისეთი მშვენიერი გოგონაა, ცოდვა იქნება, ვინმე უღირსის ხელში რომ ჩავარდესო... 17 წლის იყო, როცა გათხოვდა...

— თქვენი ნებართვით გათხოვდა თუ გაიპარა?

— ჩვენი ნებართვით. მეგი ისეთი გოგონა იყო, რომ მშობლების სურვილის წინააღმდეგ არასდროს წავიდოდა. ჩემი ძმის მეგობარი გახლდათ ბატონი გივი თოდრია — კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე. მისმა ვაჟმა — გაგამ სწორედ ჩემი ძმის ოჯახში გაიცნო მეგი. მოეწონა, თუმცა, მაშინ მეგი ჯერ მხოლოდ მე-9 კლასში სწავლობდა. სკოლის დამთავრებისთანავე, მისი ხელის სათხოვნელად მოვიდნენ. ჩვენც, უარი არ გვითქვამს. 1980 წლის ზაფხული იყო. გადაწყვიტეს, რომ რამდენიმე ხნით ბათუმში, საქორწინო მოგზაურობაში წასულიყვნენ, იქიდან კი, ისეთ დროს ჩამოვიდოდნენ, რომ პირდაპირ ქორწილის სუფრას მივუსხდებოდით. მაგრამ ლხინის სუფრა ჭირად გვექცა... ბათუმში, ახალდაქორწინებულები პროფესორ ბაქანიძის ოჯახს სტუმრობდნენ. მეგის და გაგას თან რამდენიმე მეგობარიც ახლდა. ქორწილის დღეს, დილით, მასპინძლებმა სიძე-პატარძალი გამოაცილეს. ადრიანი დილა იყო. საჭესთან მათი მეგობარი — თბილისის მაშინდელი პროკურორის, ოთარ ჯოჯუას ვაჟი იჯდა. როგორც ჩანს, მას საჭესთან ჩაეძინა. თავიდან, მეგი უკანა სავარძელზე მჯდარა. შემდეგ, წყლის დასალევად გაჩერებულან და გადაუწყვეტიათ, პატარძალი მძღოლის გვერდით დაესვათ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, საპირისპირო მხრიდან მომავალ „იკარუსს“ შესჯახებიან და მძღოლიც და მეგიც დაიღუპნენ. უკან მჯდომი ყველა მგზავრი, ღვთის წყალობით, გადარჩა...

— თქვენ როგორ შეიტყვეთ ეს ამბავი?

— ჩვენ საქორწილო სამზადისში ვიყავით. საინები ხელში შემაცივდა, როდესაც მითხრეს: ბავშვებს რაღაც „პატარა შეფერხება“ აქვთ, ავარია მოუხდათო. რა გამაჩერებდა — მაშინვე იქით გავეშურეთ. ავარია ქარელის შესასვლელთან მოხდა. იქ მისულებს ისეთი ამბავი დაგვხვდა, ვერ ვაცნობიერებდით, ეს ყველაფერი ცხადი იყო თუ სიზმარი. „სასწრაფო დახმარების“ უამრავი მანქანა, ვერტმფრენებიც კი მოფრინდნენ, რომ დაშავებულებისთვის დახმარება აღმოეჩინათ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ჩემს მეგის იქვე დაელია სული... ისეთ დღეში ჩავვარდი, ვერავინ მაკავებდა. ვბღაოდი და სახეს ვიხოკავდი, მაგრამ რას ვუშველიდი ჩემს უბედურ შვილს?! მეგი ქმრის სახლში მიასვენეს და იქიდან გავაცილეთ სამუდამო სამყოფელში... ეს ერთადერთი შვილი მყავდა. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ტრაგედია იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ არანაკლებ დამწუხრებული იყო ჩემი სიძის ოჯახიც... მახსოვს, მამამთილმა ერთ ჩაის ჭიქა არაყში თითქმის ნახევრამდე შავი პილპილი ჩაყარა, მოურია და დალია — მინდა, გული გამეგლიჯოსო...

— ასე მცირე ხანში მოახერხა მეგიმ, ქმრის ოჯახისთვის თავი შეეყვარებინა?

— მეგი სულ სხვანაირი გოგონა იყო. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა იყო, არასოდეს ვანებივრებდით. არაფერი აკლდა, მაგრამ ქედმაღლობა არ ახასი-

ათებდა. მამამთილს ახალდაქორწინებულებისთვის თავისი საძინებელი დაუთმია, მეგის კი უთქვამს: ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ოთახში დავიძინებ, თქვენ კი შეჩვეული ხართ თქვენს ოთახს და სჯობს, ისევ მანდ დარჩეთო. ის კი არა და, მეუღლეს თქვენობით ელაპარაკებოდა ხოლმე... გაგას უთქვამს: ასე ოფიციალურად ნუ მელაპარაკები, როდის უნდა გამიშინაურდეო? — მე, დედას და მამასაც ასე მივმართავ, ასე ვარ მიჩვეული, ახლა ხომ ვერ შევიცვლებიო, — უპასუხია მეგის...

— გაგას ცხოვრება როგორ წარიმართა ამ ტრაგედიის შემდეგ?

— აბა, რა გითხრათ — ცხოვრება თავისას შვრება. გაგამ მეუღლე წესისა და რიგის მიხედვით იგლოვა, შემდეგ კი ოჯახი შექმნა. ახლა შვილებიც ჰყავს, სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს, ლექტორია. ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს. მე საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?!. 23 წელი გავიდა ჩემი მეგის გარდაცვალებიდან და არც ერთი დღესასწაული — ახალი წელი იქნება ეს, აღდგომა თუ 8 მარტი — შინ არ გამითევია: სასაფლაო ჩემი მეორე სახლი გახდა. მეგის თანაკლასელები და მეგობრები დღემდე არ ივიწყებენ მის საფლავს. ყოველთვის მოდიან და ყვავილებით ამკობენ მის სამუდამო სამყოფელს. ჩემს მეუღლეს ერთი წელი ლოგინში არ სძინებია — პირდაპირ იატაკზე წვებოდა: ჩემი შვილი მიწაში წევს და მე ლოგინზე როგორ დავიძინოო?!. ღმერთმა ნუ განაცდევინოს ნურავის, შვილის სიკვდილი. მთელი თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი. დედაჩემს გული უსკდებოდა, არაფერს რომ არ ვჭამდი. ერთხელ, ჩაი და პურის პატარა ნაჭერი შემომიტანა ოთახში: ცოტა მაინც შეჭამეო... — არ მინდა-მეთქი, — ვუთხარი. თვალები ცრემლით აევსო: შვილო, შენ შვილი მოგიკვდა, მაგრამ რატომ იმაზე არ ფიქრობ, მეც დედა ვარ, შვილი ცოცხლად მიკვდება და ამას საკუთარი თვალით ვუცქერო...

— ამბობენ, დედას გული უგრძნობს, შვილს თუ რამ ავი უნდა გადახდეს თავსო. თქვენ თუ გრძნობდით რაიმეს?

— კი, ვგრძნობდი, მაგრამ მაშინ ვერ ვაცნობიერებდი. მეგი სკოლას რომ ამთავრებდა, გამოსაშვები ბანკეტისთვის ვამზადებდით. ვილნიუსში გავფრინდი, იქ შევუძინე კაბა, ფეხსაცმელი და სხვა წვრილმანები. მე თვითონ ჩაცმა-დახურვის გიჟი ვიყავი, მაგრამ ჩემთვის ცხვირსახოციც არ შემიძენია — არავითარი სურვილი არ მქონდა, ყველაფერი მისთვის მინდოდა. გული თითქოს დამძიმებული მქონდა, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდებოდი. როდესაც გაგასთან ერთად ბათუმში წავიდა, მაშინაც მოუსვენრად ვიყავი. ვამბობდი: წავიდეთ და ჩავაკითხოთ-მეთქი. მერე ვიფიქრე, სიძეს არ ეწყინოს, არ იფიქროს, სიდედრი საქორწინო მოგზაურობის დროსაც არ მასვენებსო, — და აღარ წავედით. დღემდე ვერ ვპატიობ ჩემს თავს, რომ წავსულიყავი, იქნებ, ეს უბედურება აგვეცილებინა.

— წელან მითხარით, რომ სასაფლაოსთან დაკავშირებით, რაღაც პრობლემები შეგექმნათ...

— დიახ. იმის მაგივრად, რომ მგლოვიარე დედამ სასაფლაოზე დავაღამო და გავათენო, სასამართლოში სირბილი მიწევს. მეგის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, მის გვერდით, „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა ცოლი დაკრძალა, 1992 წელს კი — სიდედრი და სიმამრიც. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, საკუთარი მამა გადმოასვენა. იმის გამო, რომ ადგილი არ ჰყოფნიდა, მეგის საფლავის თავთან მდგარი სინათლის ბოძი მოგლიჯა, ხეები და ყვავილები ამოთხარა, მამამისის ნეშტი, ლამის ჩემი შვილის საფლავის ქვეშ აღმოჩნდა. აღდგომის დღეს, ჩემი მეუღლისთვის უთხოვია: 10 სანტიმეტრი მიწა მომეციოთ. ჩემს მეუღლეს არაფერი უპასუხია. მე მაშინ ავად ვიყავი, საავადმყოფოში ვიწექი და მეც შემომითვალა: მიწა მჭირდება და დამითმეთო. მერე ისიც მითხრა — ეს საფლავის ადგილი მომყიდეთო. წარმოგიდგენიათ? — შვილის საფლავის მიყიდვას მთხოვდა. სასამართლოში სარჩელი შევიტანე, რადგან ჩემს ნაკვეთშია შემოჭრილი. ამის გამო პატეიშვილი აღშფოთდა, გამომძალველი მეძახა. თითქოს, რაიმე მოვთხოვე. ჩემი შვილის საფლავს ვიცავ. მისი ადვოკატი — ოთარაშვილი დამემუქრა და მითხრა: რა უნდა გელაპარაკო, ქალო? — კაცი რომ იყო, ცხვირ-პირს დაგამტვრევდიო... ვფიქრობ, როდესაც ელეტროგანათების ბოძი მოთხარა, სწორედ მაშინ უნდა შემოგვეკრა განგაშის ზარები. ჩემი ახირება კი არ

ჩემს მეგის იქვე დაელია სული...

არის, განათების ბოძი — უბრალოდ, ძალიან მჭირდებოდა: სასაფლაოზე ხშირად, გვიანობამდე ვრჩები, სასაფლაოზე სიბნელეში ყოფნა ძალიან ძნელია. ბატონ ვლადიმერს რომ ჰკითხოთ, მისი ოჯახის წევრების საფლავის განაპირას, მის კუთვნილ მიწაზე იყო ჩემი მეუღლის მიერ დარგული ხე. ჯემალს (ჩემს მეუღლეს) უთხოვია: ცოტა ხანი მადროვე, ხე რომ მოღონიერდება, შემდეგ გადავრგავო. მისივე თქმით, ჩვენ ვისარგებლეთ მისი სტრესული მდგომარეობით და ამაზე დავითანხმეთ, მაგრამ პირობა არ შევუსრულეთ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ეს სტრესული მდგომარეობა მას მეუღლის გარდაცვალების გამო ჰქონდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როდესაც ისევ დაქორწინდა, ხომ გამოვიდა ამ სტრესიდან, რატომღა ვერ აზროვნებს და ვერ იქცევა ისე, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანს შეეფერება?!. ■

რეკორდსმენები

და ახალბედა რობ მარშალი

კეტრინ ზეტა-ჯონსი, როქსის როლში

23 მარტს, ლოს-ანჯელესში ამერიკული კინოაკადემიის ჯილდოს — „ოსკარის“ გადაცემის საზეიმო ცერემონია გაიმართება. ნომინანტებს შორის რეკორდსმენად მიუზიკლი „ჩიკაგო“ მოგვევლინა — ის 13 ნომინაციაზეა წარდგენილი. აღსანიშნავია, რომ 1968 წლის შემდეგ, როცა „საუკეთესო ფილმად“ დიკენსის მიხედვით გადაღებული „ოლივერი“ აღიარეს, „ჩიკაგო“ პირველი მიუზიკლია, რომელმაც შეიძლება, ამ ნომინაციაში გაიმარჯვოს. ამასთანავე, ეს მეორე შემთხვევაა „მერი პოპინსის“ შემდეგ (1964 წ.), როცა მიუზიკლი ერთდროულად 13 ნომინაციაზე წარადგინეს. ნომინაციების რაოდენობით მეორე ადგილზეა მარტინ სკორსეზეს „ნიუ-იორკის ბანდები“ (10) და სტივენ დელდრის „საათი“ (9). აქვე დავძენთ, რომ მსახიობებს შორის რეკორდსმენებად გვევლინებიან: ჯეკ ნიკოლსონი და მერილ სტრიპი. ნიკოლსონი წარდგენილია რიგით მე-12 ნომინაციაზე და დაჯილდოების შემთხვევაში, მე-4 „ოსკარით“ კეტრინ ჰეპბერნის მიღწევას გაიმეორებს. მერილ სტრიპმა კი, იგივე კეტრინ ჰეპბერნი უკვე დაჯაბნა ნომინაციების საერთო რაოდენობით — წლევანდელი ნომინაცია მისთვის მე-13-ა.

ახლა კი, ინტერვიუს გთავაზობთ მთავარ ნომინანტთან — „ჩიკაგოს“ რეჟისორ **რობ მარშალთან.**

— მისტერ მარშალ, ცნობილია, რომ „ჩიკაგო“ ბროდვეის ერთ-ერთი საუკეთესო, სუპერპოპულარული მიუზიკლი გახლავთ. თქვენთვის რამე სირთულეებთან ხომ არ იყო დაკავშირებული მისი ეკრანიზაციისათვის ხელის მოკიდება?

— გეთანხმებით, „ჩიკაგო“ მხოლოდ და მხოლოდ თეატრის სცენისათვის განკუთვნილი სპექტაკლია, მაგრამ მე მასში განსაკუთრებული ელემენტი შევიტანე — ფილმში წარმოდგენილია ორი სამყარო, იდეალური და რეალური. ის, რაც ხდება სცენაზე და ის, რაც ხდება ცხოვრებაში. სწორედ ეს მომეჩვენა წმინდა წყლის კინემატოგრაფიულ იდეად — ორი სამყაროს ერთობლივი თანაარსებობა. სხვა შემთხვევაში, ხელს არ მოვკიდებდი მის ეკრანიზაციას. რა თქმა უნდა, კადნიერებაა კლასიკური მიუზიკლის გადასხვაფერება, მაგრამ ჩემთვის ეს საოცრად შთამაგონებელი იყო. როქსის პერსონაჟის მეოცნებე ხასიათი, სრულიად ახალი იდეა იყო, კლასიკურ „ჩიკაგოში“ ეს არ არის (რობ მარშალის ფილმში უამრავი სცენა და საცეკვაო ნომერი, მთავარი გმირის — როქსის ფანტაზიაში ხდება, რომელიც ციხეში სასჯელს მკვლელობისთვის იხდის და ბროდვეიზე მოპოვებულ დიდებაზე ოცნებობს).

რობ მარშალი

— გვითხარით, ვინ იყო თქვენთვის სამაგალითო, ვის კვალს გაჰყევით? იქნებ, ბობ ფოსი, დიდებული „კაბარეს“ ავტორი?

— დიახ, მე მართლაც მქონდა ბობ ფოსის ცნობის ბედნიერება. იგი დიდი რეჟისორი იყო, მაგრამ ამასთან საოცრად პირქუში, საკუთარ თავში ჩაკეტილი, თავმდაბალი და მორცხვი ადამიანი გახლდათ. ჩემი აზრით, მას ცხოვრების ბნელი მხარე უფრო აინტერესებდა, ვიდრე ნათელი. მიუხედავად ამისა, მისგან უამრავი რამ ვისწავლე. მის მიერ სცენაზე დადგმული „ჩიკაგო“, რაღაც ფეერიული, ჯადოსნური, მიუწვდომელი რამ გახლდათ. „ჩიკაგოში“ წარმოდგენილი იყო მიუკერძოებელი, ჭკვიანი დამკვირვებლის თვალით დანახული ადამიანური ზნეობა — ურწმუნოების სიმწარე. მე იმდენად მოხიბლული გახლდით მისი ქორეოგრაფიული მიგნებებით, რომ ჩემთვის ძალზედ ძნელი იყო მისი ციტირება არ მომეხდინა.

— ამიერიდან ალბათ თქვენ და ფოსს ხშირად შეგადარებენ ერთმანეთს...

— როცა ფილმს ვიღებდი, საკუთარ თავს გამუდმებით ასეთ მოთხოვნას ვუყენებდი: „ოღონდაც იმაზე უარესი არ გააკეთო, ვიდრე ეს ბობსა აქვს. ყველაფერი, ოღონდაც ეს არა!“ ვშიშობდი, „ჩიკაგოს“ პირველი დადგმისათვის და მისი ავტორისათვის შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დადგმაში სულ სხვა კონცეფციაა წარმოდგენილი, მე ბობ ფოსის მნიშვნელო-

კედელში ამოშენებული ცეცხლის დასანთები ადგილი	„კანის ინფუქციური დაავადება	ხეპრე, გამოუსწორებელი	დიდი ზომის ხელიკი	... ყველაფერი, ... არაფერი	... რეკორდების წიგნი	... ბლი იბნ ბინა	ეგიპტელთა ღმერთი
ჯოსეფინ ბეიკერი				/	ბრენ

| ა ჯოჰა | |
| ღამის ფრინველი | „შენ ... ვენახი...“ | რა იცავს პარლამენტარს | ფილმი რაჯ კაპურის მონაწილეობით | რეპტილია | ტბა შოტლანდიაში ... ლობ-... | ავტომობილის ბორბალი ანუ | |

ბას ყოველთვის აღვნიშნავდი და მეტიც, მასთან მეტოქეობა არასოდეს მიცდია. მართალია, ფილმში მე თითქმის ყველა ნომერი გადავაკეთე, მაგრამ ყოველი მათგანის საფუძველი სწორედ ბობისგან მომდინარეობდა. სურათში არის აბსოლუტურად ახალი ნომრები, ის, რაც მხოლოდ ჩემი შექმნილია — მაგალითად, როცა დამნაშავე ქალები საკუთარ მსხვერპლთ ეცეკვებიან. მე ვაცნობიერებდი, რომ თუ რაიმე სიახლე არ იქნებოდა ფილმში, ისე მის გადაღებას აზრი არ ჰქონდა.

— ფილმში ერთი ეპიზოდია, როცა სადღაც, კულისებს მიღმა მყოფი რიჩარდ გირის გმირი, ჭეშმარიტი მეთოჯინესავით ქაჩავს ძაფებს და მოქმედებაში მოჰყავს ესა თუ ის მოცეკვავე. ეს რა, მეტაფორაა? თქვენთვის, რეჟისორისათვის, როგორც შემოქმედისათვის სასიამოვნოა ძაფების მეშვეობით ადამიანების მოძრაობაში მოყვნა?

— საინტერესო. შეკითხვაა, მაგრამ თუ შეამჩნიეთ, ჩემს გმირს მხოლოდ ეჩვენება, რომ ის სამყაროს მართავს. რაღაც თვალსაზრისით, იგი მართლაც მართავს მოცეკვავეებს, მაგრამ მხოლოდ რაღაც თვალსაზრისით. ეს ხომ სატირაა — თანამედროვე საზოგადოების სახეა წარმოდგენილი,



მარტინ სკორსეზე

ჯეკ ნიკოლსონი

როცა ვილაც ერთს ჰგონია, რომ იგი ყოველივეს მართავს — ადამიანებს, მასმედიას, წარმატებას, ფულს. მერწმუნეთ, მე ასე ნამდვილად არა მგონია და არც შემოქმედს ვუტოლებ თავს. ამ ეპიზოდში მე უამრავი ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანის, რეპორტიორის და აზრთა მბრძანებლის პაროდირებას ვახდენ. „ჩიკაგოში“ კი, ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ იგი XX საუკუნის დასაწყისშია დაწერილი და აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს. ქვეყანაზე არაფერი იცვლება...

— პირიქით, უფრო მძაფრდება კიდეც.

— გეთანხმებით, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემთვის საკმაოდ უსიამოვნო იქნებოდა ბედ-იღბლის გამგებლის, მეთოჯინისა და დიქტატორის როლში ყოფნა. მე თეატრის უბრალო რეჟისორი ვარ და დასთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მომხრე გახლავართ. გადაღებებისას ხშირად ვხვდებოდი მსახიობებს და უმნიშვნელო დეტალებსაც კი მათთან ერთად განვიხილავდი. ასე რომ, გადამღებ ჯგუფში სრული დემოკრატია სუფევდა.

— არის რაიმე განსხვავება თეატრისა და კინოს ქორეოგრაფიაში?

— თეატრში ბევრ რამეში შეზღუდული ხარ. კინოში კი, მონტაჟის წყალობით, ყველაფერია შესაძლებელი. თეატრში ძნელია, აიძულო მაყურებელი, რომელიმე ერთ დეტალზე ან მოძრაობაზე გაამახვილოს ყურადღება, კინოში კი ეს სულ იოლი გადასაწყვეტია. სცენაზე ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლაც შედარებით უფრო რთულია. კინოში გადააწებებ ფირს და ყველაფერი წესრიგშია. საერთოდ, კინოში მეტია თავისუფლება. თუმცა ეს თავისუფლება საფრთხესაც შეიცავს და ამ შემთხვევაში შინაგანი ცენზორის არსებობა ზედმეტი ნამდვილად არ არის. ადრე სატელევიზიო მიუზიკლებიც მაქვს გადაღებული, მაგრამ ეს სულ სხვა რამეა — უბრალოდ, თეატრალური მოქმედება გადაგაქვს ფირზე. „ჩიკაგოში“ კი, თეატრის ფიცარნაგის ფარგლებს მიღმა მსურდა გაჭრა, რათა რეალობა და სცენა ერთდროულად წარმომედგინა.

— უკვე ოცი წელია, რაც ამბობენ, რომ მიუზიკლი „მკვდარი“ ჟანრია.

— სისულელეა. მიუზიკლს, თუ იგი კარგადაა გაკეთებული, დიდი მომავალი აქვს. ხელოვნების რომელი დარგი აღარ დაასაფლავეს! ოპერა, თეატრი, ლიტერატურაც კი.

— მომავალში რა გეგმები გაქვთ?

— ალბათ მორიგ ფილმს გადავიღებ, რადგან ახალი ტერიტორიების დაპყრობა ძალიან მიყვარს. ■

...ნაწილი, ...ავს ...ილქს	რას ნიშნავს სულხან-საბას ენით სიტყვა „როკვა“	...-ბოსტნეული	დაუქორწინებლობა, სქესის უქონლობა	იტალიელი ტენორი ... პავაროტი	იგივეა, რაც შუშა	პოლარული მოვლენა ჩრდილოეთის ...	საკათედრო ტაძარი თბილისში
...ბუზი — ...წვევს ...ის დაავადებას	გოგრა		აღვირის ნაწილი — ცხენის პირში ამოსადები რკინა	ხილი	„ოსკარზე“ წარდგინება	...ტა თბილისში	ქალაქი რაჭაში

მორენა მერკვილაძე

რა უნდა ვიცოდეთ დიდმარხვასთან დაკავშირებით?

ქრისტიანულ სათნოებებს შორის, მარხვას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სიტყვა „მარხვა“ ზოგადად რაიმის შენახვას, დაცვას, დამარხვას ნიშნავს. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ეკლესიურ სწავლებებს კარგად არ იცნობს, ფიქრობს, რომ მარხვის დაცვა მხოლოდ ცხოველური კვების პროდუქტების მიღებისგან თავშეკავებას გულისხმობს. მცენარეულ საკვებზე გადასვლა, ხორციელი მარხვის დროს ხდება, მაგრამ არსებობს სულიერი მარხვაც, რომელიც სასულიერო ლიტერატურის კითხვით, ლოცვის გაძლიერებით, მოწყალების გაცემით, ავადმყოფთა მონახულებით, უნუგეშოთა ნუგეშისცემით, გართობასა და სანახაობის ხილვისგან თავშეკავებით და სხვა, ღვთისთვის სათნო საქმეების კეთებით უნდა გამოვხატოთ. ე.ი. სულიერი მარხვის დროს, მორწმუნეს სულიერებაზე მომეტებულად ზრუნვა ევალება, საბოლოოდ კი, მარხვით ხდება სულისა და სხეულის ერთობლივი განწმენდა, რაც ადამიანს ვნებათა და სიამოვნებათა დაძლევაში ეხმარება, მარხვის არსსა და მნიშვნელობაზე უფრო ვრცლად „გზის“ 2002 წლის 45-ე ნომერში მოგითხრობდით. ამჯერად, კონკრეტულად სააღდგომო დიდმარხვაზე გესაუბრებით, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ***დეკანოზი, გიორგი სხირტლაძე*** *განგვიმარტავს.*

— რა უნდა იცოდეს ადამიანმა სააღდგომო მარხვასთან დაკავშირებით?

— არა მარტო სააღდგომო მარხვა — ნებისმიერი მარხვა განწმენდის, სარწმუნოებასა და საკუთარ თავში მიწიერი საზრუნავიდან გარიდების, გაძლიერებული ლოცვის, ცოდვილი ცხოვრებისთვის მოკვდინების პერიოდია. მარხვის დროს, ადამიანმა კიდევ უფრო ცხადად უნდა გააცნობიეროს, თუ რა არის ქრისტიანის მოვალეობა. ამასთანავე მარხვა აუცილებელი პირობაა სულის საცხონებლად, ანუ ცათა სასუფეველში ადგილის დასამკვიდრებლად. რაც შეეხება საკუთრივ სააღდგომო მარხვას — ყველაზე დიდი მარხვაა და ადამიანს აღდგომის დღესასწაულისთვის ამზადებს. როგორც აღვნიშნეთ, სააღდგომო მარხვა ყველაზე დიდი მარხვაა და სხვა მარხვებისგან მკაცრი მოთხოვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებულად მკაცრი, დიდმარხვის პირველი და ბოლო კვირაა. ამ პერიოდში მორწმუნენი არ იღებენ ზეთზე დამზადებულ საკვებს. დიდმარხვის დროს, არ შეიძლება თევზის ხმევაც. ასევე ცვლილებებია ლოცვებშიც. დიდმარხვის დროს საერო ეკლესიები თითქმის სამონასტრო წესით ცხოვრებაზე გადადიან. დიდმარხვის პირველ კვირას, ეკლესიაში ყოველდღიურად იკითხება ანდრია კრეტელის „სინანულის კანონი“, სადაც უდიდეს სინანულზეა ლაპარაკი. სააღდგომო მარხვის პირველი კვირა ადამიანისგან მეტ სინანულსა და მეტ ღვაწლს მოითხოვს. რაც შეეხება ვნების შვიდეულს — იესო ქრისტეს დედამიწაზე გატარებული ბოლო დღეების, მისი გაცემისა და ვნების ღირსახსოვრადაა დაწესებული. ეს არის ქრისტეს ვნებათა თანაგანცდის პერიოდი. ამიტომ, მორწმუნემ მარხვა ვნების შვიდეულშიც უნდა გაამკაცროს.

— დიდმარხვის დროს ასევე იკითხება „ლოცვა ეფრემ ასურისა“. რატომ ვკითხულობთ მას დიდმარხვის დროს და როგორ იკითხება იგი?

— „ეფრემ ასურის“ ლოცვის დროს, ღმერთს ვევედრებით, რომ დაგვიფაროს ცუდად მეტყველების, სულის უქმობის, სხვათა განკითხვისა და დიდების მოყვარეობისგან. სანაცვლოდ კი, მოგვანიჭოს სულის სიწმინდე, ცოდვათა განცდის, მოთმინებისა და სიყვარულის უნარი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარხვის დროს. „ეფრემ ასურის“ ლოცვის დროს, კეთდება ოთხი დიდი და თორმეტი მცირე მეტანია („უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმოწვლილველობისასა, მთავრობის მოყვარეობისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე *(დიდი მეტანია).*

ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა *(დიდი მეტანია).*

ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ *(დიდი მეტანია).*

ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე *(12-გზის მცირე მეტანია)“.*

ლოცვა მეორდება თავიდან ბოლომდე (და კეთდება დიდი მეტანია). „ეფრემ ასურის“ ლოცვა არ იკითხება პარასკევის საღამოდან კვირის დილამდე; დანარჩენ დღეებში, უნდა ვიკითხოთ ყოველ დილა-საღამოს, მთელი დიდმარხვის განმავლობაში.

— ბუნებრივია, იესო ქრისტე განწმენდას არ საჭიროებდა. მაშინ, რატომ იმარხულა მაცხოვარმა ორმოცი დღის განმავლობაში, იუდეის უდაბნოში, ნათლისღების შემდეგ?

— უფალმა იუდეის უდაბნოში ორმოცდღიანი მარხვით, მაგალითი მოგვცა და გვიჩვენა გზა ვნებათა დაძლევისა. უფალი ბრძანებს: „არა რით განვალს ნათესავი ესე გარნა მარხვითა და ლოცვითა“ — ე.ი. ბოროტი ძალა მარხვით და ლოცვით განიდევნება, რაც თვალნათლივ დადასტურდა მაშინ, როდესაც იუდეის უდაბნოში ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ, იესო ქრისტემ ეშმაკის გამოცდას გაუძლო, რომელმაც ვერაფერი დააკლო.

— დიდმარხვის დაწყების წინ, ყველიერის კვირის დასასრულს, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაწესებულია შენდობის კვირა, როდესაც მორწმუნენი ერთმანეთს წყენის მიტევებას და პატიებას სთხოვენ და თვითონაც ყველას ჰპატიობენ. საიდან იღებს სათავეს ეს ტრადიცია და რა მნიშვნელობა აქვს მას?

— დიდმარხვის დაწყების წინ, როდესაც წმინდა მამები მონასტრებიდან გადიოდნენ, რათა მარხვის ღვაწლი ეტვირთათ, ითვალისწინებდნენ, რომ დიდმარხვის პერიოდი შეიძლებოდა, მათი ამა სოფლიდან გასვლის პერიოდს დამთხვეოდა, ამიტომ ერთმანეთის შენდობას და პატიებას სთხოვდნენ. წმინდა მამები ამ წესს ადრეულ საუკუ-

ნეებშივე იყენებდნენ, რაც ტრადიციად დამკვიდრდა. „მათეს სახარებაში“ წერია: „უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგეტევნეს თქვენც მამამან თქვენმან ზეცათამან“ (მათე 6, 14-22). ამდენად, შეცდომების ურთიერთშენდობასა და ურთიერთმიტევებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შენდობის კვირას ყველა ტაძარში სრულდება საგანგებო ღვთის მსახურება და იკითხება შენდობის ლოცვები.

— **აქვს თუ არა ადამიანს მარხვის დამოუკიდებლად, სულიერი მოძღვრის გარეშე გამკაცრების უფლება დიდმარხვის პირველ და ბოლო კვირას?**

— მორწმუნე სულიერ მოძღვართან შეთანხმებისა და მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე, ნებისმიერი საკითხის გადაჭრას უნდა ერიდებოდეს. რასაკვირველია, ეს მარხვის ღვაწლის აღებასაც ეხება. როდესაც ადამიანს მარხვის გამკაცრების სურვილი აქვს, ამისათვის კურთხევა უნდა სთხოვოს სულიერ მოძღვარს და მისი მითითებების გათვალისწინებით უნდა იმარხულოს.

— **როგორ უნდა იკვებებოდეს ადამიანი მარხვის დროს და შეიძლება თუ არა ამ პერიოდში სამარხვო მაიონეზის, კარაქის, შოკოლადის და ნამცხვრის მიღება?**

— მარხვის დროს ადამიანს არა მარტო ცხოველური საკვების მიღებისგან თავშეკავება, არამედ სამარხვო კერძების ზომიერად მიღებაც ევალება, რადგან ზომაზე მეტი საკვების მიღება ადამიანს ნაყროვანების ცოდვაში აგდებს. რაც შეეხება მარხვის დროს სამარხვო მაიონეზის, კარაქის და ნამცხვრის მიღებას — მარხვაზე მყოფ ადამიანს, ზომიერად არც მსგავსი კვების პროდუქტების მიღება ეკრძალება.

— **როდესაც ოჯახის მხოლოდ რამდენიმე წევრი მარხულობს, ხშირად ისეთ ჭურჭელში უხდებათ საკვების მომზადება, რომელშიც წინა დღეს, სახსნილო კერძი იყო მომზადებული. აუცილებელია თუ არა, მარხვაზე მყოფმა ადამიანმა გამოყოს ცალკე ჭურჭელი?**

— სასურველია, თუ ასეთ შემთხვევაში ადამიანი ცალკე ჭურჭელს გამოყოფს.

— **ხსნილდება თუ არა სააღდგომო მარხვა აღდგომის დღესასწაულის დადგომისთანავე — ანუ ღამის თორმეტი საათიდან?**

— სააღდგომო მარხვა ხსნილდება სააღდგომო ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ. ■

„ჰოი მთაწმინდავ, მთაო წმინდავ...“

პანთეონი

მამადავითის ეკლესიის შემოგარენში ქრისტიანული სამაროვნები მეექვსე საუკუნიდან უნდა არსებულიყო. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად, აქ ეკლესიის მსახურნი და ბერმონაზვნები იმარხებოდნენ. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, მეთექვსმეტე საუკუნემდე აქ დაკრძალულ პირთა შესახებ ცნობები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

თამაზ ქორქოლიანი



1521 წელს მთაწმინდის ეკლესიისათვის თავი შეუფარებია ქართლის მეფე დავითს. შაჰ ისმაილის შემოსევებისა და შინაომებისაგან დაუძლურებულ, სამშობლოს მომავალზე გულდამძიმებულ მეფეს, მწუხარებისთვის ვერ გაუძლია, ტახტზე თავისი ძე გიორგი დაუსვამს და ბერად აღკვეცილა. დავით მეფე 1525 წელს გარდაცვლილა, იგი იქვე, ძველ ეკლესიაში დაუკრძალავთ. მისი ნეშტი 1810 წელს, ტაძრის რეკონსტრუქციის დროს აღმოაჩინეს. ბერად შემდგარი გვირგვინოსნის ძვლები ჭილოფში ყოფილა გაბვეული.

მოგვიანებით მამადავითზე დაუკრძალავთ: დავით რექტორი (ალექსი-მესხიშვილი), ონისიმე იოსელიანი (ერეკლე მეორის კარის ეკლესიის მღვდელი, ისტორიკოს პლატონ იოსელიანის მამა), რომანოზ ივანეს ძე ბაგრატიონი (რუსი მხედარმთავრის, პეტრე ბაგრატიონის ძმა), სალომე ჭავჭავაძე-ორბელიანისა (პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე), მიხეილ ფალავანდიშვილი (გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ გამომცემელი), ლევან მელიქიშვილი (კავალერიის გენერალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი), გენერლები: მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენი და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ასტაფიევი (ალ. ჭავჭავაძის ოჯახის ახლობლები). ზემოთ ჩამოთვლილ საფლავთა უმეტესობა დღეისთვის დაკარგულად ითვლება.

პირველი უცხოელი, რომლის ნეშტიც მთაწმინდის მიწას მიაბარეს, ალექსანდრე გრიბოედოვია. იგი იყო რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე. (საგარეო საქმეთა კოლეგიას, რომელიც საიდუმლო სამსახურის ფუნქციებსაც ასრულებდა, ლომის წილი მიუძღვის 1783 წლის ტრაქტატის მომზადებაში, საქართველოს სახელმწიფოს დასუსტებასა და ბოლოს, რუსეთთან მიერთებაში). იგი ჯერ კავკასიის მთავარმართებელ ერმოლოვთან მუშაობდა, შემდეგ კი — პასკევიჩის კანცელარიაში. გრიბოედოვი იყო შეძლებული მემამულის შთამომავალი. მას მრავალმხრივი განათლება ჰქონდა მიღებული, იცოდა რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენა, ქართული არ უსწავლია. მონაწილეობდა 1812 წლის სამამამულო ომში. იყო შესანიშნავი პოეტი, თავისი დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე და ამავე დროს, ცბიერი და შორსმჭვრეტელი დიპლომატი. იგი საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაუახლოვდა მოწინავე ქართველ საზოგადოებას, კერძოდ კი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს. იცნობდა გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ერისთავს, სოლომონ დოდაშვილს და სხვებს.

მის სახელთანაა დაკავშირებული გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამოცემა, კომერციული ბანკის დაარსება თბილისში, სამაზრო სკოლების (რუსული) გახსნა. მასვე ეკუთვნის, აღა-მაჰმად ხანის მიერ დანგრეული თბილისის აღდგენის გეგმა და მთლიანად კავკასიის სამეურნეო-კულტურული გარდაქმნის პროექტი. მისი პიესა „ვაი ჭკუისაგან“ პირველად თბილისში დაუდგამთ — რომან ბაგრატიონის სალონში, რომელიც შემდეგ, ქართულად ალექსანდრე ყაზბეგს უთარგმნია. საქართველოსთანაა დაკავშირებული მისი შემოქმედების ერთი ნაწილი — „მგზავრის წერილები“, „იქ სადაც რბის ალაზანი“, „მეყალიონე“; მასვე ეკუთვნის ნარკვევი ალექსანდრე ჭავჭავაძეზე. მის მსოფლმხედველობას განსაზღვრავდა, პირველი თაობის რუს რევოლუციონერ თავადაზნაურთა იდეები. თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს და იზიარებდა მათ ძირითად კონცეფციებს.

ყველა სიკეთით შემკული, იმპერიის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი, მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალებით ვერ დაიტრაბახებ-

და. მიუხედავად ამისა, არ გასჭირვებია საქართველოში ყველაზე ლამაზი ბანოვანის, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის, ნინოს გულის მოგება. 1828 წელს, 33 წლის გრიბოედოვმა სიონის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა 16 წლის ნინო ჭავჭავაძეზე. იმავე წელს იგი თეირანში სამუშაოდ გაამწესეს და დანიშნეს საგარეო საქმეთა კოლეგიის მინისტრ-რეზიდენტად. გრიბოედოვზე და მის პოლიტიკურ შეხედულებებზე საქართველოსთან მიმართებაში ერთი, შეჯერებული აზრი არ არსებობს, ადრე მას მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „ურღვევ მეგობრობასთან" კავშირში განიხილავდნენ, რომელშიც ეჭვის შეტანა დანაშაულად ითვლებოდა. არადა, უკანასკნელი წლების მანძილზე, ბევრი დაფარული დოკუმენტი გამოქვეყნდა, რომელიც ნაწილობრივ თუ ცალსახად, გრიბოედოვის, როგორც იმპერიის მაღალი რანგის ჩინოვნიკის მსოფლმხედველობას ააშკარავებს. კერძოდ, ეს არის დეკაბრისტ პესტელის ე.წ. კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც კავკასიელ ხალხებს და კერძოდ, საქართველოს ეხება. „კავკასიის ხალხთა საცხოვრისი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც კურთხეული მხარე... დღეს იგი გაპარტახებულია და არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ეს ყოვლად მშვენიერი ქვეყანა ნახევრად ველურ ხალხს აქვს დასაკუთრებული... კავკასიის მდებარეობას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად სარფიანი სავაჭრო ურთიერთობისათვის და მაშასადამე, სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ეს შესაძლებლობა კი სავსებით იკარგება იმის გამო, რომ კავკასიის ხალხები არა მარტო სახიფათო და მოუსვენარი მეზობლები არიან, არამედ გაუტანელი და უვარგისი მოკავშირეებიც... დროებით უმაღლეს მმართველობას ნება ეძლევა... დაყოს კავკასიის ყველა ხალხი ორ ჯგუფად – მშვიდობიანებად და შფოთიანებად. პირველნი დატოვოს თავისსავე საცხოვრისში და დაუმყაროს მათ რუსული მმართველობა, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლოს შიდა რუსეთში და იქ დაფანტოს... შემოიყვანოს კავკასიაში რუსი მოსახლეობა და დაურიგოს აქედან გასახლებულთა მიწები. ამ საშუალებით წაშალოს კავკასიაში ყოველგვარი ნიშანკვალი ახლანდელი მკვიდრი მოსახლეობისა და გადააქციოს ეს მხარე წყნარ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად". ძნელია იმის მტკიცება, ეთანხმებოდა თუ არა გრიბოედოვი დეკაბრისტების კონსტიტუციის ზემოთ მოყვანილი პარაგრაფის აზრს, მაგრამ ისტორიამ დაგვანახვა, რომ რუსები ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, კავკასიელი ხალხების დასამორჩილებლად, ზუსტად იმ მეთოდებს იყენებენ, რომელიც პესტელის ზემოთ ხსენებულ დოკუმენტშია მოცემული.

ხოლო რაც შეეხება მაღალი რანგის რუსი ჩინოვნიკების დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ, მათი „გულწრფელი და უანგარო სიყვარულის" მიღმა, ყოველთვის იმალებოდა ველიკორუსული შოვინიზმი და დამპყრობლის იმპერიული ზრახვები.

ალექსანდრე გრიბოედოვი 1829 წლის 30 იანვარს მოკლეს თეირანში. რელიგიურ ფანატიკოსთა ბრბომ ხანჯლებით აკუწა და ქუჩაში დაგდო მისი სხეული. რამდენიმე დღის განმავლობაში ქუჩაში ეყარა აგრეთვე რუსეთის დიპლომატიური მისიის ყველა წარმომადგენლის დასახიჩრებული გვამიც. მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მოხერხდა გრიბოედოვის ნეშტის თბილისში ჩამოსვენება.

არსებობს აზრი, რომ თეირანში გამგზავების წინ, განშორებისას გრიბოედოვს ნინოსთვის დაუბარებია: ტრაგიკული აღსასრულის შემთხვევაში, ჩემი ნეშტი თბილისის ყველაზე პოეტურ ადგილს – მთაწმინდას მიაბარეო. იმის გამო, რომ მთაწმინდის ეკლესიის შემოგარენი ჭავჭავაძეთა და მით უმეტეს, არც გრიბოედოვთა საგვარეულო სასაფლაოს არ წარმოადგენდა, ნინო ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანი თანხა შესწირა მამადავითის ეკლესიას, რითიც საქართველოს ეგზარქოსისაგან, მწერლის ნეშტის მთაწმინდაზე დაკრძალვის ნებართვა მიიღო. გრიბოედოვი დაკრძალულია ხელოვნურ მღვიმეში, მის ფრონტონზე ქართული წარწერაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს ძეგლი დადგმულია მისი მეუღლის – ნინო ჭავჭავაძის მიერ 1832 წელს. საფლავზე დგას იტალიელი მოქანდაკის ს. კამპიონის მიერ შესრულებული, შავი მარმარილოს შესანიშნავი ძეგლი. კვარცხლბეკზე კი, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მწუხარე ქალის ფიგურა. მუხლმოყრილი, ჯვარზე დაყრდნობილი ქალის ფიგურის მარცხნივ, პედესტალზე დაწყობილი წიგნებიდან ერთ-ერთის ყუაზე წარწერაა – „ვაი ჭკუისაგან", მის ზემოთ კი, გაკეთებულია დაფნის დაწნული ქნარი.

გრიბოედოვი დაკრძალულია ხელოვნურ მღვიმეში, მის ფრონტონზე ქართული წარწერაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს ძეგლი დადგმულია მისი მეუღლის – ნინო ჭავჭავაძის მიერ 1832 წელს

1857 წელს მეუღლის გვერდით დაკრძალეს ნინო ჭავჭავაძეც. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ქართველი და უცხოელი დიდებული სთხოვდა ცოლობას, გრიბოედოვის ქვრივი აღარ გათხოვილა – ასე უშვილძიროდ გადაეგო, ერთ-ერთი ულამაზესი და უსათნოესი ქართველი ქალბატონი...

1892 წელს აკაკი წერეთელმა თავისი ერთ-ერთი შედევრი – „განთიადი" გამოაქვეყნა.

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა ურჩსა მტრისასა..."

ამ „თავდადებულსა" და „მტრის ურჩ რაინდში" აკაკი, დიმიტრი ყიფიანს გულისხმობს. მისი ნეშტი მთაწმინდის მიწას 1887 წლის 8 ნოემბერს მიაბარეს. აზნაური დიმიტრი ყიფიანი 20 წლისა იყო, როცა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ვოლოგდაში გადაასახლეს. ნიჭიერ და ენერგიულ ახალგაზრდას არ გასჭირვებია მისი ასაკისთვის შეუფერებელი მაღალი კარიერის გაკეთება: გადასახლებაში მყოფმა, საგუბერნიო მმართველის მდივნის თანამდებობას მიაღწია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად დაინიშნა და კოლეგიის მრჩევლის ტიტული მიენიჭა („კოლეჟსკი სოვეტნიკ"), მომდევნო პერიოდში ყიფიანი დანიშნეს მეფისნაცვლის საბჭოს წევრად, რაც იმ დროისათვის უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მოგვიანებით იგი აირჩიეს ქუთაი-

სის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, რამდენჯერმე თბილისის ქალაქის თავად იქნა არჩეული. მისი თანამდებობების ნუსხა დაწვრილებით იმიტომ მოვიტანეთ, რომ ხაზი გაგვესვა ფაქტისთვის, თუ რაოდენ წარმატებული კარიერა ჰქონდა მას, როგორც იმპერიის მოხელეს. მიუხედავად მისი სამსახურებრივი წარმატებებისა, დიმიტრი ყიფიანი შესანიშნავად ახერხებდა იმპერიის ერთგულების ეროვნულ მოღვაწეობასთან შეთავსებას.

მას წვლილი მიუძღვის ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებაში, ახალი ქართული თეატრის საძირკვლის ჩაყრაში, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებაში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებაში, რომლის პირველ თავმჯდომარედაც ერთხმად იქნა არჩეული. გარდა ამისა, დიმიტრი ყიფიანი ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას. ინგლისურიდან თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ფრანგულიდან — მოლიერის „ცოლის შერთვევინება“ (ფრანგული მან მეტეხის ციხეში პატიმრობისას ისწავლა, ინგლისური — ვოლოგდაში გადასახლებისას). სამოცი წლის იყო, როცა ქართული ენის გრამატიკის შედგენას შეუდგა, და როცა ლათინურის ცოდნა დასჭირდა, სხვის დაუხმარებლად, მოკლე ხანში, თვითონ ისწავლა. გარდა ამისა, წერდა მოთხრობებს და ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით აქვეყნებდა. ტრაგიკულად დაღუპვის წინა წლებში, სამსახურს თავი დაანება, ქვიშხეთში დასახლდა და საკუთარ მეურნეობას მიჰყო ხელი.

და აი, დადგა საბედისწერო წამი — 1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიის ნამოწაფარმა, შეურაცხყოფილმა, გარიცხულმა და გათელილმა იოსებ ლაღიაშვილმა თავისი უბედურების მიზეზი, ამავე სემინარიის რექტორი, დეკანოზი ჩუდეცკი მოჰკლა. სემინარიის რექტორის დასაფლავებაზე წარმოთქმულ, გამოსათხოვარ სიტყვაში, საქართველოს ექსზარქოსმა პავლემ დაწყევლა ჩუდეცკის მკვლელი და მასთან ერთად მკვლელის მშობელი, ქართველი ერი. ეს იმდენად წარმოუდგენელი და უპრეცედენტო შემთხვევა იყო, რომ შეურაცხყოფით დაბნეული ქართული საზოგადოებრიობა დიდხანს ვერ მოეგო გონს. მხოლოდ ერთადერთმა, დიმიტრი ყიფიანმა აღიმაღლა ხმა. 73 წლის მოხუცმა, ექზარქოსის სახელზე წერილი დაწერა და რადგან ქვიშხეთში ფოსტა არ იყო, ხაშურში ჩავიდა მის გასაგზავნად. „თქვენო მეუფეაავ, — წერდა იგი, — მოიღეთ ჩემზე მწყევსმთავრული მოწყალება და თუ გატაცებული ხმებით ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც საწყსოდ ხარ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს მსახურისა და მის წარმომადგენლისაგან. იგივე ხმა არ კმაყოფილდება თქვენის ღირსების შეურაცხყოფით! იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდესთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდვილეს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. თუ ყოველივე ეს მეუფეო მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი ადამანი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გავიდეს. ამას მოგახსენებთ ერფელის გულით თქვენი სამწყოსოს ერთი წევრი, რომელმაც უნდა თავიდან აციილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება. ხოლო თუ ყოველივე ეს მართალი არ არის, შემინდეთ და მოიღეთ მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა თქვენი ჩემზედა.

73 წლის მოხუცი არ გატყდა. ჯალათებსაც მეტი რა დარჩენოდათ — ტუსაღი დაქირავებულ მკვლელებს მოაკვლევინეს

თქვენი მეუფის მორჩილი მსახური
დიმიტრი ყიფიანი
ივნისის 6 1886 წ.
სადგური ხაშური“.

ერთი შეხედვით დიპლომატიური ფორმით შედგენილი, მაგრამ რისხვით აღსავსე ეს წერილი, პავლე ეგზარქოსს მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისთვის უჩვენებია (დონდუკოვ-კორსაკოვი — ქსენოფობი, ქართველთმოძულე, სომეხ-ქართველთა შორის შფოთის დამთესი, ლოთი. ერთხელ ფოთში სტუმრობის შემდეგ, მატარებლით თბილისში მოემგზავრებოდა; გასაცილებლად მოსულ ფოთის საზოგადოებრიობას პორტის აშენება უთხოვია. მთვრალ მთავარმართებელს მათი თხოვნა კი მოუსმენია, მაგრამ იქვე ჩასძინებია და მატარებელიც გასულა. ნაბახუსევს უკვე სურამში გაღვიძებია და მის შესახვედრად მოსული სურამლებისთვის მიუმართავს — „ბუდეტ უ ვას პორტ! ბუდეტ!“ იმ გაოგნებული სურამელების შთამომავლები დღესაც ელოდებიან დონდუკოვის დანაპირებ პორტს...) განრისხებულმა მთავარმართებელმა დიმიტრი ყიფიანი დაატიმრებინა და სტავროპოლში გადაასახლა.

დატუსაღებულს აიძულებდნენ, დაეგმო თავისი საქციელი და საჯაროდ ბოდიში მოეხადა, მაგრამ 73 წლის მოხუცი არ გატყდა და მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რაც მოელოდა,თავის პრინციპებს არ უღალატა. ჯალათებსაც მეტი რა დარჩენოდათ — ტუსაღი დაქირავებულ მკვლელებს მოაკვლევინეს.

დიმიტრი ყიფიანის ნეშტი თბილისში 8 ნოემბერს ჩამოასვენეს. დამკრძალავმა კომისიამ, რომელსაც ვალერიან გუნია და ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) ხელმძღვანელობდნენ, მიცვალებულის მთაწმინდაზე დასაფლავება გადაწყვიტა. სავარაუდოა, რომ ეგზარქოს პავლეს წყევლითა და დიმიტრი ყიფიანის მოკვლით აღშფოთებულ და განრისხებულ ქართულ საზოგადოებას პროტესტის გამოხატვის სურვილი გაუჩნდა. ამისათვის მათ გადაწყვიტეს, მიცვალებული გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტზე, მთავარმართებლის სასახლის (ახლანდელი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) წინ გაეტარებინათ.

„როგორც კი პროცესია ვაჟთა პირველ გიმნაზიას დაუპირისპირდა, წინ პოლიცმაისტერი გადაეღობათ — მთავარმართებლის ბრძანებაა, მიცვალებული სასახლის წინ არ გავატაროთ, ამიტომ მობრუნდით და ალ. ჭავჭავაძის ქუჩით აასვენეთ მთაწმინდაზეო.

— აქ ბატონ-პატრონი მე ვარ და არა მთავარმართებელი! აბა გამომყევით, ვნახოთ, ვინ დაგვიდგება წინ! — შესძახა ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ და პროცესიას წინ გაუძღვა.

მღვდელმთავრის ნათქვამით გამხნევებული ხალხი მიჰყვა, გადათელა გზის ჩამკეტი პოლიციელების რიგები და დაუპირდაპირდა სასახლეს. სადაც ფანჯრებს სასწრაფოდ დარაბები ააფარეს, რომ სასახლეში მყოფთა თვალებს არ დაენახა, რა ხდებოდა პროსპექტზე. ქუთაისიდან ჩამოსულებს სულ ხმლებზე ეკიდათ ხელი. სასახლის წინ მცირე ხნით შეაჩერეს მიცვალებულის ცხედარი, მერე აუხვიეს სოლოლაკისკენ, აასვენეს მამადავითზე და მიაბარეს მთაწმინდის მიწას ნეშტი მეორე დიმიტრი თავდადებულისა“, — მოგვითხრობს თედო სახოკია.

დიმიტრი ყიფიანი იყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში თავშეწირული პირველი რაინდი, რომლის ნეშტიც მთაწმინდის მიწამ მიიბარა.

■

მეორე სოფი ლორენად წოდებული

მონიკა ბელუჩი

პოდიუმისა და კინოს ვარსკვლავი მონიკა ბელუჩი 1968 წლის 30 სექტემბერს იტალიის ქალაქ პერუჯაში დაიბადა. მის დაბადებას მთელი სანათესავო მოუთმენლად ელოდა, რადგან ექიმებმა დედამისს უშვილობის დიაგნოზი დაუსვეს. გოგონა ოჯახში ბავშვობიდანვე საოცარი სიყვარულით იყო გარემოცული. მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მონიკას დედ-მამის მზრუნველობა, სიყვარული და ყურადღება არასოდეს აკლდა. განსაკუთრებული გარეგნობით ბელუჩი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა, მაგრამ თავად გოგონა ამას, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. იგი ყოველთვის ბეჯითად სწავლობდა, რადგან კარგად ესმოდა, რომ უფულობის კომპენსირებას მხოლოდ კარგი განათლებით შეძლებდა.

1986 წელს მონიკამ პერუჯის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარა. პარალელურად იგი პიცერიაში ოფიციანტადაც მუშაობდა, რათა სწავლის ფულის გადახდა შესძლებოდა. მერე კი, მეგობრების რჩევით, სამოდელო სააგენტოსაც მიაკითხა, სადაც ლამაზი გოგონა დიდი სიამოვნებით მიიღეს. სწორედ სამოდელო კარიერამ მიიყვანა მონიკა ბელუჩი კინოში.

1987 წელს იგი მილანის ყველაზე პრესტიჟულ სამოდელო სააგენტო — „ელიტში“ მიიწვიეს. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, აღმოჩნდა, რომ ცნობილი მოდის სახლის მენეჯერები იმხანად ეძებდნენ მოდელს, რომელიც მათი ფირმის სახეს წარმოადგენდა. მონიკას აქაც გაუმართლა — „დოლჩე და გაბანამ“ სწორედ იგი აირჩია. ცნობილ მოდელიერებთან მუშაობამ ნაყოფი მალე გამოიღო, რადგან ბელუჩის ფოტოები რეგულარულად იბეჭდებოდა მოდის პოპულარული ჟურნალების ყდებზე. არმანის, ვალენტინოს და ყველა სხვა ცნობილი მოდის სახლის კარი ღია იყო მონიკა ბელუჩისათვის. პროფესიონალი მოდელის გამოცდილება შემდგომში ძალიან გამოადგა მონიკას კინოში, როცა მისგან კამერის წინ თავისუფალი მოქმედება მოითხოვეს: „მე იოლად ვართმევ თავს ისეთ სცენებს, სადაც თითქმის შიშვლად მიწევს გადაღება. სიშიშვლეში არის რაღაც ჯადოსნური“. გარდა ამისა, ბელუჩიმ თავისი ნაკლის შესახებაც კარგად უწყის და როგორც ჭეშმარიტი ვარსკვლავი, საკუთარი თავის წარმოჩენას ეკრანზე სწორად ახერხებს: „როცა ვსაუბრობ, ვერ ვხედავ ჩემი სახის მოძრაობას, კინოში კი ეს მშვენივრად ჩანს, ამიტომ ეკრანის მეშვეობით, უამრავი რამ შევიტყვე ჩემზე.“

კინოში მონიკა ბელუჩის ნათლია უხუცესი იტალიელი რეჟისორი დინო რიზი („ქალის სურნელი“) გახლდათ. ჟურნალის ყდაზე დაბეჭდილმა მონიკას ფოტომ მისი ყურადღება მიიპყრო და ხანში შესულმა რეჟისორმა თავის ფილმში ბელუჩის პატარა როლი შესთავაზა. შესაძლოა, მას კინოასპარეზზე მოღვაწეობა აღარც კი გაეგრძელებინა, რომ არა კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევა. როგორც ამბობენ, მისმა ფოტოსურათმა ფრენსის ფორდ კოპოლას ერთ-ერთი ძმისწულის ყურადღება მიიქცია და მან ბიძას ლამაზი იტალიელის ფილმში მიწვევა ურჩია. 1992 წელს მონიკამ მიიღო როლი, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ეპიზოდური როლი, სადაც იგი სიტყვასაც კი არ ძრავდა — კოპოლამ მონიკას დრაკულას ერთ-ერთი საცოლე ათამაშა („ბრემ სტოკერის დრაკულა“). „ფილმში იმიტომ კი არ მიმიწვიეს, რომ კარგი მსახიობი ვიყავი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი გარეგნობა მაქვს, — ამბობდა მოგვიანებით ბელუჩი, — ამის შემდეგ, ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე, რადგან მსურდა, რომ ჩემი სილამაზის გარდა, სხვა რამეც დაენახა მაყურებელს“...

ბელუჩის აქტიურად იღებდნენ იტალიელი რეჟისორები, სულ მალე კი, მათ რიგს ფრანგებიც შეემატნენ. მოდელისა და მსახიობის კარიერის გამო, მონიკას უნივერსიტეტისათვის თავის დანებება მოუხდა. ხოლო როცა ფილმ — „ბინაში“ მიწვევა მიიღო, საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა. ამ სურათში მონაწილეობამ მონიკას აღიარება მოუტანა —

„ბინაში“ შესრულებული როლისათვის იგი „სეზარზე“ იყო ნომინირებული. ფილმში მისი პარტნიორი ცნობილი ფრანგი მსახიობი ვინსენ კასელი იყო, რომელიც მოკლე ხანში ბელუჩის ქმარი გახდა. ვინსენ კასელს ინტელექტუალური მსახიობის სახელით იცნობენ და იგი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ აქტიორად ითვლება. კასელი არაკომერციული კინოს უამრავ რეჟისორთან და მსახიობთან მეგობრობს, შესაძლოა, სწორედ ამან მოახდინა გავლენა ბელუჩიზე, რომელიც გათხოვების შემდეგ, საკმაოდ კრიტიკულად უდგება კინოსცენარებს, სადაც მას გადაღებას სთავაზობენ.

1997 წელს მონიკამ ფრანგულ ფილმ „დობერმანში“ ითამაშა. მან სურათში კასელის ყრუ-მუნჯი მეგობარი გოგონას როლი შეასრულა. „დობერმანი“ ნამდვილ ევროპულ ჰიტად იქცა, მონიკას ყრუ-მუნჯი გმირი კი, ალბათ ყველა მამაკაცმა შეიყვარა. ფილმმა უდიდესი წარმატება მოუტანა ბელუჩის, ვინსენ კასელთან ქორწინებამ კი, დიდ კინოში სამოღვაწეოდ გაუხსნა გზა. სულ მალე, მსახიობმა სრულიად ექსტრემალურ ფილმში – „მგლის საძმოში“ ითამაშა, სადაც მისი პარტნიორი ჯინ ჰეკმენი იყო. ამას კი ყველაზე ძვირად ღირებული ევროპული პროექტი – „ასტერიქსი და ობელიქსი: კლეოპატრას მისია“ მოჰყვა.

2002 წლის კანის ფესტივალის სენსაციად გასპარ ნოეს ფილმი – „შეუქცეველი“ აღიარეს. სურათი იწყება ძალადობის სცენით, რომელიც ცხრა წუთს გრძელდება. სურათში მთავარ როლებს მონიკა ბელუჩი და ვინსენ კასელი ასრულებენ. ცოლ-ქმრის მონაწილეობამ ამ ეპიზოდს კიდევ უფრო მეტი პიკანტურობა და სიმძაფრე შესძინა. ფილმის ჩვენების შემდეგ ბელუჩიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „გადაღებებისას ასე შორს არასოდეს შემიტოპავს და ბედნიერი ვარ, რომ ამ სურათში პარტნიორობას სწორედ ჩემი მეუღლე მიწევდა“. გავრცელდა ხმები, თითქოს, ეს განცხადება გახდა საბაბი ცოლ-ქმარს შორის განხეთქილებისა.

ბელუჩი ინტუიტიურად ირჩევს მხოლოდ იმ როლებს, სადაც მას შესაძლებლობა აქვს, ეკრანზე წარმოაჩინოს თავისი ღრმა და მგრძნობიარე ნატურა. ფილმ „მალენაში“ განსახიერებულმა პერსონაჟმა მსახიობს საერთაშორისო აღიარება მოუტანა და უნდა აღინიშნოს, რომ მასში ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოცემული ბელუჩის მგრძნობიარე ხატება. მონიკას მეორე სოფი ლორენს უწოდებენ და მართლაც, იტალიელ სუპერვარსკვლავთან მას უამრავი რამ აქვს საერთო.

ბელუჩის ხშირად ჰოლივუდის რეჟისორებიც იწვევენ: მან კიანუ რივზთან ერთად ითამაშა „მატრიცის“ მეორე სერიაში, ამჟამად კი მესამე სერიის გადაღებები დასასრულს უახლოვდება. მსახიობს ერთი ოცნება აქვს, მას რობერტ დე ნიროსთან ერთად სურს ფილმში გადაღება. ჯერჯერობით კი, ექსტრაორდინარულ ჯენტლმენთა ლიგიდან იგი ეკრანზე შონ კონერის და ბრიუს უილისს („არასასურველი გადარჩენა“) შეხვედრია. იტალიელი მსახიობისათვის, რომელიც კარგა ხნის მანძილზე საფრანგეთში მოღვაწეობდა, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია! „ამერიკაში უფრო მეტი ასისტენტი გყავს, საკვებიც უფრო უკეთესია, რადგან მათ დაფინანსება უკეთესი აქვთ. აი, კამერის წინ კი, უკლებლივ ყოველივე ერთნაირად ხდება“, – გულწრფელად აღიარა მსახიობმა.

მონიკა ბელუჩი დღემდე ორივე ასპარეზზე – კინოსა და პოდიუმზე წარმატებულად მოღვაწეობს. იგი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან მოდელს შორის, ვისაც ცნობილი „პირელის“ კალენდრის ფურცლებზე მოხვედრის პატივი ორგზის ხვდა წილად („პირელის“ კალენდრისათვის წელიწადში ერთხელ ირჩევენ მსოფლიოში ულამაზეს 12 ქალს და შემდეგ მათ ფოტოებს კალენდრის ფურცლებზე ბეჭდავენ).

■

ოლივერ კანმა გერმანელ ფანებს იმედები გაუცრუა

ალექსი რეხვიაშვილი

ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის კარგად არის ცნობილი ის, რომ ოლივერ კანი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს თავისი ქვეყნის მოსახლეობაში. „ბავარიის“ გოლკიპერის ავტორიტეტი გერმანიაში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ კიდევ უფრო ამაღლდა, რასაც ხელი იმანაც შეუწყო, რომ იგი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მოგვიანებით კი, კანი 2002 წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარედაც დასახელდა. ამის შემდეგ, ოლივერი გერმანელი დედებისათვის ეტალონად იქცა, რომლისთვისაც მათ შვილებს უნდა მიებაძათ. ოლივერ კანი გერმანელი ბიჭუნებისათვის სამაგალითო იყო არა მარტო საფეხბურთო მოედანზე, არამედ მის გარეთაც. თუმცა, ცოტა ხნის წინ მან თავისი საქციელით შოკში ჩააგდო მილიონობით ადამიანი. ნუ იფიქრებთ, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრების მეკარე ჰომოსექსუალიზმში, პედოფილიაში ან რაიმე სხვა მძიმე კრიმინალურ დანაშაულში ამხილეს. უბრალოდ, ოლივერმა მეუღლეს უღალატა და საყვარელი გაიჩინა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი საზოგადოების გაკიცხვის ობიექტად ქცეულიყო.

გერმანული ყვითელი პრესა დღეს უკვე ხმამაღლა საუბრობს იმის შესახებ, რომ ოლივერ კანმა ბედის ანაბარა მიატოვა ფეხმძიმე მეუღლე და ქალიშვილი და თავისი მომავალი, 21 წლის მოცეკვავეს დაუკავშირა.

ქერათმიანმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც დღისით ერთ-ერთ მსხვილ კომპანიაში ტელეფონისტად მუშაობს, ღამით კი, მიუნხენის კლუბებში ცეკვავს, პირველივე შეხვედრისას აუბნია თავგზა „რკინის ოლივერს“. „კანი მეგობრებთან ერთად კლუბ „P1“-ის დისკოთეკაზე მოვიდა. ისინი თავდავიწყებით ზეიმობდნენ რაღაც გამარჯვებას. შიგადაშიგ კი, კანი მე მესაუბრებოდა. საღამოს ბოლოს, მან მეორე დღისათვის ვახშამზე დამპატიჟა. სწორედ იქ დავუახლოვდით ერთმანეთს“, — ასე აღწერს ვერენა კ. ოლივერ კანის გაცნობის ამბავს, რომელიც 2002 წლის დეკემბრის ბოლოს მოხდა. უკვე იანვარში კი, ისინი ინტენსიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეიძლება სახელგანთქმული მეკარის ინტიმურ ცხოვრებას გერმანულ საზოგადოებაში ასეთი რეზონანსი არც გამოეწვია, რომ არაერთი საგულისხმო ფაქტი — საქმე ის არის, რომ სულ მალე კანის ცოლმა, სიმონემ უნდა იმშობიაროს (ამ სტატიის გამოქვეყნების მომენტისათვის, შეიძლება იგი უკვე ნამშობიარებიც იყოს). ამასთან ერთად, ცნობილია ისიც, რომ სიმონესთვის საკეისრო ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ, რაც მეტისმეტი დაძაბულობითა და ნერვიულობით იყო გამოწვეული. „ცხადია, რომ მისთვის უდიდესი სულიერი ტრავმა იქნება მოღალატე ქმრისაგან, კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა. გარდა ამისა, დედის სულიერი მდგომარეობის გამო, ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ ბავშვი ჯანმრთელი დაიბადება“, — ამბობს კიოლნის ქალთა კლინიკის პროფესორი, ფრიდრიხ ვოლფი.

საგულისხმოა ისიც, რომ ოლივერის მომავალ ვაჟიშვილს უკვე სახელიც შეურჩიეს — დანიელი. კანის მეგობართა მტკიცებით კი, თურმე „ბავარიის“ გოლკიპერი ყოველთვის ოცნებობდა ვაჟიშვილის შეძენაზე.

დღეისათვის უცნობია ის, თუ ვინ გაზრდის კან-უმცროსს, სამაგიეროდ, ზედმიწევნით ზუსტად არის ცნობილი ოლივერისა და ვერენას ერთ-ერთი ბოლო შეხვედრის ამბავი. 24 თებერვალს 22.00 საათზე ოლივერი ახალ საყვარელს თავისსავე სახლში შეხვდა. მალე ისინი უკვე შამპანურს მიირთმევდნენ კაფე-ბარ „ბრიკში“. 00.40 საათზე წყვილი ვერენას ოროთახიან ბინაში განმარტოვდა. ამ დროს სიმონე მარტო იმყოფებოდა შინ. ოლივერმა ვერენას სახლი მხოლოდ მეორე დღეს, 9.15 საათზე დატოვა, რაც გერმანელი ჟურნალისტებისათვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მეუღლის ღალატში კანის დასადანაშაულებლად. „არ ვიცი, მიყვარს თუ არა ოლივერი, მაგრამ მასთან სექსი ძალიან მომეწონა“, — საბოლოოდ მოჰფინა ნათელი ყველაფერს ვერენამ, რომელმაც გაზეთ „ბილდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ისიც დასძინა, რომ ჯერ ვერაფერს იტყვის მისი და ოლივერ კანის მომავლის შესახებ, რადგან ამის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება აკრძალული აქვს. თუ ვინ აუკრძალა მას კანთან ურთიერთობის მომავალზე საუბარი, ეს ჯერჯერობით უცნობი რჩება. მიუხედავად ამისა, ცნობილი გახდა ოლივერისა და ვერენას რომანის სხვა დეტალებიც. 15 თებერვალს, მიუნხენური დერბის შემდეგ, ისინი თვითმფრინავით მონტე-კარლოში გაემგზავრნენ, სადაც სასტუმრო „პარიზში“ ორი დღეღამე გააატარეს. ამ დროს კი, გოლკიპერის მამა, როლფ კანი ყოველნაირად ცდილობდა, თავისი რძლისათვის მდგომარეობის შემსუბუქებას, მაღაზიებსა და აფთიაქებში დადიოდა და შვილიშვილსაც უვლიდა. აქვე მკითხველს იმასაც ვაცნობებთ, რომ ოლივერ კანის ცოლი, სიმონე პროფესიით ექიმია და მას გერმანიის ნაკრების მეკარე 15 წლის ასაკიდან იცნობს. 1999 წელს სიმონე და ოლივერი შეუღლდნენ და იმავე წელს ქალიშვილიც შეეძინათ, რომელსაც კატარინა-მარია დაარქვეს. ■

პოლიციამ „რეალის" ფანებს რეზინის ტყვიები დაუშინა

მადრიდის „რეალსა" და „მილანს" შორის გამართული ჩემპიონთა ლიგის მატჩის მსვლელობისას „სანტიაგო ბერნაბეუზე" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შეტაკება მოხდა პოლიციასა და „სამეფო კლუბის" ქომაგებს შორის. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „რეალის" ფანებმა სტადიონთან ახლოს ნაგვის ყუთებს ცეცხლი წაუკიდეს. პოლიციელებმა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებთან ხელჩართული ბრძოლისას ხელკეტების გამოყენება სცადეს, თუმცა ვერაფერს გახდნენ, რადგან ფანები მათ პეტარდებსა და შუშის ბოთლებს ესროდნენ. სწორედ ამის გამო, პოლიციელები იძულებულნი იყვნენ, რეზინის ტყვიები გამოეყენებინათ, რის შედეგადაც ბრბო დაიშალა.

ვიერის რასიზმში ედება ბრალი

უეფა განიხილავს „ნიუკასლის" საჩივარს, რომელიც „ინტერის" ფორვარდის, კრისტიან ვიერის მიერ ინგლისური კლუბის თავდამსხმელის, ტრეზორ ლომანო ლუა ლუას მიმართ რასისტულ გამოხდომას ეხება. საჩივარში ნათქვამია, რომ ვიერიმ ლუა ლუას შეურაცხყოფა შეხვედრის დამთავრებამდე (2:2) რამდენიმე წუთით ადრე მიაყენა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ინციდენტამდე ლუა ლუამ კორდობას ზურგში ჩაარტყა ხელი.

რონალდო ცოლს ეყრება

ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფორვარდს, რონალდოს მეუღლესთან განქორწინება სურს. ბოლო დროს, კიჭა და მილენა დომინგესი უარყოფდნენ თავიანთი გაყრის შესახებ გავრცელებულ ხმებს, თუმცა ბრაზილიური „ჟორნალ დუ ბრაზილი" იუწყება, რომ მათი განქორწინება გარდაუვალია. გაცნობებთ, რომ რონალდო და 22 წლის მილენა 1999 წელს დაქორწინდნენ, რის შემდეგაც მათ ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც რონალდი დაარქვეს. მილენა დომინგესი, რომელიც ასევე პროფესიონალი ფეხბურთელია და ცოტა ხნის წინ „რაიო ვალეკანოს" ქალთა გუნდშიც დაიწყო თამაში, ვერასოდეს ვერ იტანდა იმას, რომ მას რონალდინიას ეძახდნენ.



აბიატი „მილანიდან" წასვლას არ აპირებს

„მილანის" გოლკიპერმა, კრისტიან აბიატიმ განაცხადა, რომ თავის ამჟამინდელ კლუბში მთელი საფეხბურთო კარიერის გატარება სურს. ბოლო დროს „მილანში" ძირითადი მეკარის ადგილი ბრაზილიელმა დიდამ დაიკავა, ხოლო 26 წლის აბიატი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, რის გამოც, ბევრი მიიჩნევდა, რომ კრისტიანს კლუბის დატოვების სურვილი გაუჩნდებოდა. „უკვე ვესაუბრე ადრიანო გალიანის და მან მითხრა, რომ კლუბს ჩემი იმედი 100%-ით აქვს. იგი ამბობს, რომ მე „მილანში" სამუდამოდ დავრჩები. აბიატიმ კომენტარი გაუკეთა მადრიდის „რეალისა" და „მილანის" მატჩში თავის თამაშსაც: „ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო და ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ. ამჯერად ყურადღების კონცენტრაცია იტალიის ჩემპიონატზე უნდა გავაკეთოთ. აუცილებლად უნდა დავეწიოთ „იუვენტუსს", მით უმეტეს, რომ მალე მასთან შეხვედრა მოგვიწევს".

პორტუგალიის ნაკრებში განხეთქილებაა

ბოლო დროს, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლუიშ ფელიპე სქოლარისა და ლუიშ ფიგუს შორის ურთიერთობა გამწვავდა, რისი მიზეზიც გუნდში არაპორტუგალიელი მოთამაშის გამოჩენა გახდა. ამას წინათ, ერთ-ერთი პორტუგალიური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში ფიგუმ განაცხადა, რომ იგი ქვეყნის ეროვნულ გუნდში საზღვარგარეთელი ფეხბურთელების ჩარიცხვის წინააღმდეგია. „ეროვნული ჰიმნის სწავლა ყველას შეუძლია, მაგრამ მას ყველა ვერ შეიგრძნობს, – მიიჩნევს პორტუგალიელთა გუნდის ლიდერი. – თუ პატრიოტი ხარ, მაშინ მხოლოდ შენი ქვეყნის ნაკრების ღირსება უნდა დაიცვა". გარდა ამისა, ლუიშ ფიგუ მიიჩნევს, რომ ეროვნულ ნაკრებში უცხოელთა მოზიდვა ახალგაზრდა ნიჭიერ პორტუგალიელ მოთამაშეებს საფეხბურთო კარიერის გაკეთებაში შეუშლის ხელს. სქოლარისა და ფიგუს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ანდერსონ ლუიშ დე სოუზამ, რომელიც დეკოს სახელითაა ცნობილი, პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღო და „დიდი ფილის" დახმარებით, ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც ჩაირიცხა. ამის შემდეგ სქოლარიმ საკმაოდ მკაცრი განცხადება გააკეთა ფიგუს მისამართით. „მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია ის, თუ ვინ უნდა შევიყვანო ნაკრების შემადგენლობაში და არა მოთამაშეების", – განაცხადა მან. სხვათა შორის, ფიგუსა და „დიდი ფილის" დავაში „მისი უდიდებულესობა, ფეხბურთის მეფეც" ჩაერთო და განაცხადა: თუკი დეკო საკმაოდ კარგ ტექნიკას ფლობს და პორტუგალიის სიყვარულით მან ამ ქვეყნის მოქალაქეობაც მიიღო, რატომაც არ უნდა მიეცეს ეროვნულ ნაკრებში თამაშის უფლება. აღსანიშნავია ისიც, რომ დეკოს დებიუტი პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებში 20 მარტს შედგება, როდესაც გუნდი ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონთან, ბრაზილიასთან გამართავს ამხანაგურ მატჩს.

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-53, 1-11

ქალური ინფუიცია

ანუ ჯიბემალიან ოვითები

გამტაცებლების მიერ გამოგზავნილ ვიდეოკასეტაზე ნიტა აღმოჩნდება. ამით თავზარდაცემულ ნინის მაშინვე გული შეუღონდება. თუმცა, გონს მოსვლის შემდეგ, დიტო მას ფირის დაკვირვებით ნახვას მაინც აიძულებს. ფირზე აღბეჭდილი ინტერიერი ნინის საოცრად ეცნობა, მაგრამ საიდან, ჯერ ვერაფრით გაიხსენებს.

დიტოს და გიორგის წასვლის შემდეგ ნინი მარის მონახულებას გადაწყვეტს. მარის მკურნალი ექიმი, ნინის სასისხარულო ამბავს აუწყებს: თანამედროვე სამედიცინო აპარატურით გამოკვლევამ აჩვენა, რომ თქვენს დაქალს გულის მანკი ნამდვილად არ სჭირსო. ნინი ამ ამბავს მაშინვე მარის მიახარებს.

როგორც კი პალატიდან ნინი გავა, მარის გოგი გორგილაძე წამოადგება თავზე. ვითომ მოსანახულებლად მისული რეჟისორი, სინამდვილეში, მარის დახმარებით, ნინის ოჯახში შექმნილი სიტუაციის გარკვევას ცდილობს, მაგრამ სწორედ იმ მომენტში, ნინი დაბრუნდება....

— მარი, ჩემი მობილური აქ დამრჩა, ხომ? — კარებშივე იკითხა ნინიმ და ის იყო, ნაბიჯი უნდა წაედგა, რომ მარის საწოლზე საკმაოდ ინტიმურ პოზაში წამოწოლილი გოგი გორგილაძე დაინახა და ტყვიანაკრავივით გაშეშდა:

— თქვენ... თქვენ აქ რას აკეთებთ?

არანაკლებ შემცბარი რეჟისორი მაშინვე ფეხზე წამოხტა და ნინის ჯარისკაცივით გაეჭიმა:

— რა?.. არ შეიძლება, მეგობარი მოვინახულო?

— მეგობარი?.. მარი სადაური თქვენი მეგობარია? — გაოგნდა ნინი.

— მეგობარი თუ არა, კარგი ნაცნობი ხომ არის?! — ბოლომდე უკან მაინც არ დაიხია ბატონმა გოგიმ. — და საერთოდაც, ნეტავ, რა ანგარიშებს მაბარებინებ? ან იმას ვინ გკითხავს, მარისთან ვინ ივლის და რატომ? რამდენადაც ვიცი, სრულწლოვანების ასაკს კარგა ხანია, გადააბიჯა და არავის „აპეკუნობა“ აღარ სჭირდება.

— ბატონო გოგი! სანამ არ გავგიჟებულვარ, წადით აქედან! — იკივლა უცბად ლოგინში წამომჯდარმა მარიმ.

— კარგი, კარგი, მივდივარ! — ახლა კი მართლა შეშფოთდა ბატონი გოგი, — ნახვამდის, ჩემო კარგო! — ამ სიტყვების შემდეგ, ნინის კიდევ ერთხელ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და კარში გაუჩინარდა.

ნინი კარგა ხანს უძრავად იდგა. შემდეგ, თავჩაქინდრულ და ფოთოლივით მოცახცახე მარის ეცა და ერთი გვარიანად შეანჯღრია:

— აბა, ახლავე მითხარი, ამ ახვარს შენთან რა უნდოდა?!

— არაფერი... არაფერიც არ უნდოდა... ისე, შემთხვევით, შემოიარა... — ძლივსღა ამოისლუკუნა მარიმ, თუმცა, გაცოფებულ ნინის თვალი ვეღარაფრით გაუსწორა.

— გოგო, მართლა ნუ გამაგიჟე! — ხმას კიდევ უფრო აუწია ნინიმ. — დროზე რომ არ შემომესწრო, აქვე „გიხმარდა“ და შენ ამას შემთხვევითობას ეძახი?! გოგი გორგილაძისნაირი ახვრები რომ შემთხვევით არსად დადიან, ამას შენ მასწავლი?!

— მართალი ხარ... ნამდვილად არ დადიან.. — ბალიშზე მოწყვეტით მიესვენა მარი. შემდეგ გულზე ხელი იტაცა და თვალებიც მომაკვდავივით მილულა.

— რა იყო? ცუდად ხომ არ გახდი?! — დაფეთდა ნინი.

— ნუ გეშინია, — თვალები სწრაფადვე გაახილა მარიმ, — ჯერ არ მოკვდები... ყოველ შემთხვევაში, შენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ნამდვილად მოვასწრებ...

— მოდი რა, გაღმა შემოდავებას ნუ დამიწყებ! — ისევ უსაყვედურა ნინიმ, მაგრამ მარიმ ხელით ანიშნა, გაჩერდიო. შემდეგ ერთი ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო და გოგი გორგილაძესთან ურთიერთობის ყველა დეტალი ნინის პირწმინდად გადმოულაგა.

— ახვარი! დამპალი! არაკაცი! — პირიდან ტალახივით სიტყვებიღა ამოსდიოდა ნინის და პალატაში გამწარებული გადი-გამოდიოდა. შემდეგ უცბად შედგა და გამტკნარებულ მარის უცნაურად

რუსუდან ბერიძე

დააშტერდა: — მოიცა, მოიცა, მივხვდი, მგონი, მართლა ყველაფერს მივხვდი!..

— რას მიხვდი? — დამნაშავე ბავშვივით ამოხედა მარიმ. — მითხარი, რას გულისხმობ?

— ჯერ შენ მითხარი, გორგილაძესთან ნიტას გატაცებაზეც ხომ არ გილაპარაკია?

— რას ამბობ?! — შეიცხადა მარიმ, — სიტყვაც არ დამცდენია!.. თუმცა...

— რა თუმცა?..

— იცი, რა მკითხა?

— რა? ნუღარ ზოზინობ, ჩქარა მითხარი! — მოთმინების ძაფი საბოლოოდ გაუწყდა ნინის.

— ცოტნემ რომ ამხელა ფული მოჭრა, ნეტავ, ნინის რომ დასჭირდეს, ცოტას მაინც თუ მისცემსო... მაშინვე კი გამიკვირდა, ნეტავ, ცოტნეს ფულებს რას ითვლისმეთქი... თუმცა, რა ვიცი... შეიძლება, ეს, უბრალოდ, ჩემი ეჭვებია და მეტი არაფერი...

ნინის ხმა აღარ ამოუღია. ერთხანს დაფიქრებული იდგა, შემდეგ ისევ ნერვიულად სიარულს მოჰყვა.

— ნინი, გეხვეწები ნუ ნერვიულობ, — დაიწყო ისევ მარიმ. — ნიტაზე მართლა რამე რომ სცოდნოდა, თავადვე მეტყოდა. გორგილაძისნაირ არასერიოზულ კაცებს რომ ენაზე არაფერი ამაგრდებათ, ეს შენც ხომ კარგად იცი.

— ვიცი... — თითქოს, თავისთვის ჩაილაპარაკა ნინიმ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, — სახე გაუნათდა მარის, — შევეშვათ რა, მართლა მაგ ახვარზე ლაპარაკს, თორემ საცაა...

— მე ვიცი, რომ გოგი გორგილაძემ ყველაფერი იცის! — გააწყვეტინა უცბად ნინიმ მეგობარს და თავზე დოინჯშემოყრილი წამოადგა.

— რა ყველაფერი?

— ყველაფერი! — ისევ გაუმეორა ნინიმ და მარის თვალი თვალში გაუყარა. — მაგრამ ჯერ ვერაფერს აგიხსნი. მაინც არ დამიჯერებ. ამიტომ, ახლა წავალ და...

— სად წახვალ?

— თეოსთან.

— ვისთან?

— თეოსთან-მეთქი, გორგილაძის ყოფილ საყვარელთან...

— კი მაგრამ, თეოსთან რაღა გინდა?

— რა და... ჩემი შვილი სწორედ მაგ ქალის დახმარებით უნდა ვიპოვო.

— როგორ? — თვალები გაუფართოვდა მარის. — ნინი, გეხვეწები, ნუ მაშინებ!

— ალბათ გგონია, რომ საბოლოოდ გავრეკე, ხომ? — სევდიანად გაეღიმა ნინის.

— არა, მაგრამ... — სათქმელი აღარ დაასრულა მარიმ.

— კარგი, ყველაფერს გეტყვი! — გადაწყვეტილება უცბად მიიღო ნინიმ. შემდეგ, დაქალს ლოგინზე ჩამოუჯდა, ორივე ხელი დაუჭირა და თვითმფრინავში ნანახი სიზმარი ბავშვივით სხაპასხუპით უამბო.

მარი თვალებგაფართოებული უსმენდა.

— კი, მაგრამ გოგი გორგილაძეს და თეოს ამ ყველაფერთან რა კავშირი აქვთ? — ეს კითხვა რაღაცნაირად, თითქოს უმისამართოდ, ისროლა მან შემდეგ...

— ის კავშირი აქვთ, რომ ფოტოზე, რომელიც მე სიზმარში და ყველამ ერთად კიდევ, გამტაცებლების მიერ გამოგზავნილ ფირზე ვნახეთ, გოგი გორგილაძე და მისი საყვარელი თეო არიან გამოსახულნი, ოღონდ — ახალგაზრდობაში. გამოდის, რომ ის ბინა გორგილაძისაა და შვილიც იმან მომტაცა...

— რა თქვი? — თვალები გაუფართოვდა მარის.

— რაც გაიგონე!

— მერე?

— რა მერე? ამას რაღა „მერე“ უნდა?

— როგორ დაუმტკიცებ?

— მე არავისთვის არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებ.

— აბა, რას აპირებ?

— ჩემი შვილის პოვნას-მეთქი — რამდენჯერ უნდა გითხრა? — უყვირა მეგობარს ნინიმ, შემდეგ საწოლზე მიგდებულ ჩანთას წამოავლო ხელი და პალატიდან გავარდა...

სასტუმრო „კინოს“ მიახლოებულ ნინის ფეხები უკან რჩებოდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს, ისევ ის პატარა, გამოუცდელი გოგო იყო, გოგი გორგილაძემ ჯერ დაპირებებით რომ გააბრუა და შემდეგ ძალით დაიმორჩილა.

სასტუმროს შესასვლელში, მაგიდასთან დარდიმანდულად მჯდარი ახალგაზრდა პოლიციელი, ნინის დანახვაზე სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა და კინაღამ „ჩესტიც“ აუღო:

— მობრძანდით, ქალბატონო ნინი.

ნინიმ კი მას ძლივს გაუღიმა და ისე ჰკითხა:

— შემთხვევით, ხომ არ იცით, ქალბატონი თეო აქ არის?

— შემთხვევით კი არა, ნამდვილად ვიცი! — მკვირცხლად უპასუხა პოლიციელმა. — ერთი ფეხით მოგასწროთ და ისიც დამიბარა, თუ ვინმე მიკითხავს, ჩემს ნომერში ვიქნებიო.

— ძალიან კარგი, მაშინ პირდაპირ მასთან ავალ.

— მიბრძანდით, — თავი მოწიწებით დაუკრა პოლიციელმა. — ისე, თუ გნებავთ, დავურეკავ და გავაფრთხილებ, რომ უკვე მოხვედით.

— არა, ნუ შეწუხდებით... ქალბატონმა თეომ ისედაც იცის, რომ უნდა მოვსულიყავი, — იცრუა ნინიმ, — ჰო, მართლა, ბატონი გოგი...

— აი, ბატონი გოგი კი დღეს ნამდვილად არ გამოჩენილა. ისე, გოგოებმა თქვეს, ვიღაცას ტელეფონზე ელაპარაკებოდა, მალე საზღვარგარეთ მივდივარო. შეიძლება, უკვე წავიდა კიდეც...

— რომელმა გოგოებმა?

— „ეტაჟნიცებმა“, ეგენი ხომ ყველაფერს პირველები იგებენ...

თეოს ნომერთან მისულმა ნინიმ სული ძლივსღა მოითქვა და შემდეგ კარზე დააკაკუნა.

— დიაა... შემოდი, — მოისმა ოთახის სიღრმიდან თეოს მშვიდი ხმა.

ნინიმ ნომრის კარი ფრთხილად შეაღო და ორ ნაბიჯში, ჩაბნელებული დერეფნიდან საკმაოდ ფართო და ნათელ მისაღებ ოთახში აღმოჩნდა.

ოთახში ნინის ყველაფერი უწინდებურად დახვდა, თითქოს მისი კარი ბოლოს წლების კი არა, წუთის წინ გაეხურა: ისევ ის შპალერი, ფარდები. ავეჯი... სააბაზანოდან ახალი გამოსული და თავზე პირსახოცშემოხვეული ქალბატონი თეოც ისევ იმ სავარძელში იჯდა და ნინის გაოცებული უყურებდა. იქვე, პატარა მაგიდაზე კი, ისევ ის მარგალიტის მძივი ბრწყინავდა...

„მაგრად მობერებულა“, — გაიფიქრა ნინიმ და წამში, თავისი ფიქრის თავადვე შერცხვა: „როგორ შემიძლია ახლა ამაზე ფიქრი...“

— თქვე-ე-ენ? — მოშვილდული წარბები გაოცებით აზიდა ქალბატონმა თეომ.

— დიახ, მე ვარ... — ხმა ძლივსღა ამოიღო ნინიმ. — ალბათ, გაგიკვირდათ, ხომ?

— დიახ, ნამდვილად გამაოცეთ... მაინც, რამ გაგახსენათ ჩემი თავი? მოხდა რამე?

— მოხდა! — მოკლედ უპასუხა ნინიმ და თვალი თვალში ჯიქურ გაუყარა.

— მართლა? მაინც რა?

— შვილი მომტაცეს!

— რას მეუბნებით? — ხმაში შეშფოთება დაეტყო ქალბატონ თეოს. — კი, მაგრამ როგორ?.. ვინ?..

— ვინ და... თუმცა, მოდით, ჯერ ყველაფერს მოგიყვებით და მერე ერთად გავარკვიოთ, ვინ.

თეო ნინის მონაყოლს აშკარად დაზაფრული უსმენდა. ბოლოს, ერთი ამოიოხრა და დასძინა:

— ეს რა ცუდი ამბავი მოგსვლიათ, მაგრამ მე, ალბათ...

— ქალბატონო თეო, — სიტყვის დამთავრება არ აცალა ნინიმ, — მე ახლა, ყველაზე მეტად, თქვენი დახმარება მჭირდება!

— ჩემი?.. კი, მაგრამ მე რაში უნდა დაგეხმაროთ?

— ყველაფერში!

— როგორ?.. რანაირად?

— ქალბატონო თეო, ძალიან გთხოვთ,

მითხარით, გოგი გორგილაძეს სადმე, ქალაქის რომელიმე გარეუბანში, პატარა ბინა ხომ არა აქვს?

— ბინა? — აშკარად დაიბნა თეო. — კი, მაგრამ რაში გაინტერესებთ? ან გოგი რაღა შუაშია?

— შუაში კი არა — თავშია! ჩემი შვილი სწორედ გოგი გორგილაძემ გაიტაცა!

— რა-ა-ა-? — თეოს ჯერ გაოცებისგან კინაღამ თვალები შუბლზე აუვიდა, შემდეგ, რატომღაც, უცბადვე დამშვიდდა და სახეზე ირონიული ღიმილიც კი დაეფინა:

— მაპატიეთ, ჩემო კარგო, მაგრამ შემთხვევით, ზომაზე მეტი ხომ არ დაგილევიათ?

მაგრამ ნინიმ მისი ირონია არად ჩააგდო:

— ალბათ, ფიქრობთ, რომ შვილის დაკარგვამ ჭკუას გადამაცდინა, ხომ? თუ ასეა, მაშინ ჩემი სიზმარიც უნდა გიამბოთ.

— სიზმარი?

— დიახ, სიზმარი, რომელიც ბატონ გოგისთან და თქვენთანაა დაკავშირებული, უფრო სწორად — თქვენი ახალგაზრდობის დროინდელ ფოტოსთან... სხვათა შორის, იმ ფოტოზე სწორედ ეს მარგალიტის მძივი გიკეთიათ, — მძივისკენ ხელი ისარივით გაიშვირა ნინიმ და შემდეგ, სიზმრის მოყოლა დაიწყო.

ნინის მონაყოლზე თეოს ჯერ სახეზე ალმურმა გადაუარა, შემდეგ თავი ხელებში უმწეოდ ჩარგო, ბოლოს, როგორც იქნა, ნინისაც შეხედა და გაოცებულმა ჰკითხა:

— კი, მაგრამ როგორ?.. ყველაფერი ასე ზუსტად მაინც, როგორ დაგესიზმრათ? თუ თქვენც ხართ იმ ბინაში ნამყოფი და უბრალოდ, მათამაშებთ?

— არა! — მტკიცედ მიუგო ნინიმ. — ჩემი შვილის თვალებს გეფიცებით, ეს ყველაფერი მართლა სიზმარში ვნახე და კიდევ — იმ ფირზე, რომელიც გამტაცებლებმა გამომიგზავნეს.

— მაშინ, გამოდის, რომ გოგიმ... კი, მაგრამ, რატომ?.. რისთვის?.. მან ხომ თავიდანვე იცოდა, რომ ნიტა მისი შვილი არ იყო და მაინც არავინ დაუტოვებდა?..

— ე-ე-ე-ჰ, ქალბატონო თეო, — ამოიოხრა ნინიმ. — თქვენ გორგილაძე მაინც ბევრად უფრო კეთილშობილი გგონიათ, ვიდრე სინამდვილეშია. მან ჩემი შვილი მხოლოდ ფულის გამოსაძალავად გაიტაცა.

— ფულისთვის?

— კი. იცით, რამდენი მთხოვეს მის დაბრუნებაში?

— რამდენი?

— ასი ათასი დოლარი!

— როგორ გაბედა?! რამ მოაფიქრებინა?! არაკაცი! არაადამიანი! თავის დროზე, საკუთარი შვილი არ ინდომა, აბორტი ძალით გამაკეთებინა და ახლა, სხვისი შვილების ხარჯზე სურს გამდიდრება?!

— ასე გამოდის... — კიდევ ერთხელ ამოიოხრა ნინიმ.

— არამზადაა! ნამდვილი არამზადა! — არ ცხრებოდა თეო. — იმ საწყალ ცოლ-ქმარს, მაინც, რაღას ერჩოდა?

— რომელ ცოლ-ქმარს? — ვერ მიუხვდა ნინი.

— თქვენ რომ ნახეთ სიზმარში...

— როგორ? ისინიც მართლა არსებობენ? — ახლა კი ნინისაც ხმაში აშკარა შიში შეეპარა. — თუმცა, კასეტაზეც კი ვნახე, იმ ოთახში ნიტასთან ერთად კიდევ ვიღაც რომ იყო...

— ლილი და ლადო იქნებოდნენ, არაჩვეულებრივი წყვილია. თავის დროზე, გოგიმ სამადლოდ შეიფარა. სოხუმელი ლტოლვილები არიან. მაგათ თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ისე, ყველა უბედურება გადაიტანეს. სოხუმის დაცემისას ერთმანეთი დაკარგეს. ლილიმ თბილისში გამოასწრო, ლადო კი აფხაზებმა ჩაიგდეს ტყვედ. ორი წლის შემდეგ, ერთ-ერთ აფხაზში გაცვალეს და ისე გამოაღწია იმ ჯოჯოხეთიდან. ერთმანეთს რომ დაშორდნენ, ლილი ფეხმძიმედ იყო. ბავშვი უდღეური დაიბადა და ორ კვირაში დაიღუპა... გოგო იყო... რომ ეცოცხლა, ახლა, ალბათ, თქვენს ნიტაზე ერთიორი წლით უფროსი იქნებოდა... მას შემდეგ, შვილი აღარ ეყოლათ და ძალიან განიცდიან... ეტყობა, გოგიმ ნიტას შესახებ რაღაც ზღაპარი უამბო, თორემ ლილი და ლადო მაგ საქმეში ხელს არაფრით შეუწყობდნენ. მაგრამ არა უშავს, მაინც ყველაფერს მოევლება!

ამ სიტყვების შემდეგ, თეო ფეხზე წამოხტა, საწერი მაგიდის უჯრიდან ბლოკნოტი ამოიღო და პირველივე ფურცელზე გაკრული ხელით რაღაც წააწერა. შემდეგ ის ფურცელი ხელის კანკალით ამოგლიჯა და ნინის ისე გაუწოდა:

— აი, იმ ბინის მისამართი... წაიღე და დაიხსენი შენი შვილი... — ზედმეტი ნერვიულობისგან თუ თანაგრძნობის ნიშნად, უცბად შენობით ლაპარაკზე გადავიდა ქალბატონი თეო.

ნინიმ ფურცელს დახედა: „გლდანის მასივში ყოფილა. არ მიკვირდა, ამდენი ერთნაირი კორპუსი რამ დამასიზმრა-მეთქი?“. შემდეგ ფურცელი ჩანთაში საგულდაგულოდ შეინახა და ფეხზე წამოდგა:

— გმადლობთ, ქალბატონო თეო, ამ სიკეთეს სიცოცხლის ბოლომდე არ დაგივიწყებთ.

— მოიცა! — შეაჩერა ნინი თეომ, — სულ დამავიწყდა, რომ წუთი-წუთზე გოგი ჩემთან უნდა მოვიდეს. აქედან გასულს, შემთხვევით რომ შეგეფეთოს, ხომ ყველაფერს მიხვდება?!

— დაცვის ბიჭმა რომ მითხრა, აქ სასიარულოდ ვეღარ იცლის, მგონი, საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებაო?.. — წყალწაღებულივით ხავსს ჩაეჭიდა ნინი.

— ვიცი. ერთად მივდივართ. უფრო სწორად, მივდიოდით. სწორედ დღეს უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და ყველაფერზე დეტალებში მოვილაპარაკოთ. ასე რომ, დღეს გოგი აქ ნამდვილად მოვა. მაგრამ ნუ გეშინია, რაღაცას მაინც მოვიფიქრებ! — დაამშვიდა ნინი თეომ, შემდეგ საძინებელ ოთახში გავიდა და ნინის ახლა იქიდან გამოსძახა: „აბა, მოდი ერთი, იქნებ, რომელიმე მოირგო...“

ოთახში შესულმა ნინიმ კარადიდან საწოლზე გადმოყრილი რამდენიმე პარიკი დაინახა, მათგან ყველაზე ჭყეტელას, სასწრაფოდ დასწვდა და თავზე ჩამოიმხო.

— შენ წარმოიდგინე, გიხდება კიდეც, — გაეღიმა თეოს, — ახლა ცოტა გრიმი, რომელიმე ჩემი დეკოლტირებული კაბა და აქედან ნამდვილი „პუტანა“ გახვალ...

სასტუმროს შემოსასვლელში მდგარმა პოლიციელმა კიბეზე კისრისტეხით ჩამავალ ნინის ჯერ გაოცებული მზერა გააყოლა, შემდეგ, მოწონების ნიშნად, წაუსტვინა კიდეც, თუმცა, იმავე წუთს მის მაგიდაზე მდგარი ტელეფონი აწკრიალდა და პოლიციელიც მაშინვე გამოერკვა და ყურმილს დასწვდა:

— გია, მე ვარ... თეო ვარ... — გაისმა ყურმილში.

— დიახ, ქალბატონო თეო, გისმენთ! — მაშინვე მხედრულად გაიჭიმა გია.

— ნინი გრძელიშვილის მოსვლის ამბავი არავის უთხრა, იცოდე!

— მესმის, ქალბატონო თეო.

— არც ბატონ გოგის.

— დიახ, ქალბატონო თეო! საფლავი ვარ! — სიტყვა „სამარე“ ვეღარაფრით გაიხსენა დაბნეულმა გიამ...

სასტუმროდან გამოვარდნილმა ნინიმ პირველივე კერძო ტაქსი გააჩერა და მძღოლის გვერდით სავარძელში, აქოშინებული ჩაენარცხა.

— საით, ლამაზო? — თვალი მსუნაგად ააყოლ-ჩააყოლა მძღოლმა.

— გლდანის მეექვსე მიკროში! ოღონდ, ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება, სწრაფად ვიაროთ!

— ძაღლებს „პრავას“ ვეღარ გავატან, გუშინ გამოვიტანე, მაგრამ ისე, შენისთანა გოგოს გულისთვის, „მაშინას“ კი არა, თავსაც კი არ დავზოგავ! — მანქანა ადგილიდან გიჟივით მოწყვიტა მძღოლმა.

გლდანში მისულ ნინის სიზმარში ნანახი კორპუსის ცნობა ნამდვილად არ გასჭირვებია. მძღოლს მაშინვე ფული გადაუხადა და მანქანიდან გადახტა.

— დაგელოდო, ლამაზო? — მაინც გამოსძახა მძღოლმა.

— არა! დღეს შენთვის ნამდვილად არ მცალია! — უკანმოუხედავად მიუგდო ნინიმ

და სადარბაზოში გაუჩინარდა.

მეოთხე სართულზე ასულმა ნინიმ უცბად თვალი იმ „ბინოკლიან“ კარსაც მოჰკრა და ნერვიულობისგან ციებიანივით აკანკალდა. შემდეგ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და კარზე დააკაკუნა. კარი ისე უცბად გაიღო, რომ დაფეთებულ ნინის ხელი ჰაერში გაუშეშდა. ზღურბლზე ახალგაზრდა სანდომიანი ქალი გამოჩნდა და ნინის გაოცებულმა ჰკითხა:

— ვინ გნებავთ?

— ეს-ეს... — ენა დაება ნინის, — ეს გოგი გორგილაძის ბინაა? — როგორც იქნა, იკითხა ბოლოს.

— დიახ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე მისი ასისტენტი ვარ. თქვენ, მგონი, ლილი გქვიათ, ხომ?

— დიახ.

— მე თქვენთან ბატონმა გოგიმ გამომგზავნა. უფრო სწორად, ნიტასთან გამომატანა რაღაც.

— ა-ა-ა, ნიტულისთან? — მაშინვე სახე გაუნათდა ლილის. — მობრძანდით.

ნინიმ ნაბიჯი ძლივსღა წადგა წინ. ლილი მას ოთახში შეუძღვა.

ნიტა და ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცი ტელევიზორის ეკრანს მისხდომოდნენ, ხელში პულტები ეჭირათ და გემების ჩაძირობანას თამაშობდნენ.

ნიტას დანახვაზე ნინიმ უცბად პარიკი გამეტებით მოიგლიჯა, გვერდზე მოისროლა და მაშინვე მხრებზე საკუთარი მბზინავი თმაც ჩამოეშალა. შემდეგ, ორივე ხელით სახეზე გრიმის მოშორება დაიწყო. ამასობაში ნიტამ „მოწინააღმდეგის“ კიდევ ერთი გემი ჩაძირა და მაშინვე ტაში შემოკრა. შემდეგ, თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ლამაზკულულებიანი თავი უცბად მოაბრუნა, ნინის უცნაურად ლამაზი თვალები შეანათა და შეჰკივლა კიდეც:

— დე-ე-ე!

წუთში დედა-შვილი ერთმანეთს ისე ჩაეკრა, რომ ვინმეს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვეღარაფრით გააშორებდა.

— სად იყავი აქამდე? — სლუკუნებდა ნინის უბეში თავჩარგული ნიტა. — რა სულ მტოვებ და მტოვებ... იცოდე, მართლა გაგებუტები...

გაოგნებული ლილი და ლადო ერთხანს ძეგლებივით გაშეშებულები იდგნენ. ლადოს ხელში ისევ კომპიუტერის პულტი ეჭირა, ლილის კი — ნინის უცნაური პარიკი და გაოცებული დაშტერებოდა. ბოლოს, ისევ ლადო გამოერკვა:

— თქვენ ვინა ხართ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა მან ნინის.

— ნიტას დედა! — უპასუხა სიხარულით სახეგაბრწყინებულმა ნინიმ და შვილი გულში კიდევ უფრო მაგრად ჩაიკრა.

— ჩემი დედიკოა! — თავის დაქნევით დაუდასტურა ნიტამაც.

— კი, მაგრამ... ეს როგორ? ლილი, გესმის? — მიუბრუნდა ის შემდეგ ცოლს. — ნიტას დედა ცოცხალი ჰყოლია!

— დედაც და მამაც! — შეაგება ნინიმ, — თქვენ აბა, რა გეგონათ?

— რა და... გოგიმ დაგვარწმუნა, ნიტას მშობლები ავარიაში დაეხოცნენო...

— ჩემი რა გითხრათ, მაგრამ ნიტას მამა ავარიაში მართლა მოყვა და კარგა გვარიანადაც დაიმტვრა, მაგრამ ისიც ნამდვილად ცოცხალია, — სევდიანად გაუღიმა ლადოს ნინიმ.

— ღმერთო! ნეტავ, გოგი ბიძიას ამხელა ტყუილი რაში დასჭირდა? — სკამზე უღონოდ დაეშვა ლილი. — როგორ არ დამინდო და ძველი ჭრილობა ისევ გამიხსნა. იცით, რომ მე... ჩვენ...

— ვიცი, — თანაგრძნობით შეხედა მას ნინიმ. — ქალბატონმა თეომ თქვენ შესახებ ყველაფერი მიამბო.

— თეოსაც იცნობთ? მაშინ მართლა ყველაფერი გეცოდინებათ... — სევდიანად ჩაილაპარაკა დაბნეულმა ლილიმ. — ახლა რაღა უნდა ვქნათ?.. ბავშვს ალბათ, ახლავე წაიყვანთ, ხომ? თუმცა, რა სისულელეს გეკითხებით — აბა, მე ხომ არ დამიტოვებთ?..

— ნამდვილად ვერ დაგიტოვებთ. სასწრაფოდ უნდა წავიყვანო, თორემ გამტაცებლები მეშუქრებიან და ხვალ დილით თუ ასი ათასი დოლარი არ მიიღეს, შვილს მომიკლავენ, — საქმის ვითარება აუხსნა ნინიმ.

— რას ამბობთ? — თითქმის ერთდროულად შეიცხადა ცოლ-ქმარმა. — ვინ გეშუქრებათ? რომელი გამტაცებლები?

ნინის ლაპარაკის თავი ნამდვილად აღარ ჰქონდა, მაგრამ უამისოდაც სახეშეშლილ ლილის და ლადოს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— არა, არა, რაღაც არ მჯერა ეს ყველაფერი! — მაინც არ დანებდა ლადო. — იცით, რომ გუშინწინ გოგი აქ თავად იყო და ბავშვს პირველი კინოსინჯები გადაუღო? თავისი მომავალი ფილმის გმირად ამზადებს... ფილმი კი ჩემზე და ლილიზე... კიდევ — ჩვენს შვილზე იქნება... ოღონდ, ფილმში ის კი არ მოკვდება, დიდი გოგო გაიზრდება...

— იცით, რომ ის ვითომ კინოსინჯები გამტაცებლებმა მე გამომიგზავნეს, რათა დავერწმუნებინე, რომ ჩემი შვილი ნამდვილად ცოცხალი იყო, — ბოლომდე აღარ დაინდო ცოლ-ქმარი ნინიმ.

— თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ გოგი გორგილაძე ნამდვილი არაკაცი ყოფილა, სხვისი შვილების გამტაცებელი ყაჩაღი! — სკამზე უღონოდ დაეშვა ლადო.

— მოიცა, ლადო, რა დროს ეგ არის! — გააწყვეტინა ლილიმ. — გოგი ბიძიამ რომ გაიგოს, ნიტა დედამ იპოვაო, ვინ იცის, რა უბედურება დაატრიალოს. ამიტომ, ორივე სასწრაფოდ უნდა გავაპაროთ.

— მერე თქვენ? — იკითხა ნინიმ. — გოგი გორგილაძე ისეთ ვალებშია გადავარდნილი, რომ მიხვდება, ნიტას გამოსასყიდი მეკარგებაო, შეიძლება, თქვენც აღარ დაგინდოთ, ამიტომ, ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეთ.

— კი, მაგრამ სად? ჩვენ ხომ ამის მეტი თავშესაფარი არსად გვაქვს?

— ჩემთან! ჩემს სახლში ყველანი დავეტევით. აბა ჩქარა, მოემზადეთ, ფიქრის დრო აღარ არის!

ლადო და ლილი უცბად მოემზადნენ და ის იყო, კარი უნდა გამოეღო, რომ ლადო უცბად შედგა:

— მოიცათ! თუ გოგი მართლა ასეთი დამპალი და არამზადაა, დარწმუნებული ვარ, ჩვენც ვიღაცის დახმარებით გვითვალთვალებს. ამიტომ, რაღაც თუ არ მოვიფიქრეთ, აქედან ასე ადვილად ვერ გავაღწევთ.

— მართალი ხართ! — დაუდასტურა ნინიმ და მაშინვე თავზე ისევ ის პარიკი ჩამოიმხო.

— დე-ე-ე, რა გიჟი ხარ! — ხელები სასაცილოდ გაშალა ნიტამ. — რად გინდა ეგ ახალი თავი?

— მჭირდება, ჩემო სიცოცხლევ, ძალიან

მჭირდება. ჩვენს სახლში რომ მივალთ, მოვიხსნი და ისევ ჩემს თავს გავიკეთებ, კარგი?

— კარგი, — დაეთანხმა ნიტა და სწორედ იმ წუთში კარზე ენერგიული კაკუნიც გაისმა.

დაფეთებული ნინი მაშინვე ბავშვს გადაეფარა. ლილის მიტკლისფერი დაედო. უკეთეს დღეში არც ლადო ჩავარდა. კაკუნი განმეორდა.

— არ გაუღოთ! — შეთქმულივით წაიჩურჩულა ნინიმ.

— თუ გოგია, აზრი არა აქვს, კარს თავისი გასაღებით მაინც გააღებს, — ჩურჩულითვე უპასუხა ლადომ.

— მაშინ ჯერ „გლაზოკიდან" გაიხედეთ, იქნებ სხვა ვინმეა?

— არც მაგას აქვს აზრი, „გლაზოკი" ამოქოლილია, — უპასუხა ლადომ, შემდეგ კართან მივიდა, საკეტი გადასწია და ნელნელა გამოაღო, მაგრამ, ის იყო, ორი უცნობი მამაკაცის დანახვაზე, ისევ მიხურვა დააპირა, რომ ერთ-ერთმა იმარჯვა, კარს ფეხი დაუხვედრა, ლადოს კი ზედ შუბლზე იარაღი მიაბჯინა და უღრიალა:

— ჩქარა, ბავშვი გამოიყვანე, თორემ ახლავე ჩაგაძაღლებ!

ნინიმ დიტოს მეგობრის ხმა მაშინვე იცნო და იკივლა:

— გიორგი, მოიცა, არ ესროლო! აქა ვართ! ცოცხლები ვართ!..

მეორე დღეს, ნინის სახლში გაშლილ სუფრას ყველანი ერთად ესხდნენ: ნინი, დიტო, ნიტა, მარი, გიორგი, ქალბატონი ნათელა, შოთა, ლილი და ლადო. თამადა გიორგი იყო და უკვე გვარიანად შეზარხოშებული, სიხარულით გაცისკროვნებულ მარის თვალს ვეღარ სწყვეტდა. არანაკლებ ბედნიერი და მხიარული დიტო, ცალი ხელით რომ მის კალთაში მოკალათებულ ნიტას გულში იხუტებდა, მეორეთი გვერდით მჯდომ ნინის უწეწავდა ლამაზ თმას. ქალბატონი ნათელა წამდაუწუმ სამზარეულოში დარბოდა და სუფრას ახალ-ახალი კერძებით ამარაგებდა. შოთას მერიქიფეობა შეეთავსებინა. ლილი და ლადო კი ნამდვილი სტუმრებივით ისხდნენ და ყველას სათითაოდ აკვირდებოდნენ.

— ბატონო თამადა, შეიძლება, ერთ სადღეგრძელოს მე ვიტყვი? — საერთო ხმაურში გაისმა უცბად ნინის ხმა.

მარისთან გაცხოველებულ საუბარში გართულმა გიორგიმ ნინის თხოვნა ნამდვილად ვერ გაიგონა, მაგრამ შემდეგ, მარიმ ყურში რაღაც უჩურჩულა და გიორგიმაც უმალ დასჭექა:

— ერთი კი არა, რამდენიც გინდა, ჩვენო ქალბატონო, ბრძანე!

ნინიმ კრიალა, წითელი ღვინით სავსე ჭიქა ხელში აიღო და ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ იქვე თაროზე შემოდებული მისი მობილური აწკრიალდა.

— აუ-უ-უ, მგონი, ისევ ყველაფერი თავიდან იწყება! — ნიტას კულულებში ცხვირ-პირი ჩარგო ვითომ ძალიან დამფრთხალმა დიტომ. — მე თუ მიკითხეს, არა ვარ, იცოდე! — გადაულაპარაკა შემდეგ მან ნინის.

— ნეტავ, შენ ვიღას დაეკარგე? — გაეღიმა გიორგის, — გოგია გორგილაძე და მისი „პადელნიკები" უკვე ჩავაყუდეთ და ნინის მობილურზე შენ სხვა ვინღა მოგძებნის?

— რა ვიცი, აბა?.. იქნებ, ნინის რომელიმე ლამაზ დაქალს ჩავუვარდი გულში? — მეგობარს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა დიტომ.

— ნუ ნერვიულობ! პირობას გაძლევ, რომ ჩემს მობილურზე არასდროს არავინ მოგძებნის! — წაკბინა დიტოს ნინიმ და აპარატი ყურზე მიიდო:

— გისმენთ... ცოტნე, შენა ხარ?.. ერთი წუთით, აქ ხმაურია, სამზარეულოში გავალ. — ჩასძახა მან ყურმილში, ოთახიდან სასწრაფოდ გავარდა და კარი მიაჯახუნა.

— დე-ე-ე, მეც მინდა ცოტნესთან ლაპარაკი! — დიტოს კალთიდან უცბად ისკუპა ნიტამ და ისიც დედას გაეკიდა.

სუფრაზე ცოტა ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ, როგორც იქნა, გიორგი გამოერკვა, ჯერ უხერხულად ჩაახველა, შემდეგ ჭიქას ხელი წამოავლო, ფეხზე წამოდგა და რამდენადაც შეეძლო, რიხიანად დაიწყო:

— ამ ჭიქით, მეგობრებო...

— რა იყო, გიორგი? რა უცბად ჩამომართვი სადღეგრძელო? — მოისმა უცბად კარში გამოჩენილი ნინის ოდნავ სევდაშეპარული ხმა.

ნინის უკან ნიტაც მოჰყვა და ისევ დიტოს კალთაში მოიკალათა.

— შენ ოღონდ, რამე ბრძანე და ერთი ჭიქა რა არის?! — ნინის დანახვაზე ცა გაეხსნა გიორგის. — უბრალოდ, ვიფიქრე, დროს მოვიგებ და საქმესაც წინ წავიგდებ-მეთქი...

ნინი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, მაგრამ აღარ დამჯდარა, ჭიქა ისევ ასწია. წამში ყველა მამაკაციც ფეხზე წამოდგა.

— მოდით, ამ ჭიქით ცოტნე ცოტაძეს გაუმარჯოს! — თქვა უცბად ნინიმ და მის გვერდით მდგარ დიტოს ცერად გახედა. — კაცს, რომელმაც იმად მაქცია, რაც დღეს ვარ და როცა დაინახა, რომ კიდევ უფრო დიდი ბედნიერება მეწვია, როცა მიხვდა, რომ მასზე მეტად სხვა მიყვარს, თავი რაინდულად დამიკრა და ჩემი ცხოვრებიდან თითქმის სიტყვის უთქმელად წავიდა...

ნინის ჭიქა პირველმა დიტომ მიუჭახუნა...

დასასრული ■

სანდერსმა ვიტალი კლიჩკოს შეურაცხყოფა მიაყენა

ამას წინათ გამართული საკრივო მატჩის შემდეგ, რომელშიც სამხრეთაფრიკელმა კორი სანდერსმა ნოკაუტით მეორე რაუნდში დაამარცხა ვლადიმირ კლიჩკო და WBO-ს ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც ჩამოართვა, ვლადიმირის უფროსმა ძმამ, ვიტალიმ პირველად მისცა ბლიც-ინტერვიუ, რომელშიც აღნიშნული ორთაბრძოლისა და თავიანთი მომავლის შესახებ ისაუბრა.

— ვიტალი, რატომ დამარცხდა ვლადიმირი?

— მოხდა ის, რაც ნებისმიერი მოკრივის ორთაბრძოლისას შეიძლებოდა მომხდარიყო. კორი სანდერსს ასიდან ერთი შანსი ჰქონდა და მან ეს შანსი გამოიყენა. მის მიერ შესრულებული „ლაკი პანჩი" საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, რის გამოც, ვლადიმირმა კონცენტრირება ვეღარ მოახერხა.

— ახლა როგორ გრძნობს თავს ვლადიმირი?

— იგი თავს ნორმალურად გრძნობს და ისვენებს. სამწუხაროდ, მოკრივეს გამოცდილება არა მხოლოდ გამარჯვებების, არამედ დამარცხების შედეგადაც უგროვდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მარცხის შემდეგ, კვლავ შეძლო სავარჯიშო დარბაზში დაბრუნება, რათა მალე რინგზეც გამოხვიდე და ყველას დაუმტკიცო, რომ მსოფლიოში უძლიერესი ხარ.

– რევანში შედგება?

– ვლადიმირს ამის უფლება აქვს. თუ სად და როდის გაიმართება ეს შეხვედრა, ვერ გეტყვით, მაგრამ რევანშმა უნდა აჩვენოს, კანონზომიერი იყო თუ არა, სანდერსის გამარჯვება.

– რა კონფლიქტი მოგიხდათ სანდერსთან?

– იგი ჩემთან მოვიდა. მე გამარჯვება მივულოცე და ვუთხარი, რომ ან მე და ან ვლადიმირი ქამარს კვლავ ჩამოვართმევდით. მან კი, არცთუ ისე კორექტულად მიპასუხა, რომ მეც ჩემი ძმის მდგომარეობაში ჩამაგდებდა, თან ზედ უცენზურო სიტყვებიც დაურთო. ამის შემდეგ, მე მას ვურჩიე, რომ ცოტა უფრო კორექტულად ელაპარაკა. როგორც ჩანს, ჩემმა გამომეტყველებამ სანდერსის გუნდის წარმომადგენლები შეაშფოთა და მათ კორი მაშინვე გაიყვანეს იქიდან.

– ვიტალი, ალბათ თქვენი გეგმები კონკრეტულ ცვლილებებს საჭიროებს. ამერიკა თუ მოიცდის ამდენს?

– არა, ჩვენი გეგმები, რომლის შესახებაც ადრე გვისაუბრია, უცვლელი რჩება. რა თქმა უნდა, მარცხი ვლადიმირისთვისაც და ჩემთვისაც უკან გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამით ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ყველა დამარცხებულა, თუმცა ნამდვილი ჩემპიონი რინგზე აუცილებლად ბრუნდება.

– რა შეგიძლიათ უთხრათ მათ, ვინც თქვენ მხარს გიჭერთ ან ვისაც თქვენი მარცხი უხარია?

– ყველას მადლობელი ვართ, ვინც მხარს გვიჭერდა. ჩვენ ვგრძნობთ მათ მხარდაჭერას, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მადლობელი ვართ ყველა სკეპტიკოსისაც. სწორედ მათი წყალობით, ჩვენ უკეთესები ვხდებით და მომავალი გვიჩვენებს იმას, თუ ვინ რას წარმოადგენს. ■

რალფ შუმახერი ჩემპიონობას აპირებს

BMW.Williams F1-ის პილოტი, რალფ შუმახერი მანამდე აპირებს „ფორმულა-1“-ის ჩემპიონატის მოგებას, სანამ მისი ძმა, მიხაელი დიდი სპორტიდან წავა. რალფს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ იგი „ფორმულა-1“-ში თავისი უფროსი ძმის წყალობით მოხვდა, თუმცა დღეს უკვე შუმახერ-უმცროსს შეუძლია იამყოს გარკვეული წარმატებებით. გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ მიხაელის გარეშე მის მიერ მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას ფასი არ ექნებოდა. „მსოფლიო ჩემპიონატის მოგება მანამდე უნდა მოვახერხო, სანამ მიხაელიც მონაწილეობს რბოლებში. მისი წასვლის შემდეგ კი, გამარჯვების ასეთი ჟინი აღარ მექნება. ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას უფრო მეტი ფასი ექნება, თუ მე ამას მიხაელთან ბრძოლაში მოვახერხებ. ამასთან ერთად, ჩვენს გუნდს ამის პოტენციალი აქვს“, – ამბობს რალფი, რომელმაც ამას წინათ, ავსტრალიის გრან-პრიზე მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა. ■

ჯონსი, ჰოლიფილდთან შეხვედრაზე იცნობს

კრივის მოყვარულებისათვის ცნობილია, რომ WBA-ს ვერსიით, სუპერმძიმეწონოსანთა კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ამჟამად როი ჯონსი ფლობს. ამას წინათ, იგი ნიუ-იორკში იმყოფებოდა, სადაც მასმედიის წარმომადგენლებსა და „მედისონ სკვერ გარდენის“ ადმინისტრაციას შეხვდა. შეხვედრაზე მომავალი ორთაბრძოლის გამართვის შესახებ ისაუბრეს. როი ჯონსი აგრეთვე დაესწრო „მედისონ სკვერ გარდენზე“ გამართულ ერთ-ერთ შოუს, რომელზეც მსოფლიო ჩემპიონს დაუსვეს შეკითხვა – თუ ვისთან ისურვებდა იგი შემდეგი ორთაბრძოლის გამართვას. „ვისურვებდი, რომ ჩემთვის „მედისონიდან“ დაერეკათ და ევანდერ ჰოლიფილდთან მატჩის გამართვა შემოეთავაზებინათ, რისთვისაც იმდენ ფულს გადამიხდიდნენ, რამდენსაც მოვითხოვდი. აი, ის, რისი მოსმენაც მსურს“, – განაცხადა როი ჯონსმა. ■

იაგრის კაზინოს მფლობელი ედავება

NHL-ის კლუბის Washington Capitals-ის ჩეხმა თავდამსხმელმა, იარომირ იაგრიმ აღიარა, რომ მან ხუთი წლის წინ, ვინმე უილიამ კესარის კუთვნილ ვირტუალურ კაზინო Carib Sports-ში დიდი ფსონი დადო. იაგრის თქმით, მას არასოდეს დაუდვია ფული NHL-ის თამაშებზე, რაც ლიგის წესების დარღვევა იქნებოდა, თუმცა 450.000 დოლარი მაინც წააგო. „1998 წელს, უბრალოდ, სულელი ვიყავი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია, – ამბობს იარომირი, – ამ კაზინოში საკმაოდ დიდი ფული წავაგე, მაგრამ ყველა ფინანსური საკითხი 1999 წელს მოგვარდა. სრულად გადავიხადე ის თანხა, რისი გადახდაც მევალებოდა.“

კაზინოს მფლობელი, კესარი კი აცხადებს, რომ იგი მანამდე დუმდა, სანამ ჰოკეისტი რეგულარულად იხდიდა ფულს. როგორც კი იაგრის ფულის გადახდა შეუწყვეტია, კესარს ყველაფერი ჟურნალისტებისათვის უამბნია. კაზინოს მფლობელმა აგრეთვე ისიც განაცხადა, რომ ტექნიკური სამსახურის თანამშრომლებს იარომირ იაგრისთვის სპეციალურად დაუხურავთ NHL-ის განყოფილება, რათა ჰოკეისტს „სისულელე არ ჩაედინა და კაზინოს ხელმძღვანელობა არასახარბიელო სიტუაციაში არ ჩაეყენებინა“. თავად იაგრის ძალიან უცნაურად ეჩვენება ის, რომ კაზინოს მფლობელმა მისი წაგების შესახებ მხოლოდ 2003 წელს განაცხადა. ■

ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ „გზის“ წინა ნომერში, 10-დან 16 მარტამდე მოწყობილ ჟენევის ავტოსალონზე მოგითხრობდით. როგორც მაშინ აღვნიშნეთ, ცნობილ ავტოდათვალიერებაზე 50 ევროპული და 25 მსოფლიო პრემიერა შედგა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეულების შესახებ მოგაწოდეთ ინფორმაცია. დღეს კიდევ რამდენიმე ახალ ნიმუშს წარმოგიდგენთ.

ჟენევური პრემიერები

Mitsubishi

ცნობილმა იაპონურმა კომპანიამ ავტომოყვარულთა სამსჯავროზე სრულამძრავიანი Outlander გამოიტანა. ის უნივერსალისა და სპორტული ყველგანმავლის ნაზავს წარმოადგენს. სპეციალისტების აზრით, ეს ჯიპი თავის ბევრ ტიპურ „თანამოძმეს“ სჯაბნის. ამავე დროს, გარეგნულად „მიცუბიშის“ ახალი პროდუქტი კლასიკურ ყველგანმავლებზე გაცილებით აგრესიული და შთამბეჭდავია. მის დიზაინში ექსპერტები ევროპულ-ამერიკული სკოლის გავლენას ხედავენ, კონკრეტულად – კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერისას“, რომლის შვილობილია კომპანია Mitsubishi. ამ მოდელის რეალიზაციის საქმეში „მიცუბიში“ დიდ იმედებს ამყარებს სამხრეთამერიკულ ბაზარზე. ევროპაში პირველ ხანებში, მანქანა 2 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი გამოვა.

Outlander-ის გარდა, „მიცუბიშიმ“ ჟენევაში კონცეპტუალური CZ2 წარმოადგინა. ეს არის მცირეგაბარიტიანი, ორკარიანი, ოთხადგილიანი სპორტული კაბრიოლეტი, რომელიც ძალზედ მოხდენილი დიზაინით გამოირჩევა. და კიდევ: შვეიცარიელ ავტომოყვარულთ საშუალება ჰქონდათ, ეხილათ აგრეთვე კონცეპტ-ავტო Tarmac Spider და ყველგანმავალი Pajero Evolution, რომელმაც „დაკარის“ ბოლო რალიში გაიმარჯვა. ■

Peugeot

ფრანგულმა კომპანიამ საავტომობილო სამყაროს სამსჯავროზე წარმოადგინა კუპე-კაბრიოლეტი – 307CC. ფირმის მესვეურთა ჩანაფიქრით, ამ მანქანამ უნდა გაიმეოროს უფრო კომპაქტური კაბრიოლეტის – 206CC-ს წარმატება. ახალი მოდელი, საბაზო ჰეტჩბეკით, კომბითა და მინით დაწყებული, Peugeot 307-ის სამოდელო რიგის უკვე მეოთხე ვარიანტს წარმოადგენს. მისი მთავარი საკონსტრუქტორო თავისებურება, მაგარი მასალისგან დამზადებული, ასაკეცი სახურავია. ფოლადის სახურავის ტრანსფორმაციის იდეა კონსტრუქტორებს პირველად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში გაუჩნდათ. მაგრამ ბოლო დრომდე, ის მხოლოდ ძვირად ღირებულ ავტომობილებში განხორციელდა – მაგალითად, Mercedes SLK-სა და Lexus CS 430-ში. ფირმა „პეჟო“ აღმოჩნდა პირველი, ვინც ეს ტექნოლოგია კომპაქტურ მანქანებზე განახორციელა. 307-ე მოდელის სახურავი სულ 25 წმ-ში იკეცება. მანქანა 136 და 177 ცხ.ძ-ის ძრავებით იქნება აღჭურვილი. ■

Opel

გერმანულმა ფირმამ წარმოადგინა GTC Geneve, რომელმაც ევროპელ ექსპერტებზე ძალზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათი ვარაუდით, ეს კონცეპტუალური მანქანა, „ოპელის“ მთავარი მოდელის – Astra-ს ახალი თაობის საფუძვლად მოგვევლინება, რომლის ოფიციალური პრემიერა, შემოდგომისთვის დაგეგმილ ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება. წყობით GTC Geneve ოთხადგილიანი სპორტული ავტომობილია. ამავე დროს, როგორც Opel-ის მთავარი დიზაინერი მარტინ სმიტი აღნიშნავს, კომპანიამ არა მარტო დინამიკაზე, არამედ მანქანის კომფორტულობაზეც საფუძვლიანად იზრუნა. ავტომობილი აღჭურვილია ტონირებული, გამჭვირვალე და ისეთი დასაკეცი სახურავით, როგორიც კაბრიოლეტებს აქვთ. სალონის დიზაინს ამშვენებს ნატურალური ტყავით გაწყობილი სავარძლები და კლასიკური სტილის ხელსაწყოთა პანელი. მასობრივი წარმოების Opel Astra რამდენადმე უფრო მოკრძალებული იქნება, მაგრამ შესაძლოა, ის კონცეპტ-ავტოში გამოყენებული, ზოგიერთი ტექნიკური სიახლით იყოს აღჭურვილი. ■

მანიაკი მედდა,

რომელიც გმირი ეგონათ

ახალგაზრდა მედდის, კრისტინ მალევრის სასამართლო პროცესმა მთელი საფრანგეთი შეძრა. მისი დამცველები დიდი ხნის მანძილზე, ქალს მოწყალების განსახიერებად რაცხდნენ, რომელმაც ე.წ. ევთანაზიის (განწირული ადამიანის, მისივე ნებართვით მოკვდინების) ამკრძალავი, არასრულყოფილი კანონმდებლობის წინააღმდეგ გაილაშქრა. საფრანგეთმა ირწმუნა ეს და მით უფრო ძლიერი აღმოჩნდა შემდგომი შოკი. მადმუაზელ მალევრს თურმე ყველა საფუძველი აქვს იმისთვის, რომ ქვეყნის ყველაზე გაიძვერა მკვლელთა სიის ერთ-ერთი პირველი სტრიქონი დაიკავოს.

არცთუ ისე ყარგი საავადმყოფო

დოქტორი ანრი გოსე სამართლიანად ამაყობდა მის დაქვემდებარებაში მოქმედი „ფრანსუა კენეს“ საავადმყოფოთი, რომელიც პარიზის გარეუბან მანტ-ლა-ჟოლიში მდებარეობდა. ეს კლინიკა საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო სამკურნალო დაწესებულებად ითვლებოდა და თუმცა ფორმალურად, მხოლოდ პარიზის დასავლეთი ნაწილის მცხოვრებთათვის იყო განკუთვნილი, მას ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრი პაციენტებიც უხვად ჰყავდა. ანრი გოსე განსაკუთრებით ამაყობდა თავისი ექიმებით: „ფრანსუა კენეს“ მეთვალყურეთა საბჭო არ იშურებდა თანხებს მათი ხელფასებისთვის, ამიტომ კლინიკაში, მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტებიც კი მუშაობდნენ. შესაბამისად, მომსახურე პერსონალიც ძალზედ კვალიფიციური ჰყავდათ: უმაღლესი დონის ექიმებს ასევე მაღალი კლასის მედდები ესაჭიროებოდათ.

1995 წელს, როცა 25 წლის კრისტინ მალევრმა კლინიკაში მუშაობის სურვილი გამოთქვა და მისი იქ მიღების შესახებ განცხადება დაწერა, დოქტორმა გოსემ ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიიღო: მადმუაზელ მალევრს წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული სამედიცინო სასწავლებელი და ყველა მასწავლებელი მასზე მხოლოდ აღტაცებით ლაპარაკობდა. ხელმძღვანელმა ის პულმონოლოგიურ განყოფილებაში გაამწესა და დროებით, დაივიწყა კიდეც მის შესახებ.

თავდაპირველად, კრისტინ მალევრით მის განყოფილებაშიც კმაყოფილნი იყვნენ. ის მოსწონდათ პაციენტებს, საუცხოოდ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობებს და, რაც ყველაზე მეტად მოსდით ხოლმე თვალში თანამშრომლებს, მუდამ მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში შეეცვალა კოლეგა. ამ დროს, არავის მოსჩვენებია საეჭვოდ, რომ მედდა მალევრის რამდენიმე პაციენტი სწორედ მისი მეურვეობის ქვეშ მოხვედრიდან ცოტა ხანში გარდაიცვალა. თითოეული მათგანი ღრმად მოხუცებული იყო, ზოგიერთი კი, უკურნებელი სენით იყო დაავადებული. ექიმებთან შესადავებელი არც გარდაცვლილთა ნათესავებს ჰქონდათ რამე, რომლებიც ამ ამბავში ვერაფერს კრიმინალურს ვერ ხედავდნენ.

პირველი ეჭვები მაშინ გაჩნდა, როცა პულმონოლოგიურმა განყოფილებამ, საავადმყოფოში რეკორდი დაამყარა უეცრად გარდაცვლილ პაციენტთა რაოდენობით, მათ შორის კი უმრავლესობას ის ავადმყოფები შეადგენდნენ, რომლებსაც მალევრი უვლიდა. კრისტინს მეტსახელად „შავი ქვრივი“ შეარქვეს.

ცოტა ხანში, კლინიკის ერთ-ერთმა მედდამ შეამჩნია, რომ კრისტინ მალევრს რამდენჯერმე გაუზრდია ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი წამლის დოზა პაციენტისთვის, რომელიც ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს მთავარ ექიმს.

1998 წლის ზაფხულში, დოქტორმა გოსემ აუკრძალა კრისტინს მუშაობა, პოლიციამ კი გამოძიება დაიწყო. სამართალდამცავებთან მალევრის პირველი შეხვედრა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მედდამ 30 პაციენტის მკვლელობა აღიარა, აჭირდა და მისმა ადვოკატმა დაკითხვის შეწყვეტა მოითხოვა. მეორე დღეს, კრისტინმა თვითმკვლელობა სცადა.

კრისტინ მალევრი

ჯოჯოხეთის მოციქული

პრესტიჟულ კლინიკაში მომხდარი სკანდალი მთელი საფრანგეთის განსჯის ერთ-ერთ მთავარ თემად იქცა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ კრისტინ მალევრი დაედანაშაულებინა, საზოგადოებამ პირიქით — მის ქებას მიჰყო ხელი. განსაკუთრებით, მედდის ადვოკატებმა გამოიდეს თავი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მალევრმა რაიმე საძრახისი ჩაიდინა (სასამართლომდე მისი ბრალეულობის აღიარებისგან იურისტები თავს იკავებდნენ) ამას მხოლოდ იმის გამო აკეთებდა, რომ არ შეეძლო გულხელდაკრეფილს ეცქირა განწირულ პაციენტთა ტანჯვა-წამებისთვის. „ჩვენ ყოველდღე ვიღებთ ათეულობით წერილს, რომელშიც ადამიანები აღფრთოვანებას გამოხატავენ მადმუაზელ მალევრის გამბედაობით, — ამბობდა მაშინ მთავარი ექიმი გოსე. — მათი აზრით, მედდა ამ უბედურებს, ზედმეტი ტანჯვის გარეშე ამ ქვეყნიდან წასვლაში ეხმარებოდა“.

მალევრის საქმე თავისი იდეების გასატარებლად გამოიყენა უამრავმა ორგანიზაციამ, რომელიც ქვეყანაში ევთანაზიის ლეგალიზაციას უჭერს მხარს. მათთვის კრისტინ მალევრი, რომელიც თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, არანაირ ჩვენებას არ იძლეოდა, კონსერვატორულ ფრანგულ კანონმდებლობასთან ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. დაბოლოს — კრისტინ მალევრის დასაცავად, ქვეყნის მაშინდელმა ჯანდაცვის მინისტრმა, ბერნალ კუშნერმაც კი ამოიღო ხმა. „ძალზედ თანა-



ძლიერმოქმედი პრეპარატით სავსე შპრიცის გარდა, გამოძიებისთვის ერთ-ერთ სამხილად, განსასჯელის ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგები გამოდგა

ვუგრძნობ ამ ქალს. დაუშვებელია, რომ მან მარტოსულ, იზოლირებულ ადამიანად იგრძნოს თავი", — განაცხადა მან და სხვათა შორის, ისიც აღიარა, რომ პრაქტიკოს ექიმად მუშაობის დროს, რამდენჯერმე თავადაც დახმარებია სასიკვდილოდ განწირულ პაციენტებს „ღირსეულად გაეტარებინათ უკანასკნელი დღეები". ამას მოჰყვა ფრანგ პარლამენტართა ჯგუფის მოთხოვნა — ევთანაზიის ლეგალიზაციის საკითხი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მსჯელობის საგანი გამხდარიყო. ამ დროს, მედდის ხელში გარდაცვლილი პაციენტების ნათესავებმაც კი, უარი თქვეს მის წინააღმდეგ ჩვენებების მიცემაზე.

კრისტინ მალევრი გმირად იქცა. ხელისუფლებამ ვერ გაბედა ქალის საქმის სასამართლოსთვის გადაცემა და მის ადვოკატებთან შეთანხმება გადაწყვიტა: მალევრი ფსიქოთერაპიის იძულებით კურსს გაივლიდა, ამის სანაცვლოდ კი, მას, ადრე წაყენებულ ყველა ბრალდებას მოუხსნიდნენ. საქმე წარმოებაში შეწყდა. პროკურატურის გადაწყვეტილებაში აღინიშნა: გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულის მოქმედებაში არ შეინიშნებოდა რაიმე ანგარება ან პირადი დაინტერესება.

მკვლელის აღიარება

„საფრანგეთმა მიიღო ის, რისკენაც კარგა ხანია მიდიოდა, — წერდა მალევრის საქმის დახურვის გამო, 1998 წლის დამლევს ერთ-ერთი ფრანგული გაზეთი. ახლა მას ჰყავს საკუთარი ფლორენს ნაიტინგეილი (ამერიკელი მედდა, რომელიც ანალოგიური დანაშაულისთვის გაასამართლეს) — მედდა, რომელიც არა მარტო შევიდა ისტორიაში, არამედ სამყაროს შეცვლასაც შეუწყო ხელი".

სამკურნალო კურსის გასავლელად, მალევრი ნორმანდიაში გაემგზავრა. ცოტა ხანში, გამოვიდა მისი წიგნი — „ჩემი აღიარება", რომელიც უმალ ბესტსელერად იქცა. ამ წიგნში ყოფილმა მედდამ (მკურნალობის დროს, მას მაინც აკრძალული ჰქონდა სპეციალობით მუშაობა) პირველად გაამხილა, თუ რა დიდხანს ებრძოდა თავს საიმისოდ, რათა მთელი სულით მიეღო ევთანაზიის იდეა. თავად მალევრის თქმით, ამ ქვეყნიდან წასვლაში ის მხოლოდ 3 პაციენტს დაეხმარა და არა 30-ს, როგორც ამას გამოძიება ამტკიცებდა. განსაკუთრებით დაწვრილებით ჰყვება მედდა ვინმე დენიზ ლე მაუს შესახებ, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა კიბოსაგან და ევედრებოდა მალევრს, დახმარებოდა ამ წამებისგან გათავისუფლებაში. წიგნში მოხსენიებულია აგრეთვე ავადმყოფის ქმარიც — ალენი, რომელთანაც, კრისტინის თქმით, მას საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჰქონდა დენიზის სიკვდილის შემდეგაც.

მალევრისდა საუბედუროდ, ალენ ლე მაუმ ის მისი წიგნი წაიკითხა. ამის შემდეგ კი, დაუყოვნებლივ მიაშურა პოლიციას. მას მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მისი მეუღლე, ერთ-ერთი „გადარჩენილთაგანი" იყო. გარდა ამისა, ქალბატონი ლე მაუ გარდაიცვალა მაშინ, როცა ყველა ექიმი აღნიშნავდა, რომ მისი მდგომარეობა უმჯობესდებოდა. ალენ ლე მაუს დიდი ჯაფა დასჭირდა საიმისოდ, რომ აეძულებინა პოლიცია, კვლავ მოეკიდა ხელი ამ საქმისთვის. როცა გამოძიება განახლდა და პოლიციელები გაეცნენ კრისტინ მალევრის ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებს, მისი დაპატიმრების ორდერი დაუყოვნებლივ გაფორმდა.

მანიაკის პორტრეტი

იმ ექიმების შეხედულებით, რომლებიც იკვლევდნენ მედდას, კრისტინ მალევრი არასდროს ყოფილა დაინტერესებული ევთანაზიის პრობლემით. სამაგიეროდ, მას მუდამ იზიდავდა ტანჯვა-წამებისა და სიკვდილის ყოველგვარი გამოხატულება. როგორც გაზეთები ახლა წერენ, ჯერ კიდევ სამედიცინო სასწავლებელში სწავლისას ის გატაცებით კითხულობდა სასამართლო მედიცინის სახელმძღვანელოებს. მას შეეძლო, საუცხოო პათოლოგანატომი დამდგარიყო, რომ არა მისი ინტერესის განსაკუთრებული მიმართულება: კრისტინ მალევრს აინტერესებდა არა უბრალოდ სიკვდილი, არამედ საკუთრივ სიცოცხლის შეწყვეტის მომენტი. მას სურდა, თავად მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში.

მალევრს დიდი ხნის მანძილზე უხდებოდა ამ ინტერესის დაფარვა, მაგრამ „ფრანსუა კენეს" კლინიკაში მუშაობის დაწყებიდან სულ ცოტა ხანში, ის საშინელი ამბის მომსწრე გახდა: ალცჰაიმერის ავადმყოფობით დასნეულებული ქალის ქმარმა, იქვე, პალატაში ტყვია ესროლა მას, შემდეგ კი, თავიც მოიკლა. მან დატოვა ბარათი, რომელშიც წერდა, რომ აღარ შეეძლო მეუღლის ტანჯვა-წამების ატანა. გაზეთები ამ ტრაგედიას დიდი თანაგრძნობით გამოეხმაურნენ.

გამოძიების თვალსაზრისით, ამ მოვლენამ ხელი შეუწყო მალევრს იმაში, რომ გამოეგონებინა თავისი იდუმალი მისწრაფებების დაკმაყოფილების ხერხი. თავდაპირველად, ის ძალზედ ფრთხილობდა და მხოლოდ მართლა უიმედოდ დაავადებულ პაციენტებს ირჩევდა. მაგრამ ცოტა ხანში, ეს მისთვის უკვე საკმარისი აღარ იყო. მას გაუჩნდა სურვილი, თავადვე გადაეწყვიტა, თუ ვინ როდის უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან. მეორე გამოძიების დროს გამოირკვა, რომ მის მიერ მოკვდინებული ყველა პაციენტი არ იყო განწირული და არ განიცდიდა საშინელ ტანჯვა-წამებას.

ექიმებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მანიაკთან აქვთ საქმე. სპეციალისტების აზრით, ყველა სერიული მკვლელი რაღაც სამახსოვროს იტოვებს თავის მსხვერპლზე. კრისტინი, მისი სიფრთხილის მიუხედავად, გამონაკლისს არ წარმოადენდა. კლინიკიდან დათხოვნამდე ცოტა ხნით ადრე, ის გათხოვდა და ქორწილში, მის მიერ იმ ქვეყნად გასტუმრებული ბევრი ადამიანის ნათესავები დაპატიჟა. ბრალდების წარმომადგენლებს ხელთა აქვთ საქორწილო ფოტოსურათი, რომელზეც მოღიმარ კრისტინს, მისი დაღუპული პაციენტების ცოლები, ქმრები და შვილები უმშვენებენ მხარს.

თუმცა, გარდა ამისა, გამოძიებას არცთუ ისე ბევრი სამხილი მოეპოვება. კრისტინმა უარყო ყველა თავისი აღრინდელი აღიარება. სასამართლოს პირველ სხდომაზე მან მხოლოდ ერთ — „გაუფრთხილებლობით" და ორ — „სიბრალულის მოტივით" ჩადენილ მკვლელობაში ცნო თავი დამნაშავედ. ■

სისხლიანი ქალები

სარა ვილიარელა ალდრეტე. 24 წლის მექსიკელი ქალი, რომელიც მკვლელობის დაუოკებელ სურვილს ჩვეულებრივ ბიზნესს უთავსებდა. ძირითადად, ნარკოტიკების გასაღებას მისდევდა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია, იმის წყალობით, რომ ქალაქ მატამოროსში, ნარკობაზარზე არც ერთი კონკურენტი არ დარჩა: მათი და პოლიციელების ლიკვიდაციის მიზნით, სარამ ჩამოაყალიბა სექტა, რომლის მთავარი რიტუალი ადამიანთა მსხვერპლშეწირვა იყო. მსხვერპლად სწორედ მისთვის საძულველ ადამიანებს ირჩევდნენ. სექტის აქტიური მოქმედების პერიოდში (1987-89 წწ.) 60-მდე კაცი იქნა მოკლული. ახლა სარას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

ერეგეტ ბატორი, ცნობილი აგრეთვე მეტსახელით – სისხლიანი გრაფინია, უნგრეთის ერთ-ერთი წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. დაიბადა 1560 წელს. ცხოვრების მანძილზე, სიცოცხლეს გამოასალმა დაახლოებით 650-მდე ქალიშვილი, რომელთა სისხლს აბაზანის მისაღებად იყენებდა. 1610 წელს მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა თავისივე სასახლის კოშკში, სადაც 1614 წელს გარდაიცვალა. გრაფინია ბატორის ცხოვრების ამბავი ასეულობით წიგნსა და ათეულობით ფილმს დაედო საფუძვლად.

მარტა ბეკი. თავის საყვარელთან, რეიმონდ ფერნანდესთან ერთად მარტოხელა ქალების მკვლელობაში იყო დაოსტატებული. რეიმონდი მათ განცხადებების საშუალებით ეცნობოდა, იტყუებდა და თვალს ადევნებდა იმას, თუ როგორ კლავდა მსხვერპლს მარტა. 1947-დან 1949 წლამდე პერიოდში, ბეკმა მოწამლა, ყელი გამოსჭრა, ცემით მოკლა და წყალში დაახრჩო 20 ქალი. საყვარლები სიკვდილით დასავეს 1951 წელს. მათი სიყვარულისა და დანაშაულებათა ამბავი საფუძვლად დაედო ფილმს – „მკვლელთა თაფლობის თვე“.

მარი ალექსანდრინა ბეკერი. ბელგიის ყველაზე ცნობილი ბოროტმოქმედი ქალი. პირველი მკვლელობა ჩაიდინა 1932 წელს, 53 წლის ასაკში. მისი მსხვერპლი მისივე ქმარი იყო, რომელიც საყვარელთან ბედნიერებაში უშლიდა ხელს, მაგრამ ცოტა ხანში, ახალი ქმარიც მოჰბეზრდა. ქალი მასაც ისევე გაუსწორდა, როგორც პირველს – უბრალოდ, მოწამლა. ამის შემდეგ, მარიმ დაქალების მოწამვლას მიჰყო ხელი. 4 წელიწადში მან 10 ნაცნობი გამოასალმა სიცოცხლეს. მისი მხილება შეშფოთებული დაქალის წყალობით მოხდა. ქალმა ანონიმური წერილი მისწერა პოლიციას, რომელსაც სთხოვდა, გარკვეულიყო, თუ რა იყო ბეკერის ახლობლების ასე მიყოლებით დაღუპვის მიზეზი. მარი ბეკერი ციხეში, 1940-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა. მას სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

კეიტ ბენდერი. 50 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ჩამოაყალიბა ბანდა, რომელშიც მისი ოჯახის წევრები იყვნენ გაერთიანებულები. კეიტს ჰქონდა სასტუმრო ტეხასის შტატში, ქალაქგარეთ. მსხვერპლს (რომელსაც კეიტი თავად ირჩევდა) საგანგებოდ შერჩეულ მაგიდასთან, ფარდით დაფარულ ნიშასთან ზურგით სვამდნენ. ნიშაში დამალული ბენდერი კლიენტს თავში ჩაქუჩს ურტყამდა... ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ამ სასტუმროში მოხვედრილ მოგზაურთაგან ბევრი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. კეიტი ოჯახთან ერთად გაუჩინარდა. მათი შემდგომი ბედი უცნობი დარჩა.

მარი ბესნარი. საფრანგეთის ყველაზე ცნობილი ბოროტმოქმედი ქალი. 1928-დან 1949 წლამდე პერიოდში თავისი 13 ნათესავი მოკლა. მის მსხვეპლთა შორის იყვნენ: მისი მშობლები, ორი ქმარი, მათი მშობლები და ოჯახის სხვა წევრები, რომლებსაც მარი საკუთარ ანდერძებში ჰყავდათ მოხსენიებული. ბესნარი დედის მკვლელობის შემდეგ დააპატიმრეს. მაგრამ ის იმდენად მდიდარი იყო, რომ პარიზის საუკეთესო ადვოკატები დაიქირავა და მოახერხა თავის დაძვრენა: ნაფიცი მსაჯულები სამჯერ ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე ქალის დანაშაულის თაობაზე. მარი ბესნარი 1980 წელს, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დეგი — დელფინა და მარია დე ხესუს გონსალესები. მეხიკოს ერთ-ერთ რაიონში მდებარე სოროსკიპოს მესაკუთრეები იყვნენ. მაშინვე, როგორც კი, ესა თუ ის მეძავი, კლიენტებში პოპულარობას კარგავდა, დელფინა და მარია მას კლავდნენ, მაგრამ მათი მსხვერპლი ზოგჯერ ის კლიენტიც იყო, რომელიც ამ დაწესებულებაში სქელი საფულით მისვლით იქცევდა ყურადღებას. 1955-დან 1964 წლამდე, დებმა 100-მდე ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე. ბოლოს და ბოლოს, პოლიცია დაინტერესდა იმით, თუ რატომ აორთქლდა უამრავი ადამიანი ბორდელში და ჩხრეკისას სარდაფში 93 გვამი აღმოაჩინა. ■

საქართველოში მოდის კვირეული აღარ ჩაფარდება

კომპანია „მაკა ასათიანის“ მიერ აპრილის ბოლოსთვის დაგეგმილი ფართომასშტაბიანი Georgian Fashion Week განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. კომპანიის მესვეურთა თქმით, მიზეზი, არა პროექტის უცხოელ მხარდამჭერთა უარყოფითი პასუხი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ის გახლავთ, რომ ამჟამად, მაკა ასათიანი რამდენიმე საინტერესო პროექტითაა დაკავებული. როგორც ცნობილია, ის რუსული მოდის კვირეულისთვის ემზადება. მოდელიერი მიწვეულია აგრეთვე ნიუ-იორკში.

რუსეთში მაკა 2003-04 წ.წ. შემოდგომა-ზამთრის კოლექციას წარმოადგენს. აპრილის დამლევისთვის კი კიევში გაემგზავრება, სადაც პირველად ტარდება მოდის კვირეული. მიუხედავად ამ სფეროში კიევის „დებიუტობისა“, კვირეულში ბევრი ცნობილი დიზაინერი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის – ვალენტინ იუდაშკინი.

■

ჯგუფი „სახე“ აღდგა?

სპორტის სასახლეში დაგეგმილი Poerty-n-Motion-ისა და „სახის“ კონცერტის აფიშირების შემდეგ, თბილისში გავრცელდა ჭორი, რომ „სახის“ ბიჭები კვლავ გაერთიანდნენ შოუბიზნესში სამოღვაწეოდ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. „ათინათის“ ინიციატივით, კომპანიამ „მელოდია-არტმა“ და „ტელე-იმედმა“ გადაწყვიტეს, Poerty-n-Motion-ის თბილისში სტუმრობის პროექტის განხორციელება. ჯგუფთან დაკავშირების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ გერმანელი მომღერლები მხოლოდ იმ პირობით ესტუმრებოდნენ საქართველოს, თუ მათთან ერთად „სახეც“ იმღერებდა. Poerty-n-Motion-ის მიერ ასეთი უჩვეულო პირობის წამოყენების შემდეგ, ორგანიზატორები „სახის“ ყოფილ წევრებს დაუკავშირდნენ და დადებითი პასუხიც მიიღეს. ასე რომ, „სახის“ თაყვანისმცემელი ტინეიჯერებისდა სამწუხაროდ, ჯგუფის აღორძინება მხოლოდ ჭორი აღმოჩნდა. ორი დათო და გოგა მხოლოდ ერთი კონცერტით გამოვლენ სპორტის სასახლის სცენაზე.

შოუ 30 მარტს შედგება. პროგრამის მიხედვით, „სახე“ გახსნის და დახურავს საღამოს. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, Poerty-n-Motion-თან ერთად შეასრულებს ჰიტს – „წვიმად გადავიქეცი“.

■

თამთა გოგუაძის ამი და ჩამი

ყოველკვირეული ჟურნალის „რეიტინგის“ უკვე ტრადიციადქცეული შეხვედრების მორიგ „რაუნდზე“, „DJ ბუკლეს“ სტუმარი, მომღერალი თამთა გოგუაძე გახლდათ, რომელიც თაყვანისმცემლებთან თავისი მეგობრის თანხლებით მოვიდა LR სალონში. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრაზე მისული თამთას ყველა თაყვანისმცემელი, ერთის გარდა, 15 წლისა აღმოჩნდა. ის ერთი – გოგონა – 13 წლის.

თამთას ფანები ძალზედ აქტიურობდნენ და თავიანთ კერპს უამრავ კითხვას უსვამდნენ, მათ შორის – ყოველგვარ წვრილმანზე. მათთვის ისიც კი საინტერესო იყო, თუ რა ხილს ანიჭებს უპირატესობას მომღერალი. თითოეულ მათგანს იმის სურვილი ჰქონდა, რომ მომღერლის ჰოროსკოპი მათსას დამთხვეოდა, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, ჰოროსკოპით თევზები, თამთას გარდა, არავინ აღმოჩნდა.

კითხვაზე – თუ რაზე სწყდება ხოლმე ყველაზე მეტად გული, თამთამ უპასუხა: როდესაც ჩემზე მეგობრები ჭორაობენ, ან ვინმე თვალებში მიყურებს და მატყუებსო, თუმცა, მაშინვე დასძინა: საბედნიეროდ, ჩემ გარშემო ასეთი ხალხი იშვიათობაა.

... თამთას არნახულად ლამაზად წარმოუდგენია თავისი ქორწილი. აუცილებლად თეთრი კაბა ეცმევა, მაგრამ ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან, მომღერალმა აღნიშნა – ჯერ არავინ მყვარებიაო...

შეხვედრის ბოლოს, თამთამ თავისი ორიგინალური საჩუქარი – ორი პატარა თოჯინა, რომელსაც თაყვანისმცემლებმა ამი და ჩამი დაარქვეს, – ყველაზე ნორჩ თაყვანისმცემელს გადასცა. ხოლო პლაკატები საკუთარი ავტოგრაფით ყველა ფანს ჩამოურიგა. დამსწრეთ უჩვენეს აგრეთვე თამთას და ჯგუფის – „ისინი“ ახალი კლიპი –„იქ ამბობენ“.

„DJ ბუკლეს“ შემდეგი სტუმარი თიკა ჯამბურია იქნება, რომელსაც კარგად იცნობს ქართველი მსმენელი. აქვე გაცნობებთ, რომ სალონში საგანგებოდ ემზადებიან ჟურნალ „რეიტინგის“ მომავალ სტუმართან შესახვედრად. არც არის გასაკვირი – ის ხომ კრივში მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკია, რომელიც

თაყვანისმცემლებს თავის მოსწავლეებთან ერთად ესტუმრება. შეხვედრის ყველაზე აქტიურ გულშემატკივარს გიორგი გადასცემს ისეთივე წყვილ ხელთათმანს, როგორითაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად გამართულ მატჩში იბრძოდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ შეხვედრაზე მისული ერთ-ერთი ახალგაზრდა, შეიძლება კანდელაკმა საკუთარ კრივის კლუბში მიიწვიოს, უსასყიდლოდ სავარჯიშოდ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩემპიონმა დაინახა, რომ ყმაწვილს ამის სურვილი და მონაცემები აქვს.

იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო გიორგი კანდელაკთან შეხვედრაზე მოსახვედრად, ჟურნალ „რეიტინგის“ 24 მარტის ნომრიდან შეიტყობთ.

■

ვის აჩუქებს გიორგი კანდელაკი ხელთათმანს?

„ქალისთვის თეთრეულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“

როგორც ცნობილია, „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ თბილისში პირველად გაიმართა ქალის თეთრეულის კოლექციის (მაღაზია „სან სეტი“) ჩვენება, რომელიც „იმიჯ-ცენტრის“ მოდელებმა წარმოადგინეს. დეფილეზე გამოყენებული იყო აგრეთვე ზალიკო ბერგერის მიერ შექმნილი სამკაულები, ნანა აბულაშვილის თავსაბურავები და სპეციალურად ამ საღამოსთვის შექმნილი, თათა ვარდანაშვილის ფეხსაცმლის კოლექცია. ღონისძიების ორგანიზატორს, „იმიჯ-ცენტრისა“ და „სან სეტის“ ხელმძღვანელს — ია კიწმარიშვილს, ჩვენების დაწყებამდე ვესაუბრეთ.



ია კიწმარიშვილი:

— ამ ჩვენების იდეა დიდი ხანია ტრიალებს, მაგრამ არ არსებობდა მაღაზია, რომლის თეთრეულსაც ჩვენებაში გამოვიყენებდით. ახლა კი, მაღაზია „სან სეტი“ გაიხსნა, ამიტომ მსგავსი ჩვენებები სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

— თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ამ ყველაფერს ქართველი საზოგადოება?

— ქალის სხეულის სილამაზე, ყოველთვის საინტერესო სანახავი იყო, ყველა საუკუნეში იხიბლებოდნენ ამით. არა მგონია, რომ დღევანდელ, თანამედროვე ცხოვრებაში ხალხმა არ მიიღოს ისეთივე ესთეტიკური სიამოვნება, როგორიც წარსულში.

— თქვენ თავად რომელი ფირმის თეთრეულს ატარებთ?

— „ლა პერლას“ მონა-მორჩილი ვარ!..

საათ-ნახევრის დაგვიანებით, როგორც იქნა, სცენაზე სოსო თოლორაია გამოჩნდა და საღამო გახსნილად გამოაცხადა. პოდიუმზე ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა ტიპის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი მოდელები, რომლებზეც დიზაინერმა ავთო ცქვიტინიძემ გვითხრა — ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ზოგიერთ მათგანს სცენაზე საერთოდ არ გამოვიყვანდიო. — თუმცა მთლიანობაში, საღამოთი უკმაყოფილო არ დარჩენილა.

ია
კიწმარიშვილი

პირველი განყოფილების დასრულებისთანავე, ია ფარულავამ, ლელა წურწუმიამ მეუღლითურთ და კოტე ყუბანეიშვილმა დარბაზი დატოვეს. ამ უკანასკნელმა ისიც კი განაცხადა — თუ ქალი მგარია, თეთრეული საერთოდ აღარ სჭირდებაო...

დარბაზში დარჩენილმა საზოგადოებამ სცენასთან ახლოს მიიწია და უმეტესობამ იატაკზეც კი მოიკალათა. განყოფილებებს შორის, მოცეკვავეთა ჯგუფმა საკმაოდ საინტერესო ნომრები წარმოადგინა. მომენტით ვისარგებლე და რამდენიმე სახელდახელო ინტერვიუ ჩავიწერე.

ვანიკო თარხნიშვილი:

— ყოველთვის დიდი გულშემატკივარი ვარ იმისა, რაც კი სიახლე ინერგება ხოლმე მოდის ბიზნესში. თუმცა, „სან სეტს“ თავისი ადგილი უკვე დამკვიდრებული აქვს საქართველოს ბაზარზე და ვითარდება კიდეც. ძალიან მიხარია, რომ ასეთ ლიდერ კლუბში მოეწყო ეს ჩვენება.

— როგორ შეაფასებდით თქვენი მეუღლის სხეულზე „სან სეტის“ კოლექციის რომელიმე ნიმუშს?

— ამ კოლექციაში ბევრი საუკეთესო ნიმუშია და ვფიქრობ, რომ ეს ფანტასტიკური არჩევანი იქნებოდა.

სტეფანე:

— კარგი საღამოა. „ლა პერლას“ ძალიან მაგარი თეთრეული აქვს. საყვარელი ქალისთვის მიმირთმევია საჩუქრად ამ ფირმის ნაწარმი და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩენილა.

სოფო ჭყონია:

— საღამოზე რა გითხრათ, მაგრამ თეთრეული არაჩვეულებრივია. მე თვითონ, „სან სეტის“ თეთრეულის მომხმარებელი ვარ. ქალისთვის ყველაზე მთავარი, კარგი თეთრეულია. უკანასკნელი თანხითაც კი თეთრეული უნდა შეიძინო, რომ ტანსაცმლის გახდის შემდეგ, ეფექტი მოახდინო. ამიტომ, უპირატესობას სექსუალურ თეთრეულს ვანიჭებ.

რადიო „101“-ის ხელმძღვანელმა შალვა რამიშვილმა თავისი შთაბეჭდილება ყვირილით გამოხატა, ხოლო სოსო თოლორაიამ აღნიშნა, რომ თეთრეულს ქალისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამასობაში, ჩვენება დასრულდა. „იმიჯ-ცენტრის“ მოდელებმა სცენა დატოვეს და საცეკვაოდ დაბლა გადაინაცვლეს, ხოლო მათი ადგილი კახუჩელამ, სტეფანემ და ქეთა თოფურიამ დაიკავეს, რომლებმაც რამდენიმე ენერგიული სიმღერა შეასრულეს, ხალხთან ერთადაც იცეკვეს და მხიარულების გასაგრძელებლად, კვლავ თავიანთ მაგიდებს დაუბრუნდნენ. ამის შემდეგ სავანგებოდ ამ დღისთვის დაგრძელებული სცენა მაყურებლებმა დაიკავეს და პოდიუმზე გასვლის აქამდე აუხდენელი ოცნება ერთ წამში აისრულეს. თუმცა, ასეთი მეოცნებე საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა და პოდიუმის სივიწროვის გამო, ცეკვის კი არა, გატოკების საშუალებაც კი აღარ ჰქონდათ. ■

მოამზადეს ნათია ქივიძემ
და ლიკა ლუბენეცმა

ვინ დაჩრდილავს „ბრილიანტის“ ვუპი გოლდბერგს?

ყველას აინტერესებს, „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიაზე ვინ მოახერხებს ვუპი გოლდბერგის დაჩრდილვას, რომელმაც აბსოლუტური რეკორდი დამყარა 1999 წელს, როცა იგი საზეიმო ცერემონიის წამყვანი გახლდათ. საღამოს მსვლელობისას, გოლდბერგმა რამდენჯერმე გამოიცვალა კაბა; იმ დღეს, მის მიერ დემონსტრირებული ბრილიანტის სამკაულების საერთო ღირებულებამ კი, ასტრონომიულ თანხას – 71 მლნ დოლარს მიაღწია.

წლევანდელი ცერემონია ხომ საიუბილეოა – „ოსკარების“ გადაცემა სამოცდამეთხუთმეტედ მოეწყობა, ე.ი. მას „ბრილიანტის“ იუბილე უსრულდება. ნიუიორკის სავაჭრო ფირმის – „ბრილიანტის საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებსაც იმედი აქვთ, რომ ვარსკვლავები საკუთარ ტუალეტებს უხვად

შეამკობენ ბრილიანტებით. საამისოდ კი, არა მარტო საკუთარ კოლექციებს გამოიყენებენ, არამედ ქირითაც გამოიტანენ ძვირფას ყელსაბამებს, საყურეებსა თუ ბროშებს, როგორც ეს ადრეც არაერთხელ გაუკეთებიათ. ძვირფასეულობით მოვაჭრეთათვის ეს ორმაგად ხელსაყრელია: ვარსკვლავები ძალაუნებურად დიდ რეკლამას უწევენ მათ საქონელს, რომელიც შემდეგ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით თვალის დახამხამებაში იყიდება. ჩვეულებრივ, ეს შედარებით გვიან, ცერემონიის დამთავრების შემდეგ ხდება ხოლმე. მაგრამ ისეთი შემთხვევაც იყო, როცა მყიდველმა სულ რამდენიმე წუთში დარეკა მას შემდეგ, რაც ტელევიზით გადაცემისას თვალი მოჰკრა საზეიმო დარბაზისკენ წითელ ხალიჩაზე მიმავალ სელინ დიონს, რომელსაც მართლაც ზღაპრული ყელსაბამი ამშვენებდა. ■

კლინტ ისტვუდი ნილ არმსტრონგზე ფილმის გადაღებას აპირებს

ჰოლივუდის ცოცხალი ლეგენდა, მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარების ავტორი და კომპოზიტორი კლინტ ისტვუდი, ახალი, ბიოგრაფიული ხასიათის ფილმის გადასაღებად ემზადება, რომლის გმირიც მთვარის პირველი დედამიწელი სტუმარი, ასტრონავტი ნილ არმსტრონგი იქნება.

ისტვუდი ამ შემთხვევაში პროდიუსერის და რეჟისორის ფუნქციებს იკისრებს, სურათში მონაწილეობას კი, იგი არ აპირებს. ფილმს საფუძვლად დაედება ჯეიმს ჰენსენის წიგნი – „პირველი ადამიანი: ცხოვრება ნილ არმსტრონგისა“. „მილიონობით დედამიწელმა ნახა ასტრონავტის პირველი ნაბიჯი მთვარის ზედაპირზე, მაგრამ ცოტა ვინმე თუ იცნობს მის პიროვნულ ღირსებებს, რადგან იგი ყოველთვის განმარტოებულ ცხოვრებას ამჯობინებდა“, – ამბობს ისტვუდი.

პროექტს კინოკომპანია „უორნერ ბრაზერსი“ განახორციელებს. ამჟამად კი, ისტვუდი ამავე კინოკომპანიის ბაზაზე იღებს ფილმს – „მისტიკური მდინარე“. ■

ჯეი ლო: „ხომ არ გვეცეკვა?“

ჯენიფერ ლოპესს მოცეკვავის დროინდელი წარსულის გახსენება მოუწევს, რიჩარდ გირს კი – ცეკვის გაკვეთილების გამეორება, რომელიც სულ ახლახან, „ჩიკაგოს“ გადაღებებისას ჩაუტარეს.

გადასაღებ მოედანზე ორი ვარსკვლავი პირველად შეხვდება ერთმანეთს, იაპონური ფილმის – „ხომ არ გვეცეკვა“ ამერიკულ რიმეიქში. ამ პროექტს სტუდია Miramax-ი განახორციელებს, რეჟისორი კი, პიტერ ჩელსი იქნება. მელოდრამის სიუჟეტის მიხედვით, გირის გმირი სიბერეშეპარულ, მოსაწყენ ბუღალტრად გარდაიქმნება, რომლის ცხოვრებაც მხოლოდ მას შემდეგ გახალისდება, როცა იგი ცეკვის გაკვეთილებზე დაიწყებს სიარულს. მისი ცეკვის ინსტრუქტორის როლს ჯეი ლო შეასრულებს. თუ როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები, ამას ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ შევიტყობთ. ■

ტრავოლტას, ორმეტრიან კურდღელთან დამეგობრება მოუწევს

ამერიკის უმსხვილესმა კინოსტუდიებმა, გასული საუკუნის შუახანების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტრაგიკომედიის გაცოცხლება გადაწყვიტეს. „ჰოლივუდ რიფორთის“ ცნობით, ჯონ ტრავოლტასთან ფილმ „ჰარვის“ რიმეიქში მონაწილეობის თაობაზე აწარმოებენ მოლაპარაკებას MGM-ისა და Miramax Films-ის სტუდიები.

„ჰარვი“, პულიცერის პრემიის ლაურეატის – მერი ჩეიზის რომანის მიხედვით

გადაიღეს და იგი ეკრანზე 1950 წელს გამოვიდა. ფილმის ორიგინალურ ვერსიაში მოთხრობილია ორი განუყრელი მეგობრის ურთიერთობის შესახებ. ალკოჰოლის მოყვარულ ელვუდ დაუდის მეგობარს – ორმეტრიან კურდღელ ჰარვის, მის გარდა, ვერავინ ხედავს.

კინოსტუდიების წარმომადგენელთა თქმით, ამ პროექტში ტრავოლტას მთავარ როლს სთავაზობენ. თავის დროზე, ფილმმა პირველი ვერსიის შემქმნელებს რამდენიმე ნომინაცია და ორი „ოსკარი“ მოუტანა. გადაღებების დაწყების თარიღი, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ■

მადონა online

მადონას გარემოცვამ უჩვეულო განცხადება გაავრცელა: 24 მარტიდან მომღერლის საიტზე მისი ახალი სიმღერა – „ამერიკული ცხოვრება“ გამოჩნდება, რომლის სამუდამო მფლობელიც, შესაძლოა, ნებისმიერი გახდეს, ოღონდ, სრულიად სიმბოლური თანხის გადახდის შემდეგ: საიტიდან ფაილის კომპიუტერში ჩასატვირთად ან ფოსტის მეშვეობით მის გამოსაწერად, მსურველებმა 1,49 დოლარი უნდა გადაიხადონ. და კიდევ – ფაილში, სიმღერასთან ერთად, მოთავსებული იქნება მომღერლის სპეციალური გზავნილი, რაც მადონას თაყვანისმცემლებისთვის შენაძენის ფასეულობას აშკარად ზრდის. ფაილის მფლობელს ეძლევა უფლება, მოისმინოს სიმღერა, გადაწეროს დისკზე და ა.შ. ოღონდ, მისი ტირაჟირების უფლება არა აქვს. ამავე სახელწოდების ალბომი, მუსიკალური მაღაზიების თაროებზე მხოლოდ აპრილში გამოჩნდება. ■

ჟიზელ მიუნდჰენი: „მყავს სამი ძაღლი, ორი ცხენი, ხუთი და... რაღაში მჭირდება მამაკაცი?“

პარიზული მოდის კვირეულზე, სახელგანთქმული მოდელი – ჟიზელ ბიუნდჰენი არ გამოჩენილა. მისმა პრესმდივანმა კი, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბიუნდჰენი ხანგრძლივი ტაიმაუტის აღებას აპირებს. ეს განცხადება ნამდვილ სენსაციად იქცა – სამოდელო ბიზნესის თითქმის ყველა კომენტატორმა ერთხმად აღნიშნა, რომ პოდიუმზე ისეთი სახელგანთქმული მოდელების დაბრუნებაც კი, როგორებიც ლინდა ევანგელისტა და კრისტი ტარლინგტონი არიან, ვერ შეავსებს იმ დანაკლისს, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი თანამედროვე სუპერმოდელის წასვლას მოჰყვება.

უცნაურია, მაგრამ პერიოდულად, წელიწადში ერთხელ (2001 წლიდან მოყოლებული), პრესა ბრაზილიელი მოდელის კონკურენტის ძიებას იწყებს. ორი წლის წინ, თითქოს მის შემცვლელად ანა ჰიკმანს მიიჩნევდნენ. ნურას უკაცრავად... ჰიკმანი ფრიად წარმატებული მოდელია, მაგრამ ბიუნდჰენის დიდებამდე ბევრი უკლია.

სამოდელო ბიზნესიდან ჟიზელის წასვლის ვადად, ჯერჯერობით, ექვს თვეს ასახელებენ. ეს არცთუ ისე ცოტა დროა; სუპერმოდელების გარეშე, მაღალი მოდის სამყაროს არსებობა წარმოუდგენელია, ამიტომ სავარაუდოა, რომ მის ადგილს სხვა რომელიმე მოდელი დაიკავებს.

ამ დღეებში სინიორა ბიუნდჰენი სალვადორის ღარიბთა კვარტალ – პელურინოში შენიშნეს. ბრაზილიის ფინანსური სინდიკატი – „სითიქარდი“ ღარიბთა დასახმარებლად დიდ სოციალურ პროგრამას გეგმავს და როგორც ჩანს, ამ პროგრამის სახე სწორედ ჟიზელ ბიუნდჰენი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ „სითიქარდთან“ გაფორმებული კონტრაქტის პირობები გასაიდუმლოებულია, პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანაზღაურება, რომელსაც მოდელს ამ პროექტში გადაუხდიან, მის მიერ ევროპასა თუ აშშ-ში აქამდე გაფორმებული ყველა კონტრაქტის თანხას აჭარბებს.

პრესაში ამ საკითხთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა, ჟიზელი ძალზედ გაანაწყენა და ინტერვიუში განაცხადა, რომ ღარიბთა დასახმარებლად საკუთარი ფონდის ჩამოყალიბებას აპირებს; ამ პროექტის მთავარი სპონსორი კი სწორედ იგი იქნება. შეკითხვას – მისი სამოდელო ბიზნესიდან დროებით წასვლა, ხომ არ არის დაკავშირებული რომანტიკულ თავგადასავალთან – სუპერმოდელმა ასეთი პასუხი გასცა: „მყავს სამი ძაღლი, ორი ცხენი, ხუთი და... როგორც ხედავთ, საკმაოდ დიდი კომპანიაა. თავად განსაჯეთ, რაღაში მჭირდება მამაკაცი?“ ■

კრისტინა აგილერა სილიკონისმკერდიან ქალებს ვერ იტანს

ორი პოპ-პრინცესის – კრისტინა აგილერასა და ბრიტნი სპირსის მეტოქეობა, ბოლოს და ბოლოს, კრისტინას დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ამ რბოლაში კი, ორიოდე წლის წინ, აუტსაიდერად სწორედ აგილერას მიიჩნევდნენ: მისი მეტოქე ხომ ორი წლით მასზე უმცროსი იყო, ქალური ფორმებითაც გამოირჩეოდა (თქვენ წარმოიდგინეთ, ამას პოპულარობისათვის ბრძოლისას, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს) და ამასთან, ბრიტნი საოცრად კარგი იმიჯითაც სარგებლობდა.

დრომ ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა: აი, მის სპირსიც გახდა სრულ-

წლოვანი, დაიწყო სმა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უწესოდ ქცევასაც არ ერიდებოდა – თითქმის ისევე, როგორც კრისტინა... მაგრამ კრისტინას ყველაფერი ეპატიებოდა – იგი ხომ იმთავითვე „ცუდი გოგონას“ იმიჯით სარგებლობდა; აი, ბრიტნის კი, რეპუტაცია საგრძნობლად შეელახა. რაც შეეხება სხეულის ფორმებს, ამ შემთხვევაშიც კრისტინა სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა – იგი აცხადებს, რომ საკუთარი მუცელი და თეძოები მაინცდამაინც არ მოსწონს, მაგრამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად არასოდეს მიმართავს პლასტიკურ ქირურგიას. „გულწრფელად გეტყვით, ქალური ფორმების მქონე სხეული მომწონს, ასეთი ტანი ბევრად უფრო სექსუალურია, მაგრამ ვერ ვიტან ხელოვნურ, სილიკონისმკერდიან ქალებს “. იმისთვის, რომ ყოველთვის კარგ ფორმაში იყოს, აგილერას პირადი მწვრთნელი ჰყავს დაქირავებული, რომელიც მას კრივშიც კი ავარჯიშებს. ბრიტნიმ კი ამ ხნის მანძილზე, ჯერ იყო და, 7 კგ მოიმატა, მერე დაიკლო, ისევ გასუქდა... უკანასკნელ ხანებში გადაღებული ფოტოსურათებით თუ ვიმსჯელებთ, აგილერა პოპ-პრინცესას წოდებას ნამდვილად იმსახურებს. ■

ქრონიკული დაღლილობა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანი მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე კარგავს ინტერესს ყველაფრისადმი და დიდი ძალისხმევა სჭირდება საიმისოდ, რომ დილით ადგეს; უხალისოდ მიდის სამსახურში, არაფრის და არავის დანახვა არ სურს. არათუ ვერ მუშაობს, ფიქრიც არ სურს ამის შესახებ. მთელი დღე იმაზე ოცნებობს, ჩქარა დაბრუნდეს შინ და დაწვეს. გარდა ამისა, აწუხებს შაკიკის მსგავსი თავის ტკივილი, უძილობა; ტემპერატურა მატულობს, ჩნდება დამთრგუნველი შიშის გრძნობა, დეპრესია. ადამიანს აქვს საერთო სისუსტე, გაღიზიანებულია, ტეხს სახსრები, უმნიშვნელოდ გადიდებული აქვს ლიმფური კვანძები, უქვეითდება მეხსიერება და ყურადღების კონცენტრირების უნარი.

დიდი ხნის განმავლობაში, სამედიცინო პრაქტიკაში ასეთი პათოლოგიური დაღლილობის შემთხვევებს ყურადღებას არ აქცევდნენ. 1984 წელს, აშშ-ში (ნევადაში) იფეთქა დაავადებამ. ექიმების მიერ გამოკვლეული იქნა 200 ავადმყოფი, რომელთაც ზემოთ აღნიშნული სიმპტომები ახასიათებდათ და არ იცოდნენ, როგორ ემკურნალათ. დადგინდა მანამდე უცნობი დაავადების სტატუსი და მას ქრონიკული დაღლილობის სინდრომი (ქდს) უწოდეს.

ვინ არის დამნაშავე?

სტატისტიკით, ქდს-ით ძირითადად ავადდებიან 30-დან 45 წლამდე ასაკის ადამიანები (უმეტესად ქალები), რომლებიც, როგორც წესი, დაკავებულნი არიან (ან იყვნენ) გონებრივი მუშაობით, ახლო წარსულში ჰქონდათ გარკვეული წარმატებები, აქვთ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ისწრაფვიან პირველობისკენ — ყველგან და ყველაფერში. და რაც მთავარია, არათუ სრულფასოვანი დასვენების, არამედ დროდადრო ამოსუნთქვის საშუალებასაც კი არ აძლევენ საკუთარ თავს.

რა თქმა უნდა, სრულყოფისაკენ სწრაფვა კარგია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ორგანიზმის შესაძლებლობები განუსაზღვრელი არ არის. შეიძლება, კარგა ხანს, წლების განმავლობაში იმუშაოთ შეუსვენებლივ და არ იგრძნოთ დისკომფორტი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, თავს შეგახსენებთ „მომაკვდინებელი დაღლილობა“ (როგორც მას თვითონ ავადმყოფები უწოდებენ). ამასთან, „მსხვერპლი“ არცთუ ისე უდანაშაულოა.

მართალია, ქდს-ის ბუნება დღემდე, ბოლომდე არ არის შესწავლილი, მაგრამ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება მისი განვითარების შესახებ: ზოგი ქდს-ის წარმოშობის მიზეზად ვირუსულ ინფექციას (მაგალითად — ჰერპესს) მიიჩნევს, ზოგი — ნერვული სისტემის მოშლას, განსაკუთრებით — ტვინის ღეროს არეში, რომელიც ცენტრალური და ვეგეტაციური ნერვული სისტემის კავშირს უზრუნველყოფს და მართავს ყველა შინაგანი ორგანოს მუშაობას.

არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომლის თანახმად, იმუნურ სისტემაზე ზეგავლენას ახდენს სოკო კანდიდას მიერ გამოყოფილი ტოქსინი (შხამი) — არაბინოლი. თუ იმუნური სისტემა ძლიერია, ტოქსინი ზიანს ვერ აყენებს ორგანიზმს, ხოლო თუ დასუსტებულია, მაშინ ქდს-ით დაავადების რისკი დიდია.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია ის, რომ ავადმყოფს თავში არც კი მოსდის, მიმართოს ექიმს, რადგან თავიდან მას აღიქვამს, როგორც მწვავე რესპირატორულ დაავადებას. მაგრამ თუ შეამჩნიეთ, რომ ზემოთ აღნიშნული სიმპტომების „თაიგული“ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, აუცილებლად ჩაიტარეთ სამედიცინო გამოკვლევა, რათა დადგინდეს: ეს პრობლემები გამოწვეულია რაიმე ქრონიკული დაავადებით თუ ქდს-ით. კერძოდ, უნდა გამორიცხოს შიდსი, ვირუსული ჰეპატიტი, ინფექციური მონონუკლეოზი, პნევმონია, ტუბერკულოზი, შაქრიანი დიაბეტი, ანემია. თუ გამოკვლევის შედეგად დადგინდა ქდს, მაშინ ექიმი იწყებს კომპლექსურ მკურნალობას. ავადმყოფს ენიშნება ვიტამინების კომპლექსი, მცენარეული პრეპარატები — ნივრის ექსტრაქტი, გინგკო, ექინაცეა, რეფლექსო და ნემსთერაპია, აუტოგენური ვარჯიშები და რაც მთავარია, სრულფასოვანი (ფიზიკურ დატვირთვასთან შერწყმული), ხანგრძლივი (არანაკლებ ორი თვისა) დასვენება, დადებითი ემოციები და პირადი შესაძლებლობების სწორად განსაზღვრა, სამუშაო ადგილის სწორად მოწყობა. ადამიანმა თავი უნდა განაწყოს ისე, რომ არ მიისწრაფოდეს მისთვის დაუძლეველი, აუღებელი მწვერვალებისა და სიმაღლეებისაკენ, ისწავლოს ცნობიერების გადართვა პოზიტიურ მომენტებზე.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი და ბავშვები

აღმოჩნდა, რომ ქდს-ით შეიძლება დაავადდეს 1,5-2 წლის ბავშვიც კი, თუ ის ხშირად განიცდის ფსიქიკურ და ინტელექტუალურ დატვირთვას. როგორც წესი, ამაში დამნაშავეა როგორც მზრუნველი, ისე დაუდევარი მშობელი: პირველნი მეტისმეტად ტვირთავენ ბავშვებს თანამედროვე მოდური თამაშებით და ავიწყდებათ, რომ ამ ასაკში მხოლოდ 5-10 წუთითაა დასაშვები მსგავსი გართობა; მეორენი ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის ცხოვრების ნორმალურ პირობებს — ძილს, დასვენებას, თამაშს და ა.შ.

შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებში ქდს დაკავშირებულია სკოლასთან, რადგან სასკოლო პროგრამა ისეა გადატვირთული, რომ მოსწავლეთა უმრავლესობაში გადაღლილობას, დაძაბულობას, გაღიზიანებას, მოწყენილობას იწვევს. ექიმთა სტატისტიკით, მათთან ხშირად ხვდებიან „სასკოლო ნევროზით“ დაავადებული ბავშვები. ამიტომ გირჩევთ, რეალურად შეაფასოთ თქვენი შვილის შესაძლებლობები, არ მოითხოვოთ მისგან იმაზე მეტი, რაც შეუძლია და თუ დაეწყო თავის ტკივილი, საღამოობით უმიზეზოდ ტემპერატურის მატება, უძილობა ან მოთენთილობა, წონის დაკლება — სასწრაფოდ მიმართეთ ნევროპათოლოგს. ■

ტუბერკულოზის მსოფლიო დღე

ეს დღე 24 მარტს აღინიშნება.

თანამედროვე მსოფლიოში ტუბერკულოზის ფართომასშტაბიანი ეპიდემიის საშიშროება იმდენად დიდი იყო, რომ 1993 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი და ტუბერკულოზის გლობალური საფრთხე გამოაცხადა.

დღეს მსოფლიოში, ტუბერკულოზით უფრო მეტი ახალგაზრდა და მოზარდი იღუპება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ინფექციური დაავადებით. ყოველწლიურად კვდება 2-დან 3 მილიონამდე ადამიანი, მათ შორის – 100000 ბავშვი. მოსახლეობის 1/3 ინფიცირებულია, მათგან 5-10%, სიცოცხლის რომელიმე მონაკვეთში ავადდება ტუბერკულოზით. ყოველწლიურად ინფიცირდება მსოფლიოს მოსახლეობის 1%.

ამდენად, ტუბერკულოზი წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას კაცობრიობისათვის, რადგან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სამთავრობო და ჯანდაცვის ორგანოების მიერ ამ ინფექციის კონტროლი ვერ ხერხდება. ამიტომ, დაავადებასთან ბრძოლაში ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ინფორმირებას ტუბერკულოზის შესახებ.

რა არის ტუბერკულოზი

ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, იწვევს ტუბერკულოზის მიკრობაქტერია. როგორც წესი, დაავადება ლოკალიზდება ფილტვებში, მაგრამ პროცესში შეიძლება ჩართული იყოს სხვა ორგანოებიც.

ინფექციის წყაროს წარმოადგენს ფილტვის ტუბერკულოზით დავადებული ბაქტერიაგამომყოფი ადამიანი, რომელიც ხველების, ცემინების, ლაპარაკის დროს, ჰაერში გამოყოფს მიკობაქტერიების შემცველ უმცირეს წვეთებს. უმრავლეს შემთხვევაში, ინფექციის გადაცემა ხდება აეროგენული გზით (დაბინძურებული ჰაერის ჩასუნთქვის შედეგად, მიკობაქტერიები ხვდება ჯანმრთელი ადამიანის სასუნთქ სისტემაში).

ინფექციის წყაროა აგრეთვე ხარის სახეობის მიკობაქტერიებით დაავადებული საქონელი. ამ დროს, ადამიანი ავადდება ბაქტერიების შემცველი აუდუღარი რძის ან რძის პროდუქტების მიღების შედეგად.

ინფიცირება და დაავადება

ტუბერკულოზის განვითარებაში გამოყოფენ ორ სტადიას: ინფიცირებას და დაავადებას. ინფიცირების სტადია ვითარდება მაშინ, როდესაც ბაქტერიაგამომყოფთან კონტაქტის შედეგად, ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში მოხვდება ტუბერკულოზის გამომწვევი. ამ დროს ბაქტერიები არის ორგანიზმში, მაგრამ არ აღინიშნება დაავადების ნიშნები და არ ხდება ინფექციის გადაცემა. ინფიცირებულთა დიდი უმრავლესობა არ ავადდება ტუბერკულოზით და მხოლოდ 10%-ს უვითარდება დაავადება. ეს არის ტუბერკულოზის დაავადების სტადია. ამ დროს მიკობაქტერიები არის ორგანიზმში, ადამიანს აქვს დაავადების სიმპტომები და ინფექციის გადამტანსაც წარმოადგენს.

დაავადების ნიშნები

ფილტვის ტუბერკულოზი ლოკალიზაციის, განვითარების სტადიის და გავრცელების მიხედვით, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: ხველა ნახველით, სამ კვირაზე მეტხანს, სისხლიანი ხველა, ტკივილი გულმკერდის არეში, ქოშინი, ხშირი გაცივება. ზოგადი სიმპტომებიდან კი, აღსანიშნავია: წონაში დაკლება, ცხელება (ტემპერატურის მატება) და ოფლიანობა, ადვილად დაღლა, უმადობა.

დიაგნოსტირება

ფილტვის ტუბერკულოზზე ეჭვმიტანილ პაციენტებს უტარდებათ სრული გამოკვლევა, რომელიც მოიცავს ანამნეზის შეკრებას (დაავადების ისტორიის გაცნობას), ფიზიკალურ გამოკვლევებს (გასინჯვას), მიკრობიოლოგიურ ანალიზებს (ნახველის გამოკვლევა) და გულმკერდის რენტგენოგრაფიას; ბავშვებში კი – მანტუს კანის სინჯს ტუბერკულინზე.

უნდა გვახსოვდეს!

● ინფიცირებას იწვევს ბაცილაგამომყოფ ადამიანთან ხანგრძლივი კონტაქტი დახურულ გარემოში.

● ინფიცირების რისკს ამცირებს: სუფთა ჰაერი, მზის სხივების პირდაპირი მოქმედება, პირადი ჰიგიენის წესების დაცვა, ავადმყოფის ნივთების სტერილიზაციადეზინფექცია.

● ინფიცირება არ ნიშნავს დაავადებას, მაგრამ ხელშემწყობი ფაქტორების არსებობისას დაავადების რისკი მატულობს.

● ხელშემწყობი ფაქტორებია: არასრულფასოვანი კვება, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, შიდსი, იმუნოდეფიციტები, ხანგრძლივი ჰორმონოთერაპია, შაქრიანი დიაბეტი, წყლულოვანი დაავადება, ორსულობა და სხვა.

● საეჭვო შემთხვევაში უნდა მიმართოთ ექიმ თერაპევტს ან ფტიზიატრს.

● ტუბერკულოზის დროს დაუშვებელია მკურნალობა ერთი პრეპარატით.

● ნუ მიმართავთ თვითმკურნალობას.

● ტუბერკულოზი განკურნებადია, თუ მას დროულად, სწორად და რეგულარულად ვუმკურნალებთ.

ტუბერკულოზის მსოფლიო დღეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ეხმიანება ისტორიული ანტიტუბერკულოზური აქციის – „თეთრი ყვავილის დღის“ აღდგენით. ამ დღეს, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ეწყობა „ღია კარის დღე“ ტუბსაწინააღმდეგო დისპანსერებსა და თსუ-ის ცენტრალურ კლინიკაში: მოსახლეობას საშუალება ექნება, ტუბერკულოზზე ეჭვის შემთხვევაში, ჩაიტაროს ექიმთა უფასო კონსულტაციები, აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში. ■

რაციონალური კვება

ვჭამ და ვხდები

ჭარბი წონის მოშორებაზე მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ოცნებობს. ზედმეტი კილოგრამების დაკარგვაში მტანჯველი დიეტების, შიმშილობების და ფიზიკური დატვირთვის გარეშე დაგეხმარებათ მიშელ მონტინიაკის ბალანსირებული კვების სისტემა.

კალორიები არ არის დამნაშავე!

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ითვლებოდა, რომ სიმსუქნის მიზეზი მაღალკალორიული საკვებია. ჯერ კიდევ 1930 წელს, ორმა ამერიკელმა ექიმმა – ნიუბორგმა და ჯონსონმა – გამოთქვა მოსაზრება, რომ ჭარბი კილოგრამები ჭარბ კალორიებს მოსდევს თან. ადამიანს ყოველდღიურად ესაჭიროება 2500 კალორია. თუ იგი 3500 კალორიას იღებს, მაშინ რაც ზედმეტია, „მარაგში“ გროვდება და ეს თანდათან სიმსუქნის განვითარებას იწვევს. ამ პოსტულატიდან გამომდინარე, გასახდომად დაბალკალორიული საკვებია საჭირო. მეცნიერთა თითქოსდა ლოგიკური გათვლების თანახმად, თუ ადამიანი ყოველდღიურად 2000 კალორიას მიიღებს, 2500-ის ნაცვლად, ორგანიზმი ენერგიის ნაკლებობას ჩალაგებული ცხიმის მარაგიდან შეივსებს, რის შედეგადაც წონის კლება მოხდება.

ეს თეორია იმდენად დამკვიდრდა ადამიანთა ცნობიერებაში, რომ პროდუქტების ეტიკეტებზე ყოველთვის აღნიშნავდნენ კალორიების რაოდენობას.

მონტინიაკმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ აქ რაღაც შეუსაბამობაა და ცხოვრებაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება. არიან ადამიანები, რომლებიც იმდენს ჭამენ, რამდენიც მოესურვებათ, მაგრამ არასოდეს სუქდებიან. სამაგიეროდ, სხვები თითოეულ კალორიას ითვლიან და მაინც ყოველდღიურად კი არა, რამდენიმე საათის განმავლობაში მატულობენ წონაში.

რატომ ხდება ასე? მიშელ მონტინიაკმა იპოვა პასუხი ამ კითხვაზე. საქმე ის არის, რომ ადამიანის ორგანიზმი გადარჩენის ინსტინქტით ხელმძღვანელობს და ნებისმიერ პირობებში ქმნის ენერგეტიკულ რეზერვებს. რა თქმა უნდა, მკაცრი დიეტის დაცვისას წონა ქვეითდება, მაგრამ ორგანიზმი მაინც არ ჩქარობს ჭარბი ცხიმის გაცემას, რადგან ეს მისთვის გადარჩენის გარანტიაა. თუ კალორიების უკმარისობა რეგულარული იქნება, მაშინ ორგანიზმი უფრო იოლად გაიმეტებს კუნთების შემადგენელ ცილებს, შეწყვეტს კანის, თმის, ფრჩხილების კვებას, შესაძლოა, ტვინიც კი „გათიშოს“. სწორედ ამიტომ ვითარდება გულის წასვლა შიმშილობის დროს და ქვეითდება გონებრივი აქტიურობა.

თუ კალორიების რაოდენობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაშ, რაზეა დამოკიდებული ჭარბი წონა? მონტინიაკმა გააკეთა დასკვნა, რომელმაც გადატრიალება მოახდინა დიეტოლოგიაში: ჭარბი წონა არასწორი პროდუქტების არასწორად შეხამებით მიღების შემთხვევაში ვითარდება.

„ცუდი“ და „კარგი“ ნახშირწყლები

მონტინიაკმა შექმნა კვების პროდუქტთა კლასიფიკაციის სისტემა მათში ნახშირწყლების, ცხიმების, ცილების და უჯრედისის შემცველობის მიხედვით.

ნახშირწყლები არის ნივთიერებები, რომელიც ნივთიერებათა ცვლის პროცესში გარდაიქმნება ორგანიზმის ენერგიის მნიშვნელოვან წყაროდ – გლუკოზად. მისი სისხლში გადასვლის შემდეგ, საქმეში კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი – ინსულინი ერთვება, რომელიც გლუკოზის ქსოვილებში შეღწევას უზრუნველყოფს.



მონტინიაკმა ნახშირწყლები დაყო „ცუდ“ და „კარგ“ ნახშირწყლებად. „კარგის“ მიღება სისხლში გლუკოზის დონეს უმნიშვნელოდ სწევს მაღლა და კუჭქვეშა ჯირკვალიც იოლად უმკლავდება თავის სამუშაოს. ასეთ ნახშირწყლებს მიეკუთვნება: უხეშად დაფქული მარცვლეული, ხილისა და ბოსტნეულის უმრავლესობა, უშაქრო ხილის წვენები, სოკო, რძის პროდუქტები, შავი შოკოლადი.

„ცუდი“ ნახშირწყლები სისხლში გლუკოზის დონის მკვეთრ მატებას იწვევს და კუჭქვეშა ჯირკვალიც იძულებული ხდება, გადაიძაბოს და გაცილებთ მეტი რაოდენობით ინსულინი გამოყოს. „ცუდ“ ნახშირწყლებს მიეკუთვნება: თეთრი შაქარი, მისი შემცველი პროდუქტები (ტკბილეული, ნამცხვარი, კანფეტი), თეთრი პური, კარტოფილი, სიმინდი, გაზიანი და სპირტიანი სასმელები, ზოგიერთი ბოსტნეული და ხილი (სტაფილო, შაქრის ჭარხალი, ნესვი, ყურძენი, ბანანი, ქოქოსი), კანგაცლილი ბრინჯი. თუ ადამიანი ბევრ ასეთ პროდუქტს ჭამს, მისი კუჭქვეშა ჯირკვალი გამუდმებით მუშაობს ზედმეტი დატვირთვით და იწყებს გამოფიტვას. ჯანმრთელი ჯირკვალი ზუსტად იმდენ ინსულინს გამოყოფს, რამდენიც სისხლში გადასული გლუკოზის გადამუშავებას ესაჭიროება. მაგრამ თუ იგი წესრიგში არ არის, მაშინ ინსულინი გაცილებით მეტი გამოიყოფა, ვიდრე გლუკოზის უტილიზაციას სჭირდება, რის გამოც, სარეზერვო ცხიმი იწყებს ჩალაგებას. ცხიმის დაგროვება პირდაპირ კავშირშია კუჭქვეშა ჯირკვლის მდგომარეობასთან. ვიდრე იგი ჯანსაღია, ადამიანს შეუძლია ჭამოს, რაც სურს და რამდენიც სურს – მას სიმსუქნე არ ემუქრება. ასე რომ, თუ გსურთ, შეინარჩუნოთ თქვენი აღნაგობა, უნდა გაუფრთხილდეთ კუჭქვეშა ჯირკვალს და მოერიდოთ უზომო რაოდენობით „ცუდი“ ნახშირწყლების მიღებას.

„ცხიმიანი“ საკითხი

ცხიმები შეიძლება იყოს მცენარეული და ცხოველური.

● მცენარეულ ცხიმებს ეკუთვნის: ზეთები (მზესუმზირის, ზეითუნის, კაკლის და სხვა), მარგარინი.

● ცხოველურ ცხიმებს შეიცავს: ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები, კარაქი, ყველი, ნაღები და ა.შ.

ცხიმები შეიცავს A, D, E და K ვიტამინებსა და ცხიმოვან მჟავებს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმში სინთეზირდება ჰორმონები. ცხიმების გარეშე ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია, მაგრამ თუ მათ „ცუდ“

ნახშირწყლებთან ერთად მივიღებთ, ნივთიერებათა ცვლა ირღვევა და ადამიანი წონაში მატებას იწყებს.

გარდა ამისა, ცხიმები იყოფა 3 ჯგუფად — იმის მიხედვით, თუ როგორ გავლენას ახდენს სისხლში ქოლესტერინის დონეზე:

● „ცუდი“ ცხიმები იწვევს ქოლესტერინის შემცველობის მატებას (ასეთი ცხიმები შედის ხორცში, ყველში, ქონში, ნაღების კარაქში, რძესა და შებოლილ პროდუქტებში).

● ცხიმების მეორე ჯგუფი ნაკლებად უწყობს ხელს ქოლესტერინის წარმოქმნას (შედის კვერცხში, ზღვის პროდუქტებში, აგრეთვე ქათმის ხორცში, კანის გარეშე).

● „კარგი“ ცხიმები კი, დაბლა სწევს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში (ამ ჯგუფში შედის ყველა სახის მცენარეული ზეთი).

ალბათ გასაგებია, რომ მეორე და მესამე ჯგუფში შემავალი ცხიმები ჯანმრთელობისათვის გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე პირველი ჯგუფისა.

თევზის ქონი, რომელიც ასე არ უყვართ ბავშვებს, არ ახდენს გავლენას ქოლესტერინის ცვლაზე, მაგრამ იცავს ორგანიზმს გულსისხლძარღვთა დაავადებებისაგან, რადგანაც ეწინააღმდეგება თრომბების წარმოქმნას.

ცილები – ყველაფრის საფუძველი

ცილები ორგანული ნივთიერებებია, რომელიც ყველა ცოცხალი ქსოვილის საშენ მასალას წარმოადგენს. ცილები ამინომჟავებისგან შედგება, რომელთა ნაწილს ორგანიზმი გამოიმუშავეს, ნაწილი კი, საკვების საშუალებით ხვდება მასში.

ცილები აუცილებელია ორგანიზმისათვის ახალი უჯრედების შესაქმნელად.

ცილაც შეიძლება იყოს ცხოველური და მცენარეული წარმოშობის.

● ცხოველურ ცილებს შეიცავს ხორცი, თევზი, ყველი, კვერცხი და რძე.

● მცენარეულს — ბურღულეული, სოია, ზოგიერთი პარკოსანი, ნუში და კაკალი.

ცილების უკმარისობა ორგანიზმში იწვევს მძიმე გართულებებს: იმუნოდეფიციტს, კანის მოშვებას და კუნთების კვდომას.

ცხოველური და მცენარეული ცილები ცალ-ცალკე ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმს საჭირო ამინომჟავებით. ერთი რომელიმე ამინომჟავაც რომ დააკლედს, სხვებიც აღარ აითვისება. ამიტომ რაციონში ცხოველური და მცენარეული საკვები ერთმანეთს ავსებს და არ არის რეკომენდებული, მუდმივად რომელიმე მათგანის უგულებელყოფა.

უჯრედისი სასარგებლოა

საკვები უჯრედისი შედის ზოგიერთი ბოსტნეულის პარკოსნების, კანგაუცლელი ხორბლის, აგრეთვე ქოქოსის, ზოგიერთი ჩირის და ხილის შემადგენლობაში. უჯრედისში თითქმის არ არის კალორია, სამაგიეროდ, იგი უზრუნველყოფს ნაწლავის ნორმალურ



მუშაობას. მდიდარია ვიტამინებით, მარილებით და მიკროელემენტებით. უჯრედისის მიღება აქვეითებს გლუკოზის დონეს სისხლში, ამცირებს ინსულინის გამომუშავებას და ხელს უშლის ცხიმების ჩალაგებას.

გავხდეთ სწორად!

ახლა, როცა უკვე ვიცით პროდუქტთა შემადგენლობა, შეგვიძლია შევარჩიოთ ისეთები, რომელიც გახდომაში დაგვეხმარება.

უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

● იკვებეთ დღეში სამჯერ. არ გამოტოვოთ არც ერთი კვება. როცა გამოტოვებთ სადილს ან ვახშამს, შემდეგ კვებაზე თქვენი ორგანიზმი იწყებს მარაგის დაგროვებას — ასე პასუხობს თქვენს „უარს“.

● უარი თქვით „ცუდ“ ნახშირწყლებზე.

● რაციონიდან ამოიღეთ კერძები, რომელიც ერთდროულად შეიცავს ცხიმებსა და ნახშირწყლებს (ნამცხვარი, მოუხდელი რძე, ცხიმიანი ხაჭო, ტკბილი შოკოლადი).

● ხილი მიირთვით უზმოზე ან ჭამასა და ჭამას შორის: ხილის მიღებიდან 30 წთ-ის შემდეგ, მიიღეთ მხოლოდ ნახშირწყლოვანი საკვები.

● ხილთან ერთად ცხიმის მიღება იწვევს მის ჩალაგებას რეზერვის სახით.

● დაივიწყეთ ალკოჰოლი, მაგარი ჩაი და ყავა (კოფეინი ასტიმულირებს ინსულინის გამყოფას კუჭქვეშა ჯირკვალში).

● უარი თქვით „აკრძალულ“ პროდუქტებზე.

● „ნებადართული“ პროდუქტი მხოლოდ სწორი შეხამებით მიიღეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი კვება უნდა იყოს ან ნახშირწყლოვანი, ან ცილოვანი, ანდა ცილოვან-ნახშირწყლოვანი.

● ნუ დალევთ ალკოჰოლიან სასმელს მშიერ კუჭზე. უარი თქვით ლიქიორებზე. ნუ დალევთ ერთდროულად ღვინოსა და წყალს.

● წყალი სვით ჭამასა და ჭამას შორის დიდი რაოდენობით (არანაკლებ 1,5 ლ-სა დღეში). გეკრძალებათ გაზიანი სასმელები.

მაშ ასე, გახდით და იყავით ჯანმრთელნი!

■

ნებადართული პროდუქტები	აკრძალული პროდუქტები
უხეშად დაფქული ფქვილისგან გამომცხვარი პური	თეთრი პური
ასეთივე ფქვილისაგან დამზადებული მაკარონი	უმაღლესი ხარისხის მაკარონი
თევზი (ცხიმიანი უკეთესია)	ფუნთუშეული
ქათამი, იხვი, ხბოს, ძროხის, ცხვრის ხორცი	საკონდიტრო ნაწარმი
ძეხვი, შებოლილი ხორცი	ღვეზელი
სოსისი	პიცა
კვერცხი	შაქარი ნებისმიერი სახით
ყველი	შოკოლადი
ახალი ხილი (აკრძალულის გარდა)	კანფეტი
ახალი ხილის უშაქრო წვენი	ნაყინი
კანგაუცლელი, მუქი ფერის ბრინჯი	კარტოფილი
პარკოსნები	სიმინდი
წიწიბურა	ჭარხალი
სოია	სტაფილო
ახალი ბოსტნეული	ნესვი
სალათა	ბანანი
კაკალი, თხილი, ნუში	არაქისი და ქოქოსის კაკალი
რძე (მოხდილი)	კანგაცლილი ბრინჯი
მაწონი (უცხიმო)	კარაქი
უცხიმო ხაჭო	ცხოველური მარგარინი
არაჟანი (10%-ზე ნაკლები ცხიმიანობით)	მოუხდელი რძე
ყველი	ღვიძლი
სოკო	პაშტეტი
ზეთი	ლუდი
ზღვის პროდუქტი	ნებისმიერი ალკოჰოლი
ხიზილალა	გაზიანი სასმელები

სუფთა ყვითელი ეფექტი

ხშირ შემთხვევაში, ჩვენი წარმატებები ბიზნესში დამოკიდებულია იმ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც ჩვენ უხილავ მოსაუბრეზე ვახდენთ.

ას წელზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ტელეფონი გამოიგონეს. თითქოსდა, ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ მისი მოხმარება სრულყოფილად გვესწავლა. მაგრამ ჩვენ ძირითადად, ტექნიკურ ჩვევებს დავეუფლეთ და სატელეფონო ეტიკეტისათვის დღემდე ვერ მოვიცალეთ. რამდენი ხელსაყრელი კონტრაქტი თუ შეთანხმება ჩაგვეშალა მხოლოდ იმიტომ, რომ არასწორად წარვმართეთ სატელეფონო საუბარი.

ხანმოკლე საუბარი – წარმატების საწინდარი

სამსახურში ტელეფონის ყურმილი სასურველია, რომ აიღოთ არა უგვიანეს მესამე-მეოთხე ზარისა: ეს კონტაქტით თქვენს დაინტერესებაზე მიუთითებს. ორგანიზაციის, თანამდებობისა და გვარის დასახელება მხოლოდ იმ შემთხვევაში გმართებთ, თუ ეს შინასაუწყებო წესებითაა განსაზღვრული. ძირითადად, ასეა მიღებული იმ ორგანიზაციებში, რომლის

მოღვაწეობაც საქონლის გაყიდვას ან მომსახურების სფეროს უკავშირდება, ან – სხვადასხვა ინსტანციის მისაღებებში. ყურმილის აღებისას წარმოთქვით: „ალო!“, „დიახ!“ ან „გისმენთ!“ არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ გამოთქმა – „აპარატთანაა...“ – ვინაიდან ეს უპატივცემულობაზე მეტყველებს. ნუ დაგავიწყდებათ აბონენტთან მისალმება! პატივი ეცით მოსაუბრის დროს, რომელსაც თქვენ გითმობთ. თუ საუბარი გაგიგრძელდათ, დაინტერესდით – ხომ არ მოსწყვიტეთ აბონენტი მნიშვნელოვან საქმეს. გახსოვდეთ, რომ ჩვეულებრივ, თანასწორ პირობებში ლაპარაკს ამთავრებს ის, ვინც დაიწყო (ანუ ვინც დარეკა). მაგრამ თუ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები საუბრობენ, როგორც წესი, ლაპარაკს ქალი ამთავრებს. ამ წესებს შესაძლოა, არ დაემორჩილონ თანამდებობის პირები და ასაკით უფროსი ადამიანები. ნუ ეცდებით, თავს მოახვიოთ მოსაუბრეს მთელი ინფორმაცია; უკეთესი იქნება, თუ მხოლოდ საქმის არსს გადასცემთ. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ტელეფონის გარდა, არსებობს დისტანციაზე ურთიერთობის სხვა საშუალებებიც – მაგალითად, ელექტრონული ფოსტა ან ფაქსი.

დრო – ფულია!

მობილურ ტელეფონზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დარეკოთ, თუ მისმა მფლობელმა თავად გთხოვათ ამის თაობაზე, ან აბონენტთან დაკავშირება თქვენთვის აუცილებელია და სხვა საშუალებით ამას ვერ ახერხებთ. ნუ დაივიწყებთ, რომ დრო – ფულია! მობილური ტელეფონის აბონენტთან ლაპარაკისას, შეეცადეთ, იყოთ განსაკუთრებით ლაკონიური, მაგრამ ჩქარი ლაქლაქით სიტუაციას გროტესკამდეც ნუ მიიყვანთ. თათბირის ან მოლაპარაკების დროს, სასურველია, რომ საერთოდ გამორთოთ საკუთარი მობილური ტელეფონი – ასეთ დროს, ზარზე გამოხმაურება არაეთიკურად არის მიჩნეული. თუ ეს სატელეფონო ზარი თქვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ბოდიში მოიხადეთ და ოთახიდან გადით, რათა ხელი არავის შეუშალოთ.

სასარგებლო ინფორმაცია

ზედმეტი არ იქნება, თუ საკუთარი ხმის გაკონტროლებას ისწავლით. იმ შემთხვევაში, როცა დიდხანს ჩუმად იყავით, დარეკვამდე დალიეთ წყალი ან რაიმე ფრაზა ხმამაღლა წარმოთქვით. გახსოვდეთ – რაც უფრო მოხერხებულად ზიხართ, მით უფრო რბილი იქნება თქვენი ინტონაცია. ასე რომ, როცა ხმაში ფოლადის გარეკვას მოისურვებთ, ფეხზე დამდგარმა ილაპარაკეთ.

ღელავთ და არ გსურთ, რომ დაძაბულობა ხმაზე შეგეტყოთ? – შეჭამეთ კანფეტი, შეავლეთ თვალი ახლობელი ადამიანების ფოტოებს – მოკლედ, მნიშვნელოვანი საუბრის წინ, მიიღეთ დადებითი მუხტი.

■





24-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-გ.
26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ა; 4-ბ.

კვირის (23 – 29 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV



ეცადეთ, დაბადების დღემდე ვალები გაისტუმროთ და ყველა ვალდებულება შეასრულოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი წლის მანძილზე ძველი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. უარს ნუ იტყვით ახლო მეგობრის დახმარებაზე.

ხარი – 21/IV-21/V

საკუთარ თავზე აიღეთ კოლექტივში ურთიერთობების დარეგულირება. ამ კვირაში აუცილებლად გამოავლინეთ საქმისადმი ერთგულება და ხელმძღვანელობა თავდადებასა და შრომისმოყვარეობას დაგიფასებთ. მოერიდეთ საიდუმლო, სასიყვარულო ურთიერთობებს, თორემ უსიამოვნება არ აგცდებათ.

მარჩხვინი – 22/V-21/VI

თქვენი აქტიურობა და თავდაჯერებულობა კარიერის წინსვლის საწინდარია: ოღონდ, გახსოვდეთ, ეს დაწინაურება კეთილსინდისიერი შრომის ხარჯზე უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

დროა, ინიციატივა გამოიჩინოთ და შეფს განსახილველად რიგი რაციონალიზატორული წინადადებებისა შესთავაზოთ. უარს ნუ იტყვით მივლინებაზე, რაც არ უნდა მოსაწყენად და არაფრისმომტანად გესახებოდეთ ის. რადგან სწორედ ამგვარი მოგზაურობიდან დაბრუნებისას, ყველაზე მკაცრი ხელმძღვანელიც კი დაგაფასებთ.

ლომი – 23/VII-23/VIII



თქვენთვის ძალზედ არატრადიციული მეთოდით შეძლებთ ფულის შოვნას. ახალი გამოცდილება მომავალშიც გამოგადგებათ. ყურადღებით შეისწავლეთ თქვენი თაყვანისცემის ობიექტი, რადგან დროა გადაწყვიტოთ, თუ რა მიმართულებით უნდა განავითაროთ მასთან ურთიერთობა.

ქალწული – 24/VIII-23/IX

მადლიერების გრძნობის გამო, თქვენს ცხოვრებისეულ პრინციპებს ნუ უღალატებთ. ეცადეთ, შეინარჩუნოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ოჯახური პრობლემების მოგვარება მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით – გინდ „დეკორაციები“ შეცვალეთ, გინდ – „მოქმედი პირები“.

სასწორი – 24/IX-23/X

თქვენი სურვილი, ყველა გაჭირვებულს დაეხმაროთ, ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ საკუთარ თავსაც ნუ დაივიწყებთ. არავინ იზრუნებს თქვენზე ისე, როგორც ეს თავად გსურთ. სამშაბათისთვის ნურაფერს დაგეგმავთ, რადგან, შესაძლოა, ამ დღეს რაიმე მნიშვნელოვანი და სასიამოვნო რამ მოხდეს.

დრიანკალი – 24/X-22/XI

მთავარია, ყურადღება არ მოადუნოთ, თორემ, შესაძლოა, ყველაფერი დაკარგოთ. თუკი მუშაობის ტემპს არ შეანელებთ, კვირის ბოლოსთვის სასურველ შედეგს მიაღწევთ. ფრთხილად იყავით, დაძაბულმა მუშაობამ ხელი არ შეუშალოს თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

თუკი საოჯახო საქმეები მოსვენებას არ გაძლევთ, შეეცადეთ გაარკვიოთ, ვინ არის დამნაშავე და რა უნდა გაკეთდეს პრობლემის მოსაგვარებლად. რაც მთავარია, ნურავის ჩაახედებთ თქვენს შინაურ საქმეებში.

თხის რქა – 22/XII-20/I

ეს კვირა ახალი ურთიერთობების დამყარებას დაუთმეთ. მთელი თვე, შესაძლოა – მთელი წელიც, სწორედ ახალ ნაცნობებთან მოგიწიოთ მუშაობა. მოგზაურობა და სატელეფონო საუბრები უამრავ დროს წაგართმევთ, მაგრამ ეს გარდაუვალია. ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა ხუთშაბათს ან კვირას გელით.

მერწყული – 21/I-19/II

იმისათვის, რომ მიიქციოთ გარშემომყოფთა ყურადღება, იმიჯი უნდა შეიცვალოთ. გაისეირნეთ მაღაზიებში და შეიძინეთ ახალი ნივთები. თუ ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა, ვალის აღებასაც ნუ მოერიდებით. თვის ბოლოსათვის ჯიბეც სქელი გექნებათ და სარკეში ჩახედვაც სიამოვნებას მოგგვრით.

თევზები – 20/II-20/III

თქვენში მიმდინარე ცვლილებები ცოტა არ იყოს გაღელვებთ. დისკომფორტის დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ოთხშაბათი დღე თქვენთვის სასიამოვნო გარემოში გაატარეთ. კარგი განწყობა დაგიბრუნდებათ, თუ სპორტულ დარბაზში, აუზსა ან საუნაში წახვალთ.

შეგიძლიათ თუ არა შთაბეჭდილების მოხდენა

ამბობენ, რომ ყველა ქალი თავისებურად ლამაზია და ამ სილამაზის წარმოჩენას და ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენას გარკვეული ნიჭი სჭირდება. თუ გაინტერესებთ, გაგაჩნიათ თუ არა ქალური შარმი და მომხიბვლელობა, უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და იყავით გულახდილნი:

1) თქვენი აზრით, როდის უნდა შეიღებოს ქალმა თმა შინ?

ა) მაშინ, თუ მას არა აქვს საპარიკმახეროში წასვლის ფინანსური შესაძლებლობა – 0;

ბ) არც ერთ შემთხვევაში – 1.

2) როგორ იქცევით, თუ გსურთ სტუმრებმა თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში?

ა) აყურებინებთ მთელი საღამო ტელევიზორს – 1;

ბ) მოუყვებით თქვენი მეზობლების და ახლობლების ამბებს – 0.

3) გიყვართ თუ არა მარტო ვახშმობა?

ა) არა, ეს ძალიან მოსაწყენია – 0;

ბ) არა, იმიტომ, რომ მიიჩნევთ, ვახშმის დროს სუფრასთან ორი ადამიანი მაინც უნდა იჯდეს – 1.

4) უმეტესად, რას სვამთ ხოლმე?

ა) მხოლოდ წვენებს – 0;

ბ) თქვენ შესახებ ხშირად გაგიგიათ ეპითეტი „სისხლისმსმელი“ – 1.

5) რატომ გადიხართ შინიდან გარეთ?

ა) რათა თავი დააღწიოთ ოჯახის წევრებს ან ქმარს – 1;

ბ) მოირბინოთ მაღაზიები – 0.

6) რა დრო გჭირდებათ მაკიაჟის გასაკეთებლად?

ა) ხუთი წუთი – 0;

ბ) ერთი საათი – 1.

7) უმეტესად რითი იკვებებით?

ა) მაღალკალორიული საკვებით – 1;

ბ) ილუზიებით და ოცნებებით – 0.

8) უმეტესად, რა პრინციპით ირჩევთ ვარცხნილობას?

ა) იყოს მოხერხებული და არ სჭირდებოდეს ხშირი ვარცხნა – 0;

ბ) არ სჭირდებოდეს თმის ლაქი – 1.

9) გიყვართ თუ არა დილის ძილი?

ა) დიახ, განსაკუთრებით მაშინ, თუ საუზმეს საწოლში მოგართმევენ – 1;

ბ) არა, დილით სირბილი და ვარჯიში გირჩევნიათ – 0.

10) იცავთ თუ არა დიეტას?

ა) არა, ამისთვის ვერასოდეს იცლით – 0;

ბ) დროდადრო – 1;

11) როგორ აფასებთ საკუთარ გარეგნობას?

ა) თავს მომხიბვლელად მიიჩნევთ – 0;

ბ) ფიქრობთ, რომ განუმეორებლად ლამაზი ხართ – 1.

დაანჯამეთ ქულები

7-10 ქულა: თქვენ მშვენივრად გაქვთ შესწავლილი ქალის მომხიბვლელობის და სილამაზის საიდუმლო, თანაც ამ საშუალებებს საკმაოდ ეფექტურადაც იყენებთ. შეიძლება ითქვას, რომ თავს იდეალურად უვლით, კარგად იცით, რა ესაჭიროება თქვენს კანს, სხეულს და კარგი აღნაგობის შენარჩუნებას. სიამოვნებით ხარჯავთ დროს, ენერგიას და თანხას იმაზე, რაც თავად გსურთ.

4-6 ქულა: თქვენი თავის მოვლის ნაცვლად, უფრო ხშირად ოჯახის წევრებს უვლით. სჯობს უფრო კარგად და ეფექტურად გადაანაწილოთ თქვენი დრო და ნახავთ, რომ საკუთარი თავისთვისაც მოიცლით.

0-3 ქულა: უკვე მიეჩვიეთ იმ აზრს, რომ გარშემომყოფებზე ეფექტს კი არ უნდა ახდენდეთ, მათ ისეთი უნდა მოეწონოთ, როგორიც ბუნებრივად ხართ. ასე რომ, არც საპარიკმახეროსკენ მიგიწევთ გული და ხშირად თავის მოსავლელადაც ვერ იცლით. შეიყვარეთ თქვენი თავი, დაიჯერეთ, რომ მართლაც მომხიბვლელი ხართ და წარმატება მუდამ გარანტირებული გექნებათ.

ძაღლების დალაქს სასამართლოში უჩივლეს

ნებრასკის შტატის სასამართლოში პუდელის უხეიროდ გაკრეჭისათვის ძაღლების დალაქს ასამართლებენ. პუდელის მეპატრონე ქალბატონმა „კერძო საკუთრების ხელყოფისათვის“ (რაც ძაღლის უხეიროდ გაკრეჭაში გამოიხატება), დალაქს სასამართლოში უჩივლა. „საწყალ ძაღლს კინაღამ თვალი გამოსთხარეს, უშნოდ შეკრიჭეს მშვენიერი „ჩოლკა“ და კანიც გაუკაწრეს“, — აცხადებს მომჩივანი. ქალბატონმა ისიც დასძინა, რომ საცოდავ პუდელს ფსიქიკური ტრავმაც მიაყენეს: დალაქთან ვიზიტის შემდეგ, მისი Shadow (ჩრდილი) არანაირ რეაგირებას არ ახდენს პატრონის ბრძანებებზე. ■

ტაივანზე ყოველდღე 500 მოტოციკლეტს იპარავენ

ამ კუნძულზე უკვე ხუმრობენ — ტაივანი მალე, ამ მაჩვენებლით, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდებაო. ტაივანის პოლიციის ხელმძღვანელობამ შინაგან საქმეთა მინისტრს მოახსენა, რომ დამნაშავეობის სახეობებს შორის, მოტოციკლეტების გატაცებამ მართლაც რეკორდულ მასშტაბს მიაღწია. მაგალითად, შარშან, კუნძულზე 191280 მოტოციკლეტი მოიპარეს, რაც მთლიანად, პირადი ქონების ქურდობის 56%-ს შეადგენს. თუმცა, შარშანდელ მაჩვენებელს 2001 წლის ანალოგიური მაჩვენებლები სჭარბობს: 191739 გატაცებული მოტოციკლეტი. ■

მიცვალებულს სასაფლაოზე სატელეფონო ანგარიში მიუტანეს

ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ სატელეფონო საუბრის ანგარიში მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ობერნის სასაფლაოზე გააგზავნა. მისი ადრესატი გახლდათ ვინმე დევიდ ტავლუზი, რომელიც ჯერ კიდევ 1997 წელს, სამოცი წლის ასაკში გარდაიცვალა. კომპანიის მონაცემების მიხედვით კი, სატელეფონო საუბარი ამა წლის თებერვალში შედგა. კომპანიის მესვეურები, სატელეფონო საუბრის ღირებულების გარდა, ჯარიმის გადახდასაც მოითხოვენ. წერილში მითითებულია, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში, ეს კლიენტის ნდობის ფაქტორზე იქონიებს გავლენას.

მომხდარით სახტად დარჩენილმა სასაფლაოს თანამშრომლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ჩვეულებრივ, მათი „კლიენტები“ ფოსტას არ იღებენ, მაგრამ მსგავსმა კურიოზებმა შეიძლება აიძულოს, საფოსტო ყუთებით აღჭურვონ საფლავები. ■

ტუალეტში ჩავარდნილმა მობილურმა ტელეფონმა სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა

კენიის ქალაქ მომბასის ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტს, დორა მვაბელას მობილური ტელეფონი შემთხვევით ფიცრული ტუალეტის ღრმულში ჩაუვარდა. ქალიშვილი ჯილდოდ ათას კენიურ შილინგს (დაახლოებით 13 დოლარი) დაჰპირდა მას, ვინც ექვსი ათას შილინგად ღირებულ მობილურს ტუალეტიდან ამოიღებდა. კენიის მცხოვრებთა უმრავლესობის ხელფასი, დღეში ერთ შილინგს შეადგენს.

პირველი, ვინც დორას დახმარება შესთავაზა, 30 წლის რადიოტექნიკოსი, პატრიკ ლუხაკა იყო. მან ტუალეტის ფიცრის იატაკი აყარა და კიბის მეშვეობით ორმოში ჩავიდა. მას შემდეგ პატრიკი ცოცხალი აღარავის უნახავს. პატრიკის გაუჩინარებით შეშფოთებული მისი მეზობელი — კევინ ბამბეა, მომხდარში გასარკვევად, ტუალეტში შევიდა, ფეხი დაუსხლტა და ორმოში ჩავარდა. იქიდან ამოსვლა ვერც მან შეძლო და ჩაიხრჩო. მათი გადარჩენა ჯონ სოლომ სცადა, მაგრამ კიბეზე ჩასვლისას საფეხური ჩაუტყდა და ისიც სიბინძურის მორევში აღმოჩნდა. მეზობლებმა მისი ორმოდან ამოყვანა მოახერხეს და საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ჯონი გზაში გარდაიცვალა. კიდევ ერთი გულადი კენიელი, სამი ადამიანის სიკვდილმაც კი ვერ შეაშინა და მობილურის ამოღება გადაწყვიტა, მაგრამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ვეღარ მოახერხა, რადგან საქმეში მომბასის პოლიციის უფროსი — პიტერ ნენგა ჩაერია. „მისი გაუაზრებელი ქმედება რომ არ აღგვეკვეთა, ოთხი მიცვალებული გვეყოლებოდა, — განაცხადა პოლიციის უფროსმა. — ექსკრემენტებით სავსე ორმოში მომწამვლელი გაზები იყო დაგროვილი, რამაც სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა“. ■

სანქტ-პეტერბურგში მსოფლიოში პირველად, დაჯარგული ნივთების გამოფენა გაიხსნა

ამ დღეებში, სანქტ-პეტერბურგის ნონკომფორმისტული ხელოვნების მუზეუმში, მსოფლიოში პირველად, ნაპოვნი ნივთების გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილია უკანასკნელ ხანებში ქალაქში ნაპოვნი ნივთები — სულ 700 „ექსპონატი“. მათ შორისაა, არა მარტო პასპორტები, მობილური ტელეფონები, გასაღებები, არამედ საგზაო პოლიციელის კვერთხი, საოჯახო ფოტოალბომები, ჩინეთის, იტალიის, ურუგვაისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.

„ნაპოვნი ნივთების ცენტრში“ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რამდენიმე ათასმა ნივთმა მოიყარა თავი. ამ ცენტრის წარმატებით მუშაობის საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ იქ, მპოვნელებს გარკვეული თანხით ასაჩუქრებენ, ამასთან მპოვნელის კონფიდენციალურობა დაცულია. ყოველდღიურად ცენტრს 150 ადამიანი მიმართავს, მათ 80%-ს დაკარგული ნივთი უბრუნდება.

ექსპოზიციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მათ მეპატრონეებს დაკარგული ნივთები პირდაპირ გამოფენაზე დაუბრუნდებათ, რომელიც 6 აპრილამდე გასტანს. ამიერიდან კი, მსგავსი ღონისძიება ყოველწლიურად მოეწყობა. ■

ფოტოკუთხეები



658/10

სიცილი ჯანმრთელობაა!

ფასი: 50 თეთრი

ფიქრისქვა

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

№5 (36) 18.03.03–31.03.03. სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

ხუმრობენ ჟურნალები

პოროსკოპი

„ბაჭირვებული“ რამაზ ჩხიკვაძე

ჯინი კეშია

ანეკდოტები

საფირმო ტუსტი

კარიკატურები